# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 1 (413) ◆ 6 – 12 იანვარი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




„კვირის პალიტრის“ თანამშრომლებს, ამ გაზეთის მკითხველთ და სრულიად საქართველოს გულითადად ვულოცავ დამდეგ შობას და ახალ წელს.
დაე, ბედნიერების, მშვიდობის, სიხარულისა და ერთობის მომტანი ყოფილიყოს იგი თითოეული თქვენგანისთვის.
ღმერთმა დაგლოცოთ და მრავალჟამიერი სიცოცხლე მოგანიჭოთ უფლის და მამულის სამსახურად.

ქრისტესმიერი სიყვარულით

*(ხელმოწერა)*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## შობის დღესასწაული და თავისუფლება ამერიკულად

### ვისთან ერთად ვზეიმობთ ქართველები შობას

„ჩვენმა საპატრიარქომ იმ მორალური ხასიათის შეზღუდვების ერთი ნაწილიც რომ შემოიღოს, რაც ამერიკაში ვნახეთ, მავანნი საპროტესტო აქციებს გაგვიმართავენ და „ბნელეთის მოციქულებად“ შეგვრაცხავენ...“

**გიორგი ანდრიაძე**



ამერიკაში ყველგან პასპორტმომარჯვებული დავდიოდი

— ამერიკაში უამრავი რელიგიაა. ერთი რელიგიის მიერ მეორის წარმომადგენლის აქტიური პროპაგანდით გადაბირება კარგ ტონად არ ითვლება.

გვ.3,11

— ამერიკულ საზოგადოებას ურთიერთობის, დარდის გაზიარების ძალიან დიდი პრობლემა აქვს. ამიტომაც, კვირაობით ეკლესიაში წასვლა და იქ თანამოქალაქეებთან სულიერი ურთიერთგაგება უაღრესად საჭირო რამ არის.

— თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ამერიკაში თამბაქოს მწეველს ისევე დევნიან და ავიწროებენ, როგორც თავის დროზე ინდიელებს ან ზანგ მონებს.



## კაცი, რომელიც სოხუმის „სპეცნაზის“ უფროსის გატაცებას აპირებს

გვ.6

### სენსაციური ინტერვიუ „ტურასთან“...

სოხუმელი ვარ, სპეცნაზში ვმსახურობდი იგორ გიორგაძესთან. სამი წელია, რაც პარტიზანობა დავიწყე...

თავიდან რაზეც დავთანხმდი, მეგონა სუფთა საქმე იქნებოდა, მაგრამ სიბინძურე გამოდგა. იცით რა გამოვიდა? ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ შენ ეს არ უნდა იცოდეო. ამის შემდეგ დამიწყეს დევნა... მე ვერცხლის საგვარეულო აკვანში ვარ გაზრდილი და ისტორიული დავამთავრე...

**ახლა უკვე გაცემულია ჩემი გაქრობის ბრძანება.**

საეჭვოა, კაცობრიობის არსებობის მანძილზე ვინმეს ზუსტად განემარტა, — რა არის ბედნიერება. თუმცა არსებობს ბევრი რამ, რასაც ეს შეგრძნება მოჰყვება.

ერთხელ მცხეთაში ვიყავით, წავიწუწუნე რაღაცაზე. მამამ მითხრა: მადლობელი იყავი, რომ ამ ქვეყანაზე მოხვედი. მე შენ მზის ამოსვლა გაჩუქე. ნახე, რა მთვარეა, რა სანახაობა, რა არაგვი მოდის, როგორ დაგვყურებს ჯვარი, ამაზე დიდი ბედნიერება რა გინდა, ვერ გავიგეო...

გვ.16



ვერსია

გვ.10,13

## „ეს რა ჩაიდინე!“

### დაუნდობელია დამნაშავეთა განაჩენი...

— იმ გიაურმა, ნოდარამ გამყიდა. იმის სისხლს დავლევ, დამაცალოს! — ღრიალებდა ალი და ფანჯრიდან გადახტომას ცდილობდა, თუმცა გისოსები საიმედოდ იცავდნენ გამომძიებლის სამუშაო ოთახს.

## რედაქტორის სვეტი

*მრავალჟამიერ თქვენს ოჯახებში შობა-ახალწლის შემობრძანება, ჩემო ძვირფასებო!*

*ამ პირველ ფრაზაშივე ისეთი ყავლგასული და ანაქრონიზმად ქცეული სიტყვები წავაკითხეთ, რატომღაც დღეს რომ ვერიდებით და ერთგვარად მივჩქმალეთ, — აქაოდა, ვინმემ ჩამორჩენილად არ მიგვიჩნიოსო, სიტყვებს ლამის ღირსება ავყარეთ და ის კი ველარ შევვიგნია, მათ გარეშე თავადვე ვრჩებით პატივაყრილი.*

*იყო სიტყვა და მას **„მამული“** ერქვა — წინაპართა მამული, მომავლის მამული, მამული საფერებელი და სადღეგრძელებელი...*

***წინაპარი** რომ ვთქვით, ღირსია ხსენებისა, რიდისა და კრძალვისა, თავის მოდრეკისა და ყურის გდებისა...*

***რიდი** რაღაა და საოცარი ნიჭია სხვათა უკან დგომისა, კაცთა მოდგმის დიდი ნიშატი...*

***კაცი** ვახსენეთ და აი, აქ ითქვა დიდი სათქმელი — კაცობა დავიბრუნოთ, ვისაც კიდევ გვიცემს ძარღვი ქართველის...*

***ქართველი** რასაც ნიშნავს, დღევანდელებს ჯერ კიდევ გვახსოვს, მაგრამ ხომ უნდა გადავცეთ ვედრებასავით იმ მოყვასს, საუკუნის შემდგომ მოსულს — რანი ვიყავით, რატომ გვერქვა ქართველი...*

*ახლა **ვედრებაზეც** ვთქვათ... ვედრებაზე კი არა, თავად ვედრება წარმოვთქვათ ერთად:*

— ჩემო საქართველოვ, ჩემო ერთადერთო,
მამულის დილავ და მამულის ბინდო,
ცაში ავარდნილო პირველო ტოროლავ და
პირველო გავლებულო ხნულო...
ქვევრში ჩაწურულო რქაწითელო და
თონიდან ამოყრილო პურო,
პირველად ნამღერო „გუთნისდედავ“ და
მყინვარზე ჩამომჯდარო სხივო,
პატარა გოგო-ბიჭის პირველო სიტყვავ და
უფროს-უმცროსობის მადლო,
მოყვასის მოყვასისთვის გვერდში დგომავ და
მამის შექებულო გზაო,
ხატთან დანთებულო პირველო სანთელო და
დედის „იავნანის“ ჰანგო,
კაცის ღირსებავ და მდედრის სათნოებავ,
ზარო და ხარის ქედო,
შეგვაძლებინეთ გაფანტულ ქართველებს
— კერიის შუაცეცხლი გვენთოს!

*შევკკარით ფიცით, ულალატო ფიცით, რომელიც იყო და იქნება, რომელიც არასოდეს გახდება სულერთი და რომელიც ყველამ, თითომ და ერთად, სულაუმღვრევლად ბოლომდე ღირსეულად უნდა გავიტანოთ — ქართველებო, ერთად არდგომის, მტრის გალაღების და მამულის დაკნინების არ გვაქვს უფლება.*

**მრავალჟამიერ თქვენს ოჯახებში შობა-ახალწლის შემობრძანება.**

**ლალი გუნთაიშვილი**


„კვირის პალიტრის“

კედლის მოსახევი კალენდარი



საჩუქრად!

მას, ვინც ...


გვ.6

# გილოცავთ! ქრისტე იშვა ბეთლემსაო...

## მთავრობა თუ პარლამენტი?!

ქართველმა ჩინოვნიკებმა სამსახურში გასვლისთანავე ავთანდილ ჯორბენაძის კარზე საგანგებო, დახურული თათბირი გამართეს. სახელმწიფო მინისტრისგან გამოსული მთავრობის წევრები შესაშურ შეუპოვრობას იჩენდნენ და ერთხმად აცხადებდნენ, რომ გასულ წელს პარლამენტში ჩაგდებულ ბიუჯეტს „შაურიც“ არ მიემატებოდა. მოგვიანებით თათბირი პრეზიდენტთან გაგრძელდა, საიდანაც ქართველ მინისტრებს იმხელა გამბედაობა გამოჰყვათ, რომ პარლამენტი აქეთ დაანამუსეს, — საგზაო გადასახადის მომატებას რომ დათანხმებულიყავით, ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდებოდაო... კიდევ კარგი, ქართველ მინისტრებს ცენტრალიზებულ გათბობაზე გადასახადის დაწესება არ გახსენებიათ — ეს უკანასკნელი ისევე არ არსებობს, როგორც გზა საქართველოში... საბედნიეროდ, მინისტრების შემართება ქართველ დეპუტატებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით — საპარლამენტო ოპოზიცია ერთსულოვნად აცხადებს, რომ თავისას მაინც მიაღწევს, თუნდაც ახალი ბიუჯეტის შესადგენად ახალი მთავრობის შედგენა გახდეს საჭირო. მთავარი შერკინება ბიუჯეტის თემაზე უახლოეს მომავალში გაიმართება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველი პარლამენტარები შესანიშნავ „სპორტულ“ ფორმაში არიან და რეგულარულად ვარჯიშობენ ლანძღვასა თუ მუშტი-კრივში, საქართველოს მთავრობას მთლად კარგი დღე არ უნდა ელოდეს.

## „სახალხო“ ნაძვის ხე გაჭირვებულმა ხალხმა გაძარცვა

წინასაახალწლო დღეებში მერიის წინ დადგმული ნაძვის ხე მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით ხალხმა სახლიდან მოტანილი სათამაშოებით მორთო. როგორც გაირკვა, მცირე ხნის შემდეგ ხალხის მეორე ნაწილმა („ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიისგან შედარებით შორს მყოფმა) ნაძვის ხე პირწმინდად გაძარცვა (სადაც კი ტექნიკის დაუხმარებლად მიწვდნენ). საკრებულოს თავმჯდომარე მომხდარს ტრაგედიად არ მიიჩნევს, რადგან თვლის, რომ დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხიდან სათამაშოებს ის მოიპარავდა, ვისაც მისი შეძენის საშუალება არ ჰქონდა.

## საახალწლოდ ყველაფერი შეიძლებოდა?

დედაქალაქის ვეტერინარული სამსახურის განცხადებით, გარევაჭრობასთან დაკავშირებული გამონაკლისები მხოლოდ საახალწლოდ იყო დაშვებული და „ჩვეულებრივ“ დღეებში მსგავსი შემთხვევები მთელი სიმკაცრით იქნება აღკვეთილი. ვეტსამსახური დღესასწაულებზე გამონაკლისის დაშვებას მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ხსნის, თუმცა იმის ახსნა ნამდვილად გაუჭირდება, როგორ არჩევენ ტიფი, დიზენტერია და სხვა დაავადებები „ჩვეულებრივ“ და „არაჩვეულებრივ“ დღეებს, რადგან პირობები ქუჩაში, სადაც ვაჭრობა მიმდინარეობს, ყოველთვის ერთი და იგივეა.

## ვიცე-პრემიერებს გული არ დასწყვიტეს...

საკრებულოს რევოლუციურად განწყობილ თავმჯდომარეს, მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლების კრიტიკის დროს უმთავრეს არგუმენტად ერთი სამსახურიდან გათავისუფლებული პირების მეორე სამსახურში გადაყვანა მოჰყავდა. როგორც ჩანს, თანამდებობის პირთა სავარძლის გარეშე დატოვება არცთუ იოლი საქმე ყოფილა — დიდი აურზაურით გათავისუფლებული თუ გადაყენებული ვიცე-პრემიერები დედაქალაქს ვერ შეელიენ — ვლადიმერ დარჯანია ისანი-სამგორის რაიონის გამგებლად დაინიშნა, ხოლო მეორე ყოფილი ვიცე-პრემიერი, დავით ღვინიაშვილი, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლობას იტვირთებს.

## არც პატრონი ჰყავს, არც ფული აქვს...

...„თბილგაზი“ მაინც არ კარგავს იმედს, რომ გაზის მოწოდებაზე „იტერასთან“ პირდაპირ ხელშეკრულებას გააფორმებს. გაზმომარაგების ბიზნესიდან „საქგაზის“ „მოტეხვა“ სახელმწიფო მინისტრის ჩანაფიქრია, თუმცა მანამდე „თბილგაზმა“ პატრონიც უნდა იშოვოს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და „საქგაზს“ დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური — 8 მილიონი ლარიც უნდა გადაუხადოს. დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებაში ბოლო ვადად 15 იანვარია მითითებული. თუ ხელშეკრულება საფასურის გადაუხდელობის გამო დაირღვა, თბილისს გაზის მიწოდება შეუწყდება და პირდაპირ ხელშეკრულებაზე ოცნებაც ოცნებად დარჩება.

## არძინბა სიტყვას სიტყვაზე ვეღარ აბამს?

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიით გამოსული აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ვალერი არშბა საპირისპიროს ამტკიცებდა, როგორც ჩანს, არძინბა ისე დაუძლურდა, საახალწლო მილოცვისთვის 10-წუთიანი გამოსვლის ჩაწერა ვეღარ შეძლო. ვალერი არშბას თქმით, არძინბას ნაცვლად საახალწლოდ მისი გამოსვლა შემთხვევითობამ განაპირობა. კულუარული ინფორმაციით, სეპარატისტთა პრეზიდენტს ჯერ კიდევ შარშან საახალწლო ჩაწერა ისე გაუჭირდა, რომ რამდენიმეწუთიან გამოსვლას 4 საათზე მეტი დრო მოანდომა.

## 7000 დეზერტირი

უკანასკნელი მონაცემებით, 10 ათასზე მეტი ახალწვეულის ნაცვლად, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში სამობილიზაციო უწყებამ მხოლოდ 1771 ახალგაზრდის გაწვევა შეძლო. ახალწვეულთა დარჩენილი რაოდენობიდან ოფიციალური ბეგარის მეშვეობით თავი მხოლოდ 1200-მა გაითავისუფლა, დანარჩენი კი შეიძლება ოფიციალურ დეზერტირად ჩაითვალოს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საშემოდგომო გაწვევა ქართულ არმიაში 21 ოქტომბერს დაიწყო და 30 დეკემბერს დასრულდა.

## პრეზიდენტმა საახალწლოდ 34 პატიმარი ქალი შეიწყალა

გასული წლის 31 დეკემბერს ქალთა კოლონიაში მისულმა ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაილო საპრეზიდენტო მოწყალება და ამჯერად თავისუფლება 34 პატიმარ ქალს უბოძა. შეწყალებულ მსჯავრდადებულთა უმრავლესობა ეკონომიკური დანაშაულის, ანუ მსუბუქი კრიმინალისთვის იხდიდა სასჯელს და მათივე მტკიცებით, წარმოდგენაც არ ჰქონდათ მოსალოდნელ საახალწლო საჩუქარზე.

## საქართველოს სასაზღვრო ჯარებს გერმანულ სტილზე მოაწყობენ

უახლოეს ხანში საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოვა გერმანიის სასაზღვრო პოლიციის დელეგაცია, რომელიც ქართველ კოლეგებთან საქართველოს სასაზღვრო ძალების რეფორმირების კონკრეტულ დეტალებს შეათანხმებს.

რეფორმა, რომელიც 2007 წლამდე გაგრძელდება, სამ ეტაპად განხორციელდება. პირველი ეტაპი 2003-2004 წლებს, მეორე — 2005-2006 წლებს, მესამე კი, 2007 წელს მოიცავს. რეფორმის საფუძველზე საქართველოს სასაზღვრო უწყება დამატებით, პოლიციურ და საგამოძიებო ფუნქციებს შეიძენს. ექსტრემალურ სიტუაციებში სახელმწიფო საზღვარს მესაზღვრეების პარალელურად თავდაცვის სამინისტროს ნაწილებიც დაიცავენ.

სასაზღვრო უწყების რეფორმა გერმანული მოდელით ჩატარდება. გერმანელმა ექსპერტებმა, რომლებიც თბილისში გასული წლის ივნისში 10-დღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ და საქართველოს სასაზღვრო სისტემის სპეციფიკას გაეცნენ, რეკომენდაციები უკვე შეიმუშავეს.

## გზები თანდათან იხსნება

ქარბუქისა და ყინვების გამო საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების გზებზე შექმნილი რთული ვითარება თანდათან უმჯობესდება. ამჟამად მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე მოძრაობა მხოლოდ ყაზბეგი-ლარსის ტრასაზეა აკრძალული. საგზაო დეპარტამენტში მუშაობს ცხელი ხაზი 38-16-45, რომლითაც საქართველოს რომელიმე რაიონში გამგზავრების მსურველთ გზებზე არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ.

## რუსი სამხედროები ხელფასს ლარებში მიიღებენ?

ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკსა და რუსეთის სახელმწიფო ბანკებს შორის დადებული ხელშეკრულება უკვე ძალაში შევიდა. ამის მიხედვით, რუსეთის ცენტრალურ ბანკს საქართველოში თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს, ხოლო რუსი სამხედროები კი ხელფასს საქართველოს ეროვნული ბანკის ახალციხისა და ბათუმის ფილიალებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშებიდან მიიღებენ.

## ნავთობი უკვე თავს გვახსენებს...

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სუფსაში, დაზიანებული ჭაბურღილიდან ნავთობის დაღვრის შედეგად გამოწვეული ზარალი დაითვალა. იგი 70 ათას ლარს აჭარბებს. ამჟამად მდინარეში ნავთობის ჩაღვრა შეჩერებულია, კატასტროფის ადგილზე კი „ბრიტიშ პეტროლიუმისა“ და გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტები მუშაობენ. ნავთობის დაღვრის მიზეზად რამდენიმე ვერსია სახელდება — სპეციალისტები კატასტროფის მიზეზად რომელიმე მიმდებარე სოფელში არალეგალური ნავთობსახდელის არსებობასაც არ გამორიცხავენ.

## აფხაზები რუსეთში „იპარებიან“...

რუსეთის სამართალდამცავი სტრუქტურები 8 იანვრიდან აფხაზეთის მოსახლეობაზე რუსული პასპორტების გაცემას გააგრძელებენ. სეპარატისტული მთავრობის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის 80%-ს უკვე დაწერილი აქვს განცხადება რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე, რომელიც სოხუმში მოქმედ რუსულ სათვისტომოს ჩააბარეს. იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის მესვეურნი პასპორტების გაცემისას ფულის გამოძალვაში ამხილეს, რუსული პასპორტების გაცემა დროებით შეჩერებული იყო. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა მოქალაქეობასთან დაკავშირებით საკმაოდ ორიგინალური კანონი მიიღო — ორმაგი მოქალაქეობა გამონაკლისის სახით მხოლოდ რუსეთთან მიმართებაშია დაშვებული.

## რუსეთი გაკვირვებულია...

საახალწლოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოსთან მიმართებაში სპეციალური განცხადება გაავრცელა. მასში რუსეთის საგარეო უწყება გაოცებას გამოთქვამს იმ აღშფოთებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს პოლიტიკურ წრეებში სოხუმი-სოჭის სარკინიგზო ხაზის აღდგენამ გამოიწვია. თურმე, ამ ყველაფერს რუსეთი სწორედ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადასაჭრელად აკეთებს. საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ლამის ათწლიანი მკაცრი განცხადებების ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულად მოჩანს რუსი პოლიტიკოსების განცხადება, რომ მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ აფხაზეთის სრულ ბლოკადაზე. მათი აზრით, რუსეთისა და აფხაზეთის სამეურნეო სუბიექტების დაახლოება პირველ რიგში ქართველი ხალხისთვის ითამაშებს დადებით როლს(!).

## ელენე თევდორაძე რუსეთს ევროსაბჭოში უჩივლებს

ელენე თევდორაძე რუსეთის მიერ აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემის განახლებამ აღაშფოთა. მისი განცხადებით, ევროსაბჭოს 2002 წლის სპეციალური რეზოლუციის შემდეგ რუსეთმა საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფა შეწყვიტა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დროებით. იანვრის ბოლოს დაგეგმილ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე თევდორაძე მწვავე გამოსვლით იმუქრება და იმედოვნებს, რომ სტრასბურგის რეაქციაც შესაბამისი იქნება.

## ნათელაშვილმა თავისას მიაღწია?

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ელექტროენერგიის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ თბილისის მოსახლეობას ორი თვის წინ ელექტროენერგიაზე 13,7 თეთრამდე გაზრდილი ტარიფი ისევ უნდა შეუმციროს, ხოლო შემცირებამდე გადახდილ გადასახადში განსხვავება ძველსა და ახალ ტარიფებს შორის დეპოზიტში უნდა ჩაითვალოს. მაგრამ თვითონ სემეკი მთლად ასე არ ფიქრობს. მისი მესვეურების აზრით, „ეი-ი-ეს თელასთან“ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უკვე დაწესებული ტარიფის გადახედვა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ არსებულ ტარიფს მოსახლეობის დღევანდელი სოციალური პირობების გათვალისწინებით სემეკიც არ ეთანხმება. ექსპერტებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების მეორე საკითხის შესრულებაც საეჭვოდ მიაჩნიათ, რადგან თუ ფიქსირებული გადასახადი გაუქმდება, „ეი-ი-ეს თელასი“ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში უმრიცხველო უბნებში ელექტროენერგიას საერთოდ გამორთავს. საშობაო არდადეგებთან დაკავშირებით საქართველოდან გასული „ეი-ი-ეს თელასის“ მესვეურთა პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ გამორიცხული არ არის, ტარიფზე დავა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გაგრძელდეს (იხ. გვ. 7).

## დევნილები კვლავ აქციას მართავენ

6 იანვარს, დილიდან, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში აფხაზეთიდან დევნილებმა მასობრივი საპროტესტო აქცია დაიწყეს. აქციის მონაწილენი აფახაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების დაუყოვნებლივ გაყვანასა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის პრეზიდენტ შევარდნაძეზე დაკისრებას მოითხოვენ. იმის დასადასტურებლად, რომ ამჯერად ადრინდელივით მხოლოდ დაპირების შედეგად არ დაიშლებიან, სოფელ რუხში დევნილებმა კარვების გაშლა დაიწყეს. საპროტესტო აქციის შტაბის განცხადებით, აფხაზეთიდან დევნილთა აღშფოთება კონფლიქტის მოგვარების პროცესის უშედეგობასთან ერთად, რუსეთის მიერ აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებამ და აფხაზეთსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენამ გამოიწვია.

## ქართველი დეპუტატები ადამიანის უფლებათა დაცვაზე გიჟდებიან...

სხვაგვარად ძნელი ასახსნელია საქართველოს პარლამენტში გამართული მარათონი ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ახალ არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, ქართველი დეპუტატები თუნდაც რამდენიმეთვიანი თავმჯდომარეობისათვის თავს არ ზოგავენ. ადამიანის უფლებათა მთავარი საპარლამენტო დამცველის წოდებისთვის ერთმანეთს ექსთავმჯდომარე, ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრი ელენე თევდორაძე, „ტრადიციონალისტთა“ წარმომადგენელი ნატო ჩხეიძე და ფრაქცია „აღორძინების“ წევრი სანდრო ბრეგაძე შეერკინებიან. ეს უკანასკნელი ისეთი მონდომებულია, რომ გადაწყვიტა დეპუტატების ხმები კენჭისყრამდე წინასწარ, ხელმოწერებით შეაგროვოს. მისი განცხადებით, ამ მეთოდით უკვე 60-ზე მეტი ხმა აქვს მოგროვილი, სულ კი 118-ზე მეტი ხმა სჭირდება.

## დეპუტატი სასტიკად სცემეს

პარლამენტის წევრს, დიმა ჯაიანს უცნობი შეიარაღებული პირები თავს საკუთარ სახლთან, მანქანიდან გადმოსვლისას დაესხნენ. ავტომატითა და პისტოლეტით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა ჰაერში გასროლის შემდეგ დეპუტატს უმოწყალოდ, კონდახებით სცემეს. ჯაიანი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მძიმე მდგომარეობის გამო საავადმყოფოში მისულმა სამართალდამცავებმა მისი დაკითხვა ვერ მოახერხეს. წინასწარი ვარაუდით, მომხდურებმა გაძარცვის მცდელობა გაითამაშეს, სინამდვილეში კი მიზნად პოლიტიკური ანგარიშსწორება ჰქონდათ.

## ალილო დედაქალაქში...

7 იანვარს, 12 საათზე, თბილისის ყველა მოქმედი ტაძრიდან მართლმადიდებელი მრევლი დედაქალაქის ქუჩებში ალილოზე გამოვა. შეგროვილი შესაწირავი (საკვები, ტანისამოსი და საჩუქრები) უპატრონო ბავშვებს და უპოვარ ოჯახებს გადაეცემათ.




## ჯორჯ ბუში თავისას არ იშლის...

აშშ-ის ადმინისტრაციამ კიდევ ერთხელ გააფრთხილა ერაყის ლიდერი, რომ მისი „განკითხვის დღე“ ახლოვდება. მიუხედავად ამერიკაში აგორებული ანტისაომარი კამპანიისა, ბუშის გადაწყვეტილებით, საახალწლოდ სპარსეთის ყურეში დამატებით 17 ათასი სამხედრო მოსამსახურე გაემგზავრა, რომლებიც იქ მყოფ 60 ათას ჯარისკაცს შეუერთდებიან. უახლოეს მომავალში რეგიონში კიდევ 800 სამხედრო ინჟინერი და დაზვერვის ოფიცერი გაემართება. აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავებმა ერაყის ტერიტორიაზე სპეციალური პროკლამაციების გავრცელება დაიწყეს, რომელშიც თეთრი სახლი ერაყელებს განუმარტავს, რომ ის ჰუსეინის დიქტატურას ებრძვის და არა უბრალო ხალხს. პარალელურად კი ერაყის მისადგომებთან განთავსებული ჯარები ინტენსიურად ემზადებიან ქალაქის პირობებში ბრძოლისათვის.

## ჩრდილოეთ კორეა უკან იხევს, მაგრამ მუქარასაც არ ეშვება...

ნაახალწლევს ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისგან თავდაუსხმელობის პაქტის დადებას ითხოვს. მას შემდეგ, რაც ფხენიანმა ატომური პროგრამის განახლების შესახებ განაცხადა, თეთრი სახლის მიერ იგი „ბოროტების ღერძის“ სახელმწიფოთა შორის იქნა მოხსენიებული. ვაშინგტონმა ატომური იარაღის გამოცდის გაგრძელების შემთხვევაში ჩრდილოეთ კორეაზე პრევენციული დარტყმაც არ გამორიცხა და საწყის ეტაპზე მას ნავთობის ბლოკადა გამოუცხადა. როგორც ჩანს, კორეელებმა სერბეთისა და ერაყის გამოცდილება გაითვალისწინეს და სერიოზულადაც შეშინდნენ, რადგან მათ მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ატომური იარაღი ფხენიანს მხოლოდ თავდაცვის მიზნით სჭირდება და გარე სამყაროსთან ომს სულაც არ აპირებს. თუმცა, ამის პარალელურად, ფიცხმა კორეელებმა ქვეყნიდან გაეროს ინსპექტორებიც გააძევეს და 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაც გააუქმეს.

## დაიბადა მეორე კლონირებული ბავშვი

ადამიანების კლონირებაზე მომუშავე ორგანიზაცია „კლონეიდმა“ მსოფლიოს მეორე კლონირებული ბავშვის დაბადება ამცნო. ორგანიზაციის ლიდერთა განცხადებით, ბავშვის მშობლები ჰოლანდიელები არიან და თავს კარაგად გრძნობენ. ჯერჯერობით ვერ ხერხდება პირველი კლონირებული ბავშვისა და მისი მშობლების გენეტიკური ანალიზის ჩატარება. მანამდე კლონირების ყველა ცდა, რომელიც ცხოველებზე ტარდებოდა, უშედეგოდ დასრულდა, რადგან ცდის შედეგად შექმნილი კლონები უჩვეულოდ სწრაფად ბერდებოდნენ. სწორედ ამიტომ გენეტიკური ანალიზის ოფიციალურ დასკვნამდე მსოფლიოს მეცნიერული სამყარო „კლონეიდის“ მიღწევას ეჭვით უყურებს.

# შობის დღესასწაული და თავისუფლება ამერიკულად

**„ჩვენში რომ ამერიკული შეზღუდვების თუნდაც ნაწილი შემოვიღოთ, საპატრიარქოსთან საპროტესტო აქციები გაიმართება“**

როგორც წინა ნომერში დაგპირდით, ახალ წელს „კვირის პალიტრა“ ამერიკული თავგადასავლების თხრობით იწყებს.

საქართველოს ახალშეძენილი მეგობარი — ამერიკის შეერთებული შტატები — ჩვენშიც მონდომებით ცდილობს თავისი მთავარი პრინციპების — პიროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი თავისუფლების დამკვიდრებას, მაგრამ რამდენად წარმატებით ხდება ეს, სხვა საკითხია. ჯერჯერობით, ფართო მასებში ამერიკული თავისუფლება ასოცირდება პორნოგრაფიით, ნარკოტიკებით და ძალადობით გაჯერებულ საზოგადოებასთან, სადაც ტრადიციები, კულტურა და ისტორია არავის ახსოვს, ხოლო ყველაფრის თავი და ბოლო — ფულია.




კინოაფიშაზე აუცილებლად მითითებულია კატეგორიებად დაყოფილი მაყურებელთა ასაკობრივი ზღვარი

სიამოვნებით მივიღე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევა — იგი ძირითადად რელიგიურ ურთიერთობებს განიხილავდა — უნიკალური შანსი მეძლეოდა, „ამერიკული ცხოვრების წესს“ უფრო ახლოს გავცნობოდი, მით უმეტეს, რომ გარემოებათა გამო ამერიკისადმი ხალხში გავრცელებული დამოკიდებულება, ვფიქრობ, ინფორმაციის ნაკლებობის შედეგი უფროა. ერთი თვის მოგზაურობის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი რამ ვნახე — ბევრს ველოდი, ბევრიც მოულოდნელი გამოდგა. ნიუ-იორკში, ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა (სწორედ ეს ორგანიზაცია უფრთხობს მშვიდ ძილს თავისი მიმართვებით ქართველ მაღალჩინოსნებს) — მის დირექტორთან შეხვედრისას ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო რაპორტი გადმომცეს, სადაც საქართველოს მედიის განყოფილებაში თავისუფალი პრესის სახით „კვირის პალიტრა“ პირველ ადგილზე იყო მოხსენიებული (რაზეც ვრცლად შემდეგ ნომერში მოგითხრობთ). სხვათა შორის, ამერიკაში აშკარად ვიგრძენი „დამოუკიდებლობის კომფორტი“ — სრული უფლება და პასუხისმგებლობა მქონდა, ამერიკელი ჩინოსნებისა და გრანტიორებისთვის მეთქვა, რომ მედიის დაფინანსება ნებისმიერ შემთხვევაში თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს, იმის მიუხედავად, ამას უშიშროება გააკეთებს თუ დასავლეთის დემოკრატიული ფონდები.

ანონსებით თავს აღარ შეგაწყენთ — შობის დამდეგს, პირველ წერილში, ჩემი „ამერიკელი თანამგზავრებიდან“ რესპონდენტებად საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ავირჩიე.

*რატომ განსხვავდება დროით ქართული და დასავლური შობა; არის თუ არა იდეოლოგიური წინააღმდეგობა ამერიკანიზმსა და ქართულ მართლმადიდებლობას შორის; რას ნიშნავს მორალი ამერიკულად...*

ინტერვიუში ამერიკული ვოიაჟის ცოცხალ მაგალითებსაც შემოგაშველებთ და თუ რამდენად „გარყვნილი“ და „წრეგადასულია“ ამერიკა, თავად დაასკვნით.

## უსაფრთხოება და ამერიკა

*ეს გახლავთ ნომერ პირველი პრობლემა დღევანდელ ამერიკაში, რომელსაც ჯერ კიდევ ამერიკისკენ მიმავალ თვითმფრინავში ასვლამდე იგრძნობთ...*

ხუთსაათიანი, დამღლელი ფრენის შემდეგ „ბრიტანული ავიახაზების“ კუთვნილი თვითმფრინავი ლონდონში, ჰიტროუს აეროპორტში დაეშვა. აქედან კი, გულდასმით ჩხრეკისა და შემოწმების შემდეგ, „იუნაიტედის“ თვითმფრინავმა ვაშინგტონისკენ აიღო გეზი. შეერთებული შტატების ავიახაზებზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. ჩხრეკენ ყველას და ყველაფერს — იმდენად საგულდაგულოდ, რომ აეროპორტში ყოველ ნაბიჯზე შემოწმების ერთსაათიანი პროცედურის გავლის შემდეგ გაბრაზების ნაცვლად სიბრალულის გრძნობა გიპყრობს. უსაფრთხოების დაცვა ზოგჯერ კურიოზამდეც კი მიდის — თვითმფრინავში შესვლამდე მგზავრს ქურთუკისა და ტანსაცმლის ყოველ სანტიმეტრს უმოწმებენ; მეტალის მძებნელით თავსაც კი უხილავენ; სთხოვენ ფეხსაცმლის გახდას, რომელსაც პორტატიულ ლაბორატორიაში ბიოლოგიურ ექსპერტიზას უტარებენ — მომწამვლელი ნივთიერების აღმოსაჩენად... ეს — თვითმფრინავში ჩაჯდომამდე. მანამდე კი, რეგისტრაციის გავლისას, ბარგს გოჯ-გოჯა ამოწმებენ და ქიმიური ექსპერტიზის შემდეგ ქურთუკთან, ქუდთან და ფეხსაცმელთან ერთად ისეთი სიმძლავრის რენტგენში ატარებენ, რომ თუ გამშვებ პუნქტებთან გაკრულ განცხადებებს არ დაუჯერებთ და ბარგიდან ფოტო და აუდიოფირს არ ამოიღებთ, გამოსხივება გაგიფუჭებთ. აეროპორტში, თვითმფრინავამდე მისასვლელ „გეიტთან“ და სარეგისტრაციო პუნქტებთან დღე და ღამე უგრძესი რიგი დგას — მორჩილად იცდიან მგზავრები საკუთარი ფეხსაცმელებითა და ქურთუკებით ხელში. ამერიკელები სინანულით იხსენებენ, — ერთ დროს შიდა ავიარეისებით სარგებლობა ისეთივე მარტივი იყო, როგორიც ტაქსით მგზავრობაო. ერთი თვის განმავლობაში ამერიკის ხუთი შტატის მოვლა მომიხდა და ამიტომ შიდა აეროპორტებით სარგებლობა ხშირად მიწევდა — იქაც ანალოგიური ვითარებაა. ერთხელ ჩემთვის ძალიან უჩვეულო სცენასაც შევესწარი: FBI-ს (გამოძიების ფედერალური ბიუროს) ბობოლა აგენტი აეროპორტის სარეგისტრაციო პუნქტში ადგილობრივი პოლიციის სერჟანტმა დააკავა. თურმე აგენტი მეზობელ შტატში მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩასატარებლად მიდიოდა, თან რაცია, იარაღი და სხვა „აგენტურული“ ატრიბუტიკა ჰქონდა, რაც მთავარია, ამერიკის FBI-ს შეფის ნებართვის წერილით. სერჟანტმა ფეხები გააფიჩინა — მე ჩემი უფროსი მყავს და ჩემს ინსტრუქციას ვემორჩილები, იარაღი და საბრძოლო-სათვალთვალო მოწყობილობა უნდა დატოვოო... დიდი გაწევ-გამოწევისა და აყალმაყალის შემდეგ, ადგილობრივმა პროკურორმა სერჟანტი გაამართლა და FBI-ს აგენტმა ეკიპირება თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს ჩააბარა.

## ამერიკის მთავრობა, რელიგია და საქართველო

ამ წერილს მკითხველი შობის დამდეგს, 6 იანვარს იხილავს. ამ დროს ამერიკაში საშობაო და საახალწლო ზეიმები უკვე ჩავლილია და ცხოვრებაც ჩვეული დინებით მიდის. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე ამერიკაში ჩემს თანამგზავრს, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელს **ზურაბ ცხოვრებაძეს** ჯერ დასავლური და ქართული შობის დროით განსხვავების თაობაზე გავსაუბრებოდი.

*— ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ხოლმე. დღესდღეობით, შობა-ახალ წელიწადს*

**რასაკვირველია, ფიზიკური ანგარიშსწორება მისაღები არასოდეს არის, მით უმეტეს, როდესაც საქმე აღმსარებლობას ეხება, მაგრამ ალბათ აჯობებდა, ცემა-ტყეპის ფაქტობრივი აღწერის გარდა ქართველებსაც და ამერიკელებსაც თავად პრობლემის არსზე ეფიქრათ...**

*მსოფლიოში საქართველოსთან ერთად რუსეთის, სერბეთის, იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიები და ათონის მთა ზეიმობს. 1924 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია ახალ სტილზე გადავიდნენ. დანარჩენი მართლმადიდებლური ეკლესიები ახალი სტილით მხოლოდ კალენდრულად უძრავ დღესასწაულებს ზეიმობენ. დანარჩენს, მაგალითად, უმთავრეს ქრისტიანულ დღესასწაულს — აღდგომას ყველა მართლმადიდებლური ეკლესია ერთად აღნიშნავს. ახალ სტილზე გადასვლას ზემოთ ნახსენები ეკლესიები სპეციალური გამოთვლებით ამართლებენ, რომლის მიხედვითაც დროთა განმავლობაში დარჩენილი წამების შეკრებით აღდგომასა და შობას შორის მანძილი მცირდება — ოღონდ აქ ლაპარაკია ძალიან დიდ დროზე, ათასწლეულებზე. ძველი სტილის ოპონენტები ხშირად საყვედურობენ — დანარჩენ ეკლესიებთან დროში სხვაობა გაურკვევლობას იწვევსო. მაგრამ თუ კარგად ჩავუფიქრდებით, დაბნეულობას ახალ სტილზე გადასვლა უფრო გამოიწვევს, რადგან „მოძრავი“ თარიღები საეკლესიო კალენდარში აღდგომის მიხედვით იგეგმება და დროში აცდენის გამო ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა, თუნდაც პეტრე-პავლობის მარხვა, შესაძლებელია ზოგიერთ წელიწადს კალენდრიდან სულაც ამოვარდეს. ძველსა და ახალ სტილს შორის განსხვავება დოგმატური ხასიათის არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენი ეკლესია ძველ სტილს მართლმადიდებლური ტრადიციისა და სულისკვეთებისთვის უფრო მართებულად მიიჩნევს. ამასთან საქართველოს საპატრიარქო ჩვეულებრივ კავშირს ინარჩუნებს სხვა, ძველი თუ ახალი სტილის მიმდევარ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან. ამ თემაზე ხშირად კამათობენ ხოლმე და პირველ არგუმენტად დასავლური ცხოვრების რიტმისთვის ფეხის აწყობა მოჰყავთ. ამერიკაში ვიზიტისას მისაბაძად და გადმოსაღებად ბევრად უფრო სერიოზული რამ ვნახე, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, უპირველესად მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით.*

...ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ვიზიტი ძირითადად რელიგიას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნებოდა. საქართველოს დელეგაცია უშიშროების საბჭოს, არასამთავრობო სექტორის, სასამართლოს, საპატრიარქოს და დამოუკიდებელი მასმედიის თითო წარმომადგენლით იყო დაკომპლექტებული (მასმედიას სტატიის ავტორის სახით, „კვირის პალიტრა“ წარმოადგენდა).

ამერიკული ვოიაჟის ვაშინგტონის ნაწილი ძალიან გადატვირთული იყო — ერთი კვირის განმავლობაში შევხვდით ყველა მაღალი თანამდებობის პირს, ვისაც კი ამერიკის მთავრობაში რელიგიასთან რაიმე კავშირი აქვს. პირველსავე შეხვედრაზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, როგორც ჟურნალისტს, განმიმარტეს, რომ ჩვენს შეხვედრებს შეერთებული შტატების მთავრობასთან და კონგრესთან უფრო სამუშაო ხასიათი ექნებოდა, ვიდრე ინფორმაციული. ამიტომაც, ორივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთხოვეს, პუბლიკაციებში პიროვნებების დასახელებისა და ზუსტი ციტირებისგან თავი შემეკავებინა. ერთს კი ვიტყვი — შეხვედრები უაღრესად საინტერესო (ზოგჯერ თითქმის კონფიდენციალურიც კი) იყო. ამერიკელ მაღალჩინოსნებს აშკარად მცდარი დამოკიდებულება აქვთ „რელიგიური დისკრიმინაციის“ ქართული მოდელისადმი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მათ ამ პრობლემაზე უფრო მეტის გაგების სურვილი ჰქონდათ და მეთანხმებოდნენ, რომ არ შეიძლება თავისუფლების პრინციპების უცვლელად განზოგადება ამერიკისგან ისეთი განსხვავებული ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. რასაკვირველია, ფიზიკური ანგარიშსწორება მისაღები არასოდეს არის, მით უმეტეს, როდესაც საქმე აღმსარებლობას ეხება, მაგრამ ალბათ აჯობებდა, ცემა-ტყეპის ფაქტობრივი აღწერის გარდა ქართველებსაც და ამერიკელებსაც თავად პრობლემის არსზე ეფიქრათ...

**გიორგი ანდრიაძე,** საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი, დელეგაციის წევრი:

*— რატომღაც ბევრი ჩვენი თანამემამულე თავისუფლების დასავლურ ღირებულებებს გაუაზრებლად ქადაგებს და თანმხლები პროცესების გაუთვალისწინებლად ცდილობს მის დანერგვას. მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული რელიგიის თავისუფლებისა, ეს მოვლენა ამერიკაშიც არ არის ბოლომდე შეუქცევადი. იქ ამის უამრავი თვალში საცემი მაგალითი ვნახეთ — თუნდაც ასსართულიან ცათამბჯენებზე გამოსახული უზარმაზარი ჯვრები. პირადად ჩემთვის ეს მოვლენა მისასალმებელია, მაგრამ მსგავსი რამ საქართველოში რომ მოხდეს, ამის გამკეთებლებს ადამიანის უფლებათა დამცველების რისხვა დაატყდებათ თავს — რელიგიური უმცირესობები იჩაგრებიანო.*

...შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმთავრესი უწყების, იუსტიციის დეპარტამენტის პასუხისმგებელ პირებთან რელიგიის თავისუფლების საკითხზე საკმაოდ საინტერესო საუბარი წარიმართა — ჩვენთან რელიგიური ნიშნით გარჩევა არ არსებობს, ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანს ნებისმიერი თანამდებობის მიღწევა შეუძლიაო.

სატანისტმა რომ პრეზიდენტობა მოისურვოს, თუ შეძლებს-მეთქი.

თუ არჩევნებში გაიმარჯვა, რასაკვირველია, შეძლებსო.

მაგრამ ამერიკის პრეზიდენტი ინაუგურაციის დროს ხომ ბიბლიაზე იფიცებს? სატანისტისთვის კონსტიტუციას შეცვლით? თან ფულის შეცვლაც მოგიწევთ, რადგან დოლარს გარკვევით აწერია „ჩვენ გვწამს ღმერთი“...

ჩინოვნიკი, ცოტა არ იყოს დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაუტეხავს, ნახევრად ხუმრობით თქვა, იმედი მაქვს, რომ სატანისტი პრეზიდენტობას ვერ მიაღწევსო...



შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

საერთოდ, ამერიკაში უამრავი რელიგიაა. როგორც ერთ-ერთი პოპულარული ჟურნალის, „ობზერვერის“ რედაქტორმა მითხრა, საკმარისია რაიონში სუპერმარკეტი დაიხუროს, რომ მისი შენობა რემონტდება და იქ ახალი რელიგია მკვიდრდებაო.

ამერიკულ საზოგადოებას ურთიერთობის, დარდის გაზიარების ძალიან დიდი პრობლემა აქვს. ამიტომაც, კვირაობით ეკლესიაში წასვლა და იქ თანამოქალაქეებთან სულიერი ურთიერთგაგება უაღრესად საჭიროა. ოღონდ ეს რელიგია და ურთიერთობა მაქსიმალურად მარტივი და იოლი შესასრულებელი უნდა იყოს, რადგან ისედაც რთული სამუშაო კვირის შემდეგ, თუნდაც საკუთარი ცხოვრების წესზე სიღრმისეული ჩაფიქრება არავის სჭირდება. ოკლაჰომას შტატში ერთ-ერთი ასეთი, საკმაოდ გავლენიანი რელიგიური კონფესიის ტაძარში, „მეიფლაუერში“ მოვხვდი. დასაწყისში რამდენიმე ასეულ ადამიანს მცირე ბრიფინგი ჩავუტარეთ საქართველოში რელიგიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. საზოგადოების ირონიული ქირქილი გამოიწვია იეღოველების და პროზელიტიზმის ხსენებამ. როგორც ჩანს, ეს საკითხი არცთუ შორეულ წარსულში ამერიკისთვის პრობლემატური იყო... მოგვიანებით, წირვა, უფრო სწორად კი მსუბუქი კონცერტი დაიწყო — ჯერ ორგანის თანხლებით იმღერეს, შემდეგ რიგები ჩამოიარეს და ფული შეაგროვეს. ფული კონვერტში უნდა ჩაგედო და მასზე გარკვევით მიგეწერა რაოდენობა, გვარი და სახელი. მოგვიანებით დოლარებით გაძეძგილი ორი დიდი თასი კონფესიის სულიერმა მოძღვარმა საზეიმო ვითარებაში საკურთხეველზე აიტანა, ჯვარცმის წინ დადო და მრევლს თანამედროვე სიუჟეტის სამაგალითო არაკი მოუყვა (დროის მოთხოვნების გამო, მასში ავღანეთი და ტერორისტებიც იყო ნახსენები) და საზოგადოებას სიკეთის ქმნისკენ მოუწოდა. ამის შემდეგ ხალხი გვერდით მდებარე დიდ დარბაზში გადავიდა, სადაც მაგიდებზე ყავა და ნამცხვარი ეწყო. ეს იყო და ეს. როგორც კონფესიის მეთაური, ისე მისი მრევლი, ჩვენ მიმართ უაღრესად კეთილად იყვნენ განწყობილნი. საქართველოს შესახებ ყველაფერი, თვით უმნიშვნელო დეტალებიც კი აინტერესებდათ. გაოცებული დავრჩი, როდესაც გავიგე, რომ „მეიფლაუერში“ ჰომოსექსუალისტებსაც ისევე უპრობლემოდ სწერდნენ ჯვარს, როგორც ქალ-ვაჟს. „ისინიც ხომ ადამიანები არიან, მათაც უყვართ ერთმანეთი. თანაც ბიბლიაში ამის შესახებ ცუდი არაფერი წერია“, — განმიმარტა მოძღვარმა.

სიტყვაც კი არავის დასცდენია „ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და ხსნის გზაზე“. როგორც მივხვდი, მიუხედავად სიტყვის აბსოლუტური თავისუფლებისა, ერთი რელიგიის მიერ მეორის წარმომადგენლის აქტიური პროპაგანდით გადაბირება კარგ ტონად არ ითვლება.

საუბარს კვლავ გიორგი ანდრიაძესთან ვაგრძელებთ:

**— ჩვენში გავრცელებული მოსაზრებებით, ამერიკანიზმი ქართული მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია. თითქოს ამერიკა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში დედაეკლესიის დასუსტების ხარჯზე სხვადასხვა სექტები მომძლავრდნენ, ამერიკანიზმს მიაწერენ მოზარდი თაობის გარყვნას, ტრადიციების დავიწყებას და ყველა იმ „სიკეთეს“, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველი ერის გადაშენებისკენაა მიმართული...**

*— პირველი, რაც ამერიკაში შევნიშნე, ის იყო, რომ რატომღაც, ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს ამერიკის გარკვეული წრეები ერთმანეთთან აიგივებენ, აქედან კი უამრავი მცდარი შეხედულება მოდის. არადა რუსული თვითმპყრობელობისგან თავის დროზე ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არანაკლებ დაზარალდა, ვიდრე ქართული სახელმწიფოებრიობა. ამერიკა ძალიან მრავალფეროვანი ქვეყანაა და იქ სხვადასხვაგვარი ზნეობრივი ფასეულობა არსებობს — ეს ნორმალურიც არის, რადგან სრული ჰარმონია მხოლოდ ზეცაში სუფევს. აქედან გამომდინარე, გააჩნია, რას ნახავ ამერიკაში, რა მოგეწონება და რას „წამოიღებ“ საქართველოში. საქართველოს საპატრიარქომ ჩვენში იმ მორალური ხასიათის შეზღუდვების ერთი ნაწილის შემოღებაც რომ მოითხოვოს, რაც ამერიკაში ვნახეთ, მავანნი საპროტესტო აქციებს გაგვიმართავენ და „ბნელეთის მოციქულებად“ შეგვრაცხავენ...*

## თამბაქო, მორალი და ამერიკა

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ამერიკაში თამბაქოს მწეველს ისევე დევნიან და ავიწროებენ, როგორც თავის დროზე ინდიელებს ან ზანგ მონებს. შეერთებული შტატების საზოგადოებრივ შენობებში სიგარეტის მოწევა სასტიკად აკრძალულია. სიგარეტს ვერ მოწევთ ვერც საზოგადოებრივ ტრანსპორტში. უფრო მეტიც — სასტუმროში მწეველთათვის სპეციალური „სმოუკ-რუმები“ არსებობს — ჩვეულებრივ ნომერთან შედარებით პატარა და არაკომფორტული. თუ ნომერში სიგარეტის მოწევა გსურს, სწორედ ასეთ ნომერში უნდა შებრძანდე. სხვაგვარადაც შეიძლება — თუ ჯიბე საშუალებას გაძლევს, თითოეულ მოწეულ სიგარეტზე 100 დოლარი ჯარიმა უნდა გადაიხადო. არამწეველთა ნომერში მგრძნობიარე სენსორებია დაყენებული და ყოველ მოწევაზე შენს ანგარიშზე 100 დოლარის ჯარიმა ჯდება. თვითმფრინავში მოწევაზე ლაპარაკი კი არა, ოცნებაც ზედმეტია. აეროპორტში კი სპეციალურად იმისთანა გარემოა შექმნილი, სიგარეტსაც შეგაზიზღებს და საკუთარ თავსაც. თავიდან ეს ამბავი არ ვიცოდი და აეროპორტში შესვლისთანავე „სმოუკ არეა“ (მოსაწევი ადგილი) ვიკითხე — გადაჯდომა მიწევდა და მეორე თვითმფრინავის გაფრენამდე გარეთ გასვლა არ ღირდა. მიმასწავლეს და მირჩიეს, გზის მაჩვენებლებს გავყოლოდი. ვიფიქრე, რა შტერები არიან ეს საწყლები, ორ ნაბიჯზეც გზის მაჩვენებელი სჭირდებათ-მეთქი. ასე, 15 წუთი ვიარე. მაჩვენებელმა მეტროს გაჩერებასთან მიმიყვანა (აეროპორტებში ქალაქივით, ცალკე ინფრასტრუქტურაა, უსასრულო დერეფნებში მინიატურული ტაქსები დადიან, ფლიგელებს კი ერთმანეთთან მეტრო და ავტობუსები აკავშირებს, აეროპორტის ტერიტორიაზე ქალაქივით, გზაჯვარედინზეც კი შეიძლება მოხვდეთ, სადაც ასობით დამხმარე, ბენზინმზიდი თუ საბარგო მანქანა შუქნიშნის რიგში დგას). მაჩვენებელზე ეწერა, „სმოუკ არეა“ ორი გაჩერების შემდეგ არისო. ვიფიქრე, ჯანდაბას, ამათი თავი, მაინც ამდენი ვიარე და რაღა დარჩა-მეთქი. თურმე, სად ბანაობ... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნახევარი საათის ბოდიალის შემდეგ ამხელა აეროპორტის ერთადერთ „სმოუკ-არეას“ მივაგენი...

**(გაგრძელება იხ. გვ. 11)**

CMYK



## 4 იანვარი, 2003 წელი. სტუმრად პატრიარქთან

**„კვირის პალიტრის რედაქცია ეახლა სრულიად საქართველოს სულიერ მამას ილია II-ს და მიულოცა დაბადების 70 წლისთავი.**

**უწმინდესმა ჩვეული სითბოთი და გულითადობით მიგვიღო და გვესაუბრა. კათოლიკოს-პატრიარქმა სინანულით აღნიშნა, რომ საქართველოს ტოვებს ბევრი ნიჭიერი ადამიანი და ბრძანა: — თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, თქვენ გაქვთ უდიდესი ზემოქმედების ძალა, რათა უსასოდ მყოფს იმედის სხივი მოჰფინოთ, უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენა განუმტკიცოთ და ტაძრის გზა გამოუჩინოთ.. თქვენს სიტყვას უსმენენ.**

**დაგვლოცა მწყემსმთავარმა და მადლიც გამოგვაყოლა ჩვენი მომავალი საქმიანობისთვის.**

# გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

***დიდხანს ვიფიქრეთ, რა გვეთქვა, საითკენ წაგვეყვანა თხრობა, რომ ქრისტეშობის მისტერია რეალურობამდე დაგვეყვანა და ეს ქრისტიანული უდიდესი სასწაული, ხელშესახები გაგვეხადა.***

***ამიტომ მივუბრუნდით ორი წლის წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ „გაცოცხლებულ სახარებას“ და სწორედ იმ ცხოველი შთაბეჭდილების მომცველ მონაკვეთს გთავაზობთ, ქრისტეს შობის ადგილს, ბეთლემს რომ ეხება...***

### ბეთლემი

„და შვა ძე იგი მისი პირმშო და შეხვია სახუევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილი სავანესა მას“ (ლუკას სახარება).

ბეთლემი აქედან (ჩვენ იერუსალიმის არაბულ ნაწილში ვცხოვრობთ, სასტუმროში), 15 წუთის სავალზეა, პასტორალური სანახები სახარებას გახსენებთ, მწყემსები, თხისა და ცხვრის ფარა ამ ადგილებში ახლაც ჩვეულებრივი პეიზაჟია. პირველივე ფრაზით მონუსხულები — უფლის შობის ადგილს ვნახავთო — ყველა თავის თავში ჩავბრუნდით და ყველა თავის სახარებისეულ ცოდნას ჩაუღრმავდა... მივაკვლიეთ გონებაში იმ ფურცელს, უფლის შობა რომ ჰქვია. მივაკვლიეთ ნაზარეთიდან ბეთლემისკენ გამოსულ მართალ იოსებს, რამეთუ დავითის გვარ-სახელისა იყო და კეისრის მიერ გამოცხადებული აღწერისას ყველა თავის მამულში უნდა აღრიცხულიყო... ახლა წელთაღრიცხვა უკან გადავთვალეთ და კიდევ ერთი, სისხლს თავის თხემს ძალუმად რომ მიახეთქებს, ისეთი მიგნება-გახსენება — ღმერთო, 2000 წელი გასულა, სწორედ ის მისტიკური 2000 წელი. მორწმუნესა და ურწმუნოს ერთნაირად რომ ჩაბეჭდვია ხსოვნაში — ღმერთო, რა იქნება 2000 წლის შემდეგ...

გადმოვდივართ...

შობის ბაზილიკა იმპერატორ კონსტანტინეს აუგია 332 წელს და მისმა დიდმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

ახლა მეცნიერულ-არქიტექტურული აღწერილობისაგან თავს ვიკავებთ და რომ იტყვიან, გზას ვუთმობთ ემოციებს...

უფლის შობის ადგილის თავზე ულამაზესი ტაძარია უფლის ხატებითა და კანდელებით, მდიდრული ინტერიერით...

მომსვლელები იესოს შობის წმინდა ადგილის სანახავ რიგში დგანან... ჩვენმა მამა ილიამ (ნასიძე) ბეთლემში პარაკლისი გადაიხადა და განწყობა ისეთი ამაღლებული ჰქონდა, მგალობლებმა და მოძღვარმა ხმებს ისე ავუწიეთ, ქვემოდან მღვდელმსახურებმა ამოგვაკითხეს... ჩვენ იქ სრულიად საქართველოზე ვილოცეთ... დედაღვთისმშობლის ხატი ამ ტაძარში თეთრია, თეთრია დედისა და ყრმის სამოსი, ასეთი ხატი სხვაგან თუ შეგხვდებათ, ბეთლემის ხატად იწოდება.

მოლოცვილები ქვევით, უშუალოდ იმ თავლის კარებში შევდივართ, სადაც იშვა და სადაც ბაგაზე მიაწვინა ჩვილი დედამ... (ღმერთო, რა ჩვეულებრივი დასაწერია და რამდენი ვნებათაღელვა კი ახლდა თითოეულ მაშინდელ ნაბიჯს...).

ერთ მეტრზე ოდნავ მაღალი ღიობში, თავდახრილი და მხრებში მოდრეკილი შედიხარ!.. მარმარილოს ოვალური ფილა მოვერცხლილი თოთხმეტქიმიანი ვარსკვლავით, ზუსტად იმ ადგილის მიმანიშნებელია, სადაც იშვა ყრმა. ვარსკვლავის თავში 15 მოვერცხლილი კანდელი ჰკიდია (სხვადასხვა ქრისტიანულ სამწყსოთა შემოწირული), აქვეა საკურთხეველი მოგვთა, რომელთაც თაყვანი სცეს იესოს და „შეწირეს მისა ძღუვენი ოქრო, გუნდრუკი და მური“ (მათეს სახარება)...

სწორედ აქ და სწორედ იმ „25-სა დეკემბერსა“ გაისმა ანგელოზთა გალობა ზეციდან: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ამინ!).

მერწმუნეთ, იმის თქმა და დაწერა, რომ ფეხი დაადგი იმ წმინდა მიწასა და ხელით შეეხე იმ ბაგას, სადაც კაცობრიობის მხსნელი მოევლინა ცოდვილ ქვეყანას, ოდნავადაც არ გადმოსცემს იმ განწყობილებას, იმ სისავსეს, რომელიც ჩვენ მიერ აქამომდე განცდილს ყველაფერს აჭარბებდა... სახეზე ყველას სხვა იერი გვედო, არ მომჩვენებია — სხვანი შევედით, სხვანი გამოვედით...

**იმ 25 დეკემბერს სწორედ აქ იშვა იესო...**



# ბალუ და მისი პატრონი ლამის მთელმა თბილისმა გაიცნო...

შობა-ახალი წლის დღეები მხიარული, დაუჯერებელი ამბების მოყოლის დროა და მეც უჩვეულო ნიჭის მქონე ადამიანზე უნდა გიამბოთ: მას შეუძლია თოკზე სიარული, ხანჯლის გადაყლაპვა, ცხოველების გაწვრთნა. მისი ავტოფარეხი ალბათ მსოფლიოში ერთადერთია, რომელსაც არ კეტავენ და ქურდს ფიქრადაც არ მოსდის კარის შეღება, იმიტომ, რომ იქ ცხოვრობენ და მანქანითაც დასეირნობენ დათვი ბალუ და ძაღლი ქემელი, ამის გამო ავტომობილი ცოტა არ იყოს, ზარალდება კიდეც... ბალუს სახელურების მოღრღნაც მოუხერხებია, მაგრამ მაინც ყველაფერი კარგად არის, რადგან მათი პატრონი — რამაზ გარშაულაშვილი კეთილი, დაუზარელი და ყოვლისშემძლეა. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ წელს სპორტის სასახლეში გამართულ საახალწლო ზეიმზე აჩიკო მეფარიძე მან დააფინანსა...

ახლა კი ცოტა უკან დავიხიოთ და ამ თითქმის ჯადოსნური ამბის დასაწყისი მოვისმინოთ:

— ახმეტის რაიონის სოფელ მატანში ვიზრდებოდი, — დაიწყო რამაზმა, — ბავშვობაში თოკზე სიარული თუ შეიძლებოდა, ყურმოკვრითაც არ ვიცოდი. მსახიობობაზე კი ვოცნებობდი. ეჰ, რამდენი სპექტაკლი მითამაშია ჩუმად, ჩემთვის... ხან აბდუშაჰილი ვიყავი ჩემს ჭკუაში, ხან გიორგი სააკაძე. 14-15 წლის რომ გავხდი, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის იმედი დავკარგე. მაშინაც იყო მექრთამეობა. მითხრეს, დიდი ფული სჭირდება იქ მოწყობასო. ხელი ჩავიქნიე. ერთ მშვენიერ დღეს — 9-მაისობა იყო, რაიონში ერთი ქისტი ჯამბაზი ჩამოვიდა. თოკზე ისე გადი-გამოდიოდა, კაი შარაგზა ეგონებოდა. ვნახე — მომეწონა. გულში ჩავითქვი, უსათუოდ ამნაირი მუშაითი უნდა გავხდე-მეთქი... მამაჩემის ვირს შევხსენი თოკი, წავედი ტყეში, გავაბი. ის კი ვერ მოვიფიქრე, დაბლა გამება, იმ სიმაღლეზე იყო, ხელს ვერ ვაწვდენდი. დავიწყე ვარჯიში. არც სპეციალური ჩუსტები მქონდა, არც კედები, სამხედრო ჩექმა მეცვა. წონასწორობას ვერ ვიცავდი და წარამარა ეკალბარდებში ვვარდებოდი, ვიყავი დაჩხაპნილ-გაუბედურებული. როგორც იქნა, შევძელი თოკზე გავლა, პატარა „ტრიუკებიც“ გავაკეთე.

ერთხელ, კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის ერთმა წევრმა ნახა ჩემი მუშაითობა. მითხრა, — წამოდი, კულტურის სახლში ივარჯიშე, ქარი და წვიმა მაინც არ შეგაწუხებს. დირექტორს მე მოველაპარაკებიო. მეორე დღესვე გადავსახლდი კლუბში. 2 კვირის შემდეგ თელავის თეატრი 200 წლისთავს ზეიმობდა. სადღესასწაულო კონცერტში მეც ვმონაწილეობდი. მაშინ ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. მე ნომერს ვასრულებდი. დავინახე, ჩემზე როგორ ანიშნა მხლებლებს. 10 წუთი მაინც მიყურეს გაფაციცებულებმა. ჩემი გამოსვლის ბოლოს დავამტვრიე შუშები და ზედ შიშველი დავწექი. გამოექანა ერთი დიდყურა კაცი ჩემკენ, გადამეხვია, ხვალ თბილისში ჩამოდი ჩემთანო. კარგი-მეთქი, მაგრამ არ წავსულვარ. სად წავიდოდი, არც ის ვიცოდი, ვინ იყო და სად მუშაობდა. გავიდა ორი კვირა და ჩვენი სახლის წინ ჯერ ერთი „ვოლგა“ გაჩერდა, მერე მეორე, მესამე... მამაჩემს ენა ჩაუვარდა — საწყალი გლეხის ოჯახი არ ელოდა ასეთ სტუმრებს.

გადმოვიდა რაიკომის მეორე მდივანი, საბჭოს თავმჯდომარე. უჭირავთ დავთარი და იწერენ — ამდენი აგური, ამდენი შიფერი, ამდენი ეს, ამდენი ისო. შეადგინეს სია, რა უნდა მოეტანათ ჩვენი ოჯახის დასახმარებლად. მამაჩემს უთხრეს, — შენი შვილი რომ თბილისში გავგზავნოთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებიო. ჩემი შვილი აქამდე არაფერს მეკითხებოდა და ახლა შემეკითხება ამასაო? — მიუგო ნაწყენმა. სულ მეჩხუბებოდა, დაანებე ამ თოკს თავიო. თვითონ დურგალი იყო და უნდოდა, მეც ეგ ხელობა მესწავლა. მეორე დღეს ჩამსვეს „ნივაში“. ჩავდე ჩემი ტროსი, ხის ჯოხი კი, რომელსაც საბალანსოდ ვიყენებდი, არ ჩაეტია. მითხრეს, თბილისში უკეთესს მოგცემთო, მაგრამ გავჯიუტდი — სხვა ჯოხით ვერ გავივლი-მეთქი. დღეს კი რას დავიჭერ ხელში, მნიშვნელობა არ აქვს, მაშინ ბავშვი ვიყავი. რაღას იზამდნენ, გამოიძახეს დიდი მანქანა, დაუდეს ეს ჩემი ჭოკი და გამომაყოლეს უკან. მივედით ცეკაში და ის დიდყურა კაცი არ დამხვდა? თურმე კულტურის განყოფილების გამგე ყოფილა! სად ხარ აქამდე, მოსკოვის საცირკო სასწავლებელში გგზავნით, გვიანდება საბუთების შეტანა. დაჯექი, ავტობიოგრაფია დაწერეო. დავჯექი და დავიწყე წერა. რასა შვრები, ქართულად წერო? აბა რა ვქნა-მეთქი. რუსულად უნდა დაწეროო. დავიწყე რუსულად წერა. მიყურა, მიყურა და დაურეკა პატიაშვილს: დავილუპეთ, რუსული არა სცოდნიაო. ბოლოს, გადაწყვიტეს, თბილისში მესწავლა საცირკო სასწავლებელში. მერე გაიგეს, ჯერ სკოლა არ მქონდა დამთავრებული და გამიშვეს უკან, სოფელში, მომიჩინეს რუსულის მასწავლებელი. დავამთავრე სკოლა, ჩამოვედი თბილისში და პირდაპირ კურსზე არ დამსვეს?! მერე ჯარში გამომიძახეს. წავედი. ვდარდობდი, თოკი რომ არ მქონდა და ვერ ვვარჯიშობდი. მივწერე ჩემს ძმას, გამომიგზავნე ტროსი-მეთქი. ერთ კვირაში მოვიდა ამანათი. გამომიძახეს ფოსტაში. მაშინდელი წესით, ზემდეგს უნდა გაეხსნა და შეემოწმებია, რა იდო ამანათში, სასმელი ხომ არ იყო. იფშვნეტს ხელებს ზემდეგი — როგორ შეიძლება არაყი და ჩურჩხელა არ გამოეგზავნოთო. მეუბნება: Кацо, чурхчела будет? არ ვიცი-მეთქი. ამანათი აიღო. დაუვარდა. ვაიმე, გავტეხეო, იყვირა. 30-მეტრიანი ტროსი იდო შიგ და როგორ მოერეოდა! გავხსენი. ეს რა არისო, — გაუფართოვდა თვალები და... ჩაუვარდა კოვზი ნაცარში.

ამის მერე ჯარშიც ხშირად ვაჩვენებდი ჩემს ოსტატობას.

**— თოკზე სიარულის გარდა, ხანჯლის ყლაპვაც შეგიძლიათ, ცხოველების გაწვრთნაც, ჟონგლიორობაც..**

— თითქმის ყველა ჟანრში ვცადე თავი. ერთხანს ცირკს თავი მივანებე, რაიონში ვიყავი და პროგრამის მომზადებას დამოუკიდებლად შევუდექი. ყველაფრის გაკეთება მე მიწევდა. ის კი არა, მამაჩემის ვირებიც კი გავწვრთენი. თოკი ხო წავართვი მამაჩემს, მერე ვირებიც ზედ მივაყოლე!..

**— არ გაბრაზდა?**

— არა, გული მოუბრუნდა. თბილისში რომ წამომიყვანეს, სოფელში ვარსკვლავივით სახელგანთქმული გავხდი. ტელევიზორში ჩემზე გადაცემა იყო... ერთ ქალს ისიც კი უთქვამს, რომ ვიცოდე, ეგეთი შვილი გამიჩნდება, მეც დავწვებოდი ედიშერასთანო. ედიშერი — მამაჩემია.

**— საახალწლო დღეებში ბევრგან სტუმრობთ, როგორც თოვლის ბაბუა. ვფიქრობ, მართლაც უნიკალური თოვლის ბაბუა ხართ.**

— შარშან ვმუშაობდი საბავშვო ცენტრში. იქ შემომთავაზეს, — მოდი, თოვლის ბაბუაც იყავიო. მაყიდვინეს სანტა-კლაუსის კოსტიუმი და გავხდი სანტა-კლაუსი. მერე ვიფიქრე: რაღა ეგ უცხოელი ვიყო, თოვლის ბაბუადაც არ ვიქნები ურიგო-მეთქი. ზედმეტი შემოსავალი ვის აწყენს? შევიძინე წვერი, შევიკერე ტანსაცმელი და გავხდი თოვლის ბაბუა.

**— როგორ მოხვდა თქვენთან ბალუ?**

— ერთხელ ცირკში მოიყვანა ერთმა ბიჭმა პატარა ავადმყოფი ბელი. ტიროდა, თან კუჭიც აშლილი ჰქონდა, 200 დოლარად ვყიდიო. ვუთხარი, — მაგდენს დათვში არ მოგცემენ-მეთქი. ბოლოს, შემეცოდა და 100 დოლარად ვიყიდე, მოვარჩინე, გავწვრთენი.

**— დათვი ძნელი გასაწვრთნელია?**

— ყველაზე ძნელი. ლომს და ვეფხვს შეატყობ, თავდასხმისათვის რომ ემზადებიან. დათვს არაფერი ეტყობა. ყველაზე ხშირად დათვის



მწვრთნელები ზიანდებიან ხოლმე.

**— თქვენ თუ დაგსხმიათ თავს ბალუ?**

— ერთხელ. ასეთი ნომერი მქონდა: სცენიდან გასვლის წინ დათვს ვეუბნებოდი, წამოდი-მეთქი. ის თავს აქნევდა — არაო და ტაშს უკრავდა. ამით მაყურებელს ანიშნებდა, — ტაში დამიკარიო. ხალხი რომ ტაშს დაუკრავდა, შემომახტებოდა და არენიდან ხელში აყვანილი გამყავდა. ტაშისკარში ვიყავი გასტროლებზე. წვიმდა. ბალუ ტალახში იყო ამოთხუპნული. ვიფიქრე, ხელში არ ავიყვან-მეთქი. გაბრაზდა. შემომახტა და ჩამასო ბრჭყალი. ახლაც მეტყობა ნაიარევი. საერთოდ, დათვს თუ რამე უნდა, აუცილებლად შეისრულებს. ერთხელ, მაშინ ცირკში ვცხოვრობდი, ვიყიდე თაფლი 3-ლიტრიანი ქილით. იმ ღამით გამოსვლა მქონდა. პატარა ბალუ საგრიმიოროში დავტოვე. რომ დავბრუნდი, ქილა გატეხილი დამხვდა, ყველაფერი თაფლით იყო მოსვრილი: იატაკი, ლოგინი, კედლები... ისეთ დღეში იყო ყველაფერი, კინაღამ გული გამისკდა. ბალუ იჯდა მშვიდად, ილოკავდა თათებს და კმაყოფილი კრუსუნებდა.

**— ქემელი გაჩუქათ ვინმემ?**

— მოსკოვის ცირკი ჩამოვიდა ჩვენთან. ძაღლების მწვრთნელ ქალს შვილიც ახლდა თან, რვა წლის გოგონა. გადაწყვიტეს, ამ ბავშვის მონაწილეობით დაედგათ საჰაერო ნომერი. დასახმარებლად მიხმეს. დავდგი ნომერი. რომლითაც ის გოგონა გამოდიოდა თბილისში, ერევანში, მოსკოვში. მერე წავიდა რიო-დე-ჟანეიროში და ახლაც იქ არის. იმ დედა-შვილმა მაჩუქა გაწვრთნილი ძაღლი.

P.S. ასეთია ერთი უცნაური კაცის ამბავი, რომელიც თბილისში ცხოვრობს თავის ოჯახთან, დათვთან და ძაღლთან ერთად. ერთსაც გეტყვით: რამაზ გარშაულაშვილმა წელს თავის პატარა ქალიშვილს — მარიამს პირველი ახალი წელი მიულოცა. მარიამი მორიდებით მიენდო თოვლის ბაბუს და რა იცოდა, ვინ იმალებოდა თეთრი წვერისა და უცხო სამოსის მიღმა...

*ლელა ჯიყაშვილი*

# წუხელი მეკვლე დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე...

## სიხარულის დღეები გვიმრავლოს ღმერთმა

ყოველ ახალ წელს ქართველები სხვა სიკეთესთან ერთად, სიხარულსაც ვუსურვებთ ერთმანეთს. რა მოგვიტანს სიხარულს? ალბათ ქართველების ერთხელ და სამუდამოდ შერიგება და ერთად დგომა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სოლიდური ანაზღაურება. პოდა, ამ წელს ისეთი პირი უჩანს, რომ ნანატრი აუცილებლად აგვიხდება. ახალ წელს კი საქართველოს მეკვლე მართლაც სიხარული იყო — აკადემიკოს ჩანავას სახელობის სამშობიარო კლინიკაში ახალი წლის რამდენიმე წამის შემობრძანებული გახლდათ, როცა ქვეყანას მოევლინა პატარა ნიკა სიხარულიძე. ქართველი ერის პირველ მეკვლეს გვარიც შესაბამისი აქვს და ისიც ბევრის მთქმელია, რომ დედა გვარად შევარდნაძე ჰყავს. ექიმების თქმით, პატარა ნიკა გართულებების გარეშე, იოლად დაიბადა, თითქოს ჩქარობდა, ვინმეს არ დაესწრო და მეკვლის საპატიო წოდება არ წაერთმია.

ექიმი-გინეკოლოგი **ზურაბ ხოშტარია**: „როგორც კი პატარამ პირი დამოუკიდებლად ჩაისუნთქა, ტირილის ნაცვლად ჯერ ექიმებს შემოგვხედა, მერე კი დედამისს გაუღიმა, ესეც მრავლისმეტყველი და მეტად უცნაური ფაქტია, რადგან ახალშობილი, როგორც წესი, ტირილით ეგებება ქვეყნიერებას. ახალი წლის დღეებში, კერძოდ, პირველ იანვარს ნიკასთან ერთად საქართველოს მოსახლეობას ახალი წელი კიდევ სამმა ახალშობილმა მიულოცა.“.

„ლამაზი და ჯანსაღი ბავშვების დაბადება დღემდე გრძელდება, ამასთან, გართულებების გარეშე და ექიმები გახარებას ვერ მალავენ. ალბათ ღმერთის ხელი ურევია, ამაში. ახალშობილთა უმრავლესობა ვაჟია. საქართველოს კი მეკვლედ ვაჟიანობა კარგად აქვს დაცდილი. ამის გამო ჩვენც ახალ წელს ამაღლებული განწყობილებით შევხვდით“, — გვითხრეს ექიმებმა. მათი ნებართვით საქართველოს პირველ მეკვლეს, ნიკა სიხარულიძეს პალატაში ვეწვიეთ და თავს უფლება მივეცით, რა თქმა უნდა, დედის ნებართვით, ახალი წელი მივულოცეთ, როგორც მისთვის, ისე მისი მშობლებისთვის.

**ბიბა სიხარულიძე**: „მე და თამუნა ორი წელია, რაც შევუღლდით. აქამდე ამერიკაში ვსწავლობდით და შვილის ყოლას არ ვჩქარობდით. ძალიან გვინდოდა პირველი შვილი თბილისში დაბადებულიყო. ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს ახალი წლის დადგომას დაემთხვა. გულშემატკივრებიც ბლომად გვყავდა. უზომოდ ბედნიერი ვარ.“

პატარა მეკვლეს დედა **თამუნა შევარდნაძე**: „ჯერ კიდევ ვერ გამიცნობიერებია, რომ დედა გავხდი. ნიკა სრულიად უმტკივნეულოდ და სწრაფად დაიბადა. არც მე შევუწუხებივარ და არც ექიმები გაუწვალებია. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ... მოგვიანებით, ალბათ ნიკას და-ძმაც ეყოლება“.

პატარა ნიკა სიხარულიძის მშობლებთან ერთად ფოტო გადავუღეთ. მას და მის დედ-მამას კიდევ ერთხელ მივულოცეთ ახალი წელი და ექიმ **მზია კვინიკაძეს** გავესაუბრეთ: „ღმერთმა ინებოს, ასე გაგრძელდეს დაუსრულებლად, ყველაფერი იოლად, გართულებების გარეშე დასრულდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიბრძვით მძიმე მშობიარობის დროს პატარას სიცოცხლისა და დედის გადასარჩენად. მერწმუნეთ, ყველა ექიმი თავის სიცოცხლეს დაუფიქრებლად გაწირავს ამისათვის. ეს დაუწერელი კანონია.“



პატარა მეკვლე მშობლებთან ერთად

ახალი წლის ღამეს ჩიქოვანების ოჯახშიც დაიბადა პატარა მარიამი, რომლის უფროსმა დაიკომ გვიამბო: „ახალ წელს თოვლის ბაბუას საჩუქრად თოჯინა ბარბი ვთხოვე. ალბათ შეეშალა და ნამდვილი, ცოცხალი ბარბი გამომიგზავნა. ჩემი დაიკო ბარბივით ლამაზი და ქერათმიანია. სულ ერთად ვითამაშებთ“. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, თვალში მომხვდა წარწერები კედლებზე: „აქ დაიბადა ილია“; ცოტა ქვემოთ — „გაუმარჯოს პატარა ვაჟკაცს თორნიკეს“; იქვე მიწერილია, „თამარ მეფის მსგავსი ქალბატონი ყოფილიყავი, ჩემო პატარა თამრიკო“. ასეთი წარწერებით გადაჭრელებულია კედლები. ეს ალბათ უკვე ტრადიციად იქცა და მათ წაშლას არც არავინ ფიქრობს. გარეთ გამოსულს რამდენიმე მამობის მომლოდინე ახალგაზრდა და მათი ახლობლები დავაფიქსირე. თვალი იმ კარისკენ ეჭირათ, საიდანაც მახარობელი უნდა გამოსულიყო. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ, ყურებამდე გაღიმებული მახარობელი გამოჩნდა და მორიგი ვაჟიანობა ახარა. ატყდა ხვევნა-კოცნა, მოლოცვები. ახალ მამას ახლობლებმა ყურები აუწითლეს. გულმა არ მომითმინა და თითქოს მათი ახლობელი ვყოფილიყავი, მეც დიდი ამბით მოვულოცე. საქართველოს ხომ კიდევ ერთი ვაჟკაცი შეემატა.

სამშობიაროდან კარგ გუნებაზე გამოვედი. გზაში ანზორ აბულაშვილის ლექსი გამახსენდა: „წუხელი ბიჭი დაბადებულა,/ გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით,/ ისეთი ბიჭი დაბადებულა,/ დაურქმევიათ თურმე დავითი/... განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის,/ რა სიხარული გამოიმეტე,/ წუხელის გოგოც დაბადებულა,/ ცის ნამი ცისფრად ნაკამკამარი...“

შობა-ახალ წელს გილოცავთ, ქართველებო, სიხარულის და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ჩვენი ერისა და ქვეყნისთვის ეს წელი.

# რატომ აგდებენ შეძლებული შვილები მშობლებს სახლიდან...

## რეპორტაჟი მოხუცთა პანსიონატიდან



ზევე ბაბუა თავის „ნატვრის ხეზე“ შემომსხდარი ჩიტების მნიშვნელობას გვიხსნის

აქაურები მოლოდინჩამდგარი თვალებით შეჰყურებენ პანსიონატის ჭიშკარს და როცა ეზოში უცხო მანქანა შემოვა, გაფაციცებით აკვირდებიან მომსვლელებს. ცდილობენ, გამოიცნონ — რომელი მათგანი გაახსენდა შვილს, შვილიშვილს ან ნათესავს. როცა გაიგებენ, სტუმარი სულ სხვა საქმისთვის მოსულაო, თითქოს ერთბაშად პატარავდებიან, კიდევ უფრო ბერდებიან და თავდახრილნი გაუყვებიან შესასვლელისკენ მიმავალ ბილიკს... არადა, როგორ ელოდნენ ამ ახალ წელს შვილებს, შვილიშვილებს... მოხუცები მათ არც სასმელ-საჭმელს სთხოვენ და არც ჩასაცმელ-დასახურავს. მხოლოდ ერთზე ოცნებობენ — თვეში ერთხელ მაინც მოიკითხონ ახლობლებმა...

პანსიონატს დედაქალაქელების უმრავლესობა უპატრონო მოხუცთა თავშესაფარს უწოდებს, მაგრამ სამწუხაროდ, ცდებიან, — ამ პანსიონატში უპატრონოები თითქმის არ ცხოვრობენ. ზოგიერთს ისეთი შეძლების პატრონი ჰყავს, ბარე ორს რომ შეშურდება.

ფსიქოლოგი **ლელე ავალიანი**: „მოხუცი მშობლებისგან შვილები და ახლობლები უკვე აღარაფერს მოელიან და პანსიონატში აბინავებენ. აბა, ცოლ-შვილს შინ მათი ყოფნით დისკომფორტს ხომ არ შეუქმნიან? ასეთ „შვილებს“ ერთი ჭეშმარიტება ავიწყდებათ — მშობლების, შვილებისა და შვილიშვილების ერთ ოჯახში ყოფნა იყო და არის საფუძველი იმისა, რომ ქართველებმა უფროს-უმცროსობა, სტუმარმასპინძლობა, ზრდილობა და სხვა მისთანანი ვიცოდით. ამას ვერც ერთი სკოლა და წიგნი ვერ გასწავლის. ყველაფერი ეს ნელ-ნელა იკარგება — ახალშექმნილი ოჯახები ცალკე ცხოვრებას ამჯობინებენ, რის შედეგადაც ოჯახური მტკიცე კავშირი ირღვევა და ტრადიციაც დავიწყებას ეძლევა. ხშირად ბავშვი მხოლოდ დღესასწაულებზე თუ ნახულობს ბებია-ბაბუას და, ძირითადად, ბაგა-ბაღში ან დაქირავებულ გადიასთან იზრდება. საქართველოში გადიების ინსტიტუტი ეს-ესაა ყალიბდება და უმეტესწილად მცირეწლოვანი ბავშვების აღზრდა შემთხვევით პირებს უწევთ. მათ ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე მეტად ანაზღაურება აწუხებთ. ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვები ალბათ ვერასოდეს გახდებიან ოჯახური ტრადიციების სრულფასოვანი გამგრძელებლები“.

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე ჩვენ მოხუცთა პანსიონატს ვეწვიეთ: — მათთვის ყველა სტუმარი, სულერთია, ახლობელი იქნება თუ უცხო, სასიხარულოა. განსაკუთრებით ხარობენ, როცა ჟურნალისტები მოდიან სტუმრად.

მერწმუნეთ, ამ ხანმოკლე სტუმრობით ჩვენი პანსიონატის ბინადართ რამდენიმე დღის სიცოცხლე აჩუქეთ, — გვითხრა პანსიონატის დირექტორმა, ქალბატონმა **მერი დარსაველიძე-გოგოლმა** (დირექტორს ზოგი „აღსაზრდელი“ დედას ეძახის, ზოგი — მამიდას ან დეიდას), — როდესაც პანსიონატში პირველად მოხუცს მოიყვანენ, უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება. მერე ასე თუ ისე, ეჩვევიან.

**— მაინც რას „აშავებენ“ ისეთს მოხუცები?**

— მაგალითად, ზოგიერთი მოხუცი, თურმე ნუ იტყვით და, მაჰაგონის პარკეტზე ფეხს სწორად ვერ ადგამს, ჩოჩვით მიაქვს ფეხები და იატაკს ჩხაპნისო(?!); ან მოხუცს სადილობისას წვნიანი მაგიდაზე ეღვრება და ძვირფას ავეჯს აფუჭებს. ერთი შემთხვევა მახსენდება. ერთ-ერთი მოხუცის პანსიონატში ჩასახლების საკითხს განვიხილავდით. მე წინააღმდეგი ვიყავი, — მას საკმაოდ უზრუნველყოფილი პატრონები ჰყავდა. ასეთი წესი გვაქვს: სანამ ვინმეს ჩავასახლებდეთ, კანდიდატს ოჯახში ვაკითხავთ და ადგილზე ვამოწმებთ, თუ რა პირობებში ცხოვრობენ. ერთი სიტყვით, მივედი მასთან. მოხუცი თავისთვის, კუთხეში, საწყლად მიმჯდარიყო, თავზე თავისივე მოქსოვილი ქუდი ჩამოეფხატა და ქსოვდა. ყურადღებას არავინ აქცევდა. შვილი მარწმუნებდა, დედას ყურადღებას და პატივისცემას არ ვაკლებთ მე და ჩემი ცოლი, მაგრამ თვითონ მოისურვა მოხუცთა პანსიონატში გადმოსვლა. იქ თავის კბილა ხალხთან უფრო გაერთობაო. აი, ეს გახლდათ „ოფიციალური“ მიზეზი. სინამდვილეში კი ქალს აკრძალული ჰქონია თავისი კუთხის ერთი წუთით დატოვებაც კი. მუდარით მითხრა: აქ მცემენ, ოღონდ შენთან წამიყვანე და სიცოცხლის ბოლომდე შენი მადლიერი ვიქნებიო... ორი წლის წინ ერთი მოხუცი გარდაიცვალა. ერთ დღეს მისი შვილიშვილი მობრძანდა გარდაცვალების ცნობისათვის. თავს ველარ მოვერიე და გავაგდე. ჯერ ბებიამისის საფლავი მოეკითხა და ცნობა მერე მოეთხოვა! ჩემი კაბინეტიდან ორმეტრიანი ვაჟკაცები გამიგდია, ყელგამოწეულები რომ მეხვეწებოდნენ, როგორმე ჩვენი მშობლები პანსიონატში ჩაგვისახლეო...

> — ერთ დღეს მისი შვილიშვილი მობრძანდა გარდაცვალების ცნობისათვის. თავს ველარ მოვერიე და გავაგდე. ჯერ ბებიამისის საფლავი მოეკითხა და ცნობა მერე მოეთხოვა! ჩემი კაბინეტიდან ორმეტრიანი ვაჟკაცები გამიგდია, ყელგამოწეულები რომ მეხვეწებოდნენ, როგორმე ჩვენი მშობლები პანსიონატში ჩაგვისახლეო...

**— თვითონ მოხუცები რას ამბობენ თავიანთ ახლობლებზე?**

— ამ კითხვის პასუხად თავს ნებას მივცემ და ერთ ლეგენდას შეგახსენებთ: ცოლმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და მეუღლეს წამლად დედამისის გული სთხოვა. ალბათ გახსოვთ ამ ლეგენდის ფინალი. შვილმა დედა გაწირა და როცა ცოლთან გული მიჰქონდა, ქვას ფეხი წამოჰკრა და დედის გულმა უთხრა: ნელა, შვილო, არაფერი იტკინოო. ვერ ნახავთ პანსიონატში მოხუცს, რომელიც თავის შვილს ან ნათესავს აძაგებდეს. ძნელად თუ წამოსცდება ვინმეს საყვედური. ყოველთვის ცდილობენ შვილების საქციელის გამართლებას და აქ რომ არიან, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თავს, ანუ ასაკს აბრალებენ. ერთ ქალბატონს უშველებელი თოჯინა ჰყავს ოთახში. როცა ჰკითხავ, ვინ არისო, სრულიად სერიოზულად გეტყვის — ნუთუ ვერ ცნობთ, ეს ხომ ჩემი შვილიაო, — შვილმა კარგა ხანია, დაივიწყა და საწყალი დედა თავს არწმუნებს, რომ თოჯინა მისი შვილია. ერთმა მოხუცმა კი, რომლის შვილები ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები ბრძანდებიან, გამანდო: ქალბატონო მერი, ნეტავ შვილები უბრალო მძღოლებად გამეზარდა. ამ გზაზე ერთხელ მაინც ხომ გამოივლიდნენ და თვალს შევავლებდიო.

ხშირია შემთხვევა, როცა მავანნი მარტოხელა მოხუცების გულუბრყვილობით სარგებლობენ და ბინების ხელში ჩაგდების მიზნით, მათ მოვლა-პატრონობას კისრულობენ. როცა ბინას გადაიფორმებენ, დანაპირები აღარ ახსოვთ და ცდილობენ, უპატრონო მოხუცები როგორმე პანსიონატში შემოასახლონ.

**— დღეს, როცა ჩვენი ბიუჯეტი სავალალო მდგომარეობაშია, რით ინახავთ პანსიონატსა და მოხუცებს?**

— სახსრები რომ არ გვყოფნის, მომსახურე პერსონალი იძულებულია სხვადასხვა სამუშაო თვითონ შეასრულოს. ვისაც შეძლებული პატრონი ჰყავს, შესაძლებელია მან თავის თავზე აიღოს მოხუცის შესანახი ხარჯის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ეს დიდი იშვიათობაა. სამოცდაათი მოხუცის შენახვა სახელმწიფოს წელიწადში 300 ათასი ლარი უჯდება. სამწუხაროდ, გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 60%-ს თუ ვიღებთ, ისიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ძალისხმევით. პარადოქსია, მაგრამ როგორც ყველა საწარმო, მოხუცთა პანსიონატიც იბეგრება გადასახადებით, თითქოს კომერციული დაწესებულება ვიყოთ.

**— მაშ, როგორ გაგაქვთ თავი?**

— ამქვეყნად კეთილ ხალხს რა დალევს? შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ გვაკლებენ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციებიც.

**— და ალბათ ქართველი ბიზნესმენებიც–**

— მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს დავასახელებ, რომელმაც ელექტროენერგიის დავალიანება — 80 ათასი ლარი გადაგვიხადა. დღემდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს კი „ქართუ ბანკი“ გვიხდის. დღეს „ახალ მემარჯვენეებს“ ველოდებით. ერთი სიტყვით, სადაც ხელი მიგვიწვდება, ყველგან დახმარებას ვითხოვ...

ქალბატონმა მერიმ პანსიონატის თითქმის ყველა ბინადრის ისტორია გვიამბო. მერე კი უსინათლო მოხუცს, **კოზა აბუთიძეს** შევხვდით: „ძალიან მიყვარდა გაზეთების კითხვა, მაგრამ რაც დავბრმავდი, ველარ ვკითხულობ და ახლა ჩემი თვალის სინათლე ბიბლიოთეკის გამგეა — ხმამაღლა მიკითხავს „კვირის პალიტრას“. სახლში გამოკეტილი ვიყავი. გათხოვილი ქალიშვილი მყავს, ქმარ-შვილის პატრონობას ველარ აუდის და ჩემთვის აღარ ეცალა. რადიოთი შევიტყვე პანსიონატის არსებობის შესახებ და დირექტორთან მოვედი. კმაყოფილი ვარ“. შემდეგ მოხუცთა საცხოვრებელ ოთახებს მივაშურეთ. ერთ-ერთ ოთახში 82 წლის მხიარული მოხუცი **ზევე ჯალაღონია** გავიცანით: „მთელი სიცოცხლე კომუნიზმის ასაშენებლად თავდაუზოგავად ვშრომობდით. კომუნიზმი თუ არა, განვითარებული სოციალიზმი მაინც არის ჩვენს პანსიონატში. ყველაფერი თანაბრად გვეძლევა — ფაფა გინდა, წყალი გინდა, ავეჯიც ერთნაირი გვაქვს, ოთახებიც. არც ფული გვჭირდება, ყველაფერი უფასოდ გვაქვს. რით არ არის კომუნიზმი? მე აფხაზეთიდან ლტოლვილი ვარ. ადრე გალის რაიონში, სოფელ ზემო ბარღებში ვცხოვრობდი. სამი შვილი, რვა შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი მყავს, მაგრამ არც ერთს ბინა არა აქვს. სადღაც, სოროებში არიან შემძვრალნი და თავი ძლივს გააქვთ. ეგ კი არა, სამი პატარა შვილიშვილი აქ, პანსიონატში, გავზარდე“.

როგორც შევიტყვეთ, ბატონ ზევეს ოქროს ხელები ჰქონია. რას არ ნახავთ მის ოთახში — თავისი სახლის მაკეტს, ხისგან გამოთლილ ცხოველების ფიგურებს. განსაკუთრებით ნატვრის ხე მოგვეწონა, რომელზეც უამრავი ლამაზი ჩიტი შემომჯდარა. როგორც მოხუცმა აგვიხსნა, ეს ჩიტები მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ყოფილან. გამომშვიდობებისას გვთხოვა, მასთან ერთად თუნდაც ერთი ჭიქით ახალი წელი დაგველოცა. უარი ვერ შევკადრეთ.

პანსიონატის მეორე სართულზე ქალბატონ მერი გუდავაძეს მაშინ ვეწვიეთ, როცა მასთან სტუმრად ძმისშვილები იყვნენ. **მერი გუდავაძე**: „ამ ქვეყანაზე მხოლოდ ძმა და ძმისშვილები მყავს. ჩემი ბრალია, თავის დროზე არ გავთხოვდი“, — თითქოს თავს იმართლებსო, გვეუბნება მოხუცი და ჯიბეში ძმისშვილების მოტანილ ტკბილეულს გვიტენის. ამასობაში თითქმის ყველა მობინადრემ შეიტყო, ჟურნალისტები მოსულანო. გამომშვიდობებისას გამხიარულებულები ხელს გვიქნევენ, სახეზე ღიმილი გადაჰფენიათ, მაგრამ თვალებში კვლავ სევდა ჩასდგომიათ.

P. S. ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ცდილობდა ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დედის პანსიონატში ჩაბარებას. როგორც გავიგეთ, „შვილები“ მიზნის მისაღწევად არც ზემდგომ ორგანოებში „საქმის ჩაწყობას“ ერიდებიან...

*გვერდი მოამზადა ზვიად ჩაკვეტაძემ*

# კაცი, რომელიც სოხუმის „სპეცნაზის“ უფროსის გატაცებას აპირებს

სენსაციური ინტერვიუ „ტურასთან“

**რესპონდენტმა, რომელმაც ინტერვიუს მოცემა გადაწყვიტა, მართლაც გამაოგნა. ის სოხუმელია, თავს პარტიზანად მიიჩნევს და აკეთებს სკანდალურ განცხადებებს. მიწასთან ასწორებს ყველა ცნობილ პარტიზანს და მიაჩნია, რომ საქართველოში პარტიზანული მოძრაობა ბლეფია. მან ამჯერად თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუმცა არ დაუმალავს, რომ მეტსახელად „ტურას“ ეძახიან. „ტურა“ ხმამაღლა აცხადებს, უშიშროებიდან დაწყებული — დავით შენგელიათი დამთავრებული მოსაკლავად დამდევენო. თუ მის ინფორმაციას დავეყრდნობით, მძევლებად აჰყავს აფხაზები და მათ 3-5 ათას დოლარად ყიდის.**

**გთავაზობთ ინტერვიუს „ტურასთან“, რომელიც უახლოეს მომავალში ახალი ფაქტების გამომზეურებასაც აპირებს (როგორც ამბობს, დასაკარგი აღარაფერი აქვს). შევეცადეთ, რესპონდენტის თხრობის სტილი დაგვეცვა.**

— იცით, რა მაწუხებს? აფხაზეთში, ტყეში რომ შევდივარ, აფხაზები არ შემოდიან — ეშინიათ. რუსები მეუბნებიან: თავი დაგვანებე და ჩვენც არ შეგაწუხებთო. „ასფალტის“ ძალად პარტიზანები არ მასვენებენ.

**— როგორი პარტიზანები?**

— „ასფალტის“... ტყეში ისინი არ შედიან.



„ტურა“

> – სიძის თავის ქალისგან საფერფლე აქვს გაკეთებული და შინ უდევს. ახლა თქვენ დაასკვენით, ვინ არის. მე რასაც გეუბნებით, გადაამოწმეთ და მერე აღარ მკითხავთ, რატომ ავაფეთქე თხილი და ა.შ. ბენზინი ერთი წლის წინ ავაფეთქე. დათო შენგელიასი იყო. ტურამბამ და დათომ მეტსახელად „ტურა“ შემარქვეს...

დააკვირდით, როდის ხდება არეულობა. თხილის, მანდარინის სეზონზე. აფხაზები რომ გადმოდიან ზოგჯერ შენგელიასთან და მერე „კურიერი“ აცხადებს, დაიჭირეს ტერორისტული ჯგუფიო, გგონიათ, მართლა ტერორისტული ჯგუფია?! ისინი მოდიან და ეუბნებიან: დათო, შენ გაქვს 5 ათასი დოლარი ჩვენი ვალი. გადაიხადე რა, ძმაო. კონტრაბანდული ბენზინი რომ გადმოგაქვს, ვალი ხომ უნდა გადაიხადოო?!

**— რითი გამოიხატება, რომ არ გასვენებენ?**

— მოსაკლავად დამდევენ მე და ჩემს რვაკაციან ჯგუფს.

**— ვინ დაგდევთ მოსაკლავად?**

— ყველა, ვისაც ჩემი საქმიანობა არ აწყობს.

**— რატომ?**

— მაგათ კონტრაბანდული ბენზინი გადმოაქვთ, მე ვაფეთქებ. რატომ არ უნდა ავაფეთქო?! სამი წელია, ამას ვაკეთებ. ამიტომ ჩემი მოკვლა უნდათ — ხელს ვუშლი.

**— შეგიძლიათ დაასახელოთ ფაქტები, როდის ააფეთქეთ?**

— მაგალითად, სოფელი საბერიო ავიღოთ. ტურამბასთვის (სოხუმის სპეცნაზის უფროსი) 2002 წლის ოქტომბრის ბოლოს 3 ტონა თხილი მიჰქონდათ. ავაფეთქე. მაგას 100 ქართველი ჰყავს დახვრეტილი. ნერვები მეშლება. გალში დადის „ჯიპით“, რომელიც ქართველმა ქურდმა უყიდა. თქვენ რომ პარტიზანებს ეძახით, 10 პარტიზანიდან 7 ტურამბას დაკრულზე ცეკვავს. გაიკითხეთ, ვინ არის ტურამბა და გეტყვიან.

**— ვინ არის?**

— სიძის თავის ქალისგან საფერფლე აქვს გაკეთებული და შინ უდევს. ახლა თქვენ დაასკვენით, ვინ არის. მე რასაც გეუბნებით, გადაამოწმეთ და მერე აღარ მკითხავთ, რატომ ავაფეთქე თხილი და ა.შ. ბენზინი ერთი წლის წინ ავაფეთქე. დათო შენგელიასი იყო. ტურამბამ და დათომ მეტსახელად „ტურა“ შემარქვეს... თქვენ გეღიმებათ და მე სერიოზულად გეუბნებით... პიცუნდიდან ენგურამდე იკითხეთ, ვინ არის პარტიზანი, ვინ — არა და გეტყვიან. დათო შენგელიასი ზუგდიდში ხალხს ისე ეშინია, როგორც მღებრიშვილისა ზვიადისტებს. არ არიან ისინი პარტიზანები, დამიჯერეთ, ისინი არიან „ასფალტის“ პარტიზანები. „ასფალტის“ იქით ვერ გადადიან. იმას კი არ ვამბობ, მე ვაკეთებ ყველაფერს-მეთქი. არა. ჩვეულებრივი „ფრაერი“ ვარ. მაგრამ... ხომ ამბობს შენგელია, რომ პარტიზანია. ავტომატი დაშალოს, ააწყოს და ფეხზე ვაკოცებ. შენგელია იგივე ნადარეიშვილია. ისე, მეგობრობა და ძმაკაცობა იცის.

**— თქვენ ვინ ხართ?**

— სოხუმელი ვარ. 16 წლამდე იქ ვიყავი. მერე სპეცნაზში ვმსახურობდი იგორ გიორგაძესთან. სამი წელია, რაც პარტიზანობა დავიწყე. მაგალითად, ეგონათ, გალში 20-მდე აფხაზი ცხოვრობდა. მოვიპოვე ინფორმაცია, რომ მიტოვებულ სახლებში აფხაზი მეომრები არიან. მივედი უშიშროების სამინისტროში დაახლოებით ხუთი თვის წინ და ვიცე-პოლკოვნიკია ერთი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ.- — მ.მ.) შევთავაზე, მოდი რამე გავაკეთოთ-მეთქი. „ვსო ბუდიტო“. მაგრამ სამი თვეა, ტყეში ვაგდივარ. ოჩოკოჩს დავემსგავსე უკვე. ხედავთ, კბილები რომ აღარ შემრჩა? ამას ვერ გაიგებ, სანამ მცენარეების ფესვების ჭამას არ დაიწყებ... იცით, რა გამოვიდა? ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ შენ ეს არ უნდა იცოდეო. ამ ინფორმაციების გადაცემის შემდეგ დამიწყეს დევნა.

**— თქვენ მითხარით, რომ აფხაზ ტყვეებზე „მუშაობთ“. რა იგულისხმეთ?**

— ისინი ხომ მოდიან გალში რაღაცის საყიდლად? ჭამა ხომ უნდათ? ვიჭერ და მერე ვყიდი ისევ აფხაზებზე.

**— რამდენად ყიდით?**

— გააჩნია აფხაზს... 5 ათასი, შეიძლება 6-7-იც ღირდეს.

**— რამდენჯერ გაგიყიდიათ?**

— ბევრჯერ.

**— მერე რაში ხარჯავთ ამ ფულს?**

— ძალიან დიდი ოჯახი მყავს. მე ამის თქმის არ მრცხვენია. აბა, რა ვქნა, სახელმწიფო ჩემზე არ ზრუნავს, მოპარვა და მათხოვრობა მე არ შემიძლია. იცით, რომ მე ვერცხლის საგვარეულო აკვანში ვარ გაზრდილი და ისტორიული დავამთავრე? იმ ფულით იარაღსაც ვყიდულობ, მარტო ოჯახს კი არ ვარჩენ.

**— იარაღს სად ყიდულობთ?**

— რა პრობლემაა, სად. სამშვიდობოებთან ცოტას დალევ, გაიცნობ, „ვსო ბუდიტ“. ავტომატს 200-250 დოლარად ვყიდულობ.

**— თუ ფული არ გადაგიხადეს მძევალში, კლავთ?**

— თუ ოჯახი ჰყავს, აუცილებლად გადაიხდიან. არადა, არ ვიცი, რას ვიზამ.

> – ისიც მითხარით, ტყვარჩელში იარაღი მზადდებაო...
> – კი, მე-3 და მე-4 შახტებში. რუსულ ფულზე იქ დამზადებული პისტოლეტი 2000 მანეთი ღირს, ანუ 140 ლარი... ბარაბნიანია... აფეთქება მინდოდა იმ შახტის, ავაფეთქე კიდეც, მაგრამ ჩვეულებრივი ამიფეთქებია. არ ვიცოდი მაშინ, მე-3 და მე-4 შახტებში რომ ამზადებდნენ იარაღს.



ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო

არ მიფიქრია მაგაზე. თქვენ რა გგონიათ, მძევლად ნებისმიერი ამყავს?

**— ისიც მითხარით, ტყვარჩელში იარაღი მზადდებაო...**

— კი, მე-3 და მე-4 შახტებში. რუსულ ფულზე იქ დამზადებული პისტოლეტი 2000 მანეთი ღირს, ანუ 140 ლარი... ბარაბნიანია... აფეთქება მინდოდა იმ შახტის, ავაფეთქე კიდეც, მაგრამ ჩვეულებრივი ამიფეთქებია. არ ვიცოდი მაშინ, მე-3 და მე-4 შახტებში რომ ამზადებდნენ იარაღს.

**— ამბობენ, იქ ქართველ ტყვეებსაც ამუშავებენო...**

— როგორც მე ვიცი, 120-130 კაცი იქნება. ეს ომის დროს აყვანილი ხალხია. კი არ სცემენ, უბრალოდ, ამუშავებენ. ერთი-ორი, ვინც ეცადა გაქცევას, მოკლეს. დანარჩენები შეშინდნენ და აღარ გარბიან.

**— უშიშროება რატომ დაგიპირისპირდათ?**

— თქვენ გგონიათ, შენგელია რომ ფულს აკეთებს, ჯიბეში იდებს სულ? 100%-დან 5-10%-ია მისი. დანარჩენი მაგათ მიაქვთ. ყველაფერი დანაწილებულია: თხილი, ციტრუსები, სიგარეტი, ბენზინი, ყველას თავისი პატრონი ჰყავს ბობოლების სახით, ზოგი იქაურია, ზოგი თბილისელი. ასე რომ, აფხაზეთის პრობლემების მოგვარება სულ ადვილად შეიძლება, მაგრამ ყველას თავისი ინტერესი აქვს და ვის რაში სჭირდება ეს?

**— მოდით, ერთხელ კიდევ დავაკონკრეტოთ, რის გამო გადაგეკიდათ უშიშროება...**

— არ ვემორჩილები. ანუ „დავერბოვკება“ მოინდომეს. იცით, რა? სამშობლოს თავისი ადგილი აქვს, კაცობას და ნათესაობას — თავისი. ადამიანი სულით და გულით რომ გენდობა იმიტომ, რომ შენი სისხლი და ხორცია, ბოროტად არ უნდა გამოიყენო.

**— უშიშროება თვითონ დაგიკავშირდათ?**

— მითხრეს, აფხაზი გოგო მოიყვანე ცოლადო. უარი ვთქვი. მე ვის მოვიყვან ცოლად, ვისი საქმეა?! ბოლოს, გალში ინფორმაციის გადაცემა მომთხოვეს და ესეც არ გავაკეთე. ახლა უკვე გაცემულია ჩემი გაქრობის ბრძანება. იცით, რა არის? თავიდან რაზეც დავთანხმდი, მეგონა სუფთა საქმე იქნებოდა, მაგრამ სიბინძურე გამოდგა.

**— ანუ გინდათ თქვათ, რომ უშიშროება მიგიჩნევთ ურჩ აგენტად?**

— დიახ, ზუსტად ეგ მინდოდა მეთქვა.

**— რა უნდა ქნათ?**

— ახლა მივდივარ სოხუმში, ერთხელ ჩამოვალ და ისევ წავალ.

**— რას გააკეთებთ?**

— მე რომ გელაპარაკებოდით, თქვენ ერთი-ორჯერ გაგეღიმათ და ჩემი ნათქვამი არ დაიჯერეთ. ამას ყველაფერს დაგიმტკიცებთ. ტურამბასაც დიდი სიამოვნებით ავიყვანდი ტყვედ. აბა, რა ვქნა?! ბაბუაჩემი პროფესორი იყო. ვხედავ, ვიღაცა შაქრომ გაიარა „ბმვ“-თი, უზის გვერდით „ცირა“, „ვაფშე“ მაგარი გოგო. მე რა, ტროლეიბუსით ვიარო?! არ ვივლი ტროლეიბუსით!

**მარინა მამისაშვილი**

# ჩვენ გადმოგვეცით თქვენი ტერორისტები, თქვენ მოგვეცით ჩვენი ტერორისტები...

***მას შემდეგ, რაც 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის მცდელობისათვის ძებნილები, საახალწლოდ დაკავებულები: სოსო თორია და ვეფხია დურგლიშვილი რუსეთის მხარემ ქართველ სამართალდამცველებს გადმოსცა, ოფიციოზი, ცოტა არ იყოს, საგონებელშია ჩავარდნილი. თუნდაც იმიტომ, რომ ამ ტერაქტისთვის თავის დროზე არაერთი „ზვიადისტი“ დააკავეს, ციხის კედლები ახეხნეს და უკვე შეიწყალეს კიდეც. ამ ტერაქტის ორგანიზატორი გოჩა ესებუა კი დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის. კულუარული ინფორმაციით, ქართულ მხარეს აღარც უნდოდა ხსენებული პირების დაკავება. აქედან გამომდინარე, შესაძლოა სასჯელი მსუბუქი იყოს და არც ის არის გამორიცხული, ორივე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლონ. მით უფრო, რომ დურგლიშვილს ჩეჩნეთში, სამხედრო ბაზაზე მომზადებისას თავის არეში უმძიმესი ჭრილობა აქვს მიყენებული — მას ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა. ცალი მხარე პარალიზებული და აზროვნება დაქვეითებული აქვს. გენერალური პროკურატურა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნასაც კი აპირებს და თუ ყველაფერი ეს ოფიციალურად დადასტურდა, არ არის გამორიცხული, დურგლიშვილი ძიების პროცესშივე გაათავისუფლონ. ისე კი რუსეთი ამ ნაბიჯს პოლიტიკურ შეფასებასაც აძლევს და შესაძლოა სანაცვლოდ ჩეჩნების ექსტრადიცია მოითხოვოს. თუმცა საკითხავია, ვინ ვის უფრო სჭირდება — ჩეჩნები რუსებს თუ დურგლიშვილი და თორია ქართულ მხარეს. „კვირის პალიტრა“ ამ საკითხებთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის გამომძიებელს, ისკო დასენს ესაუბრა:***

**— ცნობილია რომ, 9 თებერვლის ტერაქტში ეჭვმიტანილები გასამართლდნენ. ერთ-ერთი თავკაცი — გურამ აბსანძე გაათავისუფლეს, გოჩა ესებუა ცოცხალი აღარ არის. ტერაქტისთვის გასამართლებული სხვა ბრალდებულებიც გაათავისუფლეს და თითქოს წარსულს ჩაბარდა ეს საქმე... ახლახან კი აპატიმრებენ თავის დროზე ძებნილებად გამოცხადებულ სოსო თორიას და ვეფხია დურგლიშვილს. რას ნიშნავს ყოველივე ეს?**

— ფაქტია, რომ დანაშაული ჩადენილია 1998 წელს. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები რამდენიმე დღეში დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. შემდეგ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მათი შეწყალების აქტს. რაც შეეხება თორიასა და დურგლიშვილს, როგორც გამომძიებელმა, შემიძლია მხოლოდ ვიმსჯელო იურიდიულ საკითხებზე — აქვთ თუ არა მათ ჩადენილი დანაშაული იმ დროისათვის? თუ დადგინდა, რომ მათ ქმედებაში არ არის დანაშაულის ნიშნები, მაშინ შესაძლებელია შეწყდეს საქმე.

**— როდის გასდიოდა ამ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა?**

— ტერორისტულ აქტზე, საერთოდ, ტერაქტზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება. ისე, დანაშაულსაც გააჩნია. თუ დანაშაული ითვალისწინებს ორ წლამდე პატიმრობას, მაშინ ორი წელია ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება იმ პირებზე, ვინც ძებნილად არ არის გამოცხადებული. თუ ძებნა გამოცხადებულია, ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს.

(გაგრძელება იხ. გვ.7)




„კვირის პალიტრის“ 2003 წლის კედლის მოსახევი კალენდარი საჩუქრად!

მათ, ვინც „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემებიდან გამოიწერს ნებისმიერ სამს, მინიმუმ 3 თვით!

- „კვირის პალიტრა“
- „სიტყვა და საქმე“
- „ბომონდი“
- „კარუსელი“
- „გზა“
- „რეიტინგი“
- „ოჯახის მკურნალი“
- „ფილთაქვა“

ტ: 33-26-73

# თუ მეორე ადგილზე სააკაშვილი გავა, მერე აღარავინ დამემდუროს, რატომ ავირჩიეთ მიშა, გრიშა და ჟორა...

## რატომ უნდა ჰქონდეს „კოკა-კოლას“ და რიგით მოქალაქეს დენის თანაბარი ტარიფი?!

ამერიკულმა კომპანიამ „ეი-ი-ეს თელასმა“ საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესი წააგო. გასული წლის ბოლო დღეს ელექტროენერგიის არსებული ტარიფი გაუქმდა. კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო კომპანიას, რომელიც ხშირად სასიცოცხლო ობიექტებსაც დენის გარეშე ტოვებდა, შესაძლოა გვარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრონ. მოსახლეობისთვის მძიმე ტვირთად ქცეული ელექტროენერგიის გადასახადი, ალბათ, მნიშვნელოვნად შემცირდება. ამ სასიხარულო ფაქტს ყველაზე მეტად, ბუნებრივია, სარჩელის ავტორი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი **შალვა ნათელაშვილი** ზეიმობდა, რომლისთვისაც გასული წელი უნაყოფო ნამდვილად არ ყოფილა და ახალიც ფრიად ორიგინალურად დაიწყო:



— ახალ წელს, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზში შევხვდი, სადაც ქართველმა ხალხმა მეორედ მოიგო დიდგორის ომი. შინაური მტერი და გარეშე დამპყრობელი, როგორც წესი, ხალხს სისხლს არ სწოვს, უბრალოდ, ხარკს ადებს. ასეთი ენერგეტიკული გველეშაპის ხელში იტანჯებოდა ქართველი ხალხი, მაგრამ ხარკის გაღებას 30 დეკემბრის 18 საათიდან ბოლო მოეღო. ჩვენმა 5-წლიანმა ბრძოლამ ლოგიკური შედეგი გამოიღო, მთელ საქართველოში გაუქმდა ელექტროენერგიის ტარიფი და არაკონსტიტუციურად ცნეს ელექტროენერგიის ძველი დავალიანებები. სასამართლომ დაასკვნა, რომ ძველი ტარიფი (თბილისში 14 თეთრი, რეგიონებში — 8 თეთრი) არ შეესაბამებოდა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ბათილად მიიჩნია ყველა აქამდე მოქმედი ნორმატიული აქტი და დაავალა სემეკ-ს 3 მარტამდე დაადგინოს ახალი ტარიფი, რომელიც ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესაბამისი იქნება (იგულისხმება 4-დან 6 თეთრამდე). ჩვენმა ხელისუფლებამ მოსახლეობის სიცოცხლის ხარჯზე მოინდომა გამდიდრება და წლების მანძილზე უსინდისოდ გვიწევდა ექსპლუატაციას.

ხელისუფლება, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავი და პირადი კეთილდღეობა ანაღვლებდა, მიხვდა, თუ დათმობაზე არ წავიდოდა, მოსახლეობის რისხვა არ ასცდებოდა. ხელისუფლება იმასაც შეეგუა, რომ მისი პოლიტიკა განწირულია... გასულ წელს საძირკველი ჩაეყარა ახალი ეროვნულ-სოციალური სახელმწიფოს შენებას. ეს იყო ხელისუფლების დასასრულის დასაწყისის წელი. წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი დაიწყება ამ სისტემის დემონტაჟი.

**— მაგრამ, როგორც ირკვევა, „ეი-ი-ეს თელასი“ არ გნებდებათ და ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებს ჩივილს, რასაც შესაძლოა 250-მილიონიანი სანქცია მოჰყვეს საქართველოს წინააღმდეგ.**

— ეი-ი-ეს-ი თაღლითი და გადამგდები ხელისუფლების მსხვერპლია. კონსტიტუცია კრძალავს ენერგეტიკული ობიექტების გასხვისებას. ჩვენი ხელისუფლებისნაირი თაღლითია ეი-ი-ეს-იც, არა მგონია, ამერიკაში ამ ორგანიზაციის სათავო ოფისში საქართველოს კონსტიტუცია არ წაეკითხოთ და ექსპერტიზა არ გაუკეთეს და ისე შემოიტანეს ინვესტიცია, მაგრამ... სასამართლო პროცესზე ვკითხე იგნასიო ირიბარენს, — შენს სამშობლოში, ვენესუელაში რომ ჩამოვიდე და ნავთობის საბადოს ყიდვა მოვინდომო, რას იზამ-მეთქი? მან პატრიოტული პათოსით მომიგო, — ჩემს სამშობლოში ნავთობის საბადოები არ იყიდება, ის სახელმწიფოს საკუთრებააო. იგივე წერია ჩვენს კონსტიტუციაშიც და რატომ ვერ წაიკითხეთ-მეთქი... აქ კიდევ ერთი აფერა გათამაშდა.

აქ ჩვენთან ამ ორგანიზაციის სათავო ოფისი კი არა, მისი შვილობილი ორგანიზაცია შემოვიდა, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული და მისი საწესდებო კაპიტალი 1.000 დოლარს შეადგენს. შეიძლებოდა ასეთი ორგანიზაციისთვის მილიონობით ქართველის ბედი ჩაებარებინათ? კონტრაქტით, რომელიც საქართველოსა და ამ ორგანიზაციას შორის დაიდო, ფაქტობრივად, გაუქმებულია დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელსაც ხელი პირველმა პარლამენტმა მოაწერა. თურმე ეი-ი-ეს-ის ნებაზეა საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები, უგულებელყოფილია ქართული ენის პრიორიტეტი და დავის შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე შედგენილი კონტრაქტის ტექსტს აქვს უპირატესობა... მთავარი კი ის არის, რომ კონტრაქტში არის საიდუმლო მუხლები. ვეცადეთ, მაგრამ ის მუხლები არ გაგვაცნეს, ვინ იცის, რა წერია? ეტყობა, იქაც რაღაც საშინელება ჩაწერეს. „ეი-ი-ეს თელასმა“ ვერ შეასრულა ის ვალდებულება, რაც კონტრაქტით ჰქონდა აღებული, 12 თვეში ვერ მოასწრო გამრიცხველიანება და საწყალ მოსახლეობას ფართის მიხედვით შეაწერეს გადასახადი, ანუ შეიძლება ბინაში არ ცხოვრობდეთ, მაგრამ გადასახადი მაინც უნდა გადაიხადოთ. ამ დარღვევებიდან გამომდინარე, „ეი-ი-ეს“-მა რომც იჩივლოს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში, დიდ თანხას წააგებს კონტრაქტის დარღვევისთვის და შეიძლება მართლა გაკოტრდეს... საქართველოს წარმომადგენლად პირადად მე წავალ და მე დავიცავ საქართველოს ინტერესებს.

**— ამერიკული ორგანიზაციის მიმართ ასეთი უცერემონიო დამოკიდებულება, შესაძლოა არცთუ სასიკეთოდ მოგიბრუნდეთ, პრორუსობა დაგწამონ...**

— უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ამერიკასთან პარტნიორობას სამხედრო, სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საინვესტიციო სფეროში. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი ქმედება ანტიამერიკული ნაბიჯია. პირიქით, სწორედ ეი-ი-ეს-ის კაბალური სატარიფო პოლიტიკა და ხალხის გაყვლეფის სტრატეგია იწვევდა მოსახლეობაში ანტიამერიკულ განწყობას. ჩვენ, პირიქით, ეს განწყობა გავანელეთ და, ფაქტობრივად, გავხდით ბუშის პარტნიორები, რომელმაც ამერიკაში საკუთარი ენერგომაფიის კომპანიების — ენრონის, უილიამსის და ეი-ი-ეს-ის სათავო ოფისის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, სწორედ ეს კომპანიები „ათეთრებენ“ შავ ფულს... უამრავი დოკუმენტი აქვთ ამერიკის კონგრესსა თუ სათანადო ორგანოებში მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. გადასახადების დიფერენცირება უნდა მოხდეს — რატომ უნდა ჰქონდეს „კოკა-კოლას“ და რიგით მოქალაქეს თანაბარი ტარიფის გადასახადი?

როგორ შეიძლება, დენის ტარიფის განსაზღვრა რომ სემეკ-ს მივანდეთ? რას აკეთებს პარლამენტი, რომელიც ბოდიში და, ლამის ტუალეტის ქაღალდის საბაჟო და საგადასახადო ტარიფს ადგენს? უბრალოდ, უსაქმურ პარლამენტარებს თავის ატკივება არ უნდათ. შეეშინდათ, ხალხმა არ დაგვანიავოსო და ტარიფის განსაზღვრის ფუნქცია სემეკ-ს გადაულოცეს.

**— საბიუჯეტო განხილვებმა ცხადყო, რომ პარლამენტი ხელისუფლების არც ისეთი ყურმოჭრილი ყმა ყოფილა...**

— საქმე ისაა, რომ ეს არ არის საქართველოს ბიუჯეტი... — ეს მთავრობასა და პარლამენტში გაბატონებული კლანებისა და ოლიგარქების ბიუჯეტია. ერთი დაჯგუფება ჯართის ბიზნესს ლობირებს, მეორე — ხეტყის, მესამე — გზების და ასფალტის ბიზნესს, მეოთხე — სიგარეტის კონტრაბანდას, მეხუთე — სპირტის კონტრაბანდას, სხვები ელექტროენერგიისა და გაზის მაფიას. თუ ეს ინტერესები არ დაბალანსდა და ამ ხალხს არ მიეცა თავისი ბნელი საქმიანობის „გათეთრების“ საშუალება, ისე არ აძლევენ ამ ბიუჯეტს ხმას. ესენი ხომ შევარდნაძის დანიშნული დეპუტატები არიან და არა ხალხის მიერ არჩეულნი. სანამ მაფია არ დააბალანსებს მისატანს, გასატანს და გასაყოფს, მანამ ბიუჯეტს ვერ მივიღებთ.

**— წელს საპარლამენტო არჩევნები გველის. ამბობენ, რომ ეს პროცესი იარაღიანი ხალხის და დამნაშავეთა გარეშე არ ჩაივლის; ანუ მოიგებს ის, ვისაც თოფიანი კაცები დაუდგებიან გვერდით.**

— მილიონერი პარტიები ყოველთვის აძლევდნენ კრიმინალებს არჩევნებზე ფულსა და ნარკოტიკებს, მაგრამ ყველა უბანში გვეყოლება ხალხი, რომელიც შავ ძალას დაუპირისპირდება.

**— იარაღით?**

— ფიზიკური ძალით. შესაძლოა, ვიღაცამ იარაღიც მოიტანოს სახლიდან თავის დასაცავად და სასამართლო არც გაამტყუნებს — როცა იარაღით გივარდებიან და შენ თავს იცავ, მართალი ხარ.

**— ეს კი, ალბათ, სწორედ იმ ავადსახსენებელ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, რომლითაც კარგა ხანია გვაშინებენ.**

— არც საგანგებო მდგომარეობა გვემუქრება და არც შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელება... მანამ კარგად იყავით, სანამ შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადა არ გაუხანგრძლივდეს. არჩევნების ჩაშლას ხელისუფლება ვერ შეძლებს, — პროცესს ევროსაბჭო აკონტროლებს.

**— როგორც ამბობენ, თქვენსა და ზოდელავას შორის დაპირისპირება უკვე ძალზე მწვავე ფაზაში გადასულა. თქვენმა თანაპარტიელებმა განაცხადეს — ზოდელავა ნათელაშვილზე ტერაქტს გეგმავსო.**

— ზოდელავა ამ შემთხვევაში არ არის კერძო პირი, ის პრეზიდენტის ნებას ასრულებს. გამორიცხულია ზოდელავამ თავისი ნებით ან სურვილით გააკეთოს რაიმე, ზემოდან რომ არ ჰქონდეს ირიბი მითითება მაინც. ის ამ ტერაქტის დამფინანსებელია და არა ორგანიზატორი.

**— უფრო კონკრეტულად, რა შეიტყვეთ?**

— პარტიის იურიდიულმა და ოპერატიულმა სამსახურებმა მოიძიეს ეს ინფორმაცია. ხელისუფლებას ჩვენი ნეიტრალიზაციის ეს გზაღა დარჩა, რადგანაც მშვენივრად იციან, ჩვენ ვართ მათი პოლიტიკური მესაფლავეები. უნახავთ 3-4 კრიმინალი. წინასწარ ფულიც ყოფილა გადახდილი... თუ მართლაც მოხდა რამე, მათი აღსასრულიც დადგება — ხალხი ამას არ აპატიებს...

**— თუ არ დააკონკრეტებთ, თქვენი სამსახურების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, შესაძლოა მავანს ეჭვი გაუჩნდეს, რომ ყოველივე ქულების მოსაგროვებლად ატეხილი ტყუილი განგაშია.**

— პროკურატურას უკვე გადაეცა კონკრეტული პირების გვარები და მონაცემები

**— სხვადასხვა გამოკითხვის (მათ შორის, ჩვენს გაზეთშიც) შედეგად, გასული წლის საუკეთესო ქართველი პოლიტიკოსის ტიტული და მოსახლეობის 50%-ის მხარდაჭერა თქვენ გერგოთ. მეორე ადგილზე, მოსახლეობის 30%-იანი მხარდაჭერით, მიხეილ სააკაშვილია. ხომ არ გეგმავთ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ „ნაციონალებთან“ პარლამენტში თანამშრომლობას?**

— სააკაშვილს თანადგომა გავუწიეთ ყველა საქმეში — ავირჩიეთ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ, მაგრამ მან მაინც ვერ მოიშორა ძველი ჩვევა, სამთავრობო ალიანსი შეკრა ვანო ზოდელავასთან და დღეს თბილისს ისევ ძველი „მოქალაქეთა კავშირი“ მართავს. იგივე მოხდება საპარლამენტო არჩევნებშიც. თუ მეორე ადგილზე სააკაშვილი გავა, მერე აღარავინ დამემდუროს, რატომ ავირჩიეთ მიშა, გრიშა და ჟორა... ამიტომ ხმები ან მთლიანად ჩვენ მოგვცენ, ან არც ერთი ხმა არ გვინდა.

მინდა ეს წელიწადი ჩვენი ბრძოლის ღირსეულად დაგვირგვინების წელი იყოს. მინდა ქართველ ერს სასურველი და თავისი საკადრისი ხელისუფლება ჰყავდეს. თქვენს მკითხველს და მთელ საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს. გამარჯვებები დაგბედებოდეთ!

***იზო რუკაძე***

# ჩვენ გადმოგცეთ თქვენი ტერორისტები, თქვენ მოგვეცით ჩვენი ტერორისტები

*(დასაწყისი გვ. 6)*

**— საქმის მასალებიდან შევიტყვე, რომ დურგლიშვილი და თორია თავის დროზე სამხედრო მომზადებას ჩეჩნეთში, ერთ-ერთ სამხედრო ბანაკში გადიოდნენ გოჩა ესებუასთან ერთად. უშუალოდ თუ მონაწილეობდნენ ეს პირები 9 თებერვლის ტერაქტში?**

— ტერორისტულ აქტში არც თორიას და არც დურგლიშვილს მონაწილეობა არ მიუღია. 9 თებერვალს ისინი საქართველოში არ იმყოფებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ ასეთი მონაცემები გვაქვს. თუმცა, ამ დანაშაულის მომზადება-დაგეგმვაში კი ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას.

**— რით გამოიხატებოდა ეს?**

— ერთ-ერთ სამხედრო ბანაკში ესებუას ხელმძღვანელობით ჩავიდა საქართველოდან ჯგუფი. გაიარეს სპეციალური სამხედრო მომზადება. თორიას ჯგუფის პროდუქტებით მომარაგება ევალებოდა. დადგინდა, რომ იგი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელიც და ტერაქტის მომზადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მასაც მიუძღვის წვლილი.



> მითხრეს, რომ დაემუქრნენ კიდეც რუსეთში, – თუ გინდათ, არ გადაგცემთ ქართულ მხარეს, მაგრამ აქაურ ტერაქტებს და ჩეჩნების მხარეზე ბრძოლას წაგიყენებთ ბრალადო. ბუნებრივია, ორივეს საქართველოში ერჩია ყოფნა.

**— რა როლს თამაშობდა დურგლიშვილი?**

— დურგლიშვილიც გადიოდა მომზადებას. იგი ჯგუფთან ერთად მიიღებდა მონაწილეობას ტერაქტში, მაგრამ წვრთნის დროს დაუზიანდა თავის არე.

**— სხვა პირებისგან მიღებული მაშინდელი ჩვენებებით ვიცით, რომ ეს მოხდა შემთხვევით, წვრთნის დროს.**

— ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი, ამიტომ ვერ მიიღო მონაწილეობა ტერაქტში. გადავწყვიტეთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩავატაროთ, რათა დავადგინოთ, რა ხარისხის დაზიანება აქვს მიღებული.

**— დღევანდელ ჩვენებებში რას ამბობენ ისინი?**

— მომზადების ფაქტს არ უარყოფენ, მაგრამ დანარჩენზე... დუმილის უფლებას იყენებენ.

„კვირის პალიტრა“ ასევე ესაუბრა დურგლიშვილისა და თორიას ადვოკატს, **სევდია უგრეხელიძეს:**

**— ქალბატონო სევდია, როგორც გამომძიებელმა ისკო დასენმა განმიცხადა, ამ პირებს ტერაქტში მონაწილეობა არ მიუღიათ. რის საფუძველზე აქვთ მათ ტერაქტის ბრალდება წაყენებული?**

— მათ ტერაქტის მცდელობა ედებათ ბრალად — ჯერჯერობით ბრალდების ფორმულირება ასეთია. თავის დროზე დაკავებულებმა ჩვენებებში განაცხადეს, რომ გოჩა ესებუამ რაზმი აფხაზეთში საომრად შექმნა. როდესაც ჩეჩნეთში მიდიოდნენ, იცოდნენ, რომ სწორედ ამიტომ უნდა გაევლოთ სამხედრო მომზადება. ვეფხია დურგლიშვილი სამაჩაბლოელია, იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთშიც.

**— რამდენადაც ვიცი, დურგლიშვილს იმდენად სერიოზული დაზიანება მიუღია თავის არეში, რომ აზროვნება დაქვეითებული აქვს... თუ აპირებთ ფსიქიკური ექსპერტიზის დანიშვნას?**

— რა თქმა უნდა. დურგლიშვილს თავის დროზე თავში ჰქონდა მუშტისოდენა ნახვრეტი, ამდენად თავის ქალის მთლიანობაც დარღვეულია. ეს ჯერ კიდევ 1997 წელს, სექტემბერში მოხდა. არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. ამჟამად მარცხენა მხარე ერთიანად პარალიზებული აქვს. ხელს ვერ ამოძრავებს, ფეხსაც მიათრევს, შენელებული აქვს აზროვნებაც.

**— რა ვითარებაში დააკავეს ისინი ჩეჩნეთში?**

— ოფიციალურად აცხადებენ, რომ ჩეჩნეთში დააკავეს, მაგრამ ისინი ამას უარყოფენ და ამბობენ, რომ ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე აიყვანეს. მათი თქმით, ჩეჩნეთში აღარ შეიძლებოდა ყოფნა. საშინელი ე.წ. „ზაჩისტკები“ (წმენდა) დაწყებულა — ადგილზე ხვრეტენ ჩეჩნებს თურმე და ჩეჩნებიც კი გარბიან იქიდან. განსაკუთრებით „ნორდ-ოსტის“ ტრაგედიის შემდეგ იქ ცხოვრება ჯოჯოხეთად ქცეულა. ესენიც „ზაჩისტკების“ დროს დაუკავებიათ. რაც შეეხება თორიას, მას არც შეიძლებოდა, რაიმე კავშირი ჰქონოდა ტერაქტთან, — 1992 წელს ზვიად გამსახურდიასთან ერთად რომ წავიდა, მას შემდეგ საქართველოში აღარ ყოფილა. სხვა წყაროებიდან რამდენადაც ვიცი, იგი უშუალოდ თან ახლდა გამსახურდიას და მოგვიანებით, დაინიშნა იჩქერიის რესპუბლიკაში პრეზიდენტის წარმომადგენლად.

**— რა შეფასებას მისცემთ ამ პირების დაკავებას?**

— რა შეფასება უნდა მივცე... რუსეთის იმპერიული ზრახვები ყოველთვის ერთნაირია. რაც შეეხება დურგლიშვილისა და თორიას დაკავებას, ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, მაგრამ შემდეგ უკვე სერიოზულად დაინტერესდნენ. სხვათა შორის, მათ მითხრეს, რომ დაემუქრნენ კიდეც რუსეთში, — თუ გინდათ, არ გადაგცემთ ქართულ მხარეს, მაგრამ აქაურ ტერაქტებს და ჩეჩნების მხარეზე ბრძოლას წაგიყენებთ ბრალადო. ბუნებრივია, ორივეს საქართველოში ერჩია ყოფნა.

**— მათ სანაცვლოდ რუსეთი ჩეჩნების ექსტრადიციას ხომ არ მოითხოვს?**

— რუსეთი ამას ისედაც ითხოვდა. უკვე აცხადებენ, — ჩვენ გადმოგეცით თქვენი ტერორისტები, თქვენ კი ჩვენი ტერორისტები მოგვეცითო.

***მარინა მამისაშვილი***

CMYK

# პანკისის პრობლემა გადავწყვიტეთ — თვლიან უშიშროების სამინისტროში

ახალი წლის წინა დღეს უშიშროების მინისტრმა გენერალ-მაიორმა ვალერი ხაბურძანიამ შეაჯამა 2002 წელს საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაობის შედეგები.

ამ მოხსენებაში ერთ-ერთ ყველაზე საინ-



**რუსლან გელაევი (მარჯვნივ) ახლა ჩეჩნეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალია**

ტერესოდ და რაც მთავარია, ინფორმაციულად მაინც პანკისის ხეობასთან დაკავშირებული ფაქტები გამოჩნდა. მინისტრის ინფორმაციით, 2002 წლის დასაწყისში ხეობაში 7500 ქისტი, 1500 ქართველი და 200 ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდა, რომელთაც დაემატა 4700-მდე ლტოლვილის სტატუსით დროებით მცხოვრები ჩეჩენი, 100 არაბი, 12 დაღესტნელი, 20 ჩერქეზი და 15 ყაბარდოელი.

საერთო ჯამში, ხეობაში იმყოფებოდა არანაკლებ 700 ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიელი და 100 არაბი შეიარაღებული პირი, რომელთა გამო მოსკოვი და ბოლო დროს ვაშინგტონიც, პანკისის ხეობას ტერორისტების ერთ-ერთ დიდ და მსხვილ ბუდედ მიიჩნევდა.

უშიშროების მინისტრმა წლის ბოლოს საბოლოოდ ახადა ფარდა საიდუმლოებას — თურმე ხეობაში მოქმედებდა შემდეგი მუსლიმანური ორგანიზაციები — „ასსალამი“, „ალხარამეინი“ და „მსოფლიო ისლამური ახალგაზრდული ასამბლეა“. მათი ეგიდით მოქმედებდნენ აქ მყოფი არაბებიც, რომლებმაც საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთიდან მიღებული ფინანსებით გახსნეს ისლამური სკოლები და ჰოსპიტალიც, სადაც ჩეჩნეთის ომში დაჭრილები მკურნალობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, პანკისში მარტო ოდიოზური რუსლან (თუ უკვე ჰამზატ) გელაევი და მისი 250-მდე მებრძოლი როდი იმყოფებოდა. აქაურობას თავს აფარებდა საველე მეთაური ბატია (მეტსახელად — დაბალი) თავისი 120 მებრძოლით, დოკუ უმაროვი (იგივე კური ჰასანოვი) — 130-150 შეიარაღებული რაზმით, ჰუსეინ ესებაევი (ან ისიბაევი) — 140 კაცით, ვინმე ამჟეტი (იგივე აბუ ჰაფსი) — 80-მდე მოჯაჰედით და „ვაჰაბიზმის სულიერი მამების“ ორგანიზაციის არაბული წარმოშობის რელიგიური ემისრების რამდენიმე წარმომადგენელი.

მათ მხარში ედგნენ ხეობაში მოქმედი ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერები თენგიზ (ფარნაოზ) ხანგოშვილი, ვეფხო ჩოფანაშვილი (მარგოშვილი) და შოთა ჭიჭიაშვილი.



**შეიარაღებული ჩეჩნები პანკისიდან სამშობლოში ბრუნდებიან**

ეს მონაცემები უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ დანაყოფებს ბუნებრივია, ადრეც ჰქონდათ, მაგრამ მათი გამომზეურება მინისტრმა მხოლოდ წლის ბოლოს, მას შემდეგ ინება, რაც პანკისის ხეობა ზემოჩამოთვლილი დაჯგუფებების უმრავლესობამ ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლოს დატოვა. სავარაუდოდ, უშიშროების სამინისტრო ჯერ კიდევ ბოლომდე არ ხსნის კარტებს და იმედია, აქვს ინფორმაცია იმ 70-მდე კრიმინალსა თუ უცხოელ ტერორისტზე, რომლებიც ჯერ კიდევ აფარებენ თავს ხეობას.

შარშან, ჩვენი აზრით, უშიშროების სამინისტროსთვის ყველაზე მთავარი არა მარტო პანკისის ხეობის გაწმენდის პროცესის დაწყება გახლდათ, არამედ აშშ-ის სადაზვერვო სტრუქტურებთან და რუსეთის ფედერალურ სადაზვერვო სამსახურთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება. ფაქტობრივად, შეიქმნა ერთგვარი სადაზვერვო სამკუთხედი, რომელმაც მომავალშიც უნდა გამორიცხოს საქართველოს ტერიტორიის უცხო ტომის ტერორისტებისა თუ მკვლელების თავშესაფრად გადაქცევის პერსპექტივაც კი.

# «კახეთი» მოსკოვის თავზე

## აბა, რა გეგონათ, მარტო რუსულ თვითმფრინავებს უნდა ეფრინათ კახეთის თავზე?!



— თავიდანვე ვაღიარებ — დავარღვიე მკაცრი წესდება, რომელიც მართლაც ძალიან აქტუალური გახდა 11 სექტემბრის ამერიკის ტერაქტების შემდეგ — ვიმყოფებოდი იქ, სადაც უცხო პირს არავითარ შემთხვევაში არა აქვს ყოფნის უფლება — პილოტის კაბინაში! (თანაც ფრენის დროს).

არ ვიცი, იმის გამო, რომ ნაკლებად ვგავდი ტერორისტს (თუმცა იცის კი ვინმემ, როგორ გამოიყურება თვითმფრინავის გამტაცებელი?), ან ეკიპაჟმა იცოდა ჩემი სიყვარული ავიაციის მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ სულგრძელად მიიწვია „კვირის პალიტრა“ თავის ვიწრო კაბინაში.

„ბოინგი-737“ შეიძლება არც ისე თანამედროვეა ჩვენთვის ასე ნაცნობ Ту-154-თან შედარებით, მაგრამ რუსული სამგზავრო ლაინერისგან განსხვავებით ამერიკულ თვითმფრინავს მხოლოდ ორი პილოტი მართავს, რადგან მისი საპილოტაჟო მოწყობილობა უფრო დახვეწილია.

საჰაერო ხომალდის მეთაური, კლასის მფრინავი-ინსტრუქტორი **იური ზუმბულიძე**:

— ევროპაში ახლა არანაირ რუსულ თვითმფრინავს აღარ აჭაჭანებენ, რადგან ხმაურიანია და ბევრი გამონაბოლქვი აქვს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ „აირზენამ“ „ბოინგების“ ლიზინგში აღებით ძალიან მოიგო. რეისებს ყველა მიმართულებით ვასრულებთ. ახალ წელთან დაკავშირებით ერთგვარი ტრაგიკომიკური ამბავი გადახდა თავს ეკიპაჟის მეორე წევრს, მფრინავ **იური ფანჯაკიძეს**:

— 1987 წლის 31 დეკემბერს რეზერვში ვიყავით, მაგრამ სარეისო თვითმფრინავი გაფუჭდა და ჩვენ მოგვიწია თბილისი-როსტოვის რეისის შესრულება. წესით, ადგილზე ახალი წლის დადგომამდე თავისუფლად უნდა ჩაგვესწრო, მაგრამ უამინდობის გამო აეროპორტმა არ მიგვიღო. როდესაც დაჯდომის ნება მოგვცა, მარჯვენა შასის გამოშვების სიგნალიზატორი არ აინთო. იძულებული გავხდით, აეროპორტის სამაშველო სამსახური გამოგვეძახებინა. ბოლოს, მშვიდობიანად დავსხედით. გაირკვა, რომ შასი კი გამოსულა, მაგრამ ამის მაჩვენებელი ნათურა გადამწვარა. ასე რომ, 12 საათზე, ჩვენი აზრით, ჰაერში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვი-დექით. მშვიდობიანად კი დავსხედით და გვიხაროდა, მაგრამ განგაშზე გამოძახებული სამაშველო და სახანძრო სამსახურის თანამშრომლები ავად გვიბღვერდნენ — საახალწლო სუფრას რად მოგვწყვიტეთო. მგონი, იმ მომენტში მთელ როსტოვში მარტო ჩვენ ვიყავით ფხიზლები, მაგრამ ცოცხლები!

მფრინავმა ფანჯაკიძემ სხვა კურიოზული სიტუაციებიც გაიხსენა: — ქუთაისიდან სოხუმში ჩავფრინდით, მაგრამ ერთი მგზავრი არ ჩადიოდა თვითმფრინავიდან — მე ფოთში მივდიოდი. მითხრეს, იქით მივფრინავთ და აქ რატომ ჩამომიყვანეთო! — არანაირმა ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა და იძულებული გავხდით, ფოთში ამ ერთი მგზავრისთვის, რომელიც მგონი, სვანი იყო, გავფრენილიყავით. მეორედ უარესი რამ დაგვემართა. თბილისიდან ბათუმში მივფრინავდით. თითქმის დაძრულ თვითმფრინავს ხალიჩებით დატვირთული მგზავრი შემოახტა. საით მიფრინავო, რომ ვკითხეთ, თქვენი საქმე არ არისო, — მოგვახალა. ბათუმში ჩაფრენილებს კი გაგვიგიჟდა — მე ბაქოში მინდოდა და აქ სად ჩამომიყვანეთო — მგზავრი აზერბაიჯანელი იყო. თბილისში სამი დღის შემდეგ უნდა გამოვფრენილიყავით, ამიტომ იძულებული გავხდით, სამი დღე ის ბაქოელი აეროპორტში შეგვეფარებინა და ჩაიც უხვად მიგვერთმია...

10,6 კმ-ზე და 780 კმ/სთ სიჩქარით მფრენი თვითმფრინავიდან გადმოცემული რეპორტაჟი უთუოდ განსხვავდება „სახმელეთოსაგან“ და მხოლოდ წყალქვეშა ნავიდან წარმოებულ გადაცემას თუ შეედრება.

*P.S. საქართველოდან უცხოეთში ჯერჯერობით მხოლოდ ორი „ბოინგი-737“ დაფრინავს, მათ შთამბეჭდავი სახელები აქვთ — „თბილისი“ და „კახეთი“. 15 იანვრისთვის მათ მესამე ამ ტიპის თვითმფრინავი დაემატება.*

# ამერიკელები ებრაელებს უშლიან იარაღის ჩინელებისთვის მიყიდვას, აზერბაიჯანელები კი ჩინელებს სთხოვენ, არ შეაიარაღონ სომხები

თელ-ავივისა და პეკინის მეგობრობა უკვე ყველასთვის ცხადია. ჩინელებსაც და ებრაელებსაც ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ, განსაკუთრებით იარაღის ბიზნესში.

რუსებისგან ნაყიდი თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავებით (Су-30 МКК), საბრძოლო ხომალდებით (პროექტი 956) და მათი ლიცენზირებული წარმოებით ჩინელები აახლებენ თავიანთ შეიარაღებას; მაგრამ პეკინს რუსული ელექტრონიკა თვალში არ მოსდის და ზემოხსენებული საბრძოლო ტექნიკის აღჭურვას ცდილობს ულტრათანამედროვე რადიოელექტრონული მოწყობილობებით, რომელთა მიყიდვასაც ისრაელი დათანხმდა.

ყოველივე ამან ამერიკის ადმინისტრაცია შეაშფოთა და გაფრთხილების მიზნით თითი დაუქნია თელ-ავივს. ჯერ რუსული „ავაქსების“ გადაიარაღება აუკრძალა. ეს გახლავთ A-50-ად წოდებული ადრეული რადიოლოკაციური აღმოჩენისა და მართვის საჰაერო პუნქტები, რომლებიც ტაგანროგში ეწყობოდა და რუსეთს 16-ოდე თუ ჰქონდა. მოსკოვმა რამდენიმე A-50 ჩინეთს მიჰყიდა. ჩინელებმა მათზე ებრაული წარმოების თანამედროვე რადიოლოკატორისა და სხვა აპარატურის დამონტაჟება მოიწადინეს, მაგრამ თეთრმა სახლმა ეს გარიგება სასწრაფოდ ჩაშალა. პენტაგონი მიხვდა, რომ შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის ჩინური თვითმფრინავები პირველ რიგში მის იმ ბომბდამშენებს აღმოაჩენდნენ, რომლებმაც შესაძლოა მომავალში ჩინეთი დააშინოს.

გარდა ამისა, ამერიკამ ებრაელებს აუკრძალა სადაზვერვო თვითმფრინავის Falcon-ისა და F-16-ის ტექნოლოგიის ჩინელებისთვის მიყიდვა. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, F-16-ის წარმოების ზოგიერთი ტექნოლოგია ებრაელებმა მაინც მიაწოდეს ჩინელებს, მათ კი ისინი საკუთარი გამანადგურებლის J-10-ის შესაქმნელად გამოიყენეს, ხოლო ისრაელში ნაყიდი სარაკეტო სისტემები პეკინმა ტაივანის სიახლოვეს განალაგა, რითაც ააშფოთა თეთრი სახლი.

ვიდრე ამერიკა ებრაელებს ჩინელებთან სამხედრო თანამშრომლობას უკრძალავს, ამ უკანასკნელებმა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები მიჰყიდეს ჩვენს მეზობელ სომხეთს, რითაც მეორე მეზობლის — აზერბაიჯანის მრისხანე პროტესტი გამოიწვიეს.

**ჩვენი დოსიე: ოთხიოდე წლის წინ ჩინურმა ფირმა „ნორინკომ“ სომხეთს მიჰყიდა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „ტაიფუნის“ ოთხი დანადგარი, სომხეთის არმიას ისედაც ჰქონდა 47 ცალი „გრადი“. „ტაიფუნი“, იგივე WM-80, „გრადისგან“ განსხვავებით, 21 კმ-ზე კი არა, 80 კმ-ზე ისვრის და თანაც 273 მმ კალიბრის რვა რაკეტას. თითოეული რაკეტის საბრძოლო ქობინი 150 კგ-ს იწონის და იგი ან ფუგასურია, ანდა კასეტური სახისა და აღჭურვილია 380 ხელყუმბარით, რომლებიც მიზანში მოხვედრამდე ჰაერში იფანტებიან და დიდ ფართობზე აზიანებენ ცოცხალ ძალას. ჩინური „ტაიფუნი“, ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით, რუსულ „სმერჩს“ უახლოვდება. სომხებს 2 „ტაიფუნი“ განთავსებული ჰყავთ ქ. გორისში, 1-ლი კორპუსის მე-2 ცალკეული მოტომსროლელი პოლკის შემადგენლობაში, დანარჩენი ორიც ქ. ბალავოიტში, მე-5 კორპუსის მე-8 თვითმავალი საარტილერიო პოლკის ფარეხშია.**



გასაგებია, თუ რამ გააღიზიანა ასე ოფიციალური ბაქო — ჩინური „ტაიფუნებით“ სომხეთის არმიას უკვე შეუძლია 80 კმ-ის სიღრმეში მიწვდეს აზერბაიჯანის დასახლებულ პუნქტებს, განსაკუთრებით კი ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

ჩინური „ტაიფუნები“ დღეს სამხრეთ კავკასიაში ყველაზე შორსმსროლელი საარტილერიო სისტემებია, რამაც ქართული მხარეც უნდა დააფიქროს, რადგან 80 კმ-ის რადიუსში თბილისის შემოგარენიც კი ხვდება.

ჩვენი ინფორმაციით, სომეხი სამხედროები ცდილობდნენ, გაეგრძელებინათ „ტაიფუნების“ შესყიდვა ჩინეთში, მაგრამ ჩინეთის ხელმძღვანელობამ, სავარაუდოა, რომ ბაქოს, უფრო კი ანკარის, თხოვნით თავი შეიკავა.

# ამერიკელი პილოტები — ნარკომანები?!

ამერიკის ტელეკომპანია ABC-მ სენსაციური ჟურნალისტური გამოკვლევა ჩაატარა და პასუხიც დაუჯერებელი მიიღო — ამერიკელი სამხედრო პილოტები საბრძოლო დავალებაზე გაფრენის წინ ნარკოტიკებს, კერძოდ კი, ამფეტამინს იღებენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შარშან, 16 აპრილს, ავღანეთში ამერიკულმა ტაქტიკურმა თვითმფრინავმა F-16-მა საჰაერო დარტყმა მიაყენა არა თალიბებს, არამედ მოკავშირე... კანადელებს.

კანადელი ჯარისკაცები ღამით საცეცხლე ვარჯიშს გადიოდნენ და ნამდვილ ტყვიებს ისროდნენ. შორიახლოს მფრენი F-16-ის პილოტმა მაიორმა შმიტმა და მისმა მეწყვილემ, უმბახმა რატომღაც იფიქრეს, ჩვენს თვითმფრინავს მიწიდან საარტილერიო ცეცხლი გაუხსნესო და „თავის დაცვა" გადაწყვიტეს, თუმცა ფრენების ხელმძღვანელმა მათ რეაგირება აუკრძალა. თვითნებური დაბომბვის შედეგად ოთხი კანადელი სამხედრო დაიღუპა.

ამ ორი ამერიკელი პილოტის სასამართლო ერთ კვირაში დაიწყება და თუ მათ დამნაშავეებად ცნობენ, მაშინ უვადო პატიმრობა ელით.

როგორც ირკვევა, ორივე პილოტს ნარკოტიკული აბები ჰქონდა მიღებული, თანაც მეთაურობის ბრძანებით, რადგან პენტაგონის აზრით, მხოლოდ ამფეტამინის ტიპის აღმგზნებ აბებს შეუძლია დაიცვას პილოტი დაღლილობისგან და დაეხმაროს საბრძოლო დავალების უზუსტესად შესრულებაში. ადვილი წარმოსადგენია, რამდენ ამგვარ აბს ასმევენ იმ პილოტებს, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტიდან იუგოსლავიისა და ავღანეთის დასაბომბად აფრენილ ბომბდამშენებს მართავენ. ეს სტრატეგიული ბომბდამშენები ხომ ჰაერში 23-24 სთ იმყოფებიან.



ამფეტამინის გამოყენება 1992 წელს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მაშინდელმა ხელმძღვანელმა გენერალმა მაკპიკმა აკრძალა. ამის მიზეზი ისიც გახდა, რომ „უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციაში ინტენსიურად მონაწილე ამერიკელი პილოტები ისე მიეჩვივნენ ამფეტამინს, რომ ნარკოლოგების ხშირი „სტუმრები" გახდნენ.

პენტაგონში კი დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მცირე, კონტროლირებული დოზით ამფეტამინის მიღება ხელს უწყობს საჰაერო სივრცის მრავალსაათიან ეფექტიან პატრულირებას და ყურადღების მობილიზებას.

აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციამ ამფეტამინი და კოკაინი, როგორც საბრძოლო სტიმულატორი, დიდი ხანია აკრძალა.

ეტყობა, ამფეტამინით დაბანგული ამერიკელი პილოტები მაინცდამაინც მარჯვედ ვერ მართავენ ულტრათანამედროვე დამიზნების აპარატურით აღჭურვილ ბომბდამშენებს, სამიზნეს ხშირად აცილებენ და ხან ჩინეთის საელჩოს აფეთქებენ ბელგრადში, ხანაც მოკავშირეებს ხოცავენ ავღანეთში. საინტერესოა, რა მოხდება, თუკი თეთრი სახლი დღედღეზე მაინც დაარტყამს ერაყს?!

არსენალი

„მფრინავი თეფშების" თემა პოპულარული გასული საუკუნის შუა ხანებში გახდა და მან დედამიწის მოსახლეობის უმეტესობის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ეს გასაგებიცაა: თუკი დამტკიცდებოდა „მფრინავი თეფშების" არსებობა, რომელთა ავტორობაზე ცნობილი საავიაციო კონსტრუქტორებიც კი კატეგორიულ უარს აცხადებდნენ, მაშინ კვალს სხვა, არამიწიერ ცივილიზაციებამდე მივყავდით, რაც მთლიანად ცვლიდა კაცობრიობის წარმოდგენას სამყაროს შესახებ.

# „მფრინავ თეფშებს" მიწიერი წარმომავლობა ჰქონიათ?!

## გლობალური დეზინფორმაცია ზესაიდუმლო სამხედრო პროექტების შესანიღბად



გერმანელების პირველ „მფრინავ თეფშს" მალე მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ

არადა 1947 წლიდან დაწყებული, რაც აშშ-ში „მფრინავი თეფშის" კატასტროფა მოხდა და თითქოსდა ჰუმანოიდების ნეშტებიც იპოვეს, დღემდე ყოველწლიურად ასობით ადამიანი ამტკიცებს, „მფრინავი თეფშები" ჩემი თვალით ვნახეო.

ციდან მიწაზე დავეშვათ და წმინდა ინჟინრული თვალსაზრისით განვიხილოთ „მფრინავი თეფში." მის კონსტრუქციას, თვითმფრინავის ტრადიციულ სქემასთან შედარებით მრავალი უპირატესობა გააჩნია. მათ შორის: შვეულად აფრენა-დაფრენის უნარი, ფრენის კურსის მომენტალური შეცვლა, ზემანევრირება, ყველაფერი ის, რაც აუცილებელია იდეალური საფრენი აპარატისთვის. ამიტომაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ავიაკონსტრუქტორები და მით უმეტეს, სამხედრო განხრით მომუშავენი, არ შეეცდებოდნენ „მფრინავი თეფშის" კონსტრუქციის საფრენი აპარატის შექმნას.

ასეც მოხდა. თურმე პირველი „მფრინავი თეფში" ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ააგეს და როგორც მოსალოდნელი იყო, ფაშისტურ გერმანიაში. საერთოდ, ორ ფრონტზე მებრძოლი ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ე.წ. „საოცარ იარაღს", რომელსაც მის სასარგებლოდ უნდა შემოებრუნებინა ომის ბედი. სწორედ ასე იშვა მსოფლიოში პირველი ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტები, რომლებმაც ნახევარი ლონდონი ნანგრევებად აქციეს; რეაქტიული თვითმფრინავები, რომლებიც ამერიკელ და საბჭოთა პილოტებს ცაში თავისი სიჩქარით განაცვიფრებდნენ და სხვ.

ამერიკელები პირველ ატომურ ბომბსაც გერმანელებს უნდა უმადლოდნენ, ისევე როგორც თურმე „მფრინავ თეფშს". 1945 წლის 19 თებერვალს მოკავშირეები გერმანიას მიადგნენ, ხოლო ბავარიაში, ამბერგის სამხედრო აეროდრომზე, განსაკუთრებით საიდუმლო ვითარებაში აფრინდა საოცარი ობიექტი, რომელიც ფორმით ძალიან წააგავდა „მფრინავ თეფშს". თვითმხილველთა მონაცემებით, შვეულად აფრენის შემდეგ ამ „მფრინავმა თეფშმა" სამ წუთში 15 კმ სიმაღლეს მიაღწია და მანამდე არნახული სიჩქარე — 2.200 კმ/სთ განავითარა.

ამ უჩვეულო ობიექტს უთუოდ უცხოპლანეტელთა „მფრინავ თეფშად" მიიჩნევდნენ, რომ არა ერთი ნიუანსი — მას უზარმაზარი ფაშისტური სვასტიკა ეხატა!




ამერიკული „მფრინავი თეფში"

პირველი ნამდვილი და თანაც მიწიერი წარმოშობის „მფრინავი თეფშის" (მას კონსტრუქტორ ბელონცეს პატივსაცემად „ბელონცეს დისკსაც" უწოდებდნენ) ნამცეციც კი აღარ შემორჩენილა, მაგრამ არა იმიტომ, რომ კატასტროფა განიცადა და უკვალოდ დაიფერფლა. ვერმახტის შტაბის უფროსის, ფელდმარშალ კეიტელის ბრძანებით, იგი ააფეთქეს, რათა წითელ არმიას არ ჩავარდნოდა ხელში და შემდგომში ომში გამარჯვებულ სტალინს საკუთარი „მფრინავი თეფშები" არ აეგო.

თუმცა ცოტა ხანში „მფრინავი თეფშები" მაინც გამოჩნდნენ ასპარეზზე, ოღონდ ოკეანის გაღმა — აშშ-ში. ეს იყო 1955 წელს აგებული Avrocar-ი, რომელიც ამერიკელი სამხედროების შეიარაღებაში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ მისმა ტაქტიკურ-ტექნიკურმა მონაცემებმა პენტაგონი არ დააკმაყოფილა.

საფიქრალია, რომ Avrocar-ამდე ამერიკელებმა სხვა „მფრინავი თეფშებიც" შექმნეს ტყვე გერმანელი კონსტრუქტორების დახმარებით და სწორედ ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა 1947 წელს ნიუ-მექსიკოს შტატში. ჩანს, თეთრ სახლს სურდა კვლავ საიდუმლოდ შეენახა „მფრინავი თეფშების" რეალურად კონსტრუირების შესაძლებლობა და უპირველესად, პოტენციური მოწინააღმდეგის — მოსკოვის დასაბნევად, სპეცსამსახურების დახმარებით და პრესის საშუალებით, მთელ მსოფლიოს მოსდო გრანდიოზული დეზინფორმაცია — „მფრინავი თეფშები" უცხოპლანეტელებს ეკუთვნითო!

სხვათა შორის, „მფრინავი თეფშებით" სტალინიც იყო დაინტერესებული. მისი განკარგულებით, ბერიას აგენტებმა თავი მოუყარეს ათობით გერმანელ ტყვე კონსტრუქტორს. ისინი ჩაკეტეს დახურულ საკონსტრუქტორო ბიუროში და დაავალეს თანამედროვე საფრენი აპარატების შექმნა.

ძნელი სათქმელია, გერმანელმა ინჟინრებმა მართლაც შეუქმნეს თუ არა სტალინს „მფრინავი თეფში", მაგრამ 1952 წლის ზაფხულში ნორვეგიელებმა შპიცბერგენის კუნძულზე აღმოაჩინეს „მფრინავი თეფშის" ნაწილები, რომელთა უმრავლესობას საბჭოთა მარკირება ჰქონდა რუსულ ენაზე.

მხოლოდ, 1991 წელს, რუსმა კონსტრუქტორებმა პირველად გამოამზეურეს „აეროსტატიკური მფრინავი აპარატი", რომელსაც სხვანაირად თერმოპლანსაც უწოდებენ. გერმანული და ამერიკული „მფრინავი თეფშებისგან" განსხვავებით, რუსულ აპარატს ჰაერში ჰელიუმი და ცხელი ჰაერი სწევდა და ფრენის პრინციპით უფრო აეროსტატს ჰგავდა. თუმცა ჰაერში ასული თერმოპლანი მიწიდან უზარმაზარ „მფრინავ თეფშს" წააგავდა.

ძნელია იმის სავსებით გამორიცხვა, რომ „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები" ხანდახან მაინც არ აწუხებდნენ დედამიწის ბინადართ, თუმცა მათი უმრავლესობა მაინც მიწიერი წარმომავლობისაა და ზესაიდუმლო სამხედრო თვითმფრინავებს წარმოადგენენ. ვინ იცის, რამდენ ადამიანს მიუჩნევია „ამოუცნობ მფრინავ ობიექტად" არატრადიციული ფორმის ამერიკული საბრძოლო თვითმფრინავები: F-117A თუ B-2B, ან სულაც უპილოტო X-33 თუ X-45.

სამხედროებისთვის საკუთარი საიდუმლოების დასაფარავად საუკეთესო საშუალებაა „ამო"-ს უცხოპლანეტელებისთვის „მიკუთვნება".

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა" გუდაუთაში აფხაზები დაცხრილეს

აფხაზეთის რეგიონში განთავსებულმა რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების პატრულმა 2 იანვარს, ღამით, გუდაუთაში სროლა ატეხა. რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" თქმით, სამსახურიდან შინ მიმავალ რუს ოფიცრებს თავს დაესხა და ჩხუბი აუტეხა ნასვამმა ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფმა. საპასუხოდ პატრულმა ცეცხლი გაუხსნა თავდამსხმელებს. მიყენებული ჭრილობებით




დაიღუპა ორი აფხაზი — თემურ შმაზერი და ბესიკ ბერულავა.

რუსი „მშვიდობისმყოფელები" ყველაზე მეტად ადგილობრივთა მასობრივ პროტესტს უფრთხოდნენ, რადგან ეშინოდათ სისხლის აღებისა, რაც აქ ადრეც ხშირად მომხდარა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის „სამშვიდობო ძალების" სამხედრო პროკურატურამ მართებულად ცნო თავისი პატრულის მიერ იარაღის გამოყენება.

საინტერესოა, რას იტყვის ამ ფაქტზე აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება, რომელიც დღემდე არწმუნებს მოსახლეობას, რუსი „ცისფერჩაფხუტიანები" აფხაზების საუკეთესო მეგობრები არიან და გვიცავენ ქართველთა აგრესიისგანო.

## თურმე ასეც ხდება — სატვირთო გემი სამხედრო ხომალდს დაეჯახა



ამ სურათის ნახვაც კმარა იმის წარმოსადგენად, თუ რა ძალით დაეჯახა სატვირთო გემი მალაიზიის სანაპიროსთან სინგაპურის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდს.

დაჯახების შედეგად 8 სამხედრო მეზღვაური დაიჭრა, ხოლო 4 დეფორმირებულ კაიუტაში აღმოჩნდა გამომწყვდეული.

ეს 500-ტონიანი ნავსაწინაალმდეგო ხომალდი ერთ-ერთია იმ ექვსთაგან, რომლებიც სინგაპურის სამხედრო ფლოტში ირიცხებოდნენ. გემი ისეა დაზიანებული, ალბათ მხოლოდ ჯართად გამოდგება.

## ვაშინგტონი ახლა მილსადენის დამცველებსაც მოგვიმზადებს

აშშ-დან დაბრუნდნენ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე და საქართველოს ნავთობის კორპორაციის(?) პრეზიდენტი გია ჭანტურია. ამერიკელ კოლეგებთან შეთანხმებით, ამერიკული მხარე „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში დამატებით გამოჰყოფს 11 მლნ დოლარს, რომელიც მოხმარდება იმ 400 სპეციალისტის მომზადებას, რომლებიც დაიცავენ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ქართულ მონაკვეთს.

ერთი თვის წინ, ბატონმა გია ჭანტურიამ ინტერვიუში გვითხრა, რომ ეს 400 სპეციალისტი შეგროვდება ძირითადად იმ დასახლებული პუნქტებიდან, სადაც გაივლის ნავთობსადენი. შემოწმების შემდეგ, მათ ჩარიცხავენ საქართველოს სამთავრობო დაცვის სპეციალურ სამსახურში და მოამზადებენ ამერიკელი ინსტრუქტორები. მათ ნავთობსადენის ეფექტიანი დაცვისთვის გადაეცემათ სპეციალური საავტომობილო ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# „ეს რა ჩაიდინე!“

***ბევრ სხვა უკეთურებასთან ერთად ციხეს ის სიგლახეც სჭირს, რომ თუ იქ ერთხელ მოხვედრილი მეორედაც დაბრუნდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აუცილებლად ვიღაცას (ან ვიღაცებს) მიიყოლიებს. აკი ძველ „კლიენტებს“ მეციხოვნეები შეხვედრისას მისალმების ნაცვლად ამ სიტყვებით ეგებებიან: „მარტო არ მოხვიდოდი“, „რამდენი მოიყვანე?“ „ვისთან ერთად დაბრუნდი?“ და ა. შ. თუ ზოგჯერ ერთხელ ნაციხარი მეორედაც მარტო დაბრუნდა, ჩათვალეთ, რომ ეს შემთხვევითობაა და დღეს თუ არა ხვალ „მივლენ“ ციხეში მის მიერ დანაშაულში ჩათრეული ერთი ან რამდენიმე კაცი. აქედან გამომდინარე, სტატისტიკის მოყვარულებს ასეთ გაანგარიშებას ვთავაზობ: თუ ვთქვათ, ციხეში ათასი კაცი იხდის სასჯელს, ეს ნიშნავს, რომ მის გარეთ ორ-სამჯერ მეტი დამნაშავეა. როდემდე? ამ კითხვას, წესით და რიგით, პასუხი ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებმა უნდა გასცენ. ჩვენი გაზეთი კი ამჯერადაც დამნაშავეობასთან ბრძოლის სხვადასხვა ვერსიას, ანუ ინფორმაციებს გთავაზობთ. ასე ვთქვათ, განსჯისათვის.***



## ბუგი-ვუგი შამპანურით

სოფლის განაპირას, ერთიანად მწვანეში ჩაფლული იმერული ოდა და მისი შემოგარენი, საიდანაც ბოლო ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ინდაურის ჭოხჭოხისა და ბებია ატატოს „აქში ქოროს“ გარდა მეზობლებს სხვა არაფერი გაუგონიათ, ერთ საღამოს ბუგი-ვუგისა და ტვისტის ისეთმა რიტმებმა გააყრუა, კაცი იფიქრებდა, რომელიღაც უცხოური ორკესტრი სწვევიაო მოხუცს. ის იყო, ცნობისმოყვარე მეზობლებმა ღობეზე გადასვლა დააპირეს, როცა მათ სმენას ახალგაზრდა ქალების სიცილ-ტკარცალის ხმაც მისწვდა და უმალვე უკან დაიხიეს.

— უეჭველია, ნოდარი დაბრუნდა ციხიდან მეგობრებთან ერთად. აკი ამბობდა კიდეც ატატო ბებო — ჩემი შვილიშვილი ამ დღეებში აკადემიას ამთავრებს და ჩემს სანახავად ჩამოდისო. ყველამ ყველაფერი იცოდა ამ უცოდველი მოხუცის გარდა. შვილმა და რძალმა დაუმალეს, რომ ნოდარი ქურდობისათვის იხდიდა სასჯელს — მოხუცია, გული არ გაუსკდესო და მოატყუეს, ლენინგრადში ისეთ აკადემიაში სწავლობს, საიდანაც, ვიდრე არ დაამთავრებს, შინ არ გამოუშვებენო და მოხუციც სულ ამ დღის მოლოდინში იყო. თვითონ კი მოესწრო შვილიშვილის დაბრუნებას, მაგრამ ნოდარის მშობლებს მისი პატიმრობის პირველსავე წელს დაუსკდათ გულები. შვიდი წელი გასულიყო მას შემდეგ. ატატო მეზობლებთან გავარდა — მოდით, თქვენი ჭირიმეთ, ნახეთ, რა ბიჭი დაბრუნდა. მეფესავით აცვიათ და ახურავთ მასაც და მის მეგობრებსაც. მართალია, გოგოების მოკლე კაბები არ მომეწონა, მაგრამ მითხრეს, მოდააო. რას ვჩივი, ქალებო, რაკი ბიჭმა სწავლა დაასრულა, ოღონდ თვითონ იყოს კარგად და მისი ჭირიც წამიღია. წამოდით, ნახეთ, რა კაცი დამდგარა, — სიხარულით სულს ველარ იბრუნებდა მოხუცი. მეზობლებს აშკარად ებრალებოდათ გულუბრყვილო დედაბერი და რაკი აქამდე შეინახეს საიდუმლო, ახლა ვინ გაბედავდა კრინტის დაძვრას. დილამდე არ შეწყვეტილა მუსიკის ჰანგები ამდენი ხნით მიძინებულ სახლში. გამთენიისას კი, როცა ბიჭებმაც და გოგოებმაც ტლინკაობით გული იჯერეს, როგორც იქნა, უბანმაც მოისვენა. მეორე დღეს, ნაშუადღევს, როცა კვლავ განახლდა ცეკვა-თამაში, მეზობლის რამდენიმე ჭორიკანა ქალმა მესერს შორის შეიჭვრიტა:

— დიდუ! ამას რას ხედავს ჩემი თვალები, სულ გაუხდიათ ამ უნამუსოებს. დოდოია, კაცებს მივხედოთ, თორემ ეს რომ დაინახონ, სახლში ვეღარ დავაკავებთ, იცოდე. ეს რა ვნახე, თქვენ გენაცვალეთ. ოცი წელია ლევანას ცოლი ვარ და ასე შიშველი მე არ უნახავვარ ამ ხნის მანძილზე, — ქოთქოთებდა მეზობლის მაყვალა და წკეპლით ხელში დასდევდა მესერზე აკრულ ცნობისმოყვარე გოგო-ბიჭებს, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, გაეგოთ — რა ხდებოდა ღობის იქით.

## კვალი მაინც დარჩა

მთელი კვირა გაგრძელდა ტვისტი და ბუგი-ვუგი ატატო ბებიას კარ-მიდამოში. უძილობას თუ არ ჩავთვლით, მეზობლებმაც კარგად ისიამოვნეს (მუსიკის ეს ჟანრი მაშინ აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში). მერე კი, როცა შამპანურისა და კონიაკის მარაგმა იკლო, მოქეიფე მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს:

— ქუთაისს სამივე კარგად ვიცნობთ, თუმცა ნოდარს შვიდი წელია აღარ გაუვლია ამ ქალაქში. ამიტომ ის სათვალავში არ არის ჩასაგდები. თანაც მის სახლში კი ვართ, მაგრამ ის ახლა ჩვენი სტუმარია და ხარჯებიც ჩვენ უნდა გავიღოთ. მოდი, წილი ვყაროთ... ორიდან ერთ-ერთი უნდა წავიდეთ საქმის საშოვნელად, — წინადადება შეიტანა თამაზ გეგიამ და ჯიქურ შეხედა პირდაპირ მჯდარ გაიოზ აფხაზავას.

— არ უნდა მაგას წილის ყრა. მივდივარ, მანქანის გასაღები მომეცი და საბარგული ამოასუფთავე, იარაღი არ ჩარჩეს შიგ. ღამით გიზო უკვე ქალაქში იყო. მანქანა თეთრი ხიდის ახლოს, ვიწრო ჩიხში დატოვა და ფეხით წავიდა თეატრისკენ. იცოდა, ამ უბანში შეძლებული ხალხი ცხოვრობდა და ამიტომაც მიუწევდა გული მათი სახლებისკენ. თითქმის ყველა სახლი ჩაბნელებული იყო, მაგრამ მაინცდამაინც ის აგურის შენობა აირჩია, რომლის ფანჯრებს იქით მკრთალად კიაფობდა ერთადერთი ნათურა. გაიოზი კარგად იცნობდა ამ სახლის ბინადართ, იცოდა, ეს სინათლე ქურდების შესაცდენად იყო დატოვებული. არიფები ამას ჭამდნენ, მაგრამ გაიოზი ის ჩიტი არ იყო, ეს საკენკი აეკენკა...

ერთი სიტყვით, მეოთხე ღამეს მამაკაცებმა გოგონები ატატო ბებოს ჩააბარეს და „საქმეზე“ წავიდნენ. ნოდარმა და გაიოზმა პატარა დომკრატით ფანჯრის გისოსი ისე მოხსნეს, ჩქამიც არავის გაუგია. მერე თამაზი ფანჯარაში გადაძვრა და კარი გააღო. იმ ანთებული ერთი ნათურის შუქზე ერთიანად გაასუფთავეს იქაურობა. მერე ყველაფერი მანქანაში შეყარეს და ის იყო, დაძვრას აპირებდნენ, ავტოინსპექტორი რომ წაადგათ თავს და თქვენი საბუთებიო — ვინ იცის, მერამდენედ გაიმეორა თუთიყუშივით დაზეპირებული ეს ფრაზა წესრიგის დამცველმა.

— თქვენ არ გაინძრეთ, მაგას მეც ვეყოფი, — გადაულაპარაკა თავისიანებს გაიოზმა, ელვის უსწრაფესად გადმოვიდა მანქანიდან, — აი, საბუთებიო და ისეთი ჩააფარა სახეში, საბრალო ავტოინსპექტორი მოცელილივით გაიშხლართა, — წავედით. სანამ ეგ გონზე მოვა, რამდენიმე ხელ ნარდის თამაშსაც მოვასწრებთ. საგანგაშო არაფერია, — ჩაილაპარაკა და მანქანაში მოკალათდა...

— მე, ჩემო ბატონო, ნათელმხილველი კი არა, ექსპერტი ვარ. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეუბნებით, ინსპექტორის თავ-პირის დათვალიერებით დავადგინე, — ისე აქვს ნაჟეჟი მარჯვენა ლოყაში, რომ თუ დამნაშავის დაჭერას აპირებთ, ცაცია უნდა ეძებოთ, თანაც ძალზე ღონიერი, — გამოიტანა ვერდიქტი პოლიციელების უთავბოლო შეკითხვებით გაბეზრებულმა ექსპერტმა და ჟურნალი დახურა.

**—იმ გიაურმა, ნოდარამ გამყიდა. იმის სისხლს დავლევ, დამაცალოს! — ღრიალებდა ალი და ფანჯრიდან გადახტომას ცდილობდა, თუმცა გისოსები საიმედოდ იცავდნენ გამომძიებლის სამუშაო ოთახს.**

დამნაშავეთა მთელი კარტოთეკა ამოატრიალეს. ცაცია დამნაშავე, თანაც იმგვარი, ჯანიც რომ მოსდევდა, სულ რამდენიმე აღმოჩნდა. მათგან ზოგიერთი იმ დროისათვის ციხეში იჯდა, ზოგსაც ალიბი აღმოაჩნდა და როცა გაიოზიც მოიკითხეს, გაირკვა, რომ იგი საქართველოში ყოფილა და რაკი ამჯერადაც ინსპექტორის გალახვასთან ერთად გამლახავს ბინის ქურდობაზეც უნდა ეგო პასუხი (ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ვარაუდობდნენ წესრიგის დამცველები), ისიც დაადგინეს, რომ გისოსის მოხსნის ეს მეთოდი გაიოზის ხელწერა იყო.

ამასობაში ატატო ბებიას სახლში კვლავ გრძელდებოდა ღამის ორგიები. ქუთაისიდან წამოღებული ნივთები სამტრედიელ ბარიგას ჩააბარეს, ფული და ოქროულობა კი გაინაწილეს და ახლა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... ხარჯვაში.

## დაუპატიჟებელი სტუმრები

იმ დღეს გაიოზის ნათესავს ქორწილი ჰქონდა მეზობელ სოფელში. დაიჟინა, გინდათ თუ არა, მხარი უნდა დამიმშვენოთო და ძმაკაცები დაიყოლია, მაგრამ ღამით ნოდარს სიცხემ აუწია და გამგზავრების წინ ისე იყო გავარვარებული, წასვლის თავი აღარ ჰქონდა. გოგოებიც შინ დარჩნენ და ქორწილში მხოლოდ გაიოზი და თამაზ გეგია წავიდნენ. სეფა ეზოში გაეშალათ, ნეფე-პატარძალი საგანგებოდ გამართულ ესტრადაზე შემოესვათ თავიანთი ხელისმომკიდეებით და ლხინიც ნელ-ნელა ძალას იკრებდა. ჭიშკართან მონაცრისფრო „ვოლგა“ გაჩერდა. მექორწილეებს სტუმრები ეგონათ, მაგრამ გამვლელი მგზავრები აღმოჩნდნენ — მანქანა გაჰფუჭებოდათ. ორნი იყვნენ, ასე 25-30 წლის ბიჭები. ჯერ მანქანას უჩხიკინეს, მერე ითხოვეს, იქნებ ხელი დაგვაბანინოთ, დაგვტანჯა ამ ჯაბახანამო. რას ჰქვია, იქნებ დაგაბანინოთ, ხელსაც დაგაბანინებთ და სუფრაზეც უნდა

### დაუნდობელია დამნაშავეთა განაჩენი...

მობრძანდეთ, ოჯახი ვაჟიშვილს აბედნიერებს და უპაურმარილოდ როგორ გაგიშვებთო. ბიჭებს თავპატიჟი არ გამოუდვიათ. სუფრასთან გაიოზისა და თამაზის პირდაპირ დასხდნენ და მადიანადაც შეექცნენ. ქეიფი ისე გაუტკბათ, ადგომას აღარც აპირებდნენ, მერე კი, როცა ღვინომ იძალა, როგორღაც ამრეზით დაუწყეს ყურება თამაზსა და გაიოზს. ამათაც მეტი აღარ უნდოდათ და საქმის გასარჩევად სეფის გარეთ გაიხმეს დაუპატიჟებელი სტუმრები. მოქეიფეებს ბარე ოცამდე კაცი გამოეყო და მოჩხუბრებს გაჰყვა.

— მანქანაში დავსხდეთ და აქაურობას გავეცალოთ, თორემ ამათ ვერ მოვიშორებთ, —

**კარგა შორს მოუწია შეშის მაძებარ მილიციელს ტყეში შესვლა. იქით და იქით ხმელი ტოტებიც გამოჩნდა და ის იყო, ხელი წაატანა, რომ ბუჩქებიდან ვიღაც ახმახი წამოიმართა ხელში სანადირო თოფით და უსიტყვოდ ესროლა.**

ამოილაპარაკა ერთ-ერთმა დაუპატიჟებელმა.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, მანქანაში კი არა, ტანკში ჩაგიჯდებით თუ გინდათ. გაიოზს რომ მასეთების ეშინოდეს, მაშინ იმის... — მანქანა ნელა დაიძრა ადგილიდან, მერე სიჩქარეს უმატა და სოფლის განაპირას, მყუდრო ადგილზე გაჩერდა. მოგვიანებით ვერც გაიოზი და ვერც თამაზი ველარ იხსენებდნენ, რა მოხდა იმ რამდენიმე წამში, მანქანის გაჩერების შემდეგ. როცა გონს მოვიდნენ, ხელებზე ბორკილდადებულები უკანა სავარძელზე ეყარნენ. ერთ-ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი კი რაციით ვიღაცას ატყობინებდა: — ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ამხანაგო პოლკოვნიკო. ხელის განძრევაც ვერ მოასწრეს.. ნახევარ საათში ქუთაისში ვიქნებით... — დაელოდეთ, ვიდრე გამომძიებელი ამოცნობას ჩაატარებს და შედეგი მაცნობეთ! — გაისმა პასუხად რაციიდან.

ექვს მასავით ჯანიან ახალგაზრდას შორის ჩააყენეს გაიოზი. გამომძიებელმა თავისი უფლებები ერთხელ კიდევ განუმარტა დაკავებულს და ავტოინსპექტორს დაუძახეს. იმან კი არც აცია, არც აცხელა, გაიოზისკენ გაემართა და სთხოვა: მაჩვენე ერთი, მარცხენა ხელია თუ კეტიო და ეს ისე სასაცილოდ გააკეთა, გაიოზსაც სიცილი წასკდა. უარყოფას აზრი აღარ ჰქონდა, ბინის ქურდობაც ვერ უარყვეს, რადგან იქიდან წამოღებული თითო ცალი ბეჭედი ორივეს აღმოაჩნდა ჯიბეში. პატარძლისთვის უნდა ეჩუქებინათ, როცა საცეკვაოდ გაიწვევდა ნეფე, მაგრამ...

ორივემ აღიარა დანაშაული, თუმცა თავი მოიკლეს და ნოდარი არ გათქვეს. ინსპექტორმაც ვერ გაიხსენა: მე მანქანაში ორი კაცი ვნახე, — ერთი საჭესთან იჯდა, მეორე მის გვერდით, მესამე არ შემიმჩნევიაო და რაკი სხვა საფუძველი არ ჰქონდათ, გამოძიება დასრულდა. მალე ორივენი თბილისში გადაიყვანეს, სადაც მათ სხვა დანაშაულობებში სამი არასრულწლოვნის ჩათრევაც დაუდასტურდათ.

## მგელი... ღია გალიაში

ატატო ბებია ისე იყო შვილიშვილის გამოჩენით გახარებული, მაინცდამაინც დიდი ეჭვი არ გასჩენია მისი სამეგობროს მიმართ. მერე ის იყო, გაიოზი და თამაზი გაქრნენ. ნოდარი მხოლოდ ერთ საღამოს გავიდა მათ საძებრად და მერე კრინტი არ დასცდენია ძმაკაცებზე. ახლა მილიციის მხედველობის არეში მოხვედრა არ ივარგებდა და გოგოებიც დაითხოვა სახლიდან. ბებიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბიჭი გუგულივით იჯდა სახლში, ის ორკვირიანი ხმაურიც კი აპატია. აბა, რა ექნა, შვიდი წელიწადი წიგნებში იყო ბაღანა ჩაყურყუმელავებული და პატარა ხომ უნდა გამხიარებულიყოო, — დაასკვნა თავისთვის და დღედაღამ მასზე ლოცულობდა, მაგრამ ნოდარი სულაც არ აპირებდა ასე ცხოვრებას. თავს ისე გრძნობდა, როგორც მგელი ღია გალიაში და ერთ მშვენიერ დღეს ატატოს გამოუცხადა — თბილისში მივდივარ, სამსახური უნდა დავიწყო, ამდენი ხანი ტყუილად ხომ არ ვისწავლეო და წავიდა.

გუმანით გრძნობდა დასავლეთ საქართველო არ იყო მისი სამოქმედო ასპარეზი, მით უმეტეს, გაიოზისა და თამაზის დაჭერის შემდეგ. ერთხანს თვითონაც შეეგუა იმ აზრს, რომ ან დღეს დაიჭერდნენ, ან ხვალ. მაგრამ, როცა შეიტყო, გაიოზი და თამაზი ისე გაასამართლეს, მის შესახებ კრინტიც არ დასცდენიათ, გამბედაობა მოემატა და ახალი ჯგუფის ჩამოყალიბება გადაწყვიტა.

— ნოდარ, შენ კარგად მიცნობ. შვიდი წელი ერთად გავატარეთ ციხეში. მე ყაჩაღი ვარ და ბინის ქურდად ვერ გადავკეთდები. თუ ჩემი ხელობა მოგწონს, გავერთიანდეთ. თუ არა — ისევ ძმაკაცებად დავშორდეთ ერთმანეთს, — ალი მამედ-ოღლიმ ცერად გახედა ნოდარს, მერე არყის ჭიქები პირთამდე გაალიცლიცა და ციხეში დარჩენილების სადღეგრძელო შესვა.

— კარგი, ალი, თანახმა ვარ, მაგრამ რით დავიწყოთ?

— ახლა ქიზიყში ას სულზე მეტი საქონელი დგას ორი მწყემსის ამარა. მწყემსებს გავკოჭავთ და საქონელს აქეთ გადმოვრეკავთ. ადგილიც შერჩეული გვაქვს. თვე ისე ჩათავდება, იმ ადგილებში კაცი არ გაივლის. მხოლოდ ერთი დღით დაგვჭირდება საქონლის გადამალვა. მეორე ღამით კი გაჩიანში ჩავრეკავთ და სასაკლაოს ჩავაბარებთ. ფულსაც იქვე მოგვითვლიან. ვიცი, ქართველებს ამგვარი საქმეები უზურში არ მოგდით, მაგრამ მე სახლებში ძრომიალს, ასე მირჩევნია... ვიღაცის ბინაში საკბილო ან იქნება, ან — არა. მაგის იმედით ვერ ვიცხოვრებ.

— კარგი, ძალიანაც ნუ გაუტიე. მოვდივარ. აბა, რა ვქნა, სულ უსაქმოდ ყოფნას, მენახირეობა მირჩევნია. როდის გავდივართ საქმეზე?

— ამ საღამოს.

## გასროლა სადულის ტბასთან

ცხელი დღე იყო და კაჭრეთის დაბლა, სადულის ტბაზე უამრავი ხალხი ირეოდა. მათ შორის მილიციის რამდენიმე თანამშრომელიც. ვიღაცამ მოიფიქრა, ერთმანეთს სროლაში გავეჯიბროთო და მილიციელებმაც ამოალაგეს ჩანთებში გადამალული იარაღი. გამარჯვებულს ტბის ფსკერიდან ამოღებული კენჭები უნდა მიეღო საჩუქრად. კენჭებს კი დამარცხებულები ამოიღებდნენ, მაგრამ წაგებულთაგან ერთმა ბოლო მომენტში განაცხადა — რაც გინდათ, ის მიყავით, ფსკერზე ჩამყვინთავი არ ვარო და ამიტომ საქმე გამოუძებნეს. მარტო კენჭები რა ბედენააა, წადი ტყეში, ფიჩხი მოაგროვე. ჩვენ სამწვადეს გავახაზირებთ და პატარა სუფრა გავშალოთო. გახარებულმა მილიციელმა თავისი ნაგანი ქამარში გაირჭო და ხმელი შეშის საძებრად გაემართა... ტყის სიღრმეში. ამგვარი პიკნიკები ტბასთან დღეში რამდენჯერმე იმართებოდა და ამის გამო ხმელი შეშის მოძებნა ახლომახლო არც ისე იოლი იყო. კარგა შორს მოუწია შეშის მაძებარ მილიციელს ტყეში შესვლა. იქით და იქით ხმელი ტოტებიც გამოჩნდა და ის იყო, ხელი წაატანა, რომ ბუჩქებიდან ვიღაც ახმახი წამოიმართა ხელში თოფით და უსიტყვოდ ესროლა.

— ეს რა ჩაიდინე, ალი, რისთვის მოკალი, რას გიშავებდა?

— ჯერჯერობით, არაფერს, მაგრამ ცოტა ხანში საქონლის ჯოგს ნახავდა და თავის კოლეგა მილიციელებს დაგვაყენებდა თავზე. ისინი კი შეიარაღებულები არიან. აგერ, ნახე, ამასაც ნაგანი აქვს ქამარში გარჭობილი.

— ვერაფერი გამიგია. საქონლის გულისთვის კაცის მოკვლა როგორ შეიძლება? მიგვეტოვებინა ეს ოხერი საქონელი და გავცლოდით აქაურობას.

— თუ რამე არ მოგწონს, შეგიძლია ახლავე გაგვშორდე, მე კი ეს საქმე კაცის მოკვლად მიღირდა და ამიტომაც მოვკალი. ახლა ამ საქონელს რომ თავი დავანებოთ, ვინ გადაუხდის გადამრეკავებს? მიდი, აბა, მოიჩხრიკე ჯიბეები, არც მე ვაპირებ ვალის აღებას, — ამ სიტყვებზე ალიმ მოკლულს იარაღი აართვა. ნოდარი მიხვდა, ახლა ვითარების გართულება არ შეიძლებოდა. გაავებული ალი ისე აბრიალებდა თვალებს, მასაც არ დაინდობდა და ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინა.

— მგონი მართალი ხარ, ალი. მოწმის სიცოცხლეს ისევ მისი სიკვდილი სჯობია, — ნახირი სასწრაფოდ გააშორეს იქაურობას და შებინდების მოლოდინში ტყის მეორე მხარეს ჩასაფრდნენ. ტბასთან თავშეყრილებს კი ბავშვების ჟრიამულში თოფის ხმა არც გაუგიათ. შეშის მომტანს მეტისმეტად რომ დააგვიანდა, თავი დაიმშვიდეს, აგერ-აგერ გამოჩნდებაო, მაგრამ საღამოს პირზე უკვე აფორიაქდნენ და ძებნა დაუწყეს. ვიდრე გვამს მიაგნებდნენ, ალიმ და მისმა რაზმმა სამშვიდობოს გააღწიეს. გამთენიისას კი სასაკლაოზე შელალეს პირუტყვი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

ეს და სხვა შეფასებები აშშ-ში მცხოვრები და მოღვაწე პოეტის, კომპოზიტორისა და შემსრულებლის, ტატიანა ლებედინსკაიას შესახებ აქვთ გამოთქმული ცნობილ პიროვნებებს. ქალბატონ ტანიას ამერიკაში რუსული ემიგრაციის ვარსკვლავს უწოდებენ და არცთუ შემთხვევით. ის არა მარტო პოეტი, კომპოზიტორი და მომღერალია, ავტორია მწვავე ეპიგრამების, მუსიკალური პაროდიებისა და იუმორისტული მოთხრობებისა. ამასთან, სცენაზე განუმეორებელი იმპროვიზატორია, მის სიმღერებს ასრულებენ მიხაილ შუფუტინსკი, ფილიპ კირკოროვი, დები როუზები, ალექსანდრ მოგილევსკი და სხვები. ტანია ლებედინსკაია გადაღებულია მხატვრულ ფილმებში — პოლ მაზურსკის „მოსკოვი გუძონზე“, ფრუმანის „ინგლისური ენის გაკვეთილი“ და „თეთრი და შავი“. და აი, ამ მომხიბლავ ქალბატონს, რომელიც 24 წელიწადია ამერიკაში ცხოვრობს, დღემდე ახსოვს და უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, მან ნუცა შანშიაშვილთან ერთად დაწერა შესანიშნავი სიმღერა საქართველოზე და დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაზე კარგის მთქმელი უცხოელი ჩვენი უთავობისა თუ მტერ-მოყვარეთა უმადურობის გამო დიდი ხანია იშვიათობას წარმოადგენს, **ტანია ლებედინსკაია** ექსკლუზიურ ინტერვიუს იწყებს ასე:

— უწინარესად, ვულოცავ ქართველ ხალხს შობა-ახალ წელს და მშვიდობას ვუსურვებ. ვიცი, რომ ქართული მიწა სამოთხეა, სამოთხეში კი აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობა, რომ ადამიანები იყვნენ ისევე გულთბილნი, ხელგაშლილნი და მეგობრულნი, როგორც ისტორიულად სჩვევიათ ქართველებს. იმედი მაქვს, შევხვდები ქართველ საზოგადოებას და მსმენელს თბილისში საავტორო კონცერტით და, ბოლოს და ბოლოს, ასრულდება ჩემი დიდი ხნის ოცნება — ვნახო თბილისი, შევხვდე ძველ მეგობრებს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩემნაირი მებრძოლი სულისა და ხასიათის ადამიანები არ სჭირდებოდათ. დისიდენტი არ ვყოფილვარ, უბრალოდ, ისეთივე ანტისაბჭოელი ვიყავი, როგორიც ჩემი თანატოლების უმრავლესობა და ვიცი, რომ 70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი საბჭოთა სისტემის მოძულე იყო. განათლებით ინჟინერი, მოსკოვის რომელიღაც უბადრუკ კანტორაში ვმუშაობდი და ჩემი გამონათქვამების შესახებ ვიღაც კაგებეში მაბეზღებდა. ისინიც ხშირად მოდიოდნენ ჩემს სახლში მილიციის ფორმაში გადაცმულნი, გაუთავებლად მიმოწმებდნენ საბუთებს, გამომწვევად ათვალიერებდნენ ბინას და ბოლოს, იქამდე მიმიყვანეს, რომ პირდაპირ განვუცხადე — ამ წყეულ ქვეყანაში აღარ ვიცხოვრებ, მივდივარ აქედან-თქო. არ ვიცი, რით შევაშინე საბჭოთა ხელისუფლება, ან რომელი „ხალხის მტერი“ მე ვიყავი, რომ დიდხანს არ მაწვალეს და სამ თვეში „გამომაგდეს“. წლების შემდეგ კი, როცა დავწერე სიმღერა „Ñòðàí à ðî äí àÿ, ñòðàí à ÷óæàÿ", ინოკენტი სმოკტუნოვსკიმ საჯაროდ განმიცხადა — ტანია, შენს ხმაში სინანული იგრძნობა, თითქოს წუხხარ შენს ბედზე, არადა ბრალს უნდა

# „ქალს არა აქვს უფლება, იყოს ასეთი ნიჭიერი“

**რობერტ სტურუა**


ტანია ლებედინსკაია

სდებდე ყველას, ვინც გაიძულათ შენ და სხვა ბევრი შესანიშნავი შემოქმედი, დაგეტოვებინათ რუსეთიო.

**— რუსეთზე ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ. რამდენადაც ვიცი, თქვენ გრეგორი პეკს ენათესავებით..**

— ბებიის ხაზით ჩვენი ნათესავები რევოლუციისას გადასახლდნენ პარიზში... ჩემი დეიდაშვილი ვერონიკა პასანი, რომელიც 1934 წელს დაიბადა პარიზში და შემდეგ ცნობილი ჟურნალისტი გახდა, 1954 წელს შეხვდა უკვე ჰოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავად აღიარებულ გრეგორი პეკს ინტერვიუს ასაღებად. ინტერვიუც აიღო გრეგორისგან და იმავე წელს ცოლადაც გაჰყვა! შეაბერდნენ ერთმანეთს... ორი შვილი ჰყავთ — ენტონი და სესილი... საინტერესოა, რომ ვერონიკა არასოდეს გვცნობდა მის ნათესავებს. არადა, მე და ვერონიკა დების შვილიშვილები ვართ. ის მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფრანგია, მიუხედავად იმისა, რომ მამა კორსიკელი იტალიელი ჰყავდა, დედა კი, ანუ ბებიაჩემის და, ებრაელი. ჩვენც მის დედასთან გვქონდა მიწერ-მოწერა, ხოლო როცა გარდაიცვალა, ვერონიკამ ისიც კი არ შეგვატყობინა, სად დაასაფლავა დედა. ამან, ბუნებრივია, უკიდურესად აღაშფოთა ბებიაჩემი, რომელმაც დაწყევლა დისშვილი და ისე მოკვდა, ვერონიკას სახელი აღარასოდეს უხსენებია... ძალიან საინტერესოა ერთი ფაქტი: მრავალი წლის წინ, ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ქალმა ჯეკი კოლინზმა გამოსცა წიგნი „ჰოლივუდელთა ცოლები“, სადაც ზედმიწევნით საუბრობს ვერონიკას ხასიათსა და ქმედებებზე და ასკვნის, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავთა მეუღლეებს შორის, რომელიც მას ოდესმე უნახავს, ვერონიკაზე დიდი „სტერვიატნიკი“ არავინ ყოფილა და არისო!

**— ბრძანეთ, რომ ბავშვობიდან წერდით ლექსებს და სიმღერებს, მაგრამ პროფესიით გახდით ინჟინერი. რატომ?**

— ლიტერატურის ინსტიტუტი, თუ არ ვცდები, მხოლოდ ბელა ახმადულინასა და ევგენი ევტუშენკოს აქვთ დამთავრებული. აი, ანდრეი ვოზნესენსკი არქიტექტორია, ჟვანეცკი — ინჟინერ-მშენებელი, გორინი და არკანოვი — მედიკოსები, ხოლო ზადორნოვი — საავიაციო ძრავების ინჟინერ-მექანიკოსი. სამწუხაროდ, ლიტერატურის ინსტიტუტში შოვინიზმის „სურნელი“ იდგა და ჩემი ადგილი ნამდვილად არ იყო. ამასვე მეუბნებოდნენ ჩემი უახლოესი მეგობრები: ინოკენტი სმოკტუნოვსკი და ევგენი ლეონოვი.

**— ახლა კი რუსეთს „მივხედოთ“. გაქვთ თუ არა რუსეთის ნოსტალგია და კომენტარს გთხოვთ, თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე რუსეთის საზოგადოებასა და მასმედიაში მძვინვარე ანტიქართული კამპანიის შესახებ...**

— თავის დროზე ასეთი ხუმრობანარევი ფრაზა დადიოდა მოსკოვში: სომხებო, გაუფრთხილდით ებრაელებს, თორემ არ იქნებიან ებრაელები და თქვენ, სომხებს მოგდგებიანო. დიახ, ანტისემიტიზმი და ყბადაღებული გამოთქმა „კავკასიური ეროვნების სახეები“, წმინდა წყლის პოლიტიკაა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, უკანასკნელ ლოთსაც კი შეეძლო ქვებით ჩაელეწა ებრაელთა დუქნები და პასუხიც არ ეგო. იყო უსაზარლესი „პოგრომები“. არც საბჭოთა კავშირში გვწყალობდნენ, მაგრამ მოვიდა დრო და ებრაელობის უმრავლესობამ, ვისაც კი ჭკუა ჰქონდა, მიატოვა იქაურობა. დღეს რუსეთში გამოჩნდნენ უკვე „კავკასიური ეროვნების სახეები“. არ იქნებოდით თქვენ, კავკასიელები, სხვა მტრის ხატს გამოძებნიდნენ და მათ გადააბრალებდნენ რუსეთის და რუსების ყველა უბედურებას — თავიანთ უტვინობას, უნიჭობას, უყაირათობას, სილატაკესა და ა.შ. შეხედეთ, რა ხდება დღეს იმავე რუსულ ელიტაში: გასმანოვი მღერის სიმღერას, „Î ôèöåðû, Ðî ññèÿí å...“ უბინძურესი ტექსტით და მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ანუ კვლავაც მძვინვარებს ველიკორუსული შოვინიზმი. ყველაფერს აკეთებენ, რათა გამოათაყვანონ ობივატელი და ტვინი გამოუტენონ იმით, რომ აი, ქართველები, ჩეჩნები, უკრაინელები, ებრაელები არიან ჩვენი მტრებიო. რაც შეეხება რუსეთის ნოსტალგიას, არა მაქვს, მოსკოველი მეგობრების — კი, ბატონო. რუსეთი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არის მხოლოდ მოსკოვი, ნაწილობრივ პეტერბურგი და დანარჩენი გუბერნიები. ამ ქალაქებში ხალხი კარგად ცხოვრობს, ასი კილომეტრის მოშორებით კი შუასაუკუნეობრივი სიბნელე და სილატაკეა...

**— დაბოლოს, თქვენი ქართველი მეგობრებისა და უკვე ცნობილი სიმღერის, „მესიზმრება საქართველოს“ შესახებ.**

— ბევრი ქართველი მეგობარი მყავდა, რომლებიც, სამწუხაროდ, მრავალი წელია თვალით აღარ მინახავს. 1996 წელს მოსკოვში გამართულ ჩემს საავტორო კონცერტზე, სადაც ბუბა კიკაბიძეც მღეროდა, ექსპრომტად ვთქვი სცენაზე: „Áî æå, ÷òî â ñòðàí å òàêî ðèòüñÿ,/ È Ãðóçèÿ í àì òî ëüêî ñí èòñÿ,/ Í î âî ò âû õî äèò Êèêàáèäçå/ È âñå âî ïðîñû òóò âñå ãðàí èöû." ვაღმერთებ ნანი ბრეგვაძისა და რობერტ სტურუას შემოქმედებას, საერთოდ, ქართულ ხელოვნებას. ნუცა შანშიაშვილი კი პირველად იალტის რომელიღაც უსაშინლეს ფესტივალზე ვნახე, სადაც ფაქტობრივად, ვტიროდი უნიჭობისა და არაპროფესიონალიზმის შემყურე, ერთადერთი სწორედ ნუცა მომეწონა. მოგვიანებით, ერთ-ერთ მოსკოვურ „ტუსოვკაზე“ შევხვდი და საავტორო კონცერტზე მივიწვიე, სადაც ჩემი სიმღერა შეასრულა. მას შემდეგ დავმეგობრდით. რამდენიმე წელიწადი არ მენახა და აი, ამას წინათ ჩამოვიდა აქ რომან ვიკტიუკთან და მის მიუზიკლთან ერთად, სადაც ნუცა ედიტ პიაფის როლს ასრულებდა და ბრწყინვალედ მღეროდა. წარმოდგენას ელენა ობრაზცოვა დაესწრო და ბრძანა: ნუცა გენიალური მომღერალი და ნამდვილი ახალი ვარსკვლავიაო! შემდეგ ნუცას ვუთხარი, მე შენ დაგიწერ ლექსს და სიმღერას საქართველოზე-მეთქი. მეორე დღეს მოვიდა ჩემთან და მეუბნება: შენ ლექსი დაწერე, მუსიკას მე შევქმნიო. დავსხედით და ნუცამ დაიწყო საუბარი საქართველოზე, ლაპარაკობდა ემოციურად, მიყვებოდა უამრავ ამბავს, მიხატავდა საქართველოს პეიზაჟებს. მოკლედ, ერთ დღეში დავწერეთ ლექსიც და მუსიკაც. ნუცას 19 იანვარს აქვს კონცერტი ნიუ-იორკში და მოუთმენლად ველით. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი თამრიკო გვერდწითელზე, რომელიც მოსკოვში რატომღაც საკმაოდ ზედაპირულად გამეცნო და არც რაიმე სურვილი გამოუხატავს ჩემთან ურთიერთობისა. არადა, მას შეეძლო ჩემი რომელიმე ახალი ლამაზი სიმღერა შეესრულებინა...

დასასრულ კი მკითხველს ვთავაზობ ჩემს ლექსს:

Ì Í Å ÑÍ ÈÒÜÑß ÃÐÓÇÈß ÂÎ ÑÍ Å

Ì í å ñí ÿòñÿ ãî ðû öâåòà áðî í çû
È ïðÿí í ûé àðî ì àò ïî ëåé,
È ì àí äàðèí î âî å ñî ëí öå
×òî ëüåòñÿ èç ðóêè òâî åé.
Ì í å ñí èø ñÿ òû â í åáåñí î ì ïëàòüå,
Êàê áóäòî ñî òêàí í î ì èç çâåçä,
Ì í å ñí èø ñÿ òû, í à áåëî é ñâàäüáå,
Ãäå ïî ãí èì àåø ü ïåðâû é òî ñò.
Ì í å ñí èòñÿ Ãðóçèÿ,
Ñåðäöå ðÿí í àÿ ì óçû êà,
Äî ëèí òâî èõ çåëåí û å õî ëñòû.
Ì í å ñí èòñÿ Ãðóçèÿ,
Âåñåëàÿ è ãðóñòí àÿ,
Ì í å ñí èòñÿ Ãðóçèÿ,
Ì í å ñí èø ñÿ òû.

*ზურაბ მჭედლიშვილი,*
*ნიუ-იორკი*

# შობის დღესასწაული და თავისუფლება ამერიკულად

(დასაწყისი იხ. გვ. 3)

თვალებს არ ვუჯერებდი, როგორ იჯდა ერთი ბეწო, დახურულ ოთახში ასამდე უბედური ადამიანი და ბედთან შეგუებული კონცლაგერის პატიმარივით აბოლებდა სიგარეტს. რაც მთავარია, აეროპორტის დანარჩენ ადგილებში, სული და გული, ბრწყინავს იქაურობა, აქ კი არათუ ვენტილაცია, ფანჯარაც კი არ იღებოდა. ერთ ღერს რომ მოწევდი, ათის კვამლი შესუნთქული გქონდა... მეორედ, უკვე აეროპორტიდან გასვლა გადავწყვიტე, მაგრამ თავ-ბედი ვიწყევლე, შემოსვლაზე იმდენი ჩხრეკა და დავიდარაბა დამჭირდა. თამბაქოსთან დაკავშირებული სიმკაცრე გასაგებია, მაგრამ სრულიად გაუგებარი იყო ბართან და ლუდთან დაკავშირებული ისტორიები — მით უმეტეს, საქართველოდან ჩასული ადამიანისთვის. ჩვენთან ხომ ყველანაირ სიგიჟეს და გარყვნილებას ამერიკულს უწოდებენ... ჩინურ რესტორანში, შეკვეთილი სადილი რომ მომიტანეს, სასმელს რას ინებებთო, ზრდილობიანი ღიმილით მკითხა მინიატურულმა ჩინელმა ოფიციანტმა. ლუდი მომიტანეთ-მეთქი, მეც მაქსიმალურად გავუღიმე. პასპორტი გაქვსო? — მეკითხება. ის-ის იყო, ჩემ გვერდით მაგიდასთან პოლიციელები დასხდნენ და რას არ იფიქრებს კაცი — შემატყო, უცხოელი რომ ვარ და ამათ უნდა, რომ ასიამოვნოს, შემოწმების მიზნით, პასპორტს მთხოვს-მეთქი. სახელმწიფო დეპარტამენტის „ქსივა“ გავუშანშალე — როგორ გეკადრებათ, ოფიციალური სტუმარი ვარ-მეთქი. ჩინელმა ჩემთვის გაუგებარი მონოლოგი წაიკითხა — სავარაუდოდ, უცხოელი, მით უმეტეს კი სახელმწიფო დეპარტამენტის სტუმრებისადმი თავისი მოწიწება დაადასტურა. შემდეგ უფრო მეტი ჩინური მოკრძალებით გამიღიმა და... რამდენი წლის ხარო, მეკითხება. როგორც თბილისში დამარიგეს, შესაძლოა, ამერიკული ხუმრობა ვერ გამეგო, მაგრამ უნდა შემეფერებინა. ხელით ვაჩვენე, 4 წლის ვარ-მეთქი. რატომღაც, გაცინების ნაცვლად ამოიოხრა, ბოდიში მომიხადა და წავიდა.

— ნეტავ რა უნდოდა, ან ესენი ვერ არიან, ან მე ვერა ვარ დღეს ჩემს ჭკუაზე... — ვფიქრობ და ორი წკირით ბრინჯებს დავდევ. თურმე, ჯერ სადა ხარ. ცოტა ხანში, პატარა ჩინელმა მაღალი ჩინელი ადმინისტრატორი მომიყვანა, რომელმაც პოპულარულ ენაზე ამიხსნა, რომ ამერიკაში 21 წლამდე ასაკის პირებზე ლუდის და ალკოჰოლიანი სასმელების გაცემა კანონით არის აკრძალული. ხოლო კანონი წლოვანებას პასპორტის მიხედვით საზღვრავს და არა თუნდაც ძალიან ჭკვიანი ოფიციანტის შეფასებით (პატარა ჩინელს გულისხმობდა). ამის შემდეგ ყველგან პასპორტმომარჯვებული დავდიოდი. არა იმიტომ, რომ საგანგებო მდგომარეობის გამო ამერიკაში ყოველ ნაბიჯზე საბუთებს ამოწმებენ — ასეთი რამ საერთოდ არ ხდება. ალბათ, ჩვენთვის, სადაც ყველაფერ წრეგადასულს ამერიკული ცხოვრების წესად აფორმებენ, საყურადღებო უნდა იყოს, რომ უმთავრესი, რისთვისაც ამერიკელები პირადობის მოწმობებს იყენებენ, ასაკის დადგენაა, რათა გაარკვიონ, ეხება თუ არა მის წარმომდგენს ის უამრავი ზნეობრივი ხასიათის შეზღუდვა, რაც ცალკეულ შტატში და მთლიანად ამერიკაშია დაწესებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კანონის რისხვისგან ვერც ასაკი გიხსნით და ვერც პასპორტი. ჩვენი დელეგაცია ასეთ დღეში ჰოლივუდის მახლობლად, პატარა ქალაქ სანტა-მონიკაში აღმოჩნდა. მიკროავტობუსი სუპერმარკეტის მახლობლად გავაჩერეთ და ვინ ლუდის, ვინ სიგარეტის საყიდლად გადავედით. მაღაზიიდან გამოსული იქვე გავჩერდი და სიგარეტს მოვუკიდე. გამვლელი მომიახლოვდა და მოკიდება მთხოვა. ასანთი მივაწოდე და „ბუდვაიზერის“ ბოთლი მოვიყუდე. ამერიკელი საშინლად შეშფოთდა — ასანთი მომაჩეჩა და იქაურობას ისე გაეცალა, თითქოს ბინ ლადენი ვიყავი. ამასობაში მაღაზიიდან ჩვენი თანმხლები ამერიკელიც გამოვიდა და სასწრაფოდ მანქანაში შეგვტენა — თურმე ქუჩაში, სახალხოდ ლუდის დალევაც კი არ შეიძლება, არათუ სხვა ალკოჰოლიანი სასმელისა. ლუდის დალევა არ შეიძლება არც მანქანაში, თუნდაც მიკროავტობუსში სულ უკან იჯდე... რაც შეეხება ამერიკულ ფილმებს, რომლებიც ზოგიერთი ჩვენი ტელეარხის წყალობით ძალადობისა და სისხლის მდინარეების სიმბოლოდ არის ცნობილი — კინოთეატრების აფიშებზე ჩემი ყურადღება კინოფილმების გვერდით მიწერილმა აბრევიატურამ მიიქცია.

უმთავრესი, რისთვისაც ამერიკელები პირადობის მოწმობებს იყენებენ, ასაკის დადგენაა, რათა გაარკვიონ, ეხება თუ არა მის წარმომდგენს ის უამრავი ზნეობრივი ხასიათის შეზღუდვა, რაც ცალკეულ შტატებში და მთლიანად ამერიკაშია დაწესებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში კანონის რისხვისგან ვერც ასაკი გიხსნით და ვერც პასპორტი.


დისნეილენდში შემსვლელებსაც კი გულდასმით ამოწმებენ

როგორც შემდეგ გავარკვიე, კინოფილმები კატეგორიებად იყოფა. იქ, სადაც სექსუალური სცენები და ძალადობა შეიძლება იყოს, 15 წლამდე ბავშვების შესვლა არ შეიძლება, თუნდაც მშობლებთან ერთად იყვნენ. 15-დან 21 წლამდე კი მხოლოდ მსუბუქი ეროტიკული სცენების ნახვა შეუძლიათ. საზოგადოებრივი ტელევიზიით სისხლითა და ტყვია-წამლით გაჯერებულ საშინელებათა ფილმებს უბრალოდ, არ უჩვენებენ, — რადგან ასეთი ფილმები მხოლოდ გარკვეულ საკაბელო არხებზე, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ შეიძლება ნახოთ.

*დაჩი გრძელიშვილი*

## მომდევნო ნომერში იხილავთ:

**როგორ ამოწმებდნენ „კვირის პალიტრა“ და საქართველოს უშიშროების საბჭო ამერიკის ციხეებს;**

**რამდენია ამერიკელი პოლიციელის ხელფასი;**

**ასევე შეიტყობთ, რას ფიქრობს მასონების ლოჟის გრანდ-მასტერი ქართველ კოლეგებზე.**



**წმ. თეოფანე დაყუდებული**

# როგორ უნდა შეხვდეს ახალ წელს ქრისტიანი

## 1(14) იანვარი: ახალი წელი, წინადაცვეთა უფლისა, წმინდა ბასილი დიდის ხსენება

ახალი წელი რადგან წელიწადის დღეთა დასაწყისია, ამიტომ ამ დღეს მართებულია სულში იმგვარ ზრახვათა, გრძნობათა თუ გუნება-განწყობათა მოკრება, რომლითაც შესაძლებელია მთელი წლის მანძილზე ყოველი საქმის ქრისტიანული ღირსებით წარმართვა. ამისათვის უნდა დავფიქრდეთ, რას ნიშნავს ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ახალი წელი — სულიერ ცხოვრებაში ახალი წელია, როცა დაუდევრად მცხოვრები ვინმე, ცხონებისა და ღვთის სათნოყოფისათვის ღვაწლს შეუდგება: როცა ამას ვინმე გადაწყვეტს, მაშინ ყოველივე შინაგანი და გარეგანი მასში ხელახლა და ახლებურად გარდაიქმნება — ძველი მანკიერება დატოვებს და ყოველი განახლდება. და თუ შენ გაქვს ეს საუნჯე — განიახლე: ხოლო თუ არა — მოიხვეჭე და შენთვის ახალი წელი დადგება.

ამ წუთიდან ადამიანი თავის საცხოვნებლად მხოლოდ ღვთისათვის იწყებს ცხოვრებას, მაშინ, როცა უწინ მხოლოდ თავისთვის, საკუთარი თავის წარსაწყმედად ცხოვრობდა. ამიერიდან იგი განიშორებს უწინდელ ჩვევებს, რაშიც სიამეს პოვებდა; მოიკვეთს ვნებებსა თუ ავხორცობას, შეიძენს და შეითვისებს თვითანალიზისა და თვითკონტროლის უნარს.

მოციქულთა განმარტებით, ზუსტად ამგვარ ცვლილებას უნდა გულისხმობდეს გულის დაცვეთა — რასაც შეგვახსენებს და გვავალებს უფლის წინადაცვეთის დღესასწაული და რის მაგალითსაც წარმოადგენს წმინდა ბასილი დიდი, რომლის ხსენებაც აღესრულება ამ დღეს. და თუ უფალი უწყალობებს ვინმეს ახალ წელს ამგვარ განწყობას, ანუ — არა მხოლოდ ამგვარად ფიქრს, არამედ ყოველივე ამის განხორციელებას, მაშინ იგი უაღრესად ქრისტიანულად იდღესასწაულებს ახალ წელს და განემზადება მთელი წლის ქრისტიანულად გატარებისათვის.

შემდეგ ახალ წელს კი მას მხოლოდ განახლება და აწ შეთვისებულის გაცხოველება დასჭირდება.

# ...და როგორ ხვდებიან ახალ წელს წარმართები

ახალი წლის დღესასწაული, ბავშვობიდანვე ეგზომ ნანატრი და საყვარელი ყოველი ჩვენგანისათვის — ნაყროვანებით, სიცილ-ხარხარით, გართობა-თამაშობებით, ბევრს შემთხვევაში კი ღრეობითა და ლოთობით და სხვა მრავალი მომყოლი ცოდვებით აღსავსე ღამე, სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა უძველესი წარმართული კერპის — იანუსის დღესასწაულის აღორძინება!

იანუსის კერპს ორი სახე ჰქონდა — ერთი წარსულისაკენ იმზირებოდა, მეორე კი — მომავლისაკენ; მის დღესასწაულზე წარმართები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ეჭამათ, ესვათ, ემხიარულად, ხორციელი სიამეებით დამტკბარიყვნენ, ესიძვ-ემრუშათ და ა.შ. რათა ასეთი „კეთილდღეობა“ და ქვეყნიურ-ხორციელი სიამეები მთელი წლის განმავლობაში „დაჰბედებოდათ“: მათი ცრურწმენით, როგორი „მსუყეც“ იქნებოდა იანუსის დღესასწაულის ღამე, იმგვარივე „მსუყე“ იქნებოდა მთელი წელიწადიც.

ეს იყო და ვაგლახ, რომ დღესაც არის, წარმართული კერპისადმი — ანუ შეწირული მსხვერპლი — უზომო გემოთმოყვარეობითა და ნაყროვანებით სულის ცხონების გზის ჩახშობა.

საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია

# მეფე თეიმურაზ მეორე



ქართლის სამეფო ტახტზე თეიმურაზ მეორის სვიან ხელმწიფობას ქართული საისტორიო მატიანეები იმ გარემოებით ხსნიან, რომ მას „სარწმუნოება ჰქონდა მტკიცე და გოლიათობა შეურყეველი“. ღვთისმოსავ ხელისუფალს მთელი ცხოვრების მანძილზე წუთითაც არ დაუკარგავს მაცხოვრისადმი სასოება, რასაც თავის გალექსილ სტრიქონებშიც ადასტურებდა:

*„სოფლისა განსაცდელები*
*მე ბევრი მამხდენია — და*
*ქრისტესა გამოვუხსნივარ,*
*ჭირები მამლხენია — და...“*

ღვთისა და მამულის წინაშე ვალმოხდილ თეიმურაზს სიკვდილის წინ ღვთისმშობლის ხატი მოუტანინებია და თვალცრემლიანს უთხოვია მისთვის, — საქართველოს ერს შენი წილხდომილება განუახლე და იხსენი იმდენის შეწუხებისაგანო...

ქვემოთ გთავაზობთ საშობაო სადიდებლის ფრაგმენტს მეფე თეიმურაზ მეორის ვრცელი პოეტური ქმნილებიდან: „დღისა და ღამის გაბაასება“:

# ხორციელად შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი



...ბეთლემს შუაღამეს იშვა მეუფე და ღმერთი ჩვილად,
მათე დასწერს შობისასა სიტყვას სრულად, თუმცა ტკბილად,
პირველ თავში სულ სწერია, როგორც იყო, განწყობილად,
კაცთა მხსნელად გამოგვიჩნდა ქალწულისგან მუნ შობილად.

მოგვნი იყვნეს დიდებულნი, სამივ ძენი მეფისანი,
ვარსკვლავთმრიცხველ, რიტორ-ბრძენნი კაცნი დიდის სწავლისანი,
მათ შეიტყვეს ვარსკვლავითა საქმე ქრისტეს შობისანი,
უკან გაჰყვნენ ვარსკვლავს ჩქარად, არ დამგდები მის გზისანი.

მათ მოგვთა გზა სითაც წავა, ჰეროდესთან გაივლების,
რა შეიტყობს მათს საქმესა, დაუძახებს, ეზრახების,
ეტყვის: „მეცა მაცოდინეთ, თაყვანსა ვსცემ“ — დაჰპირდების,
ჩქარად წავლენ, სწრაფით მივლენ, სად ვარსკვლავი დაადგრების.

ქვაბს შევიდნენ, თაყვანი სცეს, ღმერთი ნახეს ხორცშესხმულად.
ოქრო, მური და გუნდრუკი მათ მიართვეს შეწირულად,
მაშინ იყო სიტყვა ღვთისა ბაგას მჩვრითა შეხვეულად,
ძილსა შინა მოგვთა ნახეს ანგელოსი ჩვენებურად.

„ჰეროდესთან ნუ გაივლით!“ — ანგელოსი ეჩვენება,
სხვას გზით წავლენ სოფლად თვისად, დაიჯერეს, დართვეს ნება,
რა შეიტყობს თვით ჰეროდე, გაფიცხდება, გაჯავრდება,
ღვთის მტერობით ყმაწვილები ბეთლემს ბევრი მოისრება!

უწინ წაიყვანს ჩვენებით იოსებ დედით ყმასაო,
ნაზარეთს მივლენ; ჰეროდე ჩვილთა დაუწყებს სრვასაო,
ნაზარეველი ამისთვის ადრიდგან ეწოდასაო.
დღევ, დაემზადე ამისის პასუხის მოცემასაო!

გულითადი განდობანი

# ნათლობის მადლი

რაიონის სამშობიარო განყოფილებაში შეგვეძინა დღენაკლული — შვიდი თვის ბავშვი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც დაბადებიდან მესამე დღეს მეტად დამძიმდა და სასწრაფოდ სამედიცინო დახმარების მანქანით გადავიყვანეთ ქ. თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს დღენაკლულ ახალშობილთა რეანიმაციულ განყოფილებაში, იქ საკმაოდ მძიმე დიაგნოზით გადაყვანილ იქნა აპარატის მეშვეობით მართვად სუნთქვაზე. მაღალკვალიფიციური ექიმების დაუღალავი შრომისა და საკმაოდ ძვირად ღირებული მედიკამენტების გამოყენების მიუხედავად, დღითი დღე ბავშვის მდგომარეობა უარესდებოდა. ერთ საღამოსაც მკურნალი ექიმი მოვიდა ჩემთან და დაუფარავად მითხრა, რომ ახალშობილის მდგომარეობა კრიტიკული გახდა და ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი; მე მაშინვე დავრეკე ჩემს მეჯვარესთან და ვთხოვე, რომ მოეყვანა მღვდელი და ბავშვი სიკვდილის წინ მართლმადიდებლურად მოგვენათლა. დაახლოებით, ღამის თერთმეტ საათზე ჩემი პატარა მოინათლა და მოხდა ჩვენთვის სასწაული — რამდენიმე საათში ბავშვის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, გამოსწორდა გულის მუშაობა, დაიწყო დამოუკიდებელი ნორმალური სუნთქვა, აღდგა რეფლექსები და გაუმჯობესდა სისხლის მაჩვენებლები; მოკლედ, ბავშვი გაცოცხლდა. მთელი მედპერსონალი გაკვირვებული იყო და გაოცებულნი იძახდნენ, ჩვენ ასეთი რამის მომსწრენი არ ვყოფილვართო. მონათვლიდან ოცი დღის მერე ბავშვი გამოწერეს სრულიად ჯანმრთელ მდგომარეობაში.

ეს იყო უფლისმიერი მადლის მოფენა და უსაზღვრო, ენით აუწერელი კაცთმოყვარეობისა და სათნოების გამოვლინება სიცხადით ცოდვილ ადამიანებზე.

მე ჩემი ამბავი ბევრისთვის მომიყოლია და, ამჯერადაც, მოხარული ვიქნები, თუ ეს პატარა ისტორია ერთ-ორ კაცს მაინც განუმტკიცებს რწმენას და ღმერთის სიყვარულს, რწმენას და სათნოებას!

***ალექსანდრე ღლიღვაშვილი***
***სიღნაღის რ-ნი, სოფ. ნუკრიანი***

# სასწაულმოქმედი ხატები

ჩვენი „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი“ გვერდის გასული წლის აგვისტოს ნომერში (26/VI-1X), „საქრისტიანო მოამბის“ რუბრიკაში ვიტყობინებოდით, რომ 11 სექტემბრის ამერიკული ტერაქტის



**მღვდლები წმ. ნიკოლოზის გადარჩენილი ხატით**

შემდეგ, სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენთა ჩრდილში მდგომი წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან რამდენიმე ხატი გადარჩა უვნებლად, რასაც მართლმადიდებელნი უფლისაგან ბოძებულ ხილულ სასწაულად მიიჩნევდნენ.

ქვემოთ გთავაზობთ ამ ფაქტის დამადასტურებელ ფოტომასალას ინტერნეტიდან, რომლის ინგლისურენოვანი წარწერა ქართულად ასე წაიკითხება:

„მიტროპოლიტი თეოდოსი მიუძღვის მლოცველებს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ჩამონაშალისაგან დანგრეული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაფუძრისაკენ. მღვდელს ხელში უჭირავს წმინდა ნიკოლოზის გადარჩენილი ხატი, რომელიც ეკლესიის ნანგრევებში იყო ნაპოვნი“.

• • •

ქალაქ აბაკანში ცხოვრობს პატარა გოგონა სოფიო, რომელიც ამჟამად 2 წლისაა. როდესაც ის 4 თვისა იყო, მათ სახლში ხანძარი გაჩნდა. შუაღამისას ოჯახის წევრები უჩვეულო ტკაცანმა და ელვამ გამოაღვიძა — კედლებს ცეცხლი ეკიდა და სახლიდან გასაღწევი ერთადერთი გასასვლელიღა იყო დარჩენილი — ფანჯრიდან, საიდანაც სწორედ ერთი კვირის წინ, სოფიოს მამამ (თავადაც რომ არ უწყოდა, რა მიზეზით) ჩამოხსნა რკინის ცხაური. მათ გატეხეს ფანჯარა და შიშვლები გაიქრნენ ქუჩაში შუა ზამთარში. გარეთ საშინლად ყინავდა. მეხანძრეების მოსვლის დროისათვის სახლი უკვე იფერფლებოდა. დილით სოფიოს მამა წავიდა ამბის გასაგებად და ნახანძრალზე მხოლოდ შიშველი კედლები დახვდა. დაიწვა ყველაფერი. ერთადერთი, რაც გადარჩა, იყო წმინდა სოფიოს ხატი, რომელიც გოგონას ნათლიამ აჩუქა მისი ნათლობის დღეს — ხის ჩარჩოსა და შუშაში ჩასმული უბრალო, ქაღალდის ხატი, რომელიც სოფიოს თავთით შემოედოთ თაროზე. დაიწვა საწოლი, ის თარო, რომელზეც ხატი ესვენა, ხატის ხის ჩარჩო — ხოლო ქაღალდი ხატის გამოსახულებით — გადარჩა. დღეს ეს ხატი სოფიოს ოთახში ჰკიდია, ახალ ჩარჩოში ჩასმული.

# ქრისტიანული ტაძრები აჭარისწყალზე

სოფელ აჭარისწყალში, ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კარიბჭის ხატის (პორტაიტისას) სახელობის ტაძარი. ტაძარი შენდება ქალაქ ბათუმის მერიის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფონდ „მემორიალის“ დაფინანსებით, აჭარის კარატეს ნაკრებისა და თენგიზ ბაკურიძის თანადგომით.

მომავალი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია მდინარის პირას კლდის ქვაზეა ნაგები მდინარისავე ქვით.

10 ნოემბერს გაიხსნა ეკლესიის პირველი სართული. იმავე დღეს დეკანოზმა გიორგი მულაძემ ჩაატარა პირველი ნათლობა; ხოლო მომავალ გაზაფხულზე ნავარაუდევია წმინდა ბარბარეს ეკლესიაში ამჟამად დაბრძანებული ივერიის ღვთისმშობლის კარიბჭის ხატის დიდების სვლით ამ ტაძარში ატანა!

ამ ტაძრის გარდა, მდინარე აჭარისწყალზე კიდევ რამდენიმე ადგილას არის დაწყებული ეკლესიების მშენებლობა — დასასრულს უახლოვდება წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ვარეში, საძირკველია ჩაყრილი ბაბუჩოღლებში, მიმდინარეობს მშენებლობა ოლადაურში... სულ მალე მდინარე აჭარისწყლის ხეობა ერთიანად გაბრწყინდება ქრისტეს ნათელით!

***ზურაბ ზაქარიაძე (ბათუმი)***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, რატომ იწოდება ძე ღვთისა „მხოლოდშობილად“?**

— „წმინდა წერილი“ განცხადებულად გვასწავლის, რომ ძე ღმრთისა არის მხოლოდშობილი (ერთადერთი ძე-ღმერთი მამა ღმერთისა): „ღმერთი არავინ სადა იხილა, გარნა მხოლოდშობილმან, იმიტომ, რომ მხოლოდ იგია არსისმიერად ძე ღმრთისა“.

სხვანი ღმერთის ძეებად იწოდებიან მადლისა და შვილობის გამო, და არა ბუნებისმიერად: ასეთნი არიან ერთგულნი მორწმუნენი და რჩეულნი ღმრთისანი. შვილობის ეს მადლი, როგორც ამას წმინდა წერილი ამბობს, ქრისტეს მიერ მოგვენიჭება.

**— რუსულ მართლმადიდებლურ ლიტერატურაში ამოვიკითხავს შობისწინა „სოჩელნიკის“ შესახებ. რას ნიშნავს ეს ტერმინი ქართულად და რას გულისხმობს იგი?**

— „სოჩელნიკი“ (რასაც ქართულად შეესატყვისება წინდე, ანუ მწუხრი შობისა. — რედ.) დაწესებულია იმ საღამოს აღსანიშნავად, როდესაც ყოვლადწმინდა მარიამი და იოსები ჩავიდნენ ბეთლემში. ვიხსენიებთ მათ ყოფნას გამოქვაბულში, სადაც იმ ღამეს იშვა იესო ქრისტე. ეს საღამო იწოდება სიკეთისა და მადლის საღამოდ, რადგან ქვეყანას მოევლინა მხსნელი ჩვენს გადასარჩენად, რითაც უფალმა თავისი უსაზღვრო სიყვარული გამოამჟღავნა ცოდვით დაცემული კაცობრიობის მიმართ. „სოჩელნიკი“, ანუ შობის წინა დღე იწყება მკაცრი მარხვით და ბოლოვდება ოჯახის წევრების საზეიმო შეკრებით სუფრასთან, სადაც ისინი საგანგებოდ უმასპინძლდებიან ერთმანეთს და ცვლიან საშობაო საჩუქრებს.

საქართველოში შობის წინა საღამოს ოდითგან სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად უხმობდნენ. სამეგრელოში მას *ქირსე საღამოს* (ქრისტეს საღამოს) ეძახდნენ, გურიაში — *მრავალწლობას*, იმერეთში — *კორკოტობას*, რაჭაში — *კორკოტობას ან ჭანტილობას*, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — *ჭენტილობას*, ზემო სვანეთში — *შობას*, ქართლში — *ქრისტეს კორკოტობას*, ხევში — *ყორბოულობას*, მთიულეთ-გუდამაყარში — *თხილობის ღამეს* და სხვა.

რაჭაში ვახშმისთვის აცხობდნენ სამ განატეხს — საწესო პურს (ნიგვზიანს); ლეჩხუმში — სამ პატარა კვერს — ჯვარდასახულ, „ხვავის ტაბლას“; სვანეთში — ლობიან პურებს და მუჯორს (კანაფის თესლისგან). გურიაში შობის წინა დღით საშობაოდ აცხობდნენ ღვეზელს — ნახევარმთვარის ფორმის საწესო პურს, რომელშიც ჩაურთავდნენ ყველს და გამომშრალ, შებოლილ კვერცხებს, სამეგრელოში — ღვეზელი და მუცლის სალოცავი კვერი იცოდნენ.

და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული იყო ქრისტეს მახარობლების სიარული ალილოზე, რომლებიც კარდაკარ დაივლიდნენ ოჯახებს და ულოცავდნენ შობას. მეალილოეებს ხელცარიელს არავინ უშვებდა — მათ ან შინ შეიპატიჟებდნენ ან გარეთ გაუტანდნენ ხოლმე ფულსა თუ სანოვაგეს.

**— რა იგულისხმება „მრწამსის“ განსაზღვრებაში, როდესაც ვამბობთ, რომ მაცხოვარი მარიამისაგან ქალწულისა „განკაცნა“?**

— როდესაც ვამბობთ, რომ იესო ქრისტე „განკაცნა“, ჩვენ ამით ვაღიარებთ: ძემ ღვთისამ მიიღო ჭეშმარიტი, ნამდვილი ადამიანური ბუნება ყველა მისი მახასიათებლით, ცოდვის გარდა.

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



*გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა*

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

### „არა არს დაფარული...“

## „ეს რა ჩაიდინე!“



შემთხვევის ადგილზე პერანგის სახელოს ნაწილი და ქაღალდის ნაგლეჯი იპოვეს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა დენთის სუნი. ჩანდა, იგი აზერბაიჯანული სახელმძღვანელოდან იყო ამოხეული ვაზნების დასატენად. გამომძიებელმა გალმა სოფელს გახედა და გადაჭრით განაცხადა: მკვლელი იორ-მუღანლოში უნდა ვეძებოთო. სოფლის სკოლის აზერბაიჯანული ენის მასწავლებელმა განაცხადა, რომ ქაღალდის ეს ნაგლეჯი მეექვსე კლასის ქრესტომათიის წიგნიდან იყო ამოხეული და გადაწყდა, იმავე დღეს ყველა მეექვსეკლასელის სახელმძღვანელო შეემოწმებინათ. ასე მიადგნენ ალი-მამედ-ოღლის (მისი გოგონას წიგნიდან გახლდათ ის ფურცელი ამოხეული). თუმცა შეიძლებოდა, ეს ალის გარდა, სხვასაც გაეკეთებინა, თუნდაც რომელიმე მეზობელს. ბავშვები ხომ ხშირად ნათხოვრობდნენ წიგნებს ერთმანეთისგან. ალიმ განსაცდელის მოახლოება იგრძნო და გუნებაარეული ისე გამოთვრა სოფლის სასადილოში, რომ გონებადაბნელებულმა ერთიანად დალეწა იქაურობა. გამოძიებას საბაბი გაუჩნდა და ალი დააკავეს. სახლიც გაუჩხრიკეს, სადაც სახელოგლეჯილი პერანგი იპოვეს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ყველაფერი თითქმის სახეზე იყო. რჩებოდა მხოლოდ აღიარება, მაგრამ ალისთანები ასე იოლად დასაყოლიებლები არ არიან.

**— ეს საქმე კაცის მოკვლად მიღირდა და ამიტომაც მოვკალი. ახლა ამ საქონელს რომ თავი დავანებოთ, ვინ გადაუხდის გადამრეკავებს? მიდი, აბა, მოიჩხრიკე ჯიბეები, არც მე ვაპირებ ვალის აღებას, — ამ სიტყვებზე ალიმ მოკლულს იარაღი აართვა. ნოდარი მიხვდა, ახლა ვითარების გართულება არ შეიძლებოდა. გაავებული ალი ისე აბრიალებდა თვალებს, მასაც არ დაინდობდა და ჩათრევას ისევ ჩაყოლა აჯობინა.**

— უფროსო! მოკლულის სურათები მოვიტანეთ, ხომ არ ნახავდით? — ზღურბლზე მილიციის სერჟანტი იდგა ფოტოებით ხელში.

— ახლა მაგისთვის არ მცალია, მაგრამ რაკი აქამდე მოხვედი, ბარემ დავხედავ... — გამომძიებელი კარგა ხანს ჩასჩერებოდა ფოტოებს. მერე ვითომ სხვათა შორის დაკავებულს გაუწოდა და ყასიდად ჰკითხა: — ხომ არ გეცნობა?

— არა, საიდან? — სახეზე ჭირის ოფლმა დაასხა ალის.

— აბა, კარგად დააკვირდი.

— არა-მეთქი, ხომ გითხარი. მე რაც დავაშავე, იმაზე პასუხს ვაგებ. სასადილო დავამტვრიე, გავაკეთებ. სხვა არაფერი ვიცი.

— აი, ეს ფურცლის ნაგლეჯი შენი გოგონას წიგნიდანაა ამოხეული, შენი თოფიდან გასროლილი ვაზნების დასატენად რომ იყენებდი. სახელოს ეს ნაგლეჯიც შენი პერანგისაა და, ბოლოს და ბოლოს, ექსპერტიზამაც დაადასტურა, რომ არაფერი გვეშლება. თოფიც ვიპოვეთ, ახლა ის იარაღიღა დაგვრჩა ამოსაღები, მოკლულს რომ აართვი.

— იმ გიაურმა, ნოდარამ გამყიდა. იმის სისხლს დავლევ, დამაცალოს! — ღრიალებდა ალი და ფანჯრიდან გადახტომას ცდილობდა, თუმცა გისოსები საიმედოდ იცავდნენ გამომძიებლის სამუშაო ოთახს.

— არ გინდა, ალი, აქედან გაღწევაზეც არ იფიქრო. ყველაფერი ვიცით. მათ შორის ისიც, რომ იმ დღეს შენ და შენმა ძმაკაცებმა ჯერ ოთხი მგზავრი გაძარცვეთ, მერე ტაქსის მძღოლი. ბოლოს ტრაქტორისტს დაესხით თავს, აიძულეთ, ცოლის ბეჭდები მოეტანა სახლიდან. მერე კი, როცა დაღამდა, საქონელი გამოირეკეთ და რიყრაყს სადუღის ტბასთან, ტყეში შეხვდით. ყველაფერ ამას დანაშაულში ოთხი პირის ჩათრევაც დაემატება, იმათი, ვისაც საქონელი გადმოარეკინეთ. ახლა კი საქმეს ნუ გაგვირთულებ და თუ კაცი ხარ, რევოლვერის სამალავი გვითხარი, — გამომძიებელს სიტყვა არ დაემთავრებინა, ალი ერთბაშად მოტყდა. ნელნელა მოიკაკვა, დაპატარავდა და ისეთი დამთმობი გახდა, იფიქრებდით, სულ სხვა კაციაო.

— ბუხრის ყელში აგური უნდა გამოიღოთ. იქ გადავმალე, თქვენ ვერ მიაგნებთ, დედაჩემმა იცის.

ზულეია ხანუმმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რა ნაგანი, რის ნაგანი, ჩემი ბიჭი ტყუილად გყავთ დაჭერილიო. საღამომდე უკირკიტეს ბუხარს პროკურორმა და მილიციელებმა. იმ აგურსაც მიაგნეს, რომელზეც ალი მიუთითებდა, მაგრამ სამალავი ცარიელი იყო. მოგვიანებით, როცა ოქმის წერას მორჩნენ, სადაც იმაზე იყო ლაპარაკი, სახლში ამჯერად საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთო, ზულეია ხანუმმა შვებით ამოისუნთქა და პოლიციელებთან გამომშვიდობებისას მკვეთრად შებრუნდა, მისი კაბის კალთა ინერციით გაქანდა და მაგიდას ისე მიეხეთქა, რომ ყრუ, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი ხმა გამოსცა. ზულეიას კალთის ჯიბეში ჰქონდა გადამალული ნაგანი.

*P.S. ამ ამბებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ატატო ბებიას მწვანეში ჩადგმულ სახლს ორი უცნობი ეწვია და ნოდარი მოიკითხეს.*

*— ნოდარი, შვილო, აგერაა, აივანზე წამოწოლილი და წიგნს კითხულობს, ენაცვალოს ბებო, — ამის თქმა და უცნობების დამნახავმა ნოდარმა აივნიდან ისკუპა. იმავე წამს ტყვიამაც იწივლა და სულთმობრძავი შვილიშვილი ბებიის ფეხებთან დავარდა.*

*ამბობდნენ, ალის ხალხმა დასაჯაო ნოდარი, რომელსაც ღმერთი, რჯული, მის დაჭერაში იოტისოდენი ბრალი არ მიუძღოდა. უბრალოდ, ასეთი დაუნდობელია დამნაშავეთა განაჩენი.*

**ვაჟა გავაშელი**




CMYK

# ვარსკვლავები უწინასწარმეტყველებენ...

**კუროს** თანავარსკვლავედში დაბადებულ აზერბაიჯანის ლიდერს **ჰეიდარ ალიევს** 2003 წელს უშფოთველი ცხოვრება ელის, მაგრამ ვარსკვლავები ირწმუნებიან, რომ სახელმწიფოს მეთაურს წლის პირველ ნახევარში ერთი აზრი აეკვიატება — პირადი ბედნიერების მოსაალი ცხოვრების დაწყებას უწინასწარმეტყველებენ. განსაკუთრებით გაუჭირდება წლის დასაწყისში. ვარსკვლავები ურჩევენ, გამოიჩინოს კეთილშობილება, დაივიწყოს ძველი წყენა, შეურიგდეს მტრებს და მაშინ ბედი მისკენ შემობრუნდება.



რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმირ პუტინს სასწორისთვის** დამახასიათებელი მერყეობა პრობლემას შეუქმნის. თუ დაბრკოლებას გადალახავს, 2003 წელი რუსეთის ლიდერს ავტორიტეტის განმტკიცებას, მომგებიან საზღვარგარეთულ მოგზაურობას და ახალი პარტნიორების შეძენას ჰპირდება.

**თხის რქის** ზოდიაქოში დაბადებულ **ედუარდ შევარდნაძეს** 2003 წელს უპირველეს საზრუნავად საკუთარი ჯანმრთელობა ექცევა. საქართველოს პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა დასძლიოს შინაგანი ნეგატიურობა, ისწავლოს საკუთარი საქციელის ობიექტური შეფასება. ვარსკვლავები ირწმუნებიან, რომ მისთვის ეს წელი ფინანსურად ძალზე მომგებიანი იქნება, ახალი კრედიტები, სესხები და სარგებლიანი ფინანსური წინადადებები ელის.

პოვებლად მიატოვოს მშობლიური კერა, გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი და მოქალაქეობაც კი. თავად აზერბაიჯანს ეკონომიკური კრიზისი დაატყდება თავს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

**ქალწულის** ნიშნით დაბადებულ სომხეთის პრეზიდენტ **რობერტ ქოჩარიანს** 2003 წელს ვარსკვლავები სირთულეებით სავსე ახ-

*gazeta. SNG*

# აშშ და სუუამის ქვეყნები თანამშრომლობას განამტკიცებენ

ევროპისა და ევრაზიის საქმეებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ელიზაბეტ ჯონსი ვაშინგტონში შეხვდა სუუამის ქვეყნების — საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის ელჩებს. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ აშშ-სუუამის ერთობლივი პროექტის შემდგომ ნაბიჯებზე, რომელიც ითვალისწინებს ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ასევე სამართალდამცავ სფეროში ხელის შეწყობას. ითქვა, რომ დროა, ამუშავდეს „ჩარჩო-ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პუნქტები — ვაჭრობის ხელშეწყობა, საზღვრისა და საბაჟოს კონტროლის უზრუნველყოფა; ტერორიზმთან, ორგანიზებულ ბანდიტიზმთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ერთობლივი ბრძოლა. სუუამის ქვეყნებს შესაძლებლობა ექნებათ აწარმოონ მოლაპარაკება მსოფლიო ბანკთან სასაზღვრო პუნქტების მოდერნიზაციისთვის შეღავათიანი კრედიტების მიღების შესახებ. გადაწყდა, რომ მუშა ჯგუფი მორიგეობით შეიკრიბება სათათბიროდ სუუამის ქვეყნებში. პირველი შეკრება ბაქოში გაიმართება 2003 წლის თებერვალში.

*ვაშინგტონ პოსტი*

# ინტერაქტიული გამოკითხვა გაზეტა.რუ-ს საიტზე

**დსთ-ის რომელი სახელმწიფო შევა პირველი ნატოში?**



1. საქართველო — 55%
2. ყირგიზეთი — 23%
3. აზერბაიჯანი — 13%
4. უკრაინა — 8%

**რა შედეგს გამოიღებს ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების საქართველოდან სომხეთში გადასვლა?**

1. რეგიონში სომხეთის პოზიციების გამყარებას — 30%



2. საქართველოსა და აზერბაიჯანში თურქეთის სამხედრო გავლენის გაძლიერებას — 54%
3. რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის გამწვავებას — 16%

**რა რეაქცია ექნება მოსკოვს თბილისის მოთხოვნაზე, გადაუხადოს რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნის საზღაური?**

1. გადაუხადონ მოთხოვნილი 15 მლრდ დოლარი — 25%
2. შეუწყდეს საქართველოს გაზის მიწოდება — 56%
3. უარი ეთქვას საქართველოს მოთხოვნას — 19%

**2005 წელს დაგეგმილია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში გაშვება. რამ შეიძლება გადაავადოს ეს?**

1. საქართველოს შიდაპოლიტიკურმა არასტაბილურობამ — 16%
2. აზერბაიჯანის ნავთობის რესურსების ნაკლებობამ — 67%



3. ვაშინგტონის პოზიციის შეცვლამ — 17%

**დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტთაგან ვინ შეინარჩუნებს პოსტს 2003 წლის ბოლომდე?**

1. ჰეიდარ ალიევი — 34%
2. რობერტ ქოჩარიანი — 14%
3. ვლადიმირ პუტინი — 10%
4. ედუარდ შევარდნაძე — 9%
5-6. ისლამ ქარიმოვი, ემომალი რაჰმანოვი — 4-4%
7-11. ლეონიდ კუჩმა, ალექსანდრ



ლუკაშენკო, ნურსულთან ნაზარბაევი, ასკარ აკაევი, ვლადიმირ ვორონინი — 3-3%

**გამოკითხვაში მონაწილეობდა 100 ათასზე მეტი ინტერნეტ-მომხმარებელი.**

# საქველმოქმედო ფონდები ტერორისტებს ეხმარებიან

აშშ-ის მთავრობა ეჭვობს, რომ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ტერორისტებს უწყობს ხელს. ამიტომ ამ ფონდის მოსკოვისა და გროზნოს ფილიალებში ანგარიშები გაყინა. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უწყებაში ნათქვამია, რომ ამ საეჭვო ფონდს ფილიალები ჰქონდა აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ტაჯიკეთში, ხორვატიაში, ავღანეთში, პაკისტანში, იემენში, ჩინეთსა და საქართველოში.

*ფედერალ რეგისტერი*

# მეზობელი მეგობრები

ჩაბმული არის თუ არა რუსეთი და საქართველო საინფორმაციო ომში? როგორ აისახება რუსეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოს პრესაში და პირიქით? პერსონალურად ვინ აგებს პასუხს რუსეთისა და საქართველოს ლიდერების მიერ მიღწეული შეთანხმების შეუსრულებლობაზე?

ამ და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე მსჯელობდნენ მოსკოვის ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში კონფერენციაზე შეკრებილი რუსი და ქართველი ჟურნალისტები.

ორი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეკრებაზე აღინიშნა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობა ამ ქვეყნების მცხოვრებთა ინტერესებს არ შეესატყვისება. საქართველოს ეკონომიკისთვის სწორედ რუსეთის ბაზარია პრიორიტეტული, ხოლო მოსკოვისთვის სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების გარანტი თბილისში პოლიტიკური სტაბილურობა იქნებოდა.

ჟურნალისტების შეხვედრა არა მარტო დეზინფორმაციასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად, არამედ ეს იყო „სახალხო დიპლომატიის" კიდევ ერთი ნაბიჯი ორი ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ.

*ლენტა.რუ*





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვწერენ

**5 წლის ანი გეგენავამ** 31 დეკემბრის დილას გაიღვიძა და საჩუქარი რომ ვერ დაინახა, დედას უკმაყოფილოდ უთხრა:

— დედიკო, თოვლის ბაბუა არ მოვიდა?

— დღეს მოითმინე და ხვალ დილით მოსული იქნება, — უპასუხა დედამ.

— მაშინ დღეს აღარ გავიღვიძებ და ხვალამდე ვიძინებ, — გაუხარდა ანის.

***

**4 წლის ოთო შილაკაძე** დედას ეკითხება:

— დედიკო, ბაზარში საზამთლო ლატომ ალ ალის?

დედამ არჩია, ცოტა ზღაპრულად აეხსნა ოთოსთვის: — საზამთროს ბუჩქს შესცივდა და მიწაში ჩაიმალა, როცა დათბება, ისევ ამოვა და ბევრ საზამთროს მოისხამსო.

ოთო დაფიქრებული ეუბნება დედას:

— მიწაშია ჩასული? ცოტა დაეცადა მაგ უნამუსოს, ლა მოხდებოდა? ალ იცის, ლაფელ მიკვალს?

***

ერთმა მეზობელმა **პატარა გიორგი მამულაშვილს** აუხსნა:

— იცი, თოვლის ბაბუა რომ მოვიდეს, ფეხის ქირა მამაშენმა უნდა გაუგზავნოს.

— მერე რა, მამა დენის ბაბუასაც უგზავნის ქირას, გაზის ბაბუასაც, რა მოხდება, თოვლის ბაბუასაც თუ გაუგზავნის, — დინჯად მიუგო გიორგიმ.

***

**ნინო დაუშვილი ორ-ნახევარი წლისაა**, ერთხელ ვეუბნები, — ისე მიყვარხარ ერთ ვაგონ ბიჭებს მირჩევნიხარ-მეთქი. ნინიკომ იმწამსვე მომიგო: — სავსეს, მამიკო?

იპოვე ორი ერთნაირი წინდა



## I ანა, გამოიცანი

**1. რომელია უფალ იესო ქრისტეს პირველი სასწაული?**

ა) მიცვალებულის გაცოცხლება; ბ) წყლის ღვინოდ გადაქცევა; გ) წყალზე სიარული; დ) კეთროვნის განკურნება.

**2. რატომ გვათბობს ნაკლებად მზე ღრუბლიან ამინდში?**

ა) ღრუბლები შთანთქავენ სხივებს; ბ) მზე ცუდ ხასიათზეა; გ) ჩვეულებრივად გვათბობს, მაგრამ ჩვენ ვერ შევიგრძნობთ; დ) ღრუბლები ირეკლავენ მზის სხივებს.

**3. რომელ ცხოველს არ სძინავს მთელი ზამთრის განმავლობაში?**

ა) დათვს; ბ) მელას; გ) ბაყაყს; დ) გველს.

**4. რომელ ხეს რგავენ ნესტიან ადგილებში ჭაობის დასაშრობად?**

ა) სოჭს; ბ) ფიჭვს; გ) ტირიფს; დ) ევკალიპტს.



გამოიცანი, ვინ რაზე ოცნებობს

## II რებუსი





აპოვნინე ბავშვებს ხელთათმანი



აპოვნინე გოგონას ზამთარში გამოსაყენებელი საგნები





## კროსვორდი-მძივი

უპასუხე ქვემოთ მოცემულ კითხვებს და ჩაწერე ნაძვის ხეზე დაკიდებულ მძივში მოცემული ნუმერაციის მიხედვით:

1-2 — ღამის ფრინველი; 3-6 — ნაძვის ... (?) 1-4 — ბასტის მეგობარი; 3-6 ფეხბურთელის ფეხსაცმელი; 5-8 — „არც მიწისა ვარ, არც...“ (აკაკის ლექსი); 7-12 ...ხბოს სასკორეში შეეტყობაო (ანდ); 9-14 — ერთ-ერთი ქრისტიანული დღესასწაული; 13-16 — მაუგლის მეგობარი; 15-18 — გამადიდებელი შუშა; 17-20 — ახალი წლის ღამის სასურველი სტუმარი — თოვლის... 19-24 — იგივეა, რაც ალლუმი; 21-25 — „არც ენა აქვს და არც თვალი, ხან მოამბეა, ხან მომღერალი“ (გამოცანა); 25-28 — რამდენი შემსრულებლისაგან შედგება კვარტეტი? 26-34 — თოვლზე სასრიალო ფეხებზე ამოსაკრავი თხელი ძელები; 29-30 ნოტი; 31-34 — ნახშირის ფხვნილი.

## III

დათვალე, რამდენი ციყვი ზის ნაძვის ხეზე და იპოვე ორი ერთნაირი

მოძებნე 8 განსხვავება მულტფილმის კადრებში

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ნატო არჩვაძე: მე შენ მზის ამოსვლა გაჩუქეო, მითხრა მამამ...

**საეჭვოა, კაცობრიობის არსებობის მანძილზე ვინმეს ზუსტად განემარტა, — რა არის ბედნიერება. თუმცა არსებობს ბევრი რამ, რასაც ეს შეგრძნება მოჰყვება. მაგალითად: საყვარელი პროფესია — სცენაზე განცდილი თრთოლვა და აღტაცება, მშვენიერი ქალიშვილის დედობა და არაჩვეულებრივი შვილიშვილის — საკუთარი სეხნიის — ბებიობა, დიდი მსახიობისა და პიროვნების — თენგიზ არჩვაძის შვილობა — ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ბედნიერებაა. მით უმეტეს, როცა დედის ნანასთან ერთად გაქვს შესისხლხორცებული მშვენიერების შეგრძნება და ხელოვნების სიყვარული.**

**მიუხედავად იმისა, რომ ახლა რთული დროა, ბევრ მსახიობს შინაგანად უჭირს, შეუძლებელია ქალბატონი ნატო არჩვაძისა არ „გშურდეს“ (რა თქმა უნდა, კეთილი შურით!) ყოველივე იმის გამო, რაც ზემოთ ჩამოგითვალეთ...**

— ახლა მაინცდამაინც აღარ არის „მოდაში“ იმ ღირებულებებზე ლაპარაკი, რომელზეც მე მზრდიდნენ, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი რომ არის, ცხადია... ჩემს ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი დედაჩემს მიუძღვის. დედის წყალობაა, რომ სულიერად მდიდრდები ადამიანი და გაჭირვებასაც იოლად იტან. მიხვალ შინ, წაიკითხავ ვაჟა-ფშაველას, შექსპირს და ძალა გემატება. ვფიქრობ ხოლმე, რა დროს წუწუნია, როცა ასეთი ხალხი ბევრად უფრო რთულ პირობებში ცხოვრობდა-მეთქი.

სილამაზის დანახვას და აღქმასაც ბავშვობიდანვე მივეჩვიე. ხშირად მამას მივყავდი მთაში — ზოგჯერ ფილმის გადაღების დროს, ხანდახან გადაღების შემდეგაც... ახლახან სტუდენტებს „მე და ღამეზე“ ვესაუბრებოდი და გამახსენდა ის დრო... გახსოვთ? „მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს“... აი, ის „მთვარით ნაფენი არემარე“ მე ნანახი მაქვს. „ხევისბერ გოჩას“ რომ იღებდნენ ყაზბეგში, პატარა სახლი გვქონდა ნაქირავები. ღამით გვიან ვიძინებდი, მიყვარდა ფანჯარაში ყურება. ჩვენ წინ წვრილ-წვრილი ყვავილებით მოჩითული მოლი იყო გადაშლილი და ძველი ქვის სასაფლაო, უკან კი მთა „ეყუდა“. მართლა ვერცხლით ნაფენი იყო ყველაფერი მთვარის შუქზე. დილაობით მამა მე და ჩემს დას, ნათიას, ბოტებს გვაცმევდა, რომ ნამით ფეხები არ დაგვსველებოდა და გვათვალიერებინებდა შემოგარენს — ნახეთ, რა ლამაზიაო. დედა ლექსებს გვიკითხავდა შინ. გვეუბნებოდა: აბა, დააკვირდით, რა სიტყვებია: „და სიყვარულის ასე მოთმენაო“... ამას ხომ დანახვა უნდა?! მზე რომ ჩადის, ყველამ იცის, მაგრამ ყველა ხომ ვერ ამჩნევს. სილამაზის აღქმა ნიჭია. ეს ან გაქვს, ან არ გაქვს. ვიღაცამ ხომ უნდა დაგანახვოს ეს ყველაფერი... გული მწყდება ხოლმე, როცა ოჯახიდან არ მოსდევს ბავშვს ამის უნარი.


ბ-ნი თენგიზი შვილიშვილთან და შვილთაშვილთან ერთად

— **თენგიზ არჩვაძე უსაყვარლესი მსახიობია. ამბობენ, ახალგაზრდობაში ნახევარ საქართველოს უყვარდაო. თქვენ გრძნობდით ამას?**

— მახსოვს, მეამაყებოდა, როცა მამასთან ერთად სადმე მივდიოდი. ცოტა ვეჭვიანობდი კიდეც. ქალბატონები დღესაც მეუბნებიან ხოლმე, — ძალიან გვიყვარდა თენგიზ არჩვაძეო. სილამაზე მარტო ლამაზი ნაკვთები ხომ არ არის. ეს არის მუხტი, რომელიც თვალებიდან გამოსჭვივის, საქციელი, მოძრაობა, საუბარი. შეიძლება ლამაზი გარეგნობა არა, მაგრამ ისეთი ანდამატი გქონდეს, ყველას შეაყვარო თავი. მამაჩემს კი, მგონი, ორივე ერთად აქვს.

— **მახსოვს, ერთ-ერთი საუბრისას ბატონმა თენგიზმა მითხრა: არ მინდოდა, ნატო იმ ტკივილისათვის გამემეტებინა, რასაც მსახიობობა ჰქვიაო.**

— მამამ არ გამიმეტა... მე კი გავიმეტე ჩემი თავი. მივხვდი ამას, მაგრამ ვერ წარმომედგინა, სხვაგვარად თუ შეიძლებოდა მეცხოვრა. მსახიობობა არ არის ჩემი პროფესია, ჩემი ცხოვრების წესია. დიდი ხანია, სცენაზე არ გავსულვარ და ძალიან მაკლია. ეჰ, მიჭირს ამის გარეშე. სცენა თან ტკივილსაც მიამებს, და თან მტკენს...

— **ბატონი თენგიზი როგორ აფასებდა თქვენს როლებს?**

— მამა, სხვათა შორის, ძალიან ცოტას ლაპარაკობს. მახსოვს ერთი რამ. სადიპლომო სპექტაკლი მქონდა ქალბატონ ლილი იოსელიანთან, „იდიოტში“ მე ვთამაშობდი ნასტასია ფილიპოვნას, გია ბურჯანაძე — მიშკინს. არა და არ მოდის მამაჩემი არც რეპეტიციაზე, არც სპექტაკლზე. ვთხოვე, იქნებ მოხვიდე, ეს ხომ ჩემი სადიპლომო სპექტაკლია-მეთქი. გავიხედე, დარბაზი მოვათვალიერე, მამა ისევ არ ჩანდა. მონოლოგი მქონდა წასაკითხი. დარბაზს თვალს ვარიდებ. ვიყურები ოდნავ ზემოთ, გამნათებლის სარკმლისკენ, როცა სცენა და დარბაზი ჩაბნელებულია, ნათლად ჩანს, რა ხდება იმ სარკმელში. უცებ დავინახე მამაჩემის თვალები. მივხვდი, ისე ღელავდა, რომ დარბაზში ვერ შემოვიდა და გამნათებლის სარკმლიდან მადევნებდა თვალს. სპექტაკლი რომ დამთავრდა, მამა უკვე იქ აღარ იყო, წასულიყო. შინ მისულმა ვუთხარი: დაგინახემეთქი. ისე ვნერვიულობდი, ვერ შემოვედი დარბაზშიო...

— **დღეს, უმთავრესად სტუდენტებთან მუშაობთ, არა?**

— დიახ. თეატრში რემონტია და... ჩემთვის მთავარი მაინც სცენაა, მაგრამ სხვაგან მუშაობას ისევ ახალგაზრდებთან მუშაობა მირჩევნია, მით უმეტეს, რომ ვფიქრობ, შემიძლია მათ რაღაცაში დავეხმარო, რაღაც ავუხსნა... მე მიყვარს სტუდენტები, ბავშვები, ისინიც გრძნობენ ამას... საოცრად უშურველნი, უანგარონი არიან, რაც ასე იშვიათია ჩემი ხნის ადამიანებში. ამიტომ მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა.



— **სასიამოვნო მოულოდნელობა რა გახსოვთ?**

— მოულოდნელ ზეიმებს ჩემი მეუღლე მიმართავდა. ჩამომაკითხავდა გასტროლებზე ყვავილებით, დამხვდებოდა მოსკოვში ბაქანზე... ქალისთვის ეს მოულოდნელობა ძალიან სასიამოვნოა. ამის გამო მადლობელი ვარ მისი... მით უმეტეს, რაც დრო გადის, ვხვდები, რომ ძალიან ცოტა მამაკაცს აქვს ამისი უნარი.

— **ხშირად მსახიობები აღნიშნავენ, რომ საოჯახო საქმეები არ ეხერხებათ.**

— პირიქით, როცა დილით ვდგები და ვუვლი ოჯახს, გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, საქმესაც უკეთ ვაკეთებ. განა ჩვეულებრივი მოვლენა არ არის, რომ ქალი ვიღაცას უვლიდეს — ქმარს, შვილს, ოჯახს, სამსახურში დადიოდეს... წინათ სადედოფლოდ რომ ზრდიდნენ ქალს, ასწავლიდნენ კერვას, ქარგვას, სადილის მომზადებას, რომ ის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ყოფილიყო. აქედან ყალიბდება ურთიერთობათა კულტურა. ქალი კარგი დედაც უნდა იყოს, კარგი პროფესიონალიც, სხვათა შორის, კარგი საყვარელიც. როცა ეს არ არის, მერე ეძებენ ცალკე ცოლებს, ცალკე საყვარლებს, ცალკე დედებს, დადიან გზააბნეულები.

— **მკაცრი დედა ხართ?**

— არა, მე და ანუკა ვმეგობრობთ... 16 წლისა რომ გათხოვდა, ვუთხარი, — მე ყოველთვის შენთან, გვერდით ვიქნები-მეთქი... მკაცრად ვერ მოვეკიდე... როცა შენი შვილი რაიმეს სწორად ვერ აკეთებს, უმეტესად შენი ბრალია. ესე იგი, რაღაც გამოგეპარა... მკაცრად ჯერ შენს თავს უნდა მიუდგე, მერე შვილს.

— **თქვენ თუ მეგობრობთ მამასთან?**

— რთული სამეგობრო კია, იმიტომ, რომ ძალიან სიტყვაძუნწია. მაგრამ მის მკაცრ გამოხედვაშიც იმხელა სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ, რომ... მამას ვერ მოვთხოვ, დაბადების დღეზე ყვავილებით მოვიდეს ჩემთან. ეჭვი არ მეპარება, რომ ახსოვს, დამირეკავს, შეიძლება არც დამირეკოს... მაგრამ მაინც ვიცი, არ ავიწყდება. პატარაობისას მაღიზიანებდა ეს „უყურადღებობა“, მერე მივხვდი, ის უბრალოდ, ასეთი ადამიანია, თორემ უსაზღვროდ ვუყვარვართ. არ მახსოვს, ბავშვობაში წავსულიყავით დასასვენებლად და მამას არ ჩამოეკითხა. ყველას უხაროდა მისი დანახვა. დაგვაწყობდა ბავშვებს და წაგვიყვანდა ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად... ერთხელ, მახსოვს, ფეხით ჩამოვიდა თიანეთში, ჩვენთან. გადაღებაზე იყო სადღაც და მოგვადგა თავისი ზურგჩანთით, დაღლილი. წაგვიყვანა თავის მეგობარ გეოლოგებთან — ველზე...

რომ გაზაფხულდება, ან შემოდგომობით, როგორც ირემს მიუწევს გული ტყისკენ, ისე მემართება მეც... ეს იმიტომ, რომ დავყავდით მამას მთა-მთა, ტყე-ტყე... შემოდგომაზე მე და ნათია ფოთლებს ვაგროვებდით და შინ მიგვქონდა... გაზაფხულზე ყვავილებს ვკრეფდით...

როცა ერთი ადამიანი მეორეს ამხელა სილამაზეს ჩუქნის, მეგობრობაც ეს არის. ერთხელ მცხეთაში ვიყავით, წავიწუწუნე რაღაცაზე. მამამ მითხრა: მადლობელი იყავი, რომ ამ ქვეყანაზე მოხვედი. მე შენ მზის ამოსვლა გაჩუქე. ნახე, რა მთვარეა, რა სანახაობა, რა არაგვი მოდის, როგორ დაგვყურებს ჯვარი, ამაზე დიდი ბედნიერება რა გინდა, ვერ გავიგეო...

მართალი იყო...

***ლელა ჯიყაშვილი***

# ქუთაისში „ბატონო მურტალოთი“ მომმართავენ

ამას წინათ ზაზა კოლელიშვილის შესახებ ერთობ საინტერესო ინფორმაცია შევიტყვე. პოპულარული ფილმის „გარიგების“ ავტორი და რეჟისორი ქუთაისში კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად დაუნიშნავთ. გამეცინა. იმერეთის გუბერნატორის, თემურ შაშიაშვილის აღშფოთებული ტონით ნათქვამი გამახსენდა — ქუთაისის დაპატრონებას შავი სამყაროს ავტორიტეტები ცდილობენო. დაჰპატრონებიან და ეგაა, ქალაქის კულტურის საკითხებს რომ „მურტალო“ განაგებს, იქ უკაცრავად, მაგრამ შავების თქმისა არ იყოს, გუბერნატორის ინფორმაციის „სისწორეზე“ „ბაზარიც“ აღარ არის. მოკლედ, ჩვენი ძვირფასი „მურტალო“, ბატონი **ზაზა კოლელიშვილი** თავად მოგვითხრობს ახალი საქმიანობის შესახებ.

— ოქტომბერში ქუთაისის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად დამნიშნეს და მას მერე ჩემი ცოლი ხუმრობს — ზაზა ქუთაისის „ოქიტაშვილიაო“. ქალაქის ახალმა მერმა, ჩემმა ახლობელმა, ნუგზარ ფალიანმა შემომთავაზა ამ საპასუხისმგებლო საქმის კეთება. ქუთაისი უძველესი კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი ქალაქია. დღევანდელმა თაობებმა სამწუხაროდ, არც კი იციან, რომ აქ არის უძველესი, 130 წლის სათავადაზნაურო ბიბლიოთეკა, რომ აღარაფერი ვთქვათ ლადო მესხიშვილის დაარსებულ თეატრზე, მუზეუმებზე — ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ფალიაშვილის, კაკაბაძის, ნიკოლაძის... მინდა წარმოვაჩინო ამ ქალაქის ხელოვნების სხვადასხვა დარგი, გავუწიო იქაურ ხელოვანებს კოორდინაცია; პატრონის, მენეჯერის ფუნქცია მექნება ქალაქის კულტურის სამსახურში.

— **დინჯი კახელი როგორ შეეგუეთ ფიცხ იმერლებს?**

— დედით იმერელი ვარ და არ გამჭირვებია. ისე, კახელიც არა ვარ, გაკახელებული მესხი ვარ. ქუთაისს, იუმორით სავსე იმერლებს რა შეგუება უნდა. მიუხედავად დიდი სოციალური გაჭირვებისა, ქუთათურები ვაჟკაცურად დგანან და იუმორით აბრუებენ ყველას. ანეკდოტები მოვისმინე ისეთი...

— **ბატონო ზაზა, საქართველოს შესახებ დოკუმენტური ფილმის გარდა სხვა რამის გადაღებაც ხომ არ დაგიწყიათ?**

— გადავიღე რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, აჭარის ტელევიზიაში მქონდა საავტორო პროგრამაც, რომელიც იუმორს, კურიოზებს უკავშირდებოდა, „კაი ამბავი“ ერქვა. ცნობილი ადამიანები მყავდნენ სტუმრად და ერთ ანეკდოტს, კურიოზს ან „კაი ამბებს“ იხსენებდნენ, იუმორისტულად უყურებდნენ განვლილ ცხოვრებას. ვმხიარულობდით და მაყურებელს ვართობდით.



— **თქვენ როგორღა უცქერით თქვენს განვლილ ცხოვრებას?**

— ზოგჯერ ძალიან დრამატულ ფერებში აღვიქვამ, ზოგჯერ — ძალიან ჭრელი ფარდაგივით. ღმერთმა არ ქნას, საკუთარი თავით კმაყოფილი ვიყო. ისევ ვქმნი სცენარებს, ისევ გადაღებებისთვის ვემზადები.

ჩემთვის საყვარელი ავტორის, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ ეკრანიზაციაზე ვოცნებობ. ვაჟა-ფშაველას, რობაქიძის და გამსახურდიას ნაწარმოებების საფუძველზე, გველისმჭამელის თემაზე ფილმის შექმნა მინდა. გარდა ამისა, ისტორიული ჟანრის ფილმი მინდა გადავიღო 301-ე არაგველზე. გრიგოლ ჩიქოვანის „ამორძალის“ მიხედვით მოვამზადე სცენარი (რომანში მაჩაბლის დის და 301-ე არაგველის ამბავია მოთხრობილი). ამ საქმეში მეუღლეც მეხმარება.

— **როგორც ვიცი, „გარიგების“ სცენარიც მას ეკუთვნის. „შერიგების“ ამბავი როგორ არის? ხმები გავრცელდა, გადაღებები დაიწყოო...**

— დევს სცენარი, მაგრამ „გარიგება-2“-ის გადაღება, ჯერჯერობით, ყოვნდება, თუმცა, არის მოლაპარაკებები და შესაძლოა უცებ რაღაც შეიცვალოს.

— **თქვენ ხართ მსახიობი, რეჟისორი. რეჟისორული გეგმების შესახებ უკვე გვიამბეთ. საინტერესოა თქვენი, როგორც მსახიობის მიზნები, ოცნებები.**

— დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აღარაფერზე ვოცნებობ. რაზეც მიმიწვევენ, ყველაფერს ვითამაშებ. წლები გადის. ეკრანზე, სანამ ახალგაზრდა ხარ, მანამ უნდა ჩანდე, თუმცა, ნამდვილი ხელოვანისთვის მსახიობობა ყველა ასაკში სასიამოვნოა, რა შეედრება ჩვენს უდიდეს მსახიობებს, რომელთა გვერდით თამაშის ბედნიერებაც მქონდა. ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, სესილია თაყაიშვილი, სხვები და სხვები, ყველა ასაკში შეუდარებელნი იყვნენ.

— **მიგაჩნიათ თუ არა, რომ პოპულარობა მურტალომ მოგიტანათ და ამ როლმა თითქოს განაპირობა შემდეგ თქვენი სამსახიობო ბედი, როგორც უარყოფითი როლების შემსრულებლის.**

— ქუთაისში ახლაც „ბატონო მურტალოო“ — მომმართავენ. ჩემი სამსახიობო დებიუტი „ნატვრის ხეში“ შედგა და კიდევ ერთხელ მინდა გენიალური თენგიზ აბულაძის სულს მადლობა ვუთხრა. ამ ფილმში ჩემი მონაწილეობა ბიძაჩემის, კინორეჟისორ გია მატარაძის დიდი დამსახურებაა. შეთე იყო ჩემი სამსახიობო ცხოვრების პირველი ეტაპი, რომელიც დღემდე საუკეთესო მოგონებებს აღმიძრავს გადასაღებ მოედანზე ქართული კინოს ლეგენდებთან ყოფნის გამო.

— **თქვენ 5 შვილის მამა და ორი შვილიშვილის ბაბუა ხართ. რომელიმე მათგანი თუ ადგას თქვენს შემოქმედებით გზას?**

— ჯერჯერობით, იქით მიმავალ ყველა გზას ვუკეტავ, არ მინდა ამ გზით რომ წავიდნენ. წინათ, ჩემს დროს მასობრივად იყო მაყურებელი კინოშიც და თეატრშიც. კინო იყო პრიორიტეტული ხელოვნების დარგი, ფინანსდებოდა აქტიურად და აქტიური სამუშაოც მქონდა. დღეს კი, გამომდინარე ქვეყნის სიდუხჭირიდან და იქიდან, რომ ქართული ფილმები არ გადის უცხოეთის კინოგაქირავებაში, სრულიად უნუგეშო მდგომარეობაა და არ მინდა ამ გზაზე ჩემი შვილები იმედგაცრუების მსხვერპლი გახდნენ.

— **ალბათ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელდება.**

— ჯერჯერობით, სიტუაცია მაინც უიმედოა. ვიდეოფილმებს, სერიალებს ბევრს გადაიღებენ, მაგრამ სერიოზული მხატვრული ფილმების გადაღება შეჩერდება მანამ, სანამ სახელმწიფო კინოს ისე არ შეხედავს, როგორც მისი იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს.

— **შობა-ახალი წლის დღესასწაულებს, ჩემი რესპონდენტები „ძველ კარგ დროში“ უფრო სასიხარულოდ იგონებენ, თქვენ რა განწყობა გაქვთ?**

— ახლაც კარგი დროა. რაც უნდა ეკონომიური, მატერიალური პრობლემები გქონდეს, არსებობს დღეები, რომელიც სიცოცხლეს გვილამაზებს. არ შეიძლება მარტო ფულის შოვნის თვალით უცქირო ცხოვრებას, თუმცა, ფული ძალიან საჭირო რამეა. ახალ წელს ჩვენი ცხოვრების ყველა ეტაპზე თავისი სილამაზე აქვს. შესანიშნავი ბავშვობა მქონდა, რომელიც მშობლების მზრუნველობით დიდხანს გამიგრძელდა, მერე თვითონ გავხდი ოჯახის უფროსი, შვილების მამა და აღმოვაჩინე, რომ როგორც არ უნდა გიჭირდეს, შვილებისთვის ყველა სიტუაციაში მოძებნი გამოსავალს, მათ რომ ასიამოვნო, ზეიმი მოუწყო, რაღაცას მოახერხებ. უამრავი კარგი ადამიანის დახმარებითაც ხდებოდა ისე, რომ ჩემი შვილები ნორმალურად შეხვედრიან ახალ წელს. კაიკაცობა განძია, რომლის მფლობელები დღესაც ბლომად არიან საქართველოში.

— **საახალწლო მოგონება, რომელსაც ვერ დაივიწყებთ...**

— ბასა ფოცხიშვილი იღებდა 2000 წლისთვის „გზავნილს 21-ე საუკუნეში“. მაშინ ვთქვი — ჩემს შვილებს ვგზავნი 21-ე საუკუნეში და ვამაყობ იმით, რომ რაც შემიქმნია, მათ შორის შედევრები ჩემი შვილები არიან-მეთქი. ალბათ მართლაც მაქვს სატრაბახო — 5 შვილი, 2 შვილიშვილი. მადლობას ვუხდი ბასას, ეს სიტყვები რომ მათქმევინა სულ უარყოფითი როლების მოთამაშეს და ხალხს დაანახვა, რამხელა დადებითი რამ მქონია ცხოვრებაში.

— **ბატონო ზაზა, წელს „გარიგება“ 10 წლის გახდა. იუბილეს გადახდას არ აპირებთ?**

— უფულობის გამო ვერ გადავიხადეთ და არც ძალიან გვინაღვლია. მთავარია, „შერიგება“ გადავიღოთ მალე და უფრო მთავარი კიდევ ის არის, რომ საქართველოში ამდენი გაბუტული ხალხი შერიგდეს და კარგად იყვნენ.

***ეკა ლომიძე***

CMYK

# ქართველი „ჯეიმს ბონდი" — დირიჟორი ვახტანგ ჟორდანია

## სათავეები

გვარი ჟორდანია საისტორიო წყაროებში XV ს-დან გვხვდება. ცნობილია, რომ ეს გვარი წარმოშობილია ძველი ებრაული სახელისაგან — იორდანე, რომელიც მდინარეს უკავშირდება. მათი საერთო წინაპარი ყოფილა ვინმე ბიჩარი, მას ჰყავდა სამი ვაჟი — გიორგი, ლევანი და ივანე. გიორგი მამის ფუძეზე დარჩენილა მარტვილში, ივანე — ცაიშში, ლევანი კი ლანჩხუთში დასახლებულა. ჟორდანიები ნახსენები არიან როგორც სამეგრელოს, ისე გურიის თავადაზნაურთა სიებში. გურიის ერთ-ერთ შტოს მეთაურობს ბუჭუჭა რეჯების ძე. მისი შვილები იყვნენ ნიკოლოზი, იოსები და ფოტინე. სწორედ ნიკოლოზის შვილი იყო ნოე ჟორდანია — საქართველოს რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარე.

**ვახტანგ ჟორდანია** წარმოშობით მარტვილის შტოდანაა. მისი დიდი პაპა, თედო, ცნობილი ისტორიკოსია. სწორედ მას ეკუთვნის საქართველოს ისტორიის „ქრონიკები" (სამტომეული). თედო ჟორდანიას ვაჟი — გიორგი, ნაფიცი ვექილი გახლდათ. მან, 1907 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობისადმი პროტესტის ნიშნად მისი სახელობის „ქართული კულტურის მოყვარულთა წრე" ჩამოაყალიბა. ამ ბაზაზე კი, უკვე 1912 წელს, თბილისშიც დაარსდა ეს საზოგადოება, რომლის უცვლელი თავმჯდომარე თავად იყო 1928 წლამდე. 1937 წლის 7 აგვისტოს გიორგი ჟორდანია დააპატიმრეს, 2 დეკემბერს კი... დახვრიტეს. ეს ამბავი ოჯახმა მხოლოდ 1956 წელს შეიტყო, მანამდე იგი გადასახლებული ეგონათ.

გიორგის ვაჟი, გივი ჟორდანია — რევაზის, ალეკოსა და ვახტანგის მამა საოცარი პიროვნება იყო: გამოირჩეოდა ენციკლოპედიური ცოდნით. 80 წლის ასაკში შეისწავლა იტალიური ენა, 82 წლისამ კი... გენეტიკა.

იგი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე, 90 წლის ასაკში 2 კილომეტრზე შეცურა შავ ზღვაში და... გულმა უმტყუნა. მანამდე თურმე სულ ნატრობდა: „კარგი იქნება თუ ან ივანე ჯავახიშვილივით ლექციის ჩატარებისას, ან სერგი დანელიასავით ხარისხის მინიჭების დროს მეწვევა სიკვდილიო". ბოლო დროს კი ამბობდა: ბიძაჩემი, სოსოც, თუ შეიძლება ითქვას, კარგად წავიდაო! იოსებ ჟორდანია — ცნობილი მეან-გინეკოლოგი, რიო-დე-ჟანეიროში დაიღუპა. პილოტმა ბოინგის ტიპის თვითმფრინავი დროულად ვერ ასწია ჰაერში. მას უნდა მოებრუნებინა თვითმფრინავი და ხელახლა ეცადა აფრენა, მან კი გაზს მოუმატა, ბოინგმა გაარღვია გუანა-ბარას სამხედრო ბაზის კედელი და ზღვაში შეიჭრა. ამ დროს პილოტმა კიდევ ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მოგეხსენებათ, ბოინგს აქვს თვისება — წყალზე იტივტივოს. არაფერი რომ არ მოემოქმედებინათ, მოვიდოდნენ მაშველები და ყველა გადარჩებოდა. პილოტმა კი გამოაცხადა — ვიძირებითო. ყველა მარჯვენა მხარეს მიაწყდა და თვითმფრინავმა მართლაც დაიწყო ჩაძირვა. სამაშველო სალტე ერთ პატარა გოგონას დააკლდა. სოსო ჟორდანიამ მას თავისი სალტე უმალვე დაუთმო და ამით, ფაქტობრივად, თავი გაწირა...

ბატონ გივი ჟორდანიას დარჩა სამი შვილი: რევაზი — ბიოლოგი, 20-ზე მეტი წიგნის ავტორი, ბრიტანეთის ორთოლოგიური საზოგადოებისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ალეკო — არაბისტი, ენათმეცნიერი, მეცნიერებათა დოქტორი და, უმცროსი ვახტანგი — დირიჟორი, სან-ფრანცისკოს მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი.

როგორც შენიშნეთ, ჟორდანიების გვარის თითოეულ წარმომადგენელზე შესაძლებელი და ალბათ, აუცილებელიცაა ცალკე წიგნის გამოცემა. ამჯერად, იუბილარ ვახტანგ ჟორდანიაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას და მოგითხრობთ მის თავგადასავალს, რომლის სიუჟეტიც ნებისმიერ მძაფრსიუჟეტიან ფილმს დაამშვენებდა...

„ნიჭიერთა ათწლედი" მან ფორტეპიანოს განხრით პედაგოგ ჩერნიავსკაიასთან დაამთავრა. იგი კლავიატურას თავიდანვე აღიქვამდა როგორც ორკესტრს. ბავშვობიდანვე დირიჟორობაზე ოცნებობდა. კონსერვატორია თბილისში მაინც საფორტეპიანო განხრით დაამთავრა, შემდეგ კი ლენინგრადის სადირიჟორო ფაკულტეტის III კურსზე ჩაირიცხა. პირველი საჯარო კონცერტის პროგრამაში ჰქონდა შოსტაკოვიჩის მე-5 სიმფონია და ბეთჰოვენის №3 საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი ელისო ვირსალაძე). კონცერტის შემდეგ ცნობილმა დირიჟორმა ე. მრავინსკიმ განაცხადა: „მე მჭირდება ასისტენტი და მისი სახელია... ვახტანგ ჟორდანია!"

ვახტანგი ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს გაიქცა საზღვარგარეთ. ამერიკაში, ტენესის შტატის ქალაქ ჩატანუგაში დაიმკვიდრა ადგილი. ბოლოს თავისუფალი ხელოვანის სტატუსი აირჩია. ამჟამად არის რუსეთის ფედერალური, ოლიმპიური და კორეის ქალაქ სეულის ორკესტრების მთავარი დირიჟორი. ბატონ ვახტანგს სულ ახლახან 60 წელი შეუსრულდა.



უფროს ქალიშვილთან ნინასთან, პატარა მარიასთან და ამერიკელ მეუღლესთან, კიმისთან ერთად



მამა-შვილი გივი და ვახტანგი



მამა-შვილი — ვახტანგი და გიორგი

## გაქცევა

პირველი დიდი წარმატება 1971 წელს მოვიდა. დასავლეთ ბერლინში, ჰერბერტ ფონ კარაიანის საერთაშორისო კონკურსში, 82 დირიჟორს შორის ექვს ტურს წარმატებით უდირიჟორა და 28 წლისამ უდიდესი აღიარება მოიპოვა. ამის შემდეგ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მიიღო წინადადება კონცერტსა და ჩანერებზე, მაგრამ... საკავშირო კულტურის სამინისტრომ და „გოსკონცერტმა" არც ერთი კონტრაქტი არ გაუფორმეს.

ერთხელ ჰკითხეს — ოქტომბრის დღესასწაულისთვის რას ამზადებთ ლენინგრადის ორკესტრთანო. მან კი მიუგო — როგორც ყველა, ჩვენც ვისვენებთ, არაფერს ვაკეთებთო! ამას იმწამსვე პოლიტიკური სარჩული დაუდეს. ბოლოს მიახალა — მე თქვენი ყმა არ გეგონოთ, ყველა თქვენი ახირებული სურვილი შევასრულოო!

უშიშროებიდან მოითხოვდნენ, რომ მას მხოლოდ საბჭოთა მუსიკისთვის ედირიჟორა, ხოლო მოცარტი, ბეთჰოვენი — ეს უკვე მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. სულ მალე წამოვიდა ლენინგრადის ორკესტრიდან, მოგზაურობდა გასტროლებით საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ერთხანს იმუშავა ხარკოვის ორკესტრში.

უდიდესი აღიარების ნიშნად ვახტანგ ჟორდანია მონრეალში კონკურსის ჟიურიში მიიწვიეს. მოსკოვში ბილეთი და 1.000 დოლარი მისცეს, მაგრამ პასპორტს და ვიზას უგვიანებდნენ. ბოლო დღე, დილიდან საღამომდე კულტურის სამინისტროში გაატარა, სამუშაო დღე იწურებოდა, ვიზა არ ჰქონდა, გათენებისას კი უნდა გაფრენილიყო. ზუსტად ექვს საათზე უთხრეს, რომ ვიზას არ მიიღებდა. ეს იყო ბოლო წვეთი — მოთმინების ფიალა აევსო.

## გადაწყდა — საბჭოთა კავშირიდან უნდა გაიქცეს!!!

ამ დროს, მისმა მეგობარმა ვიკა მულოვამ ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე ადგილი აიღო. მის წინ ყველა საკონცერტო დარბაზის კარი გაიხსნა. რაღა თქმა უნდა, არსად არ გაუშვეს. ბოლოს მხოლოდ ფინეთი შესთავაზეს და თანაც, მის აკომპანიატორს, რომელსაც მთელი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი, ვინაიდან „თანამშრომელი" იყო, Невыездной-ს იარლიყი დაადეს.

ვახტანგმა ვიკას თავისი ჩანაფიქრი გაუზიარა და მანაც სამინისტროში განაცხადა — პიანისტად მხოლოდ ვახტანგ ჟორდანიას წავიყვანო! მოხდა სასწაული, დათანხმდნენ... ვახტანგს ამ დროისთვის, 18 წელი იყო, რაც სერიოზულად აღარ ემეცადინა როიალზე. ფინეთში გაოცებულები უსმენდნენ მის სოლო გამოსვლას — ჩვენ ვახტანგი დირიჟორი ვიცოდით, პიანისტი — ვერაფერიშვილი ყოფილაო!

ჰელსინკიში წასვლამდე ვახტანგ ჟორდანიამ ფინეთისა და შვედეთის რუკები, თვითმფრინავების, მატარებლების, ავტობუსების განრიგი ზეპირად შეისწავლა. თან წაიღო არალეგალურად ნაყიდი 400 აშშ დოლარი. ფინეთში ყველაფერი მისი რეჟისურით განვითარდა — ვიკა „ცუდ გოგოს" თამაშობდა, ვახტანგი „კარგ ბიჭს". ეს „თეატრი" ერთი მავნე სუბიექტისთვის იყო დადგმული, რომელიც თითქოს მათი თარჯიმანი იყო, მაგრამ სინამდვილეში უშიშროების აგენტი გახლდათ. ეს ქალბატონი და ვიკა ყოველდღე „ჩხუბობდნენ", რაღა თქმა უნდა, ვახტანგის სცენარის მიხედვით.

ვახტანგი ქალებს აშველებდა, ვიკა თავისუფლდებოდა ზედამხედველებისგან და ჰქონდა დრო შეეგროვებინა ცნობები, ეყიდა ბილეთები, მან ხომ ინგლისურიც იცოდა. ამასობაში კი ვახტანგს თავიანთი ზედამხედველი ქალაქში დაჰყავდა, ყიდულობდა მისთვის და მისი ოჯახისთვის საჩუქრებს, მოკლედ, ყურადღებას უდუნებდა.

ჰელსინკიში სამი კონცერტი უნდა გაემართათ. მეორე დღეს, ქალაქის მერი წვეულებას მართავდა სტუმრებისთვის. წინა დღეს, ვახტანგმა „ძალდატანებით" დიდი რაოდენობით არაყი დაალევინა ვიკას, იმ დროს, როცა იგი საერთოდ ვერ იტანდა სმას. შედეგიც ეფექტური იყო — დილით ვიკა იმდენად საშინლად გამოიყურებოდა, რომ „ზედამხედველიც" კი შეცბა. მუსიკოსებმა მას წვეულებაზე მარტოს ურჩიეს წასვლა. გაჭრა! როგორც კი ქალბატონი წაბრძანდა, ვიკას ინსტრუმენტი — სტრადივარიუსის ვიოლინო გამოსაჩენ ადგილას დადეს — იგი კულტურის სამინისტროს კუთვნილება გახლდათ, რომ არ დაეტოვებინათ, გატაცებაში დაადანაშაულებდნენ და ვერც ერთი სახელმწიფო ველარ შეიფარებდა. ორ საათში მუსიკოსები შვედეთის საზღვართან იყვნენ. შაბათი დღე იყო, მესაზღვრეები არ იდგნენ. შვედეთში პირდაპირ პოლიციას მიაკითხეს. ორი დღე და ღამე სამი დეტექტივი იცავდა დევნილებს. შვედეთში ვახტანგს ქართველი ჯეიმს ბონდი უწოდეს. შემდეგ ამერიკის საელჩოში მოეწყო პრესკონფერენცია, რომელზეც მათ განაცხადეს, რომ თავისი ნებით რჩებიან და არ სურთ დაბრუნება საბჭოთა რეჟიმში. სულ მალე ისინი ამერიკაში იყვნენ... უარაფროდ. აქაც გაუღიმათ ბედმა, პრესკონფერენციებში წინასწარ გადაუხადეს ფული, ხოლო მსტისლავ როსტროპოვიჩმა, რომელმაც უდიდესი რისკის ფასად თავის დროზე სოლჟენიცინი შეიფარა, ახლა მათი პატრონაჟი იკისრა. დასაწყისისთვის თითოეულს 1.000-1.000 დოლარი მისცა.

ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ვახტანგს ჰკითხეს — ვიკა მულოვა აიღებს ვიოლინოს და თავს შეინახავს, თქვენ რას იზამთ, თქვენ ხომ ინსტრუმენტი კი არა, ორკესტრი გჭირდებათ? მან კი უპასუხა — „მე ჩემი ტალანტი მაქვს და მხოლოდ გამართლება მჭირდება..."

გამართლება სულ მალე მოვიდა... ორ თვეში კარნეგი-ჰოლში იდირიჟორა. მის გატეხილ ჯოხში 2.000 დოლარი გადაიხადეს, გაცვეთილი ფრაკიც ადვილად და სარფიანად გაიყიდა.

**ვახტანგ ჟორდანია:** — *კურიოზია, მაგრამ... ფინეთში გაქცევის დღეს მომანიჭეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება. ძალიან მძიმე სიტუაციაში ვიყავი, იქ გაძლება აღარ შეიძლებოდა. ამერიკაში სულ სხვა ატმოსფერო დამხვდა. მსმენელი ახლაც მირეკავს კონცერტის წინ და მეკითხება, რომელი ჩანაწერი ჯობია რომ მოვისმინოთ კონცერტამდეო. ისინი მომზადებულები მოდიან. საერთოდ, უკვე ვფიქრობ ჩემი ორკესტრის შექმნაზე.*

ბატონ ვახტანგს ოთხი შვილი ჰყავს, ორი ქართველი, ორი ამერიკელი. მამის კვალს მხოლოდ გიორგი გაჰყვა. მან ასპირანტურა მამასთან, ამერიკაში დაამთავრა. ამჟამად იგი საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მთავარი დირიჟორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. აქვს სპექტაკლები ოპერის თეატრშიც.

**რევაზ ჟორდანია** *(ვახტანგის ძმა): — ვახტანგი თავიდანვე ძალიან დამოუკიდებელი იყო. უფროსი ძმები უკვე სტუდენტები ვიყავით, ვახტანგი კი სკოლას ამთავრებდა. მშობლებმა იგი მოსკოვში გაუშვეს. იქ მან იყიდა როიალი „ბლუტნერი" და ჩამოიტანა. ასეთ რამეს ჩვენ არ გვანდობდნენ. თავიდანვე ძალიან ყოჩაღი იყო და ძალიანაც გვასახელა.*

მუსიკალურ ტრადიციებს კიდევ ერთი ჟორდანია, დიდი მაესტროს სეხნია, მისი ძმისშვილი გაჰყვა. ალეკო ჟორდანიას შვილი — ვახტანგი, ახალგაზრდა პიანისტია. სწავლობს „ნიჭიერთა ათწლედში" პედაგოგ ვიკა სვანიძის კლასში. იგი უკვე რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია.

***ალექსანდრე ბერიძე***

***ავტორი მადლობას უხდის ბატონებს გივი აზმაიფარაშვილსა და რევაზ ჟორდანიას მოწოდებული მასალებისთვის***



ჟურნალი თქვენთვის

# ექვსმა და-ძმამ, მეშვიდე, ძმა ვიპოვეთ...



ერთი შეხედვით წყნარი, სათნო და კეთილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და სინამდვილეშიც ასეთია, ოღონდ ამ დახასიათებას აკლია ყველაზე მნიშვნელოვანი შტრიხი, რომელიც სრულად ხსნის მის ბუნებას. ეს გახლავთ იუმორი. დიახ, იუმორის განსაკუთრებული გრძნობით იმორჩილებს ანსამბლ „ფორტეს“ ერთადერთი მამაკაცი, **ზურა მანჯავიძე** სულ 5-ოდე წამის გაცნობილ ადამიანსაც კი. თუ ცუდ გუნებაზე მყოფი შეხვდით, ე.ი. გაგიმართლათ, ზურას სიცილის თერაპიის შემდეგ, 100 წელი თუ არა, კარგა ხანს არაფერი გეტკინებათ.

**— ზურა, ალბათ საახალწლო ზეიმი შენზეც განსაკუთრებულად მოქმედებს.**

— აბა რა, მიუხედავად იმისა, რომ სადღესასწაულო დღეებში ყველა ისვენებს, ჩემზე და სხვა მომღერლებზეც, ეს წესი არ ვრცელდება. მერე ერთი სული მაქვს სუფრასთან მოსალხენად როდის გავიქცევი.

**— ე.ი. ქეიფი ძალიან გიყვარს.**

— ქართული ქეიფი და ქართული სუფრა მსოფლიოში უნიკალური მოვლენაა. ჩემი თუ არ გჯერათ, უცხოელებს მოუსმინეთ. გიჟდებიან, ადამიანური ურთიერთობების გასამყარებლად ქართულ სუფრაზე უკეთესი საშუალება არ არსებობსო. თუ მეგობარს გინდა მოეფერო, ქუჩაში ხომ ვერ გააჩერებ და სიყვარულის ახსნას ხომ ვერ დაუწყებ, სუფრასთან უნდა მიიწვიო. კაი რამეა ქეიფი.

**— თამადობ ხოლმე?**

— კარგად გამომდის ეგ საქმე, მაგრამ დიდ სუფრაზე ისეთი თამადების გვერდით აღმოვჩნდები ხოლმე, პატივისცემის გამო, ხმას აღარ ვიღებ.

**— გურული მეუღლე გყავს — თეა ჩხარტიშვილი. მაგ კუთხის ხალხს ჰყვარებია სიძის სუფრასთან გამოცდა. ალბათ შენც არ აგცდა ეგ ამბავი.**

— გურიაში, სიმამრთან სტუმრობისას, ღვინის სმაში და თამადობაში არა, მაგრამ სიმღერაში მომიხდა პაექრობა და თვალები მიბრწყინავდა გაოცებისაგან. სიმღერის ისეთი ნიჭით დაჯილდოებული სიმამრი მყოლია, რომ „ბრძოლა“ გამიჭირდა. ბოლოს ერთად ვაგუგუნებდით.

**— ზურა, მგონი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნები, ვისაც ცხოვრებამ დიდი სიურპრიზი მოუმზადა და ახალ წელს განსაკუთრებული სიხარულით შეეგებე. როგორც გავიგე, დაკარგული ძმა გიპოვია.**

— მართლაც ბედნიერებაა ეს ამბავი. აგერ ახლახან, დაკარგული ძმა ვიპოვეთ. აქამდე 6 დედმამიშვილი ვიყავით, ახლა 7 გავხდით. ჩემ შემდეგ დედას კიდევ ერთი ვაჟი შეეძინა, მაგრამ თავად კინაღამ გადაჰყვა მშობიარობას. ექიმებს უსარგებლიათ შემთხვევით და მოუტყუებიათ, ბავშვი დაიღუპაო... გოჩამ ამდენი წლის შემდეგ თავად გვიპოვა. ბედნიერი რიცხვია შვიდი...

**— შენ კი მრავალშვილიანობის ტრადიციასაც აგრძელებ...**

— შეიძლება ასე ითქვას. მყავს ქალ-ვაჟი და ახლა ველოდებით მესამეს და მეოთხეს — ტყუპს. ალბათ მეხუთე და მეექვსეც იქნება. შეიძლება მეშვიდე და მერვეც და მერე მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით, მანჯავიძეები (იცინის).

**— ხუმრობა იქით იყოს და თურმე ბავშვობაში დიდი ფათერაკიანი დონჟუანი ყოფილხარ.**

— ეს მცდარი ინფორმაციაა. ფათერაკიანი მართლა ვიყავი, სულ ტრავმატოლოგიურში მაქვს გატარებული ბავშვობა. მიჭრილ-მიკერილ-მოკერილ-შეკოწინებული ვარ. რაც შეეხება ჩემს დონჟუანობას, არასწორი ინტერპრეტაციაა. ბაღის ასაკიდან შეყვარებული კი ვიყავი, მაგრამ ჩემი სიყვარული თითქმის ყოველთვის ცალმხრივი იყო, სიყვარულის ახსნასაც ვერ ვბედავდი. ერთადერთხელ გავბედე და ისიც ჩემი ცოლი გახდა.

სულ პირველად ერთი გოგო მიყვარდა, ჩვენი რომანი მხოლოდ სიცილით შემოიფარგლებოდა. გამიცინებდა, გავუცინებდი და ეგ იყო და ეგ. დღემდე არ ვიცი მისი სახელი. არადა, ის კი კარგად მახსოვს, როგორ მესიზმრებოდა ღამღამობით.

**— რითი მოგხიბლა თეამ და როგორ შეგაყვარა თავი?**

— ქალები ყოველთვის თავისი გარეგნობით მხიბლავდნენ და მხიბლავენ *(იცინის)*. სანამ თეას შევხვდებოდი, მანამდე უამრავი შეყვარებული მყავდა, როგორც კი ვინმე შემიყვარდებოდა, მყისვე მის ეზოში „ჩავსახლდებოდი“ და დილიდან შუაღამემდე სატრფოს თვალწინ ვტრიალებდი. მერე თეა გავიცანი საესტრადო სასწავლებელში, ერთად ვსწავლობდით. ისიც მღერის, შემიყვარდა, მაგრამ მთელი ომი დამჭირდა მის მოსაპოვებლად.

**— რატომ შეავდათ ჩაკეტილი?**

— არა, კიდევ ერთ ბიჭს უყვარდა და მასთან ბრძოლაში მთელი შავი სამყაროს ავტორიტეტების ჩარევაც კი დამჭირდა. კიდევ კარგი, რომ თეასგან არ მქონია წინააღმდეგობა. სიყვარული ავუხსენი და ცოლადაც გამომყვა.

**— ცხოვრების ლამაზი ფრაგმენტია არა, სიყვარულის ახსნა?**

— კი, ლამაზი ფრაგმენტია, მაგრამ მე ისეთ ადგილზე მოვახდინე ეს, რომ... „ნაძალადევის“ მეტროში ხის გრძელ სკამზე ვსხდებოდით და ვსაუბრობდით ხოლმე. ერთ დღესაც ყველაფერში გამოვუტყდი. მანამდე წერილი მივწერე, მიყვარხარ-მეთქი. თან ვთხოვე, თუ სიყვარულში არ თანამიგრძნობდა, წერილი შეენახა და მერე შვილიშვილებისათვის ეჩვენებინა, როგორ უყვარდა ერთ სულელ ბიჭს. საბედნიეროდ, გრძნობაზე მიპასუხა. ახლა გამახსენდა, რომ წერილის ბედით აღარც კი დავინტერესებულვარ.

*ეკა ლომიძე*

კვირა 12 იანვარი

შაბათი 11 იანვარი

პარასკევი 10 იანვარი

ხუთშაბათი 9 იანვარი

ოთხშაბათი 8 იანვარი

სამშაბათი 7 იანვარი

ორშაბათი 6 იანვარი

# შოუს მოწყობაში იმდენი დაიხარჯა, რამდენიც ჰოლივუდში ერთ საათში დაიხარჯებოდა



— ეგ რკინა რომ არ იყოს, მგონი, ჩვენი ოჯახიც არ იქნებოდა...

***თამრიკო ფოცხიშვილი*** *ნაახალწლევს საკუთარ ოფისში ჟოკეის ქუდით და ორიგინალური ჩაცმულობით დამხვდა. მაგრამ ისეთი ქართული მასპინძლობა გამიწია, რომ იფიქრებდით, ამ ქალს მთელი სიცოცხლე შინ ტრიალსა და სტუმრების მიღება-გასტუმრებაში აქვს გატარებულიო. კაცმა რომ თქვას, პირადად მე, კარგი დიასახლისობა ნებისმიერ პროფესიაზე ფასეულად მიმაჩნია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თამრიკო სხვა საქმეშიც პროფესიონალია. იგი ცნობილი მხატვარ-დიზაინერია, რესპუბლიკის მოედანზე საახალწლო შოუს დამდგმელი მხატვარიც ის იყო. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ თუკი ათასობით მაყურებელმა ახალი წლის ღამეს თავისი წილი პატარა სიხარული მიიღო, ამ საქმეში თამრიკოს წვლილიც არის...*

**— თამრიკო, მაინც რამდენი ღამე გაათენეთ ამ შოუს მომზადებაში...**

— ასე, ორი კვირა. აქ ოფისშიც, დიდი რია-რია იყო. მე უმეტესად რესპუბლიკის მოედანზე ვიყავი და აქ დროდადრო შემოვირბენდი.

**— ვისი იდეა იყო შოუს მოწყობა?**

— დათო დოიაშვილის. ნიკა მემანიშვილისთვის უთქვამს, სასწრაფოდ თამრიკო იპოვეო. ღამის სამი საათი იყო და ნიკას მორიდებია, ამ დროს როგორ დავურეკო, ეძინებათო. ჰოდა, დათომ თვითონ დამირეკა. ისე, მართლაც არ გვეძინა. 12 დეკემბერი იყო. მას შემდეგ აღარ უძინია ჩემს ოჯახს. მათ შორის, არც ჩემს მეუღლეს. რომ არა იგი, ბასა და დედაჩემი, არაფერი გამომივიდოდა, დრო იმდენად ცოტა მქონდა. პროექტში ჩემი ჩაბმა ნამდვილი ავანტიურა იყო. სულ სხვა საქმეა რეჟისორი. რეჟისორი ადამიანებთან მუშაობს. ხალხს ესმის მისი. მე კი რკინასა და ხესთან მაქვს საქმე.

**— შოუს წამყვანი წამდაუწუმ იმეორებდა, — „ნახეთ რა მოხდა, მოედანზე ტევა არ არისო!“ მართლა ამდენი ხალხი იყო რესპუბლიკის მოედანზე?**

— იყო... გადაიჭედა პეროვსკაიას ქუჩისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობის მხარე. მახსოვს ასეთი ამბავი მაშინ იყო, როცა თბილისის „დინამომ“ ევროპის თასი აიღო — ფეხბურთი ძალიან მიყვარს და ღამით სტადიონზე მეც ვიყავი. მას შემდეგ ამდენი ხალხი სასიხარულო მოვლენისთვის აღარ შეკრებილა... და ამდენი გახარებული სახე რახანია აღარ მინახავს.

**— იმ ღამეს გვარიანად ციოდა კიდეც...**

— იმ დღეებში ისეთი ყინვები იყო, რომ მუშაობისას რკინასაც კი ვერ ვკიდებდით ხელს, ზედ რომ არ მიგვყინვოდა. ამბობენ, საქართველო მსოფლიო გზათა გზაჯვარედინიაო, მე კი ვამტკიცებ, რომ რესპუბლიკის მოედანი ქარების გზაჯვარედინია და აი ამ „გზაჯვარედინზე“ ახალი წლის წინა დღეს მოულოდნელად იმდენად დათბა, რომ აღარ ვშიშობდით, ხალხი აღარ მოვაო.

**— რა თქმა უნდა, მატერიალური დაინტერესებაც იქნებოდა... ამბობენ, ამ ღონისძიებაზე ორ მილიონამდე ლარი დაიხარჯაო...**

— არ ვიცი, რამდენი გადაუხადეს, ვთქვათ, მსახიობებს ან სხვებს, მაგრამ ვფიქრობ, არც ისე სოლიდური ჰონორარი იქნებოდა. ჩემს სამუშაოში კი დაიხარჯა იმდენი, რამდენიც, ვთქვათ, ჰოლივუდში შოუს მოსაწყობად ერთ საათში დაიხარჯებოდა: არც ერთ ჩვენგანს არ დასცდენია სიტყვა „ფული“ — ბედნიერები ვიყავით, რომ ვაკეთებდით იმას, რაც მოგვწონდა და გვინდოდა. ამასთან, ასეთი საახალწლო შოუ ხომ პირველად დაიდგა და როცა რაიმე პირველად კეთდება, ენთუზიაზმიც უფრო გულწრფელი და დამუხტულია. ამიტომ ჰონორარზე კრინტიც არ დამიძრავს. სხვათა შორის, არც იმ ხალხს, რომელიც დამხმარე მუშებად ავიყვანე და ყინვაში ვამუშავე...

**— რაკი ყინვა ახსენეთ, ცოტა არ იყოს, შილიფად ჩაცმული კორდებალეტი როგორ გაათბეთ?**

— კულისებში გვქონდა გათბობა. გვინდოდა სცენაზეც ყოფილიყო, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან რესპუბლიკის მოედანზე განუწყვეტლივ ქრის ქარი. სამაგიეროდ, ეს მოედანი ძალიან მყარად ნაშენი, საინტერესოდ დაპროექტებული ადგილია. მუშაობას რომ ვიწყებდით, ჩვენთან მოვიდა ამ მოედნის დამპროექტებელი, ძალიან საინტერესო, სიმპათიური კაცი, ტონი კალანდარიშვილი და იკითხა, — ვინ არის აქ მასპინძელიო. ვუპასუხე, წესით თქვენ უნდა იყოთ, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ორიოდე კვირა მე ვიქნები-მეთქი. ამ კაცმა ბევრი რამ მიამბო მოედნის შესახებ...

**— თქვენი მეუღლე რა ჭკუაზე დგება ამდენი რკინის შემხედვარე?**

— ეგ რკინა რომ არ იყოს, მგონი, ჩვენი ოჯახიც აღარ იქნებოდა. მან იცის, როგორ მიყვარს ეს საქმე და მხარშიც მიდგას. ასევე ვარ მეც. ხომ ასეთი დაკავებული ვიყავი, მაგრამ ამ დღეებში, როცა ის სარეკლამო კლიპზე მუშაობდა, დრო გამოვნახე და დავეხმარე. იცით, ტუტანხამონს მეძახის.. მეც ხომ რკინით, მისი აზრით, პირამიდებს ვაშენებ. არადა, ხომ იყო ქალი ფარაონი — ხატშეპსუტი, მაგრამ ჩემს ქმარს ურჩევნია, კაცის სახელი დამიძახოს...

**— „ტუტანხამონი“ საოჯახო საქმეებს თუ ასწრებს?**

— კი, ვასწრებ. რა თქმა უნდა, ახლობლებიც მეხმარებიან და როგორც ყველა ქალს, პრობლემები მეც მაქვს... უიმედო ჟამი დადგა. ხშირად ვიხსენებ ხოლმე მამას, როგორ დარდობდა იმაზე, რაც საქართველოში დატრიალდა. ვცდილობ, ჩემს შვილს შევუმსუბუქო ის, რაც ჩვენ მძიმე ტვირთად გვაწვა და ახლაც გვაწევს, მაგრამ ბავშვის თვალს არაფერი გამოეპარება. ეტყობა, სამშობლოზე წუხილი გენეტიკურად მოგვდგამს ქართველებს. შოუზე, როცა ნატო მეტონიძემ „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“ იმღერა, ხალხი სულგანაბული უსმენდა... თვალები ამიწყლიანდა. მგონი, ვტიროდი.

*ეთერ ერაძე*


ქართული და უცხოური
ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლებისთვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან გაუსვლელად




# საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

გიზო ნიშნიანიძე

მანამდე კი:
„...სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნერვინ შეგვაყრილებს,
თორემ ისეთს დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეყრნება...“
„...წეთლემის კარსა ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მოუვლის ომის ნადილი,
შააყრიალებს ქარიო...“
„...ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან
მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ, შეიძლება ბრძოლაში
მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვცოცხლობთ სიცოცხლეს!“
— ხატზე იფიცებდა საქართველოს გმირულ წარსულს მისი სისხლი სისხლთაგანი ლადო ასათიანი და ბასიანიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ლაშქარს საქართველოს მხედრული ისტორიის ღირსი ლაშქრულით ეგებებოდა:
და გაიშალა ლაშქარდში
ისე, ვით ლომის ფაფარი,
გორგასლიანთა ალამი —
ვაჟკაცთა თავშესაფარი.
ჯარი ძველ ლაშქრულს მღეროდა,
ენანებოდა ცხე-ველი,
და საქართველო იდგა ვით,
გოდოლი შეურყეველი!
უთანასწორო ბრძოლებში ქართულ ლაშქარს მიუძღოდა თამარ მეფის დედური სიყვარული და მეფური სიტყვა:
ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ
შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი
სიმრავლისა მათისათვის და
სიმცირისა თქვენისა,
რამეთუ ღმერთი ჩვენ თანა არს!
უფრო შორიდან კი ჩაგვესმის უფრო შორი ჩვენი სახელოვანი წინაპრის ფარსმან პირველის ხმა — ასპარეზობის წინ საასპარეზოდ მოქნეული მისი სიტყვა მხედრობისადმი:
...აქ — ვაჟკაცნია, იქ — ნადავლი... ეჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყვილნი!
...ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?... — კითხულობს ისევ ქართული ლექსი.

ვინ, ვინ შეამკობდა ხალხის რჩეულებს ხალხზე უკეთ?

დღესაც გულის ფიცარზე აწერია საქართველოს დიდგორი, დავითის მონა-სპა, თამარის ბასიანი თუ შამქორი, ერეკლეს კრწანისი.

ახლა ესეც გავსინჯოთ და ასეც განვსაჯოთ:

რის თიკუნები და პირსაქცევები, ნახეთ საკუთარ სახელებთან ერთად, რა სახელებით ამკობდა ჩვენი წინაპარი თავის გმირებს: „ალმაშენებელი“! „თავდადებული“! „ბრწყინვალე“!.. წარმოიდგინეთ ეს პატივი „ცრუ დიმიტრების“, „მრისხანეების“ და „უბედურების“ ისტორიულ პარალელებში.

საქართველოს ისტორია არაფერს დაგიკარგავს. ქართველი ერის გული და გონება ხელუხლებლად ინახავს, ვთქვათ, ახალ ერმაკად წოდებული და მერე გაზეთ „ივერიაში“ განქიქებული კაზაკთა ატამანი აშინოვი, მთასა და ბარში სახელგანთქმულმა მოკრივემ... ვაჟა ფშაველამ როგორ იფრინა, როგორ „დათაქლა“ სოფლის შემწუხებელი ერთი არაკაცი სახელმწიფო მოხელე; როგორ შეაგება ვაშლოვანს აზატ-მოსეს 30 000-იან ურდოებს მანდატურთუხუცესმა ბექამ თავისი 20 წლის ყრმა 500 მესხით; როგორ შეიჭრა უიარაღო ათაბაგი მანუჩარ ჯაყელი თურქი სარდლის მეჰმედ-ფაშას კარავში; მტრის დასაზაფრავად ფიცხელ ომში, როგორ გადაევლებოდა მოწინააღმდეგის პირველ რიგს უკვე ხანში შესული შეთე გულუხაისძე; როგორ გადაუჭრა მტერს გზა გრემის მონასტრის 40-მა ბერმა, მეფე ერეკლეს რომ ლაშქრის შეკრება და იმ ხმლის გაშიშვლება მოესწრო, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა!“; უცხოური უტიფრობისათვის, მარტო თბილისური თავურებით როგორ დანაყა ექვსმა ყარაჩოხელმა 25 შოტლანდიელი სამხედრო; გასული საუკუნის თავში, როგორ ამშვენებდა თბილისს ფალავნებად აღიარებული: ლოხოშა, ჭიანუა, კუნძუა, ყოჩნიკუა, გიჟ-ვანუა... უფრო აქეთ, ქუთაისელი კოლია ქვარიანი, მცხეთელი სანდრო კანდელაკი, შაშო ვერელი... აგერ მთლად ჩვენს დროს — 50-იანი წლების ყოჩი ბიჭები — რეზო ფაღავა, თენგიზ კეკელიძე, გოგია ქარსელაძე და რებეცა, დოდო აბაშიძე და... რომელი ერთი; ისიც გავიხსენოთ: როგორ აართვა კბილებამდე შეიარაღებულ ლეკს სატევარი და მისივე ხმლით როგორ აკუწა აფხუშოელმა ნანაიმ მომხვდური; როგორ მიუცვივდნენ გადამთიელები სახლში მარტო მყოფ თუშის ქალს, რომელმაც წინდის ჩხირებით გამოასალმა წუთისოფელს სამი მოძალადე; როგორ უმღერა გმირების მშობელმა ქვეყანამ ზეზვა გაფრინდაულს, თევდორე ბერს, ცოტნე დადიანს; ქალ-მეომრებს — მარიამ ხერხეულიძეს, მაია წყნეთელს, თამარ ვაშლოვნელს, თინა წავკისელს... სხვათა და სხვათა...

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა,
მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა,
ფერი მათი მერანის.

ბოლო-ბოლო ხალხური ლეგენდების გმირთაგმირები, ღმერთსა და კაცს შორის სახსენებელი ღმერთკაცები იახსარი და კოპალაც ვახსენოთ.

ლეგენდარული გმირები და გმირული ლეგენდები!

უკვდავებაში გადასული სინამდვილე და სინამდვილეში გადმოსული უკვდავება.

ამან გადაარჩინა საქართველო!

ამიტომ არ იშურებდა მსოფლიო ისტორია კეთილ სიტყვას იმ ერთ ლეგენდარულ, პატარა ქვეყანაზე, რომელსაც საქართველო ჰქვია! რომელმაც აქამდე გაძლო! რომლის სიდიდე მისი შვილების სიდიადით იზომებოდა!

მთელი საქართველო ერთ სულ და ერთ ხორც იყო. მარტო ის რად ღირს, რომ ვახტანგ VI-ის ცხენის კარაბადინის 7 პირობიდან უპირველესი პირობა გახლდათ — უწმინდური და ფინთი კაცი არ შემაჯდესო.

...თვით ჰომეროსმა, ჯერ კიდევ ტროას ომში ახსენა ჰალიძონები (ხალიბები); ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების მკვიდრი ქსენოფონტე წერდა ხალიბებზე: ეს იყო უმამაცესი ხალხი, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონიათო.

ჯერ კიდევ სტრაბონი აღიარებდა, რომ: სოანები... თავის სიმამაცითა და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხებზე უფრო სახელოვანნი არიან.

ახლა რას ბრძანებდა აგათია სქოლასტიკოსი: ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები, ამაყობენ კოლხთა ძველი სახელითა და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლოა არცთუ უსაფუძვლოდ.

ასეთია სხვათა აზრი.



ზოგი სხვისი, ზოგი ჩვენიცა ვთქვათ!

ილია: რამ გვასულიერა?.. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცები ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. და როგორც პოეტმა თქვა:

საქართველო იდგა,
ვით გოდოლი შეურყეველი!
იდგა!
ჭეშმარიტად იდგა!
მოწმეა ისტორია!

თუმცა ისიც საკითხავია — ახლა კი, დგას?

დგას, მაგრამ ვაი ამ დგომას! კიდევ კარგი და მადლობა ღმერთს, რომ მსოფლიო გეოსამყაროს დღემდე შემორჩა ორ ზღვას შორის შაგრენის ტყავივით შემოლეული საქართველო და ამის მომსწრეს და ამღიარებელს აქვე ავბედითად ამეტორღიალა შავი სტრიქონი:

ხელის კანკალით შემოხაზული
ქართველთა რუკას,
არავინ იცის, ღმერთის გარდა,
ეშმა რას უქადის?

...ომისა და შრომისაგან ქანცგაწყვეტილ ქართველ კაცს ოდითგან სულ მშვიდობა ეკერა პირზე:

დილა მშვიდობის!
საღამო მშვიდობის!
ღამე მშვიდობის!

რადგან სულ სანატრელი ჰქონდა მშვიდობა და დღე და ღამე სულ თოფ-დამბაჩასთან ერთად ეძინა.

გამოხდა ხანი და ჩვენი წინაპრების ეს ხმალხანჯალი, რომელიც „გაისარჯა და ბრძოლებში დაიხარჯა“, დროთა განმავლობაში დეკორატიულ სამკაულებად გვეკიდა სასტუმრო ოთახებში გაკრულ, ასე ვთქვათ, ეთნოგრაფიულ ხალიჩებზე... ბებიების ჩიხტიკოპებიან და ბაბუების კოკობწვერულვაშიან სურათებთან ერთად, რუბრიკით:

... თორემ, მტერს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ
„მარაბდა!“

ვაი, რომ აღარ გვყოფნის ეს მტრის საფრთხობელები, გულზე მჯიღის ცემა, ხმამაღალი ლაპარაკი და საპარლამენტო ასპარეზობების მუშტი-კრივი.

ვაი, რომ აღარ გვყოფნის ეს თვითმარქვია და ყბადაღებული, ეგრეთ წოდებული „თავისუფლება“, რომელსაც ასე მისტიროდა მთაში ლელთ ღუნია და ბარში გალაკტიონი:

თავისუფლება სულს ისე მოსწყუროდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს
წყარო ანკარა!

დროშები, დროშები ჩქარაო! შემოუძახა რევოლუციით აფორიაქებულ და თავისუფლებამონატრებულ საქართველოს...

დროშები, გიყვარდეს — თავისუფლებისა კი, რა მოგახსენოთ!

ვჭამეთ! 70 წელიწადი გვაჭმევდნენ და ვჭამდით.

დიახ, მე, სსრ კავშირს უსუსურ კავშირს ვეძახდი, — ვითომ ხუმრობით, მაგრამ ეს ის ხუმრობაა, რომელიც ნახევარი კი არა, თავიდან ბოლომდე მართალი გამოდგა!

ეს არ იყო ლელთ ღუნიას ნანინანატრი თავისუფლება, რომელსაც უბრჭყალებოდ იხმარდი და როცა გულზე ხელის დადებით იტყოდი, — ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდაო.

სულო ცოდვილო და კაცმა რომ თქვას, არც დღევანდელი დღე ჰგავს მთლად ნანატრს, რადგან მე თუ მკითხავთ: თავისუფლების უფლება აქვს მას, ვისაც აქვს უფლების თავი! ეს კალამბური კი ასე უნდა გავიგოთ: უნდა გვქონდეს იმისი თავი, რომ თავი გავართვათ თავისუფლებას და, რაც მთავარია, შეგვეძლოს დავიცვათ იგი! დაცვის გარეშე კაპიკია თავისუფლების ფასი. თავისუფლება დაცვის გარეშე, თავისუფლება კი არა სხვისი უფლებაა, უციხო საპყრობილეა!

— ამ სტრიქონებამდე დიდხანს და ჯიუტად იარა ქართულმა ლექსმა, — იარა, რათა ერთ მშვენიერ დღეს ამოეთქვა პოეტს, რომელსაც ნათლიად ტარიელი (ტარიელ ჭანტურია) დაარქვა... შეარქვა იმისთვის, რომ ჩვენს მთამომავლობას ეტარიელ-ეფრიდონ-ეავთანდილა!

ასეა ეს, ჩემო ბატონო!

თუ ერთ კაცს ასკაციანი დაცვა უნდა, თავისუფლებას მცველად, სულ ცოტა მთელი ერი სჭირდება.

ასეა მშვიდობაც. გინდა მშვიდობა? — ემზადე ომისთვისო!

ომს კი ცოდნა უნდა!
ოფლი უნდა!
სისხლი უნდა!

თუ არ გსურს ასეთი მეომარი გყავდეს და ასეთი ჯარი არჩინო, მაშინ სხვისი ჯარის რჩენა მოგიწევსო, — გვაფრთხილებს ხალხური სიბრძნე და იქვე ერთ სამურაულ ანდაზასაც შეგვახსენებს:

ყველაზე კარგი კაცი... ჯარისკაციაო!

ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი (1797-1801):

მე უნდა ვისწავლო პოლიტიკა, სამართალი და საბრძოლო ხელოვნება იმისათვის, რომ ჩემს შვილებს ჰქონდეთ თავისუფლება მათემატიკის და ფილოსოფიის შესწავლისა. ჩემმა შვილებმა უნდა ისწავლონ მათემატიკა და ფილოსოფია, გეოგრაფია, ბუნების მეტყველება და საზღვაო არქიტექტურა იმისათვის, რომ მიანიჭონ საკუთარ შვილებს უნარი, რომ ამ უკანასკნელთ შეძლონ ხატვის, პოეზიის, მუსიკის, არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფაიფურის საქმეში დახელოვნება.



სხვათა შორის, სულ მშვიდობაზე მეოცნებე ჩვენს წინაპარს ერთი ასეთი ფიგურალური, ასე ვთქვათ, ქარაგმული გამოთქმა აქვს, რომელიც ჯერხნობით მთლად კარგად გაშიფრულიც არ არის.

კარგად დააკვირდით! სულ „დილა მშვიდობა-საღამო მშვიდობაში“ მიმსალმებელ-მომსალმებელი ჩვენებური კაცი, ერთობ ირონიულად და თქვენ წარმოიდგინეთ, დამამცირებელი ტონითაც კი წარმოთქვამს ფრაზას, — მოვიდა მშვიდობის მაძიებელიო!

სულ მშვიდობის ძიებაში ვიყავით და ეს ირონია რაღააო? — იკითხავს კაცი და კარგად თუ დაუკვირდება, თვითონვე გასცემს პასუხს: ისტორიულად, მტრის გარემოცვაში, ურჯულოებით გარშემორტყმული ჩვენი „ხმელეთზურმუხტი“ მიწა-წყლის კაცს არ ჰქონდა უფლება ეოცნება მშვიდობაზე და ყველას, ვინც კი უსისხლოდ და უფათერაკოდ აპირებდა ქართველობას — „მშვიდობის მაძიებელს“ ეძახდნენ! სხვა ახსნა ამას ვერ მოვუძებნე.

ზვიად გამსახურდია:

ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა...

საქართველო იყო ერთი მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა.

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერისას გვაუწყებს: ბავშვები ისე აფარებენ იარაღს და მშვილდს, თითქოს დაბადებიდან შეაზარდეს ბრძოლას.

დიახ! დედიკოს ბიჭები დედასამშობლოს ბიჭებად არ გამოდგებიან.

ქართველი კაცი მებრძოლად უნდა გაიზარდოს!

...რომ, როგორც ერთმა კახელმა გლეხმა თქვა, — სამშობლოს ცოცხალ ღობედ — ჯარისკაცად გამოადგეს, ციხესიმაგრედ გამოადგეს და არა ბატონ-პატრონი იყოს!

მისი მამლობა — ჩემი დედლობის ბრალიაო — ვაჟკაცურად აღიარა დამარცხებულმა და ამ უკანასკნელმა ეს უკანასკნელი იმედიღა დაგვიტოვა აზრზე მოსვლისა.

მაინც რა იყო ასეთი „გადედლების“ მიზეზი?

მიზეზ-მიზეზო... მიზეზს რა დალევს!

ჯერ მარტო ის რად ღირს, საბჭოთა ჯარში, ქართველს საბრძოლო ხელოვნებას კი არ აზიარებდნენ, საინტენდანტო სამსახურში, სამზარეულოში კარტოფილის ფცქვნაში რომ ხდიდნენ სულს;

ჩვენი წინაპარი ჯარში ნამყოფ კაცს თვლიდა კაცად და ქვეყნის უპირველეს სამსახურადაც ჯარისკაცობა ითვლებოდა!

ახლა კი რას არ კადრულობენ, რომ ქვეყნის სავალდებულო სამსახურს თავი აარიდონ!

გადავყევით მუცელს... მუცელს გადაყოლილი ქალია საცოდავი, ერი კი — არა!

თავისუფლება, უდიდესი პატივია ერისათვის და მას გაფრთხილება სჭირდება!

„ჭიდაობას რა უნდაო?“ — გვაქეზებს ხალხური სიბრძნე, რომ მებრძოლი სული ჩაგვიდგას და სამშობლოს დაცვა გვასწავლოს.

ჭიდაობას რა უნდა და ფეხის გამოკვრა უნდაო — აკვნიდანვე ჩაგვესმის, მაგრამ მარტო „ფეხის გამოკვრა“ არ შველის საქმეს. ჭიდაობას, კრივს, საბრძოლო ხელოვნების უძველეს ქართულ სახეობებს დღეს რა სჭირდება, რა უნდა, როგორ უნდა და რანაირად უნდა, ამას დღესდღეობით იმაზე უკეთ ვერავინ გვასწავლის, ვიდრე ის წიგნი, რომლის ავტორები არიან ლევან კიკალეიშვილი, კობა ჭუმბურიძე, კახაბერ ზარნაძე და რომლის სახელწოდებაა: „ზნენი სამამაცონი ანუ ქართული საბრძოლო ხელოვნება“.

ზნეშერყეული ქვეყანა, რომელიც ინერციით იქნევს ხმალს, ვერაფერი დამცველია თავისუფლებისა, — წერენ წიგნის ავტორები.

1940 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომის ცხელი სუნთქვა იგრძნო და მსოფლიო ოკეანეში თავისი პატარა ქვეყნის მომავალი გაისიგრძეგანა, სულგანათლებულმა და დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გვიანდერძა: დიდი ხნის და მდიდარი ისტორია აქვს ქართულ სპორტს, შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების მიერ მრავალი ასეული წლის მანძილზე შემუშავებული ეროვნული სპორტის ცალკეული სახეები. ეს უსათუოდ საჭიროებლო და ღირსების საქმეა. იგი შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად განვითარებას, შეუმუშავებს მას მტკიცე ნებისყოფას, გამბედაობას და გამჭრიახობას.

...თუ რამდენად დიდია დიდი მამულიშვილის ეს მოწოდება დღეს და რამდენად შევძელით წიგნის ავტორებმა ამ საქმის დაძვრა, ამის განსჯა შენთვის მოგვინდვია, ძვირფასო მკითხველო და რაკიღა ამ სტრიქონამდე ჩამოგიკითხავს — თანამოაზრეო — მოგვმართავენ წიგნის ავტორები.

ღრმად პატივცემულო ავტორებო!

მოგეხსენებათ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა! რადგან კეთილი ინებეთ და მე, ამ წიგნის პირველ მკითხველს (ხელნაწერშივე), „თანამოაზრე“ მიწოდეთ, ერთ წოდებას მეც გავიმეტებ ჩემთვისაც და თქვენთვისაც:

თქვენ იმ სახელოვანი წინაპრის მეორედ მოსვლა ხართ, ვისაც ამ წიგნით ხელთუქმნელ ძეგლს უდგამთ; მე კი თქვენი თანამოაზრეც ვარ, გულშემატკივარიც და თანამებრძოლიც.

მიგულეთ!

...რომ ბარდნალელი ბიჭის, ლადო ასათიანისა არ იყოს: ცხრა ლახვარი რომ დაგვარტყან, ცხრაჯერ მწარედ გავიცინოთ; მუხლი არ მოვიყაროთ, ქედი არ მოვიხაროთ და უკან არ დავიხიოთ...

რადგან საქართველოში უკან დასახევი ადგილი აღარ არის!

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: თუ კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირან, აბრსკილის სისხლი და ხორცნი ვართ, თავისუფლებისათვის სულ ჯაჭვების წყვეტაში რომ არის, ვაღიაროთ: მუცელს აყოლილ-გადაყოლილი ბატონი ლუარსაბ თათქარიძე და ტრაბახა ნაცარქექიაც ხომ ჩვენს ხასიათშია?! თუმცა, ამ უკანასკნელს რას ვერჩით — სწორედ ჭკუისკოლოფი ნაცარქექია გვასწავლის, რომ ხერხი სჯობია ღონესა. ჰოდა, ამ მადლიანი წიგნით ღონესაც მოიკრებთ და ხერხსაც ისწავლით.

გაგიმარჯოს, დამილოცნიხარ, მეომარო წიგნო! მშვიდობაში — მშვიდობით გევლოს, ომში კი — გაგემარჯვოს!

ღმერთი იყოს ჩვენთან.

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

# სიცოცხლე, რომელიც უფლის ნებით გადარჩა

ეს წერილი გაცილებით ადრე, ორი თვის წინ მომზადდა, მაგრამ საგანგებოდ შემოვინახე საშობაო ნომრისთვის.

ქალბატონი, რომელმაც წერილით გული გადამიშალა, გინეკოლოგია და ე.წ. „აბორტმახერიც" გახლდათ. თუ რა გადახდა თავს და რამ აალებინა ხელი აბორტმახერობაზე, ამაზე თვითონვე გიამბობთ.

ნანამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებად ერთ გამოცდაში მიღებული ფრიადი სრულიად საკმარისი იყო. მშობლებმა იგი თბილისში ერთ ძლიერ ფიზიკოსად მიჩნეულ ლექტორთან მიიყვანეს მოსამზადებლად. მან კი, ფიზიკასთან ერთად, თავიც შეაყვარა გოგონას... იგი დაორსულდა. ის-ის იყო, გაზაფხული ილეოდა და ზაფხულის ხვატთან ერთად საგამოცდო ციებცხელება უნდა დაწყებულიყო. მშობლებმა ჩივილს და აყალმაყალს გაჩუმება და „საქმის მიხედვა" ამჯობინეს, ამიტომაც შვილს ბავშვი მოაცილებინეს. ფიზიკოსიც „დაჩალიჩდა" და... სულ მალე ნანა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. აი, მაშინ კი ხმა აიმაღლეს მშობლებმა და ლექტორი აიძულეს, ყოფილ აბიტურიენტთან ხელი მოეწერა. საცოლო ასაკს კარგა ხნის გადაშორებულ ფიზიკოსს დიდხანს არ უყოყმანია, ნანა სასიამოვნო გარეგნობის გოგონა იყო...

სხვა გზა არ ჰქონდა ნანას, ასეთ „გარიგებას" უნდა დასთანხმებოდა, თუმცა გინეკოლოგის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე მიხვდა, რომ ბავშვთან ერთად უცებ მოვარდნილი სიყვარულიც დაკარგა და დაასამარა.

წლები გავიდა. მეორე ბავშვი — ამჯერად სასურველი და ნანატრი — აღარ გაჩნდა. ნანამ ინსტიტუტი დაამთავრა, ერთ-ერთ პრესტიჟულ სამშობიარო კლინიკაში დაიწყო მუშაობა და სახელიც მალე მოიხვეჭა. იგი ხან მშობიარეს ილებდა და ახალი სიცოცხლის დაბადებაში ეხმარებოდა ქალს, ხან კი, ქალისავე თხოვნით, იმ სიცოცხლეს ჩანასახშივე კლავდა... ნანა მუშაობის დაწყებიდან სამი წლის მერე ფიზიკოს მეუღლეს გაშორდა. აღარც აპირებდა მეორედ გათხოვებას, მაგრამ როცა ახალგაჩენილ ბავშვს ხელში შეათამაშებდა და მის პირველ ამოტირებას გაიგონებდა, უდიდესი ბედნიერების შეგრძნებასთან ერთად გული ელეოდა, ახალგაზრდობის დროინდელი ცოდვა ტანჯავდა. ხშირად ფიქრობდა, თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ არც ერთისკენ არ მიმიწევს გული, ალბათ ღმერთი ამ სახით მსჯის, თორემ ჩემი დასაწუნი რა სჭირთო..

ბოლოს მაინც მოვიდა გრძნობა, რომელსაც ნანა ელოდა — მისი რჩეულიც ექიმი-გინეკოლოგი იყო. დაქორწინდნენ. მათ ბედნიერებას მრავალი მოშურნე გამოუჩნდა, რადგან სიყვარულიც დიდი ჰქონდათ ერთმანეთისა, თანაც ორივე კარგი სახელით სარგებლობდნენ და პაციენტებიც არ აკლდათ.

ერთადერთი ჩრდილი მათ ცხოვრებაში უშვილობა იყო. როგორ არ იმკურნალა, ვინ არ შეაწუხა ცოლ-ქმარმა, მაგრამ თითქოს დაწყევლილები იყვნენ. ბოლოს, ხელიც ჩაიქნიეს, — ასეთი ყოფილა ჩვენი ბედიო. ბავშვის შვილებაზეც დაიწყეს ფიქრი, რომ საოცრება მოხდა — ნანა დაორსულდა. 9 თვეში კი საკეისრო კვეთით მშვენიერი ბიჭუნაც გააჩინა, რომელსაც სანდრო დაარქვეს...



გავიდა დრო. სანდრო ექიმი გახდა, კარდიოლოგი.

ხშირად ჩადენილი ცოდვა გვავიწყდება, ღმერთი კი რაიმე შემთხვევას კვლავ წინ დაგვახვედრებს გამოსაცდელად...

სანდროს „შეუფერებელი" ოჯახის შვილი შეუყვარდა. ქალბატონი ნანა წინააღმდეგი იყო, რომ მის ერთადერთ ვაჟს ის გოგო მოეყვანა ცოლად. შვილის ეგოისტურმა სიყვარულმა თავისი ახალგაზრდობა დაავიწყა და სანდროს მტკიცედ მოსთხოვა, მის შეყვარებულს ბავშვი მოეცილებინა. სანდრო ასპირანტურაში სასწავლებლად მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყო. მე ხომ არ უნდა დამიტოვო ბავშვიანი ქალი, შენ კი სწავლაში ცოლ-შვილი ხელს შეგიშლისო და სანდროს შესთავაზა: წადი, ჩააბარე ასპირანტურაში, როცა რთულ პერიოდს დასძლევ, მერე წაიყვანე შენი სატრფოო. მეორე დღეს სანდრომ დედის სიტყვები შეყვარებულს გაუმეორა. მანაც, მამა აბრამის ბატკანივით თავი ჩაღუნა და უდრტვინველად დაჰყვა სადედამთილოს „კეთილ" რჩევას.

ქალბატონმა ნანამ რძალი სწორედ იმ კაბინეტში შეიყვანა, სადაც იგი მუშაობდა აბორტმახერად. ჯერ იფიქრა, აბორტს მევე გავუკეთებო, მაგრამ მერე გადაიფიქრა: ღვიძლი შვილიშვილი როგორ მოვკლაო. მეგობარ გინეკოლოგ ქალს სთხოვა: ოღონდ ახლა მიხსენი და სიკვდილამდე არ დაგივიწყებ ამ პატივისცემასო. თვითონ უკანმოუხედავად გავიდა გარეთ და იმ დღეს სამსახურში აღარც დაბრუნებულა. საღამოს დაურეკა მეგობარს. მან დაამშვიდა, — ყველაფერი გართულების გარეშე გაკეთდა და ნუღარაფერზე ნერვიულობო. სიმართლე კი დაუმალა. არ უთხრა, რომ გოგონასათვის აბორტი არ გაუკეთებია. ექიმს შეეცოდა ახალგაზრდა დედა, დაენანა ბავშვის სიცოცხლე. გადაწყვეტილი ჰქონდა, როცა სადედამთილო დაწყნარდებოდა, სანდროც თავის საქმეს მიხედავდა და ბავშვიც დაიბადებოდა, მერელა გაემხილა. სამწუხაროდ, არ დასცალდა — პაწიას დაბადებამდე ავტოავარიაში დაიღუპა. ნანამ კი სიმწრით გაიფიქრა: ჩემ მაგივრად იგი დაისაჯა, მე რომ არ მეთხოვა მისთვის აბორტის გაკეთება, შეიძლება ახლა ცოცხალიც ყოფილიყოო.

თავდაპირველად, სანდროს ცხოვრება ისე წარიმართა, როგორც ქალბატონ ნანას უნდოდა. დედა სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, მით უფრო, რომ სანდრო აღარ ახსენებდა თავის შეყვარებულს. ცოტა ხანში დედას შეატყობინა, რუსი ქალი შევირთე და მოსკოვში ვრჩებიო. ეს კი აღარ მოეწონა ქალბატონ ნანას, მაგრამ რაღას იზამდა? რაც დათესა, იმას იმკიდა. მალე შვილიშვილებიც შეეძინა. ზამთარში, ახალი წლის დღეებში, ქმართან ერთად სტუმრობდა შვილს, ზაფხულობით კი ისინი ჩამოდიოდნენ აქეთ. ზოგჯერ სანდრო ისეთი დაკავებული იყო, რომ ვერც ახერხებდა ჩამოსვლას, სამაგიეროდ, მისი ცოლი ნატაშა არც ერთ სეზონს არ აცდენდა. მას, როგორც ყველა ჩრდილოელს, უზომოდ უყვარდა საქართველოს მზე და ზღვა. თბილისში ორი დღეც არ ჩერდებოდა, მაშინვე გარბოდა ხან ბათუმსა და ურეკში, ხან გაგრასა და ბიჭვინთაში...

აქედან კი სჯობს თავად რესპონდენტის წერილს დავეყრდნო: „მერე ისე მოხდა, როგორც უმეტესწილად ხდება ხოლმე, როცა ქართველი კაცი რუს ქალს უკავშირებს თავის ბედ-იღბალს. ნატაშა გათხოვდა, გოგონა თავისთან წაიყვანა, ბიჭი კი ჩვენ გამოგვიგზავნა. ჩემი შვილი დღესაც მოსკოვშია, თითქმის გარუსებული, აქეთკენ იშვიათად იხედება. სამაგიეროდ, სანდროს გიორგია ზედმიწევნით ქართული სულის და უზომოდ მიხარია...

სინდისის ქენჯნა დიდი ხანია მაწუხებდა ჩემი საქციელის გამო. მე ხომ მჯეროდა, რომ გოგონას აბორტი გაუკეთა ჩემმა მეგობარმა... ერთხელ, ის-ის იყო, სამსახურიდან უნდა გამოვსულიყავი, რომ 18-19 წლის გოგონა მოვიდა ჩემთან. მკითხა, თქვენ ხომ ესა და ეს ექიმი ბრძანდებითო. კი, შვილო, მაგრამ თუკი საჩქარო არაფერია, ხვალ მოდი, ახლა მივდივარ-მეთქი. შეჩერდა. თითქოს დაბნეული მიმზერდა. ისეთი ლამაზი და სევდიანი იყო, ვუთხარი, შემოდი, გაგსინჯავ-მეთქი. არაო, — მითხრა. გასასინჯად არ მოვსულვარ, რაღაც მინდა გითხრათო. მოსასმენად მოვემზადე... ახლაც მიკვირს, მოულოდნელობისაგან გული როგორ არ გამისკდა — მე თქვენი შვილიშვილი ვარ, თქვენ ჩემი სიცოცხლე არ გინდოდათ, მაგრამ მე მაინც გავჩნდი უფლის ნებით და კეთილი ადამიანის დახმარებითო... მერე დედამისის წერილი გადმომცა, სადაც ყველაფერი დაწვრილებით ეწერა, თუ როგორ ურჩია ჩემმა მეგობარმა, აბორტი არ გაეკეთებინა, როგორ დაჰპირდა, რომ ყველაფერში დაეხმარებოდა, ოღონდ ბავშვი შეენარჩუნებინა... ჩემი რძალი კი მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულა, გოგონაც გაუჩენია და ამდენი ხნის მანძილზე აღარაფრით შევუწუხებივარ.

ახლაც იმიტომ გადავწყვიტე სიმართლის თქმა, რომ შვილმა შემაწუხა ათასნაირი კითხვით. სანამ ბავშვი იყო, ვუმალავდი ბევრ რამეს, ახლა კი ჩავთვალე, რომ საიდუმლო უნდა გამჟღავნებულიყოო, მწერდა. კარგა ხანს გაშეშებული ვიჯექი, მერე ტირილი ამივარდა, სულ დავუკოცნე სახე, თმა, ხელები ჩემს შვილიშვილს, რომელმაც ჩემი ახალგაზრდობა მომაგონა (ძალიან მგავს!). მერე ერთად წავედით ჩემი მეგობრის საფლავზე, სანთლები დავუნთე და ათასი მადლობა ვუთხარი იმ კეთილშობილი საქციელის გამო, რომ მეორე დიდ ცოდვას ამაცდინა. ჩემს შვილს უკვე მივწერე ყველაფერი. ალბათ საშობაოდ ჩამოვა და ვფიქრობ, ყველაფერი კეთილად დამთავრდება".

P.S. როგორც ზემოთ გითხარით, შინაარსიდან გამომდინარე, ეს წერილი საშობაოდ შემოვინახე. ვინ იცის, ქალბატონ ნანას ჰგონია, რომ გულგრილად მოვეკიდე მის ამბავს. პირიქით, ქალბატონო ნანა, თქვენმა თავგადასავალმა შემძრა და დარწმუნებული ვარ, არც ჩვენს მკითხველებს დატოვებს გულგრილს. ისინი აუცილებლად შემოგვეხმიანებიან. მე კი იმედს ვიტოვებ, რომ თქვენი ამბის კეთილ დასასრულს უეჭველად შეგვატყობინებთ.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# ეს ფუმფულა, კოხტა შალი...



აღმოსავლელი მანდილოსნები ჯერ კიდევ დიდი მოგოლების დროს მიხვდნენ, რომ ყველანაირი აღნაგობის ქალს მომხიბლაობას მატებს დიდი ზომის ნაჭრით შემოსვა: შალით, სარით, თუნდ ჩადრით.

ევროპელებმა შალი XVIII საუკუნეში დააფასეს, როცა ინგლისელებმა ინდოეთის კოლონიებიდან ძვირფასი ქსოვილების ჩამოტანა დაიწყეს. საუკეთესოდ ითვლებოდა ინდური, სპარსული და თურქული. XIX საუკუნიდან რუსეთმაც დაიწყო მათი წარმოება და დიდი წარმატებით სარგებლობდა ევროპაში, რადგან ორმხრივი იყო.

XIX საუკუნის დასაწყისში ქალები შალს ზამთარ-ზაფხულ არ იშორებდნენ, შინ და გარეთ ყველგან მოსხმული ჰქონდათ, რადგან მაშინ მოდაში გამჭვირვალე, სიფრიფანა ბატისტის კაბები იყო და მოსასხამის გარეშე თავს შიშვლად გრძნობდნენ.

მაღალი საზოგადოების ქალებს სულ ცოტა, 7-8 ცალი სხვადასხვა ფორმის და ზომის შალი მაინც ჰქონდათ. იმხანობას მოდაში საგანგებო ცეკვაც კი შემოვიდა — „პადე-შალი", რომელიც საოცრად გრაციოზულ ილეთებს შეიცავდა და პოპულარული იყო XIX საუკუნის ბოლომდე.

XX საუკუნეში შალი კვლავ გაახსენდათ და 70-იან წლებში მოდაშიც დამკვიდრდა.

XXI საუკუნეში მას ხმარობენ სტილიზებულ ქურთუკებთან, ელეგანტურ პალტოებსა და გამოსასვლელ კაბებთან ერთად.

# კულულები, კულულები



სწორი და ხავერდოვანი თმის ორწლიანი ბატონობის შემდეგ კვლავ მოდაში შემოვიდა ხუჭუჭი თმა. 2002 წლის მიწურულიდან პოდიუმზე, პრემიერებსა და ჟურნალების ყდებზე ბრწყინავენ კულულებდაყრილი კინოს თუ პოდიუმის ვარსკვლავები. ოქროსდალალებიანი ნიკოლ კიდმანი „ოსკარის" ცერემონიალზე, მადონა სიმღერის პრემიერაზე, ქეით მოსი — სარეკლამო რგოლში, ჯენიფერ ლოპესი და ბიიონს ნოულსი „ოსტინ პაუერკ-3"-ში ველური აფრიკული ხუჭუჭებით იწონებდნენ თავს. რომანტიკულად აწეწილი თმა ამშვენებდა ბრიტნი სპირსს ახალ კლიპში, ვარსკვლავური პარიკმახერი, ორლანდ პიტა კი ქალებს მოუწოდებდა ბატკნებივით ხუჭუჭა შეგებებოდნენ ახალ წელს, რადგან მთელი 2003 წელი „კულულოვანი" წელი იქნება.

ასე რომ, ქალებო, ამოქექეთ დედების და ბებიების კიდობანი, მოძებნეთ ბიგუდები და თმის დასახვევი მაშები — აბა, მოდას ხომ არ ჩამორჩებით?!

# რა დროს ჩხუბია



**ძალიან მიყვარს ანდაზების კითხვა და ამას წინათ ერთმა მათგანმა რატომღაც განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. „ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო", — ამბობს ანდაზა. რახან ჯერ ცოლი არა ვარ და ქმარიც არა მყავს და აქედან გამომდინარე, ცოლქმრული ჩხუბის გამოცდილებაც არა მაქვს, ამ ანდაზის შინაარსში ჩაწვდომა გამიჭირდა. ამიტომაც ავდექი და ისევ ჩემს რესპონდენტებს დავუკავშირდი კითხვით — რაზე ჩხუბობს ცოლ-ქმარი და ჰქვია თუ არა მათ ჩხუბს ჩხუბი?**

**თაკო:** — ზოგჯერ ცოლ-ქმარიც დაობს, უბრალო კამათით იწყებენ და ხელჩართულ ჩხუბშიც კი გადადიან სამწუხაროდ, მაგრამ ამ საზეიმო დღეებში სულაც არ მინდა ცუდი ამბები გავიხსენო. აი, მე და ჩემი ქმარი ხშირად ვჩხუბობთ შვილების გამო. თუ მე ვტუქსავ ბავშვებს, გოგა ამაზე გიჟდება და იწყებს ყვირილს — ჩემს შვილებს როგორ ექცევიო. ის თუ უბრაზდება ბავშვებს, მაშინ მე გამოვდივარ „ჩაგრულთა" დამცველი და ბოლოს საქმე იქამდე მიდის, რომ ერთმანეთს ვებუტებით 3-4 დღით, ზოგჯერ ერთი კვირითაც და ისევ ბავშვები გვარიგებენ. აგერ, ახლახან, გაბუტულები ვიყავით და ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე შევრიგდით. ამჯერად მიზეზი ის იყო, რომ ქმარმა აიტეხა, საახალწლოდ ყველაფერს მე ვიყიდიო და ნახევარზე მეტი გადასაყრელი სანოვაგე მოიტანა.

**ეკა:** — ისე, მართლაც არ ჰქვია ცოლ-ქმრის ჩხუბს ჩხუბი. ჩვენც, ამ წუთში რომ ვდაობთ, მეორე წუთში ერთმანეთს „ვეკუსკუსებით". რაზე შეიძლება წავკინკლავდეთ? მაგალითად, ვუყურებთ ტელევიზორს, სადაც ფილმში რომელიმე ჰოლივუდელი ლამაზმანი მონაწილეობს და ჩემი ქმარი აღფრთოვანებას ვერ ფარავს. სასიყვარულო სცენის ყურებისას კი აღნიშნავს — სიამოვნებით ვიქნებოდი ამ ქალის პარტნიორიო. მე ამ დროს ვიბოღმები. მაგრამ როგორც კი შანსი მეძლევა, ვცდილობ, სამაგიერო გადავუხადო და ვეუბნები, სიამოვნებით გავატარებდი დროს მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ მამაკაცთან, ბენ აფლეკთან-მეთქი. მაშინ კი იწყებს ჩემი ლომი ბრდღვინვას. არა, ქმარი აშკარად მჩაგრავს.

**მანანა:** — ჩხუბი ჩხუბია. რას ჰქვია ჩხუბი მართალი და მოჩვენებითი, არ მესმის. ჩემმა ქმარმა, რომელსაც, საბედნიეროდ, უკვე გავცილდი, სრულიად უმიზეზოდ იცოდა ჩხუბის ატეხვა და ისეთ საშინელებებს აკეთებდა, ნამდვილი ომი იყო. ნერვებს რომ დამაწიწკნიდა უშვერი ლანძღვა-გინებით და ღრიალით, მერე რამე საშინელებას მოიფიქრებდა და კიდევ, მაგალითად, ერთხელ აიღო ჩემი ტანსაცმელი, ჩემოდნებში ჩატენა და მტკვარში გადაუძახა. ქმარი კი არა, ნამდვილი ტარტაროზი იყო. სულაც არ მინდა მისი გახსენება.

**ლანა:** — მართლა სერიოზულად ვეჩხუბე ჩემს ქმარს, როცა მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმი ვნახე, სადაც ჩემი მშვენიერი და სექსუალური ქმარი ვიღაც ლამაზმანს ეხვეოდა ეროტიკულ კადრებში. ისეთი ამბავი ავტეხე, ყველა გავაგიჟე. რეჟისორს მოვთხოვე, ის სცენები ამოჭერი მონტაჟის დროს-მეთქი, მაგრამ არ დამინდეს, ამიტომ თვე-ნახევარი ხმას არ ვცემდი ჩემს ქმარს. რა ვქნა, ეჭვიანი ვარ. ჩემნაირებს კი ჩხუბისთვის სულ ცოტა მიზეზიც ყოფნით.

**თინა:** — ახალი წლის ღამეს ვიჩხუბეთ მე და ჩემმა ქმარმა. კაი გვარიანი მთვრალი იყო და შვილიშვილებისგან წაქეზებულმა აიტეხა შუაღამისას — წავედით ახლა შუაღამის ახალი წლის თბილისი უნდა ვნახოთ მე და ბავშვებმაო. მანქანის გასაღები წავართვი და ამაზე გადამერია. ჩვენმა მაიმუნმა შვილიშვილებმაც მხარი ბაბუას დაუჭირეს — ბაბუ, ამნაირი ბებია არ გვინდა, მიატოვე, ჩვენც მშობლებს მივატოვებთ და ერთად გავიქცეთო. მოკლედ, მაგარი ომი გვქონდა, რომელიც ჩვენი შვილების ჩარევით მშვიდობიანად დამთავრდა.

*ეკა ლომიძე*



„საფო“, „მანონი“, „ვერტერი“ (კომპოზ.)



ჯამის ფორმის ღვინის სასმისი

ინის ანტიპოდი

გ. ლეონიძე „ნატვრის ხე“ (პერსონაჟი)

თაფლოვანი მცენარე

საბჭოთა მზვერავი

ნავთობის გზა რუკაზე

შენობა სროლისთვის

ეფენბერგის მეტსახელი

ქართული ვაზის ჯიში

მწერი

სხვისი აზრების გამომცნობი

თოჯინა

1/100 ჰექტარი

გამოუსწორებელი მსმელი

პუგაჩოვა

გამაგრილებელი სასმელი

ბაღჩეული კულტურა

ატმოსფერული მოვლენა

თბილისის ძველი უბანი

გაფუჭებული კვერცხი

საძრახისი ქმედებების მოყვარული

თვითმფრინავის კორპუსი

XIX ს ფრანგი რეალისტი მხატვარი



იგივეა, რაც წკეპლა

იაპონური თეატრი

მელოტის ოცნება

ადმინისტრაციული ერთეული ძველად

ავგიას უსუფთაო ნაგებობა

ნოტი

ფრანგი მსახიობი მიუ-...

მამალი თხა

... ძე დუნი

მევიოლინე ვანესა...

ძაღლის ჯიში

დედამიწის ანტიპოდი

სამოქალაქო (არასამხედრო) სამოსი

ყვავილი

დამხმარე ხელოვნური ენა

ხვიარა მცენარე

კორეული ავტომობ.

ტახტის სახეობა

წინასწარგადახდილი თანხა

ჯინსის პირველი მკერავი ... სტრაუსი

რომის ერთ-ერთი დამაარსებელი

სიმღერა ოპერაში

ქმრის და

ზრდადაუსრულებელი ქათამი

ადგილი მთებს შუა

გარეული, ანუ ...



„თავისუფლების ქანდაკება“

სამორინე

თამაში ფლენერზე

შიშველი სხეული

კარგად მოსიარულე ცხენი

ანბანის შემქმნელი

ნოტი

სტენდალის ნამდვილი გვარი



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. — გალათეა; 2. — პასტელი; 3. — ლექტორიუმი; 4. — თაბორი; 5. — სელაპი; 6. — ვიჩენცა; 7. — ბაჭია; 8. — სტაფილო; 9. — როსტევანი; 10. — ჭია; 11. — ავი; 12. — ზერუ; 13. — ნეზვი; 14. — ნეტო; 15. — სკოტი; 16. — რიჩი; 17. — დიდავა; 18. — ფანი; 19. — იუმი; 20. — ფიდე; 21. — დავა; 22. — ნანდუ; 23. — არსი; 24. — კარატე; 25. — შპროტი; 26. — ტიფანი; 27. — ცა; 28. — ქარსი; 29. — აკურა; 30. — უთო; 31. — თონე; 32. — ევა; 33. — მი; 34. — მე; 35. — აპინა; 36. — ხრიკა; 37. — სეიკო; 38. — თასი; 39. — ბრავო; 40. — რა; 41. — ინდი; 42. — ენრიკო; 43. — ზორო; 44. — ღრე; 45. — მედია; 46. — როზი; 47. — არგო; 48. — ისი; 49. — ლომგული; 50. — ნათლია; 51. — დრო; 52. — რო; 53. — სორო; 54. — ჩაროზი; 55. — გრილი; 56. — მინდია; 57. — გული; 58. — ამიგო; 59. — იაგო; 60. — ფილე; 61. — ბანა; 62. — თონეთი; 63. — აგური; 64. — ვარუმი; 65. — სავანა; 66. — ევრო; 67. — სარო; 68. — ულუფა; 69. — სოლი; 70. — პენსნე; 71. — ვაკე; 72. — რომი; 73. — ადათი; 74. — ამიმია; 75. — მანე; 76. — ქიმია.

1. სკაროსის ღიმილი; 2. დეპარდიეს ენოთეკა; 3. ერთხელაც მე ვიქნები ზემოდან; 4. ორაგულის მოყვარული; 5. თანამედროვე ავგაროზი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით თანამიმდევრობით მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# მოსართავიც და საჭიროც

ქალის თუ მამაკაცის გარდერობის მეტად საჭირო და აუცილებელი აქსესუარი — ხელთათმანი — უძველეს დროში გამოიგონეს. ამის დასტურია 1922 წელს ტუტანხამონის სამარხში ნაპოვნი თათმანები. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს ტომსიკის მსგავსი ხელსათბურა ფარაონთან აზიელი ხალხების დაპყრობის დროს სხვა ნადავლთან ერთად მოხვდა.



თავდაპირველად ხელთათმანი უფრო მოსართავის ფუნქციას ასრულებდა. მოგვიანებით მას ცერა თითის სათითური გაუკეთეს — ეგვიპტელები და რომაელები ასეთ ხელთათმანს მუშაობის ან ჭამის დროს ხმარობდნენ (დანაჩანგალი მოგვიანებით დამკვიდრდა ადამიანის ყოფაში). შუა საუკუნეებში პრაქტიკულთან ერთად, ხელთათმანმა სიმბოლური დანიშნულებაც მიიღო: მეფის ხელთათმანის სახელით მართლმსაჯულება აღესრულებოდა. ხელთათმანს ილებდნენ რაინდები კურთხევისას, ეპისკოპოსები — ხარისხის მომატებისას, მოქალაქენი — პრივილეგიების მიღებისას. ხელთათმანის გადაგდება — გამოწვევას ნიშნავდა, ქალის ნაჩუქარი კი — კავალრის მიმართ კეთილგანწყობას. მე-11 საუკუნიდან ქალები ტილოს თეთრ ხელთათმანებს ატარებდნენ, ხელთათმნიან თითებს ბეჭდებით იმშვენებდნენ, მაჯებს — სამაჯურებით.

რენესანსის ეპოქაში ხელთათმანს ძვირფასი თვლებით, ოქრომკედით და ვენზელებით ამშვენებდნენ. მასალად აბრეშუმსა და ტყავს იყენებდნენ. მე-17-18 საუკუნეებში მოდაში მამაკაცის ბაროკოსა და როკოკოს სტილის მაქმანიანი მანჟეტები შემოვიდა. ის იმდენად გრძელი და ფუშფუშა იყო, რომ ხელთათმანი პრაქტიკულად აღარ ჩანდა, ამიტომაც თანდათან დაკარგა აქტუალობა. სამაგიეროდ, ქალის ხელთათმანების მოდა განვითარდა. მე-19 საუკუნეში ხელთათმანის სიგრძე იდაყვზემოთ ავიდა. განსაკუთრებით პოპულარული გახდა აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი, ბადისებური, ნაყშიანი უთითო ხელთათმანი, რომელიც ძალზე უხდებოდა საღამოს ტუალეტს. დღისით ძველებურად თითებიანს ხმარობდნენ.

მე-19 საუკუნეში ხელთათმანები მამაკაცებმაც დაიბრუნეს. ამჯერად დიდი ყურადღება ეთმობოდა თარგსა და მასალას. დღეს ქალის ხელთათმანს ცხვრის ან თხის, ხოლო მამაკაცისას — ღორის ტყავისგან კერავენ.

ქართველები ოდითგან ხელთათმანს საფუხარს//საბუხარს ეძახდნენ.

# ხელჩანთის მოგზაურობა

## ყველაზე საჭირო აქსესუარის ისტორიიდან

**ჩვენს დროში ქალის ხელჩანთა ტუალეტის ერთ-ერთი მთავარი დეტალია, მაგრამ იყო დრო, როცა ადამიანები წვრილმან ნივთებს და ფულს — ქამარში, ცხვირსახოცს კი — გადაკეცილ სახელოში ინახავდნენ.**

### ქისა და ლარნაკი

რედიკულის წინაპარი ტყავის ტოპრაკი — ომონიერი იყო, რომელსაც ქამარზე იმაგრებდნენ. ქალის პირველი ნამდვილი ჩანთა XVIII საუკუნეში გაჩნდა. ის ძვირფასი ქსოვილისგან ან მაქმანისგან იკერებოდა. XIX საუკუნეში მოდაში შემოვიდა დიდ მანძილზე ფეხით სეირნობა და ჩანთაც აუცილებელი ნივთი გახდა: სეირნობისას ქალებს ხომ შეიძლებოდა დასჭირვებოდათ ხელთათმანები, მარაო, მოსასხამი, სარკე, ჯიბის ლექსების კრებული და ა.შ. იმ დროის მოდური ჩანთები მძივებით იყო მოქარგული, შემდეგ დამკვიდრდა ამპირის სტილი. ანტიკური სვეტის მსგავსი კაბები იმდენად ვიწრო იყო, რომ ჯიბეს ვეღარსად უმარჯვებდნენ. ამპირულ კაბებს უხდებოდა ფრიად ორიგინალური ხელჩანთები: ანტიკური ლარნაკის ფორმის მუყაოს კარკასს გადაკრული ჰქონდა ბრჭყვიალებით დაქარგული ან კუს ბაკნის ფირფიტებით დამშვენებული აბრეშუმი.



### ატლასი და ხავერდი

XIX საუკუნის 30-იან წლებში კაბები გაფართოვდა და საიდუმლო ჯიბეების ჩაკერებაც კი შეიქნა შესაძლებელი, მაგრამ ჩანთა მოდიდან მაინც არ გადასულა, პირიქით, მტკიცედ დამკვიდრდა. მაშინდელ ქალთა ჟურნალებში წერდნენ, — მოდაში შემოვიდა სიასამურისა და ციყვის ბეწვისგან შეკერილი რედიკული, ამგვარივე ბეწვით დამშვენებული პალტოების შესაფერისად, ხოლო ვიზიტებისთვის — მდიდრული, ოქრო-ვერცხლით გაწყობილი პაწაწინა ხელჩანთებიო.

### XX საუკუნე

გასული საუკუნის 30-იან წლებში რბილი ქსოვილისგან შეკერილი რედიკული მტკიცე ტყავმა და ნატმა შეცვალა. ჩანთებს მოოქრულ ან მოვერცხლილ საკეტებს უკეთებდნენ. ქალის ჩანთა მოცულობითაც გაიზარდა და სიტყვა „რედიკულიც“ ნელ-ნელა ხმარებიდან გამოვიდა.

60-იან წლებში ჩანთებმა კაბებისა და კოსტიუმების გეომეტრიული სილუეტების შესაფერისი სახე მიიღო. ახლა ჩანთა ტუალეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და მის მიმართ მოთხოვნაც უფრო მკაცრია, ვიდრე წინა საუკუნეებში. ჩანთა უნდა შეეფერებოდეს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, უნდა იყოს მოდური და მოხერხებული და რაც მთავარია, ტევადი, მაგრამ წვეულებასა ან თეატრში რედიკულით (ანუ პატარა ხელჩანთით) დაიმშვენეთ ხელი.

# მიკროფონის რევოლუციური როლი



...ბრიტნი სპირსმა მომხიბვლელად გაიღიმა და კულისებისკენ გაემართა. კონცერტი დამთავრდა. ტაშმა იქუხა და უცებ მეხის გავარდნასავით გაისმა ლანძღვა-გინება. ნამდვილად კდემამოსილი ბრიტნი ილანძღებოდა — სცენიდან გასვლისას მიკროფონის გამორთვა დავიწყებია...

რაც მიკროფონი გამოიგონეს, მას შემდეგ ის არა მარტო ეხმარებოდა მსახიობებს, არამედ ვნებდა კიდეც, რადგან ხანდახან მასში უწმაწურობასაც ჩასძახებენ და ჩაამღერებენ ხოლმე. ასეა თუ ისე, მიკროფონი ამჟამად საესტრადო ხელოვნების ნამდვილი სიმბოლოა. უფრო მეტიც, სწორედ მისი წყალობით იქცა შოუბიზნესი ბიზნესად.

...1878 წელს ამერიკელმა ედვარდ ჰიუზმა საზოგადოებრიობას შესთავაზა თავისი გამოგონება — „ძალიან სუსტი ხმების გასაძლიერებელი და გადამცემი მოწყობილობა“. მაშინ ამან გამოყენება ვერ ჰპოვა, თუმცა საზოგადოება კი დააინტერესა. დაიწყო მიკროფონის დიზაინის დახვეწა. 1932 წელს ბაზარზე გაჩნდა ამერიკელი მეწარმის სეიმურ შურის ფირმის პირველი მიკროფონი.

ფირმას მიკროფონებს უკვეთდნენ მუსიკოსებიცა და პოლიტიკოსებიც, თავად პრეზიდენტი რუზველტიც კი.

რევოლუცია შოუბიზნესში დაიწყო.

ელვის პრესლიმ პირველმა აქცია მიკროფონი არა მარტო ხმის გამაძლიერებელ საშუალებად, არამედ შოუს მნიშვნელოვან ელემენტადაც. ის ეფერებოდა, ეხვეოდა მიკროფონის ღერძს ისე, როგორც ქალს. მანამდე მსგავსი არავის არაფერი ენახა. ეს სექსუალური ცეკვები მიკროფონით, მაშინ უწესობად მიიჩნიეს, მაგრამ მომღერლის პოპულარობამ საგრძნობლად იმატა.

მიკროფონი დროთა ვითარებაში იხვეწებოდა. მისი წყალობით გახდა შესაძლებელი მომღერლების მრავალათასიან აუდიტორიებში გამოსვლა. 50-იან წლებში, კორეაში, ამერიკის ომის დროს, მშვენიერი მერილინ მონრო მებრძოლებთან პატრიოტული სულის ასამაღლებლად გაგზავნეს. სტადიონი გაჭედილი იყო. ამდენი მსმენელი ჯერ არავის ენახა. რომ არა მიკროფონი, როგორ მიაღწევდა ქერა ქალღმერთის ნაზი ხმა მსმენელამდე? მაგრამ სპორტულ მოედნებზე გამოსვლის ტრადიციის მამამთავრად მაინც „ბითლზი“ ითვლება. სტადიონზე ბილეთების გაყიდვა ლივერპულის ოთხეულამდე ვერავინ მოიფიქრა.

საოპერო მომღერლები მიკროფონს დიდხანს ალმაცერად უყურებდნენ, მაგრამ შემდეგ მისი მეშვეობით სუსტი ვოკალური მონაცემების პატრონებმაც კი დიდი პოპულარობა მოიპოვეს. ამის ნათელი მაგალითია მადონა და საოპერო ხელოვნების ვარსკვლავებმაც მიკროფონის გამოყენება გადაწყვიტეს დიდ მოედნებზე გამოსვლისას. პირველი მაგალითი მონტსერატ კაბალიესა და ფრედი მერკურის დუეტმა მისცა სხვებს.

ვარსკვლავები მიკროფონის მწარმოებელ კომპანიებს პერსონალურ ეგზემპლარებს უკვეთენ, რომელიც 2.500 დოლარი, ხანდახან კი მეტიც ღირს.

90-იან წლებში მადონა სცენაზე პაწაწინა, ყურზე მიმაგრებული მიკროფონით გამოვიდა, რომელიც ხელს არ უშლიდა ცეკვაში. მაგრამ ეს მინიმიკროფონი ეკრანის საკულტო სიმბოლოდ მაინც ვერ იქცა. ყველამ მაინც ჩვეულებრივი ამჯობინა.



# ელვას 50 წელი იგონებდნენ

პირველი პატენტი ტანსაცმლის ავტომატურ, უწყვეტ შესაკრავზე მიიღო 1851 წელს საკერავი მანქანის გამომგონებელმა ელაია ჰოუსმა, რომელმაც თავის გამოგონებას რეკლამა არ გაუკეთა და ამის გამო არავის გაუგია ამ შესაკრავის არსებობა. ელვა-შესაკრავი 44 წლის შემდეგ ხელახლა გამოიგონა და დააპატენტა პნევმატური ტრამვაის გამომგონებელმა უიტკომ ჯადომ, რომელმაც ჩიკაგოში გახსნა უნივერსალური შესაკრავის კომპანია. თუმცა მისი გამოგონება მაინცდამაინც არ ჰგავდა თანამედროვე ელვა-შესაკრავებს. ხოლო შვედმა ინჟინერმა გედეონ სანდბეკმა, რომელიც იმავე კომპანიაში მუშაობდა, 1913 წელს შექმნა პრინციპულად ახალი შესაკრავი, რომელიც თითქმის უცვლელად მოვიდა დღემდე.

თავდაპირველად ელვა-შესაკრავებით იკვრებოდა ბოტები და კალოშები. მხოლოდ 1935 წელს ცნობილმა დიზაინერ-მოდელიერმა ელზა სკიაპარელიმ დაიწყო მათი გამოყენება ბავშვის ტანსაცმელზე. 1937 წელს პატენტს ვადა გაუვიდა და ელვის გამოყენება დაიწყეს ყველგან. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი მამაკაცის შარვალზე დაკერება.

მართალია, გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა ახალი მწებვარე შესაკრავი, მაგრამ ელვა, როგორც „სისწრაფის სიმბოლო“, არავის უთმობს პირველობას.

# ბულიონის კუბები



ციურიხის გარეუბნელი მეწისქვილის ჭორფლიან, 20 წლის ახმახ ბიჭს, იულიუს მაგის, სახელის მოხვეჭა ოცნებად ქცეოდა, მაგრამ რას გააწყობდა — მარცვლეულის დაფქვის გარდა, არაფერი იცოდა. ამიტომ ფქვავდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. ერთხელ სადღაც ყური მოჰკრა, გამხმარი ბოსტნეული თავის თვისებებს არ კარგავსო. ადგა და, რაც გააჩნდა, მთელი ფულით ბოსტნეულის სპეციალური საშრობი იყიდა. მოგვიანებით კი გამომშრალი პროდუქტიდან უცნაური ფქვილის კეთება დაიწყება — ეს იყო პირველი ხსნადი წვნიანი!

დიასახლისებმა მაშინვე დააფასეს ახალი პროდუქტი. აბა, რა, სახელდახელო წვნიანის დამზადებას ხუთიოდ წუთი სჭირდებოდა. 1886 წელს მაგიმ უკვე სამი სახის სწრაფად ხსნადი ფხვნილი გამოუშვა. მალე „მაგი და კომპანიის“ ფილიალები მთელ ევროპაში შეიქმნა. წარმატებით ფრთაშესხმულმა იულიუსმა 1890 წელს მომხმარებელს სიახლე შესთავაზა — უნივერსალური ფხვნილი — სუნელები.

მადა ჭამაში მოდისო და მაგი ახლა ხორცს მიადგა. საქონლისა და ფრინველის ხორცი გამოაშრო, დაფქვა და კუბის ფორმა მისცა.

ამ პროდუქტებმა კი ყოფილი სოფლელი ბიჭუნა საქვეყნოდ ცნობილი გახადა...

# იცით თუ არა, რომ...



***კოკა-კოლას ბოთლის საფირმო ფორმა გამოიგონა და 1915 წელს დააპატენტა დიზაინერმა რეიმონდ ლევმა. ლითონის ქილებში მისი ჩამოსხმა დაიწყეს XX ს-ის 50-იან წლებში ამერიკელი მეომრებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ აშშ-დან შორს და ამ ყუთებს ისეთი სქელი რკინისაგან ამზადებდნენ, რომ ჯარისკაცები მას კონსერვის გასახსნელით ხსნიდნენ.

***ცელოფანის პაკეტი გამოიგონეს 1912 წელს. მათი გამოშვება დაიწყო ფრანგულმა ფირმამ. თავდაპირველად პაკეტების სიგრძე იყო 30-50მ და რაც არ უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს, პაკეტებს კერავდნენ თეთრი ძაფით, ხოლო თერმოწებო გამოიგონეს მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში.


8-14 „კეთილი ნების კომუნიკაციები“

ესაუბრეთ მსოფლიოს!

საერთაშორისო კავშირის ოპერატორი

რუსეთი. ამერიკა. კანადა - 50თ 70თ

ევროპა, აზიის ძირითადი ქვეყნები - 70თ 90თ

დანარჩენი ქვეყნები - 70თეთრიდან 2ლარამდე

8-14 „კეთილი ნების კომუნიკაციები“

თქვენი სანდო - საერთაშორისო კავშირის ოპერატორი

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს პატარა ბიჭუნას აქვს საზარდულის თიაქარი. შეიძლება თუ არა მისგან განკურნება სპეციალური ვარჯიშებით ან მასაჟებით?**

***თინა მაჩაიძე***

საზარდულის თიაქარი ჩანასახოვან პერიოდში ყალიბდება მუცლის ფარის მცირე მონაკვეთის ღიად დარჩენის შედეგად. როცა ბავშვი მშვიდადაა, ეს დეფექტი არ ვლინდება, მაგრამ მუცლის შიდაწნევის გაზრდისას (როცა ტირის) საზარდულის არეში ჩნდება გამობერილობა, რომელსაც თიაქრის პარკში ჩამოსული ნაწლავის მარყუჟი ქმნის. დეფექტის გამოსწორება მხოლოდ ქირურგიული მეთოდითაა შესაძლებელი. ოპერაციის გაკეთება აუცილებელია, რადგან საზარდულის თიაქარი საკმაოდ სერიოზულ გართულებებს იწვევს. სტატისტიკის მიხედვით, ასეთი თიაქრის მქონე ყოველ მეოთხე ბავშვს ადრე თუ გვიან, უვითარდება მისი ჩაჭედვა. ჩაჭედილ ნაწლავში კი, ირღვევა სისხლის მიმოქცევა, ქსოვილები ნეკროზდება და ჩნდება პერიტონიტის საშიშროება. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ გადაუდებელი ოპერაცია იხსნის ავადმყოფს. ჩაჭედვის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ბავშვი ცხოვრების აქტიურ რიტმს ეწევა: დარბის, ხტუნავს, ვარჯიშობს. რატომ უნდა იცხოვროთ მუდმივი შიშით? 6 თვემდე ასაკის ბავშვებში ოპერაციას მხოლოდ სპეციალური ჩვენების შემთხვევაში აკეთებენ, ხოლო უფრო მოზრდილებში ოპერაციის გაკეთების ვადა პედიატრს და ქირურგს უნდა შეუთანხმოთ. ისე კი, გირჩევთ, ნუ გადადებთ — ასე სჯობს თქვენთვისაც და უსაფრთხოა ბავშვისთვისაც.

— **ჩემს ახლობელს შეეძინა ბავშვი, რომელსაც უკვე აქვს ერთი კბილი. რატომ მოხდა ასე და როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები?**

***რ. ს.***

— მუცლადყოფნის პერიოდში კბილის ამოჭრა ბევრ პრობლემას უქმნის ბავშვსაც და მშობლებსაც. ასეთ კბილს არასრულფასოვანი სტრუქტურა აქვს — იგი არასაკმარისადაა გამაგრებული და არამდგრადია, აკლია ფორმირება და მინერალიზება. ადრიანად ამოსული კბილი წოვისა და მყარი საგნების ზემოქმედებით მალე იშლება. გარდა ამისა, კბილით პატარა ტრავმას მიაყენებს დედას ძუძუს წოვის დროს, რამაც შესაძლოა მასტიტი (სარძევე ჯირკვლის ანთება) გამოიწვიოს. ამიტომ, სტომატოლოგები ურჩევენ მშობლებს ასეთი კბილის ამოღებას. თუმცა, მათ უნდა იცოდნენ, რომ 6-7 წლამდე მის სანაცვლოდ ახალი კბილი პატარას აღარ ამოუვა.

— **მამაჩემმა გაიკეთა კბილების პროთეზი, მაგრამ როგორც კი ჩაიდგამს, მაშინვე უსივდება ღრძილები. გამოიყენო მუხის ქერქისა და გვირილის ნაყენი, ანტიბიოტიკებიც სვა. როგორც კი შესივება ჩაუცხრება, ჩაიდგამს პროთეზს ერთი დღით და ისევ ეწყება ტკივილი. ექიმი ამას ორგანიზმში არსებულ ინფექციას აბრალებს. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ.**

***ა. ი.***

— შეკითხვის მიხედვით ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. შესაძლოა დამნაშავე მართლაც პროთეზი იყოს. ან იქნებ პაციენტს აქვს ალერგია იმ მასალის მიმართ, რომლისგანაც პროთეზია დამზადებული. ან უბრალოდ, ალერგია აქვს ვარდისფერი საღებავის მიმართ. უნდა მიაკითხოთ ალერგოლოგს და თუ ალერგია დადგინდება, მაშინ უნდა დაამზადებინოთ ახალი პროთეზი, მაგრამ სხვა მასალისაგან.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფიჭვის კვირტების ნახარში ამოსახველებელი, მიკრობსაწინააღმდეგო, სადეზინფექციო, სისხლის გამწმენდი, ანთებსაწინააღმდეგო თვისებებისაა. მას იღებენ ქრონიკული ბრონქიტის, გაციების, ფილტვის ტუბერკულოზისა და სურავანდის დროს. ფიჭვის კვირტების ნახარშის ორთქლს იყენებენ ხველების, ანგინისა და სასუნთქი გზების დაავადებისას.

გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს:

## ბრონქიტს ფიჭვი უხდება

— **გრიპის დროს** დღეში 3-ჯერ მიიღეთ 1-3 წვეთი ფიჭვის ეთეროვანი ზეთი 1 ჩ/კ თაფლთან ერთად.

— **ხველების, ანგინის, გაციებისა და სასუნთქი ორგანოების** ინფექციური დაავადების დროს 10გ ფიჭვის კვირტს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაახურეთ თავზე და 30 წუთი გააჩერეთ ორთქლზე. 10 წუთის შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ თბილივე, ყლუპ-ყლუპით 1/4-1/3 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ასევე სასარგებლოა ამ **ნახარშის ორთქლის ინჰალაცია:**

15 გ ფიჭვის ნორჩ ყლორტებს დაასხით 0,5 ლ რძე, ხარშეთ 10 წუთი ნელ ცეცხლზე, გადმოდგით, შეფუთეთ და ასე გააჩერეთ 2 საათი. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ დღის განმავლობაში პატარა ყლუპებით.

**ბრონქიტის დროს** რეკომენდებულია ფიჭვის კვირტების შაქრიანი ან თაფლიანი ვაჟინის მიღება:

**1.** შეურიეთ თანაბარი რაოდენობის ფიჭვის ფისი და შაქრის ფხვნილი. ნარევისგან გააკეთეთ პატარა მარცვლები და ძლიერი ხველების დროს თითო ცალი წუწნეთ დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ.

**2.** 1 ს/კ ფიჭის ფისის ფქვილს დაასხით 250-300გ რძე, ადუღეთ თავდახურულ ჭურჭელში და რძე დაიყვანეთ ნახევრამდე.

მიიღეთ თბილი ნარევი ფილტვებიდან ხველების დროს, 1ჩ/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

***ტაინაია ვლასტ №21***

## ქარაპაპლინი

**ძალიან ცხელოდა. ჩემმა მეუღლემ დალია მაცივრიდან გამოღებული წყალი და ბრონქიტი დაემართა. ახლობელმა მასწავლა მანდარინის ქერქისაგან ამოსახველებელი ნაყენის დამზადება. მისი რეცეპტით ახლაც ვსარგებლობთ: 20გ გამომშრალ და დანამცეცებულ მანდარინის ქერქს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. დაახურეთ თავზე ჭურჭელს, დააყოვნეთ შეგრილებამდე და შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ, როგორც ამოსახველებელი საშუალება თითო სუფრის კოვზი 5-ჯერ დღეში. ყოველდღიურად ახალი ნაყენი უნდა მომზადდეს.**

**ექიმის კომენტარი:** მანდარინი მდიდარია სხვადასხვა ჯგუფის ვიტამინებით. აგრეთვე შეიცავს ორგანულ მჟავებს (კერძოდ, ლიმონმჟავას). მანდარინის წვენს აქვს ანტიმიკრობული მოქმედება. ფიტოთერაპიულ სახელმძღვანელოებში ვხვდებით ცნობებს იმის შესახებაც, რომ მანდარინის ქერქის ნაყენი მართლაც ეფექტურია ფილტვების მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს როგორც ამოსახველებელი და ხველების შემარბილებელი საშუალება. მას მადის მოსამატებლადაც იყენებდნენ. ასე რომ, რეცეპტებში აღნიშნული ნაყენი რეკომენდებულია ბრონქიტის, პნევმონიის, ტრაქეიტის დროს.


## სასარგებლო რჩევები ქეიფის მოყვარულებს . . .

Aventis

შობა - ახალ წელს დედამიწას არახანგრძლივი, მაგრამ მძიმე სენის ეპიდემია მოიცავს ხოლმე. მას ალკოჰოლური ნაბახუსევის სინდრომი ჰქვია. ყველასათვის კარგად არის ცნობილი "მიამიტი" ფრაზა "ზედმეტი დავლიე". ნაბახუსევის სინდრომის შესწავლისას მეცნიერებმა საკმაოდ მოულოდნელი შედეგი მიიღეს. გამოირკვა, რომ ყოველი "ზედმეტი დალევა" საკმაოდ ძვირად უღირს ჩვენს ორგანიზმს. როგორ ავიცილოთ თავიდან სინანული წინა დღის თავშეუკავებლობის გამო? მეცნიერები გვირჩევენ:

- დალიეთ ცოტ-ცოტა და ნელ-ნელა - ამ შემთხვევაში ღვიძლზე დარტყმა არ იქნება ესოდენ დამანგრეველი;
- უხვი და ცხიმიანი საკვების მიღება სუფრის დასაწყისშივე ანელებს ალკოჰოლის მოქმედებას; თუ დაიწყეთ დალევა, მაშინვე მიაყოლეთ საკვები;
- რეკომენდებულია ქეიფის დაწყებამდე მიიღოთ წყლის მომატებული რაოდენობა;
- დალევისას თუ ატყობთ, რომ გადააჭარბეთ თქვენს ნორმას, მაშინვე შეწყვიტეთ სმა და დალიეთ ახლადგამოწურული ლიმონის წვენი;
- ორი უარესობიდან უპირატესობა ენიჭება ღია ფერის სპირტიან სასმელებს - არაყს, ჯინს, თეთრ ღვინოს. უფრო სახიფათოა კონიაკი, ვისკი და წითელი ღვინო; - დანამატები, რომლებსაც ისინი შეიცავენ, აძლიერებენ ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას და მასთან ერთად გულისრევის შეგრძნებასა და თავის ტკივილს;
- საახალწლო სუფრასთან ეცადეთ უერთგულოთ მხოლოდ ერთ სასმელს;
- ნუ განაზავებთ ან დააყოლებთ ალკოჰოლს გაზიან სასმელებს: გაზიან სასმელთან ერთად იგი გაცილებით სწრაფად გადადის სისხლში, ე.ი. გაცილებით სწრაფად დგება სიმთვრალე.

სმაში კარგად გამოწრთობილ მოძმე რუს ხალხს უხვად მოეპოვება ნაბახუსევთან ბრძოლის საუკუნეებით გამოცდილი "ბაბუას" მეთოდები: კომბოსტოს ან კიტრის მწნილიდან დაწყებული, შემჟავებულ რძემდე თუ ლიმონიან - თაფლიან ჩაიმდე. მედიცინის თვალსაზრისით ყველა ეს "დანიშნულება" აბსოლუტურად გამართლებულია: მჟავეულობა შეიცავს რა დიდი რაოდენობით კალიუმის მარილებს, ხელს უწყობს ორგანიზმში მათი დეფიციტის აღდგენას, ნატრიუმის ბალანსირებულ რაოდენობასთან ერთად. ამასთანავე, ავსებს ორგანიზმს სითხით, რომელიც მას არ ჰყოფნის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ოპტიმალურ საშუალებად ითვლება პეტრე I - ის საყვარელი რეცეპტი - სხვადასხვა ხილის ჩირის კომპოტი. იგი შეიცავს კალიუმსაც, ნატრიუმსაც და ფრუქტოზასაც, რაც ძლიერ ამცირებს ინტოქსიკაციას. აი, რატომ არის სასარგებლო ნაბახუსევს სუსტი ჩაი 2 კოვზ თაფლთან და ლიმონთან ერთად.

მას შემდეგ რაც მოიხსენით ნაბახუსევის უსიამოვნო სიმპტომები, კომპანია ავენტისი გირჩევთ დაფიქრდეთ თქვენი ღვიძლის უჯრედების გადარჩენაზე. მიიღეთ **ესენციალე N ფორტე.**

**ესენციალე N ფორტე** -ს უნიკალური თვისებები, დაიცვას და აღადგინოს ღვიძლის უჯრედები, განპირობებულია ნატურალური მცენარეული კომპონენტების - ესენციალური ფოსფოლიპიდების მაღალდასუფთავებული სუბსტანციით. 10. 049 პაციენტის მონაწილეობით ჩატარებული 166 გამოკვლევის შედეგები ადასტურებს ესენციალური ფოსფოლიპიდების ეფექტურობას. "ესენციალური" ფოსპოლიპიდები ღვიძლის უჯრედების გარსისა და უჯრედული სტრუქტურების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს, რაც განაპირობებს მის სამკურნალო ეფექტს.

**უნდა მიიღოთ:**

2-2 კაფსულა 3 - ჯერ დღეში ჭამის დროს მცირე რაოდენობის სითხით; მკურნალობის ოპტიმალური კურსი 3 თვეა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია გაგრძელდეს ან განმეორდეს.

*კიდევ ერთი რჩევა:* როდესაც წინასწარ იცით, რომ გელით ქეიფი და დალევა, მიიღეთ ესენციალე N ფორტე 2-3 კაფსულა პროფილაქტიკისათვის რამდენიმე საათით ადრე, რათა შეიმსუბუქოთ ან თავიდან აიცილოთ ნაბახუსევის სინდრომი.

იკითხეთ აფთიაქებში!

რეგისტრირებულია საქართველოში MP №003014; MP №003015

**გვიამბეთ ნაბახუსევისა და ბოტულიზმის შესახებ.**
***გია თომაძე***

# იყავით ფრთხილად!

## ნაბახუსევი

ჯანმრთელ ადამიანებში „პახმელია“ — ნაბახუსევი თრობის მეორე დღეს ვლინდება. აწუხებთ თავის ტკივილი, სისუსტე, უგუნებობა, გულისრევის შეგრძნება, ზოგჯერ ღებინებაც, აღინიშნება პირის სიმშრალე, გულისცემის გახშირება, გულის ფრიალი, შესაძლოა არტერიული წნევის მატება, შარდვის გაძნელება, ფაღარათი.

ნაბახუსევი სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთია ალკოჰოლურ სასმელში არსებული მინარევები.

ნაბახუსევის განვითარება ასევე დამოკიდებულია სასმელში ე.წ. რახის ზეთების შემცველობაზე. ეს ნივთიერება გაცილებით ნაკლებია ევროპული ტექნოლოგიით დამზადებულ სასმელებში, დაუხვეწავი ტექნოლოგიით საოჯახო პირობებში დამზადებული ალკოჰოლური სასმელები ნაკლებადაა გაწმენდილი რახის ზეთებისგან.

თრობა დიდადაა დამოკიდებული ადამიანის განწყობაზე. ზოგჯერ შეიძლება ადამიანი ორმა ჭიქა სასმელმა ისე დაათროს, რომ ვეღარ აკონტროლოს საკუთარი თავი.

ახალი წლის დღეებში ხშირია მწვავე ალკოჰოლური ინტოქსიკაცია. ამ დროს ადამიანს გონება ებინდება, მეტყველება ერღვევა, ის ორიენტაციას კარგავს, ასეთ დროს ღებინებაც აღინიშნება, პირნაღები მასების სასუნთქ გზებში მოხვედრა სიკვდილის საშიშროებას ქმნის, ამიტომ ასეთ მდგომარეობაში ნასვამი ადამიანი გვერდზე უნდა დააწვინოთ და თვალყური ადევნოთ.



ნაბახუსევი სხვადასხვანაირია, ის განსხვავდება მაშინაც კი, როდესაც განსხვავებულ კამპანიაში სვამთ ანდა სულაც მარტო. თუ საღამოზე მხიარულებაა, ერთმანეთს ადღეგრძელებენ და ცეკვავენ, თურმე მეორე დღეს თავი სხვანაირად სტკივათ.

*ნაბახუსევისგან თავის დასახსნელად და მდგომარეობის შესამსუბუქებლად მეცნიერები გვირჩევენ:*

— დალიეთ ზომიერად და ნელა, მაშინ ღვიძლზე მიყენებული „დარტყმა“ ისეთი ძლიერი აღარ იქნება.

— სმის დაწყებამდე ცხიმიანი და მსუყე საკვები მნიშვნელოვნად ანელებს ალკოჰოლის ზემოქმედებას ორგანიზმზე, ასევე ხორცი და კარტოფილი.

— სმის დაწყებამდე შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი წყალი დალიოთ.

— თუკი იგრძენით, რომ გადააჭარბეთ, სმა მაშინვე შეწყვიტეთ და დალიეთ 1 ჭიქა ლიმონის ახალგამოწურული წვენი.

— ნაკლებად საზიანოა თეთრი ღვინო, ჯინი, არაყი. უფრო საფრთხილოა კონიაკი, ვისკი, წითელი ღვინო, დამატებული ნივთიერებები, რომლებიც მათში ზრდის ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას, ასევე გულისრევის შეგრძნებასა და თავის ტკივილს.

— ეცადეთ, მხოლოდ ერთი სახის ალკოჰოლი დალიოთ.

— განაზავეთ ძლიერი ალკოჰოლური სასმელი არაყი — წვენით, ვისკი — სოდით, ჯინი — ტონიკით.

— არ დალიოთ სპირტიანი სასმელი — გაზიანთან ერთად, ამ დროს ალკოჰოლი უფრო სწრაფად ხვდება სისხლში, ე.ი. ძალიან სწრაფად ხდება თრობა.

— ნაბახუსევის საწინააღმდეგოდ კარგია ჩირის ან ჩვეულებრივი ხილის კომპოტი; ასევე მსუბუქი ჩაი 2 კოვზი თაფლითა და ლიმონით.

— საჭმლის მონელების პროცესის გასაუმჯობესებლად კარგია — მაწონი და რძის პროდუქტები. ისინი შთანთქავენ ტოქსინებს (შხამიან ნივთიერებებს). ტოქსინებისაგან ორგანიზმის გაწმენდა აქტივირებული ნახშირითაც შეგიძლიათ.

— C ვიტამინი აჩქარებს ალკოჰოლის გამოდევნას ორგანიზმიდან. გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ 0,5 გ ასკორბინი 30-40 წუთით ადრე უნდა მიიღოთ შამპანურის დალევამდე, რათა გულისრევის შეგრძნება არ გაგივითარდეთ.

— არ გირჩევთ ასპირინის მიღებას, რადგან ის გააღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს.

— მძიმე ნაბახუსევს უხდება ხანგრძლივი ძილი.

— ზოგიერთს „გონება ეხსნება“ ფინჯანი მაგარი ყავის დალევის შემდეგ. მაგრამ ეს სარისკოა: ორგანიზმი კოფეინის გარეშეც აღგზნებულია.

— ზოგიერთს შვებას ჰგვრის მთელი დღე შიმშილი და C ვიტამინით მდიდარი დიდი რაოდენობით სითხის მიღება.

## ბოტულიზმი

საქართველოში შობა-ახალი წლის დღესასწაულების დროს მკვეთრად მატულობს ბოტულიზმით მოწამვლის შემთხვევები, რაც ძირითადად განპირობებულია შებოლილი თუ დამარილებული თევზით, დაკონსერვებული პროდუქტებით და ძეხვით, მწნილებით.

ბოტულიზმის დროს დამახასიათებელი ჩივილები საკვების მიღებიდან 12-24 საათში ვლინდება, ზოგჯერ დაგვიანებით, 7 დღის შემდეგ ან ძალზე სწრაფად, 2 საათში. რაც მეტია ბოტულოტოქსინის რაოდენობა (ის დედამიწაზე არსებულ ბუნებრივ შხამებს შორის ყველაზე ძლიერია), მით უფრო სწრაფად ვითარდება დაავადება და გაცილებით რთულადაც მიმდინარეობს.

ადამიანს ეწყება თავბრუსხვევა, ღებინება, გულისრევა, კუჭის აშლილობა. მალევე აღინიშნება ზოგადი კუნთოვანი სისუსტე, ადვილად დაღლა, უჭირს თავის და საგნების ხელში დაჭერა, სწორი სიარული, აწუხებს მუცლის შებერილობა, პირის სიმშრალე. ადამიანი ბუნდოვნად ხედავს, დაქვეითებულია მხედველობის სიმახვილე, საგნები გაორებული!

*გაითვალისწინეთ!* ბოტულოტოქსინით მოწამვლა სიცოცხლისათვის საშიშია. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები შესაძლოა ღვინოს დაბრალდეს, ამიტომაც გაფრთხილდით. საეჭვო შემთხვევაში ექიმის კონსულტაცია აუცილებელია.

*პროფილაქტიკა:* — მოერიდეთ შინ გაკეთებულ კონსერვებს, თუმცა ბოლო დროს არც ქარხნული კონსერვებია სანდო.

— სიფრთხილე გამოიჩინეთ დამარილებული, შებოლილი თევზის, ხორცის, ძეხვის არჩევისას.

— შინ დამზადებული ბოსტნეულის კონსერვები გამოყენებამდე 15-20 წუთი ადუღეთ, ამ დროის მანძილზე ტოქსინი დაიშლება და მავნე თვისებას დაკარგავს. გაცხელებისას საკვებს რამდენჯერმე მოურიეთ.

— დაავადების გამოვლინების შემთხვევაში ყველა იმ ადამიანს, ვინც საეჭვო საკვები მიიღო, საავადმყოფოში ათავსებენ და შრატის ნახევარ დოზას უკეთებენ.

***მაია მუხიგული***

# ჭარაფქიმი გვირჩევს

**გაცივებისა და სურდოს** დროს: ცხვირში დღეში რამდენჯერმე ჩაიწვეთეთ ახალგამოწურული სტაფილოს წვენისა და მცენარეული ზეთის (1:1) ნარევი.

**ყელის ტკივილის** დროს: შეურიეთ ერთმანეთს 1 ს/კ კარაქი, 2 კვერცხის გული, 2 ჩ/კ თაფლი და 1 ჩ/კ ხორბლის ფქვილი. მიიღეთ თითო ჩ/კ ნარევი დღეში 4-6-ჯერ.

**ცისტიტს შველის:** 2 ს/კ შვიტას დაასხით 1 ლ წყალი, აადუღეთ. 10 წუთის შემდეგ გადმოდგით. გააგრილეთ 20 წუთით და გაწურეთ. 1 ჩ/ჭ ნახარში მიიღეთ 2-3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

**ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის** დროს: 1/4 ჩ/ჭ ასფურცელას (ცირცელის) წვენი მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. 3 კვირის შემდეგ შედეგი სახეზე იქნება. მკურნალობა გააგრძელეთ 2 კვირის შესვენების შემდეგ.

**ნიკრისის ქარს** შველის: მომინანქრებულ ჭურჭელში ჩაყარეთ ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ გვირილისა და დიდგულას ყვავილები, დაასხით ცოტა მდუღარე წყალი, შეფუთეთ. 10 წუთი გააჩერეთ. გაწურეთ, თბილი, ფაფისებური მასა შეახვიეთ უხეშ ქსოვილში და დაიდეთ მტკივან სახსრებზე. ზევიდან ჩაიცვით (ან შემოიხვიეთ) შალის წინდა. ტკივილი გაქრება ნახევარი საათის შემდეგ.


**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

**95 ლ.**



სერთიფიცირებულია

**შპს „კონტრასტი“**
**ბორჯომის ქ. 4**
☎ 35-44-05;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**
**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**




# ნარკოტიკების ლეგალიზაციას არავინ აპირებს!..

ნარკოტიკების ლეგალიზებაზე ლაპარაკი არ არის და არც შეიძლება იყოს! — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი რესპუბლიკური ნარკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი სამკურნალო ცენტრის დირექტორმა ბატონმა **გელა ლეჟავამ**. ჩემი ვიზიტი ბატონ გელასთან, საქართველოს პარლამენტის ერთმა რიგითმა სხდომამ განაპირობა.

მოგეხსენებათ, ჩვენი პოლიტიკოსი პარლამენტარები არაპოლიტიკური საკითხებისთვისაც იცლიან ხოლმე და ხანდახან, თანამდებობების განაწილების ხმაურიან სხდომებს, შიგადაშიგ „წმინდა საერო“ საკითხების გამო გამართული კამათი ცვლის.

მართალია, ასეთ დროს მუშტიკრივამდე საქმე არ მიდის, მაგრამ საკუთარი აზრის სისწორის მტკიცების ერთადერთ არგუმენტად ისევ მოწინააღმდეგე მხარის არაკომპეტენტურობაზე აქცენტირება რჩება.

ასე იყო მაშინაც, როდესაც სხდომაზე საერთაშორისო ანტინარკოტიკული პროგრამა იხილებოდა. და თუკი საზომად კომპეტენტურობას ავირჩევდი, ვისთან უნდა მივსულიყავი, თუ არა ბატონ გელასთან. აზრთა სხვადასხვაობა კი, ამჯერად გამოიწვია ამ პროგრამის ამოსავალ წერტილად მიჩნეულმა პრეპარატმა „მეთადონმა“. კამათის მიმდინარეობის საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა და საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ იმ დღეს პარლამენტში იხილებოდა ნარკოტიკების ლეგალიზაციის საკითხი.

**— ბატონო გელა, „მეთადონი“ ხომ ნარკოტიკია და თუ ის თავისუფლად გაიყიდება...**

— ვინ გითხრათ, რომ ნარკოტიკია? ეს გახლავთ ე.წ. „ჩანაცვლებითი პრეპარატი“. მისი თავისუფლად გაყიდვა შეიძლება და აკრძალვას არც პროგრამა ითვალისწინებს.

**— ამ პრეპარატს დიდი ხანია სახელი აქვს გატეხილი. მას მშვენივრად იყენებენ ნარკომანები ნარკოტიკული ეფექტის მისაღწევად და შავ ბაზარზე საკმაოდ დიდი ფასიც ადევს. ამიტომ, იქნებ უფრო ვრცლად და კონკრეტულად მოგვითხროთ ამ პროგრამაზე. მერწმუნეთ, აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რასთან გვაქვს საქმე.**

— დავიწყოთ იმით, რაც ყველამ კარგად იცის: ნარკომანს ნარკოტიკების შეწყვეტის მომენტიდან ეწყება ნარკოტიკული აბსტინენცია, ე.წ. „ლომკა“, რაც მისთვის ძალზე მძიმე გადასატანია, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. „მეთადონი“ სწორედ ის პრეპარატია, რომელიც ასეთ დროს ჩაენაცვლება ნარკოტიკს, ნარკომანს უხსნის მორიგი დოზის მიღების მოთხოვნილებასაც.

ნარკომანს, რომელსაც მკურნალობის სურვილი ექნება, შეუძლია ჩაერთოს მეთადონურ პროგრამაში და მიიღოს ამ პრეპარატის მკაცრად კონტროლირებული დოზა გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

**— გამოდის, რომ მეთადონი გაცილებით ხელმისაწვდომი ხდება. რას გვეტყვით იმაზე, რომ ამ პრეპარატის გამოყენება ნარკომანს ნარკოტიკული ეფექტის მისაღწევადაც შეუძლია.**

— მართალია, ეს შესაძლებელია დოზის გადაჭარბებით თუ მისი შერევით სხვა არანარკოტიკულ პრეპარატთან. მაგრამ პროგრამაში ჩართული ყველა პიროვნება მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნება და თუკი ის მსგავს ქმედებაში იქნა შემჩნეული, იმწამსვე მოიხსნება პროგრამიდან.

**— კარგი, დავუშვათ მოვუხსენით ნარკომანს ნარკოტიკისადმი ფიზიოლოგიური ლტოლვა, რა ვუყოთ მის ტვინს, რომელიც არავინ იცის, როდის მოითხოვს „კაიფს“.**

— კარგი შეკითხვაა. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა. მეთადონური პროგრამა გრძელდება 3-დან 6 თვემდე. ამ ხნის განმავლობაში პარალელურად მიმდინარეობს პაციენტის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კომპლექსური ღონისძიებები.

**— როგორც მახსოვს, ამ ათი წლის წინ საქართველოში შემოვიდა პრეპარატი „ტრამალი“, რომელსაც ვგონებ იგივე დანიშნულება ჰქონდა.**

— არავითარ შემთხვევაში, „ტრამალის“ შემოტანა იყო დანაშაული. საქართველომ იგი ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა ნარკოტიკების სიაში. სულ მალე კი, აიკრძალა კიდეც. სხვათა შორის, რუსეთში ორიოდე წელია რაც აკრძალეს. იქამდე თავისუფლად იყიდებოდა.



**— მაშ რა საბაბით შემოიტანეს „ტრამალი“ საქართველოში, თუკი ის ნარკოტიკია?**

— ეს პრეპარატი თავიდან აპრობირებული იქნა, როგორც ალკოჰოლიზმის სამკურნალო საშუალება. მოგვიანებით დადგინდა, რომ ის ფაქტობრივად ნარკოტიკია.

**— ბატონო გელა, როგორც ვიცი, ჰოლანდიაში თავისუფლად იყიდება ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკები და იქ ნარკომანიის პრობლემა არ დგას.**

— ჯერ ერთი, არც ისე თავისუფლად, როგორც თქვენ ფიქრობთ. თავისუფლად მხოლოდ ანაშა იყიდება და, რომ იცოდეთ, ჰოლანდიელები ამის გამო თავში ირტყამენ ხელებს, მაგრამ უკვე გვიანია.

**— რაკი ანაშა ახსენეთ, ამაზეც მინდოდა ერთი რამ მეკითხა. თქვენ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ არსებობენ გარკვეული ფსიქოლოგიური წყობის ადამიანები, თუნდაც ე.წ. დეპრესიისადმი მიდრეკილი პირები, რომელთათვისაც აუცილებელია ტონუსის ასამაღლებლად მიიღონ ალკოჰოლი. რატომ არ უნდა შეეძლოს მას, ასევე თავისუფლად ანაშის მოწევა. ისიც ხომ ცნობილი ანტიდეპრესანტია...**

— არავითარ შემთხვევაში! ვიცი, რასაც მეტყვით — მუსიკოსებიო, მხატვრებიო... ანაშა ნარკოტიკია და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს.

**— თან ამ შემთხვევაში „აკრძალული ხილის“ ფაქტორიც აღარ იმუშავებდა...**

— ინტრავენური ნარკომანების თითქმის 90% ანაშით იწყებს. ანაშიდან ოპიუმამდე კი ერთი ნაბიჯია. ასე რომ, კიდევ გიმეორებთ: ანაშა ნარკოტიკია და მისი გაყიდვა — დანაშაულია!

***თამაზ ექვთიმიშვილი***

ბრაზილია

## ბრაზილიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს



ბრაზილიის ისტორიაში პირველად გახდა პრეზიდენტი მეტალურგიული ქარხნის ყოფილი მუშა. მშრომელთა პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელს, ლუის ინასიუ ლულა და სილვას ხმა მისცა 52 მლნ-მა მოქალაქემ, ანუ ამომრჩეველთა 61%-მა. თავის მთავარ ამოცანად პრეზიდენტი და სილვა სიღარიბესა და შიმშილთან ბრძოლას მიიჩნევს.

ნაციონალურ კონგრესში ინაუგურაციის დღეს ლულა და სილვამ გააკრიტიკა არსებული ეკონომიკური მოდელი, რომელმაც უმუშევრობა და შიმშილი მოუტანა ქვეყანას და ხაზი გაუსვა რეფორმების ჩატარების აუცილებლობას.

პრეზიდენტი 45-წუთიან სეფესიტყვაში კორუფციასთან ბრძოლასაც შეეხო, მან თქვა: — არავის მივცემ მოსახლეობის საკუთრების ჩაჯიბვის ნებას, მფლანგველობას და მომხვეჭელობას ბოლოს მოვუღებო.

ინაუგურაციაზე დასასწრებად ქვეყნის სხვადასხვა შტატიდან ათასობით ადამიანი ჩავიდა, ისინი ტაშით შეხვდნენ ახალ პრეზიდენტს, ცერემონიას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს 16 პრეზიდენტი დაესწრო.

*ნიუ ზუიქი*

აშშ

## ყველაზე კორუმპირებულ პოლიტიკოსებს ჰილარი კლინტონი მოთავეობს

ამერიკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ Judicial Watch-მა გამოაქვეყნა შარშანდელი წლის ყველაზე კორუმპირებულ პოლიტიკოსთა სია, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი პირველი ლედი, ამჟამად სენატორი ჰილარი კლინტონი.

ორგანიზაცია Judicial Watch-ი რვა წლის წინ შეიქმნა ხელისუფლების წარმომადგენელთა გასაკონტროლებლად. მისი დევიზია — კანონი ყველასათვის ერთია. დეკემბრის დამლევს გამოქვეყნებულმა სიამ ცხადი გახადა, რომ აშშ-ის 12 ყველაზე კორუმპირებულ პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს ჰილარი და ბილ კლინტონები თავკაცობენ. ყოფილი პირველი ლედი პირველობას არავის უთმობს, მეორეზეა — ყოფილი პრეზიდენტი. ჰილარი კლინტონს ბრალად ედება სენატის არჩევნების პერიოდში უკანონო შემოწირულობის მიღება, ბილ კლინტონის შესახებ კი ნათქვამია, — 8 წლის განმავლობაში კორუფციის მეფე იყოო. მესამე ადგილზეა გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსდირექტორი ლუის ფრი. გამოკითხვით დადასტურდა, რომ გფბ-ს ასეთი კორუმპირებული და უჭკუო დირექტორი არასდროს ჰყოლია. სიაში მოხვდნენ სამხრეთაფრიკელთა უფლებების დამცველი ჯესი ჯექსონი და სხვები. ნუსხა დაასრულა გაკოტრებული ენერგეტიკული კომპანიის „ენრონის" ექსმეთაურმა კენეტ ლეიმ.

იმის მიუხედავად, რომ ჰილარი კლინტონი კორუმპირებულ პოლიტიკოსთა სიას მეთაურობს, იგი მაინც აშშ-ის პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატია დემოკრატიული პარტიიდან.

*კომერსანტი №4*

რუსეთი

## კრემლის სტრატეგია ჩეჩნეთში ჩაფლავდა

მართალია, აფეთქება გროზნოში მოხდა, მაგრამ სინამდვილეში იგი კრემლის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგანაც აფეთქებულ ადმინისტრაციულ სახლში ჩეჩენთა საძულველი მოსკოვის ერთგული მთავრობა იჯდა. ეს ჩეჩნეთში კრემლის სტრატეგიის მარცხს ნიშნავს, დამარცხდა სამხედრო აქციებიც, 2003 წლის მარტში დანიშნული არჩევნებიც და საკონსტიტუციო რეფერენდუმიც, რასაც მსოფლიო ლიდერები სამშვიდობო პროცესის დაწყების გარანტად მიიჩნევდნენ.

ამჯერად როგორი იქნება რუსეთის პრეზიდენტ პუტინის რეაქცია? საგულისხმოა, რომ ჩეჩნეთის თემით მან საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო, მაგრამ იმავე ჩეჩნეთმა ძილი და მოსვენება დაუკარგა. ამიერიდან რუსეთის არმია თავის ქმედებებს ალბათ უფრო გაამკაცრებს.

დასავლეთი დღესაც კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზებს ეძებს, მაგრამ აქედან რა გამოვა, არავინ იცის, სინამდვილე სხვას გვიჩვენებს — ჩეჩნეთის კრიზისს ბოლო არ უჩანს. ჩეჩენმა მეამბოხეებმა კარგად იციან, რომ როგორც კი აშშ ერაყთან ომს დაიწყებს, ჩეჩნეთისკენ არავინ გამოიხედავს.

*დი ველტი*

## სენსაცია: ადამიანი მარსზე მიფრინავს

ახალი წლის დამდეგს ცნობილი გახდა კოსმოსის ათვისების ამბიციური გეგმა.

ჩინეთის კოსმოსური პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, შანხაის აეროკოსმოსური ცენტრის დირექტორმა ჟურნალისტებს გაუმხილა ჩინელების მიერ კოსმოსის ათვისების პერსპექტივის დეტალები. ამის საბაბი გახდა ჩინეთის კოსმოსური ხომალდის „შენჩჟოუ-4"-ის წარმატებული გაფრენა. ჩინეთის კოსმოსური სააგენტოს მიზანია პირველი პილოტირებული ხომალდის გაშვება, ორბიტალური სადგურისა და სათანამგზავრო ქსელის შექმნა, შეპირაპირების ტექნოლოგიის დამუშავება, მთვარის გამოკვლევა და მასზე დაჯდომა. ჩინეთმა უკვე გამოაცხადა, რომ მთვარის კვლევის პროგრამის მიზანია მთვარეზე მუდმივმოქმედი ბაზების აგება. ჩინეთს აშკარად სურს პირველმა ჩაიგდოს ხელში მთვარის მთელი ტერიტორია თუ არა, მისი დიდი ნაწილი მაინც. რაკი არ არსებობს ღამის მნათობის სტატუსის განმსაზღვრელი არანაირი საერთაშორისო ხელშეკრულება, ალბათ, ვინც რამდენს შეძლებს, იმდენ ტერიტორიას დაიპყრობს. პირველი პრეტენდენტი, რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჩინეთია, რადგან არც „ნასა" და არც ევროპის კოსმოსური სააგენტო მთვარის ათვისებაზე ჯერჯერობით არ ფიქრობს.

ჩინეთი მარსზეც პირველი აპირებს პილოტირებული ექსპედიციის გაგზავნას. ევროპამ ახლახან დაიწყო მარსზე 2005 წლისათვის გაფრენის მზადება, თუმცა სათუოა, რომელიმე ქვეყანამ შეძლოს ეს. რაც შეეხება აშშ-ს, იქ კოსმოსისათვის გამოყოფილი თანხების ლომის წილს სამხედრო პროგრამებისთვის იყენებენ. ჩინეთის კოსმოსური პროგრამის საფუძველი კი პოლიტიკაა.

*ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი*

## შობა ბეთლემში

შობის დღესასწაულის დღეებში ბეთლემში უამრავმა მომლოცველმა მოიყარა თავი, თუმცა საერთო დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. ქრისტესშობის ტაძრის წინ ტრადიციულად ყოველთვის იდგმებოდა ხოლმე ნაძვის ხე, მაგრამ წლევანდელი წელი გამონაკლისი გახდა. ქალაქის ხელისუფლებამ ამით პროტესტი გამოუცხადა ისრაელს პალესტინის ოკუპაციის გამო. არც სადღესასწაულო ილუმინაციები გამოუყენებიათ. ახლა ბეთლემი ნაღვლიანი ქალაქია, — განუცხადა ჟურნალისტებს ქალაქის მერმა, — საზეიმო განწყობა რატომ უნდა გვქონდეს, როცა ყოველდღე იღუპებიან პალესტინელები. მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპიროს ქალაქებსა და ღაზაში პრაქტიკულად არ წყდება ბრძოლაო. ამასთან, პალესტინის ბევრ ქალაქში შობის დღეებშიც კომენდანტის საათი მოქმედებდა, ბეთლემში — შობამდე რამდენიმე დღით ადრე გააუქმეს, ტანკები კი ქალაქიდან მხოლოდ შობის დილას გავიდნენ. იმავე ღამეს ისრაელელებმა ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში ეჭვმიტანილი 16 პალესტინელი დააპატიმრეს.



შობის წირვას ბეთლემში არ დასწრებია პალესტინის ადმინისტრაციის თავკაცი იასირ არაფატი — ისრაელის მთავრობამ მას ბეთლემში ჩასვლა აუკრძალა. არაფატი რამდენიმე თვეა რამალაში, შინაპატიმრობაში იმყოფება. 1990 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბეთლემი პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციას დაექვემდებარა, არაფატი ყოველთვის ჩადიოდა კათოლიკური, შემდეგ კი მართლმადიდებლური შობის დღესასწაულზე. ამჯერად მისი სავარძელი ქრისტესშობის ტაძარში, რომელსაც ამშვენებს წარწერა — „მისი უდიდებულესობა იასირ არაფატი, პალესტინის სახელმწიფოს პრეზიდენტი" — ცარიელი იყო.

*იზვესტია №3*

## მოსკოვი შეიფარებს ჰუსეინს?

ირანის გაზეთმა Entechab-მა დაბეჭდა აშშ-ის მიერ ძალის გამოუყენებლად პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის დამხობის გეგმა. გაზეთში ნათქვამია, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა აშშ-ის გეგმა ტელეფონით აცნობა თავის ირანელ კოლეგას ქამალ ჰარეზის. ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ეს ინფორმაცია, თუმცა ის კი დაადასტურა, რომ ფიშერმა და ჰარეზიმ ტელეფონით ნამდვილად ისაუბრეს. ფიშერმა თითქოს თავის კოლეგას აცნობა, — ამერიკას სადამ ჰუსეინის დამხობა უომრად და უსისხლოდ სურსო. იქვეა დაბეჭდილი რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ევგენი პრიმაკოვის კომენტარი, თითქოს ვლადიმირ პუტინი შესაძლოა ბაღდადში ჩავიდეს და ჰუსეინი გადადგომასა და მოსკოვში წაყოლაზე დაიყოლიოს.

აშშ-ის თავდაცვის უწყებასთან ახლოს მყოფი წყარო იტყობინება, რომ სპარსეთის ყურეში გადასასხმელად 11 ათასზე მეტ ჯარისკაცს ამზადებენ.

ერაყის ვიცე-პრემიერმა ტარიკ აზიზმა განაცხადა, რომ აშშ ერაყში შესვლას აპირებს იმისაგან დამოუკიდებლად, თუ როგორი იქნება გაეროს ინსპექტორების მუშაობის შედეგებიო.

*ნიუ ზუიქი*

## პატარა კომპანიის დიდი საიდუმლო

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და რეჯეპ ერდოგანის შეხვედრა პრესას თითქმის არ გაუშუქებია. ჟურნალისტები ერთგვარად დაბნეულები არიან — არ იციან, როგორ მოიხსენიონ ერდოგანი. ფორმალურად ის თურქეთის სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერია, რომელმაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, გაპრემიერებამდე კი ბევრი აკლია, თუ საერთოდ ოდესმე გახდა პრემიერი. ადრე ის ექსტრემისტული გამოსვლებისთვის გაასამართლეს და მისი პარტიაც ისლამისტურად ითვლებოდა, რაც ამჟამად ხელს უშლის პრემიერის პოსტის დაკავებაში. თუმცა სწორედ ერდოგანს და მის პარტიას წინამორბედებზე უფრო აქტიურად მიჰყავთ თურქეთი ევროპისაკენ. მართალია, ერდოგანი ოფიციალურად პრემიერი არ არის, მაგრამ ევროპის პოლიტიკურ წრეებში უკვე მიღებული კაცია, ეს ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში მისმა წარმატებულმა ტურნემაც დაადასტურა. კრემლშიც სათანადოდ შეხვდნენ — მოსკოვი თურქეთის კონსტიტუციას, რა თქმა უნდა, ანგარიშს უწევს, მაგრამ არც ევროპის პოლიტიკის ინტერესები ავიწყდება.



ვაშინგტონში ერდოგანს აგრძნობინეს — ევროკავშირში შესვლაში იმ შემთხვევაში დაგეხმარებით, თუ ერაყის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას გაიზიარებთო. ერდოგანი სოლიდარობას დაჰპირდა, მაგრამ კოპენჰაგენში ახლახან გამართულ ევროკავშირის სამიტზე თურქეთს კონკრეტულად არავინ არაფერს დაჰპირებია. თურქებს არც მანამდე ჰკლავდათ ერაყთან ომის სურვილი, რაც დაადასტურა ქვეყნის პრემიერმა აბდულაჰ გიულმა, — თურქეთი კოალიციაში მხოლოდ გაეროს მანდატის საფუძველზე შევაო.

რაც შეეხება ევროპას, ერდოგანი უაღრესად გულთბილად მიიღეს რომში. ევროკავშირში გაწევრების მსურველი თურქეთი ბერლუსკონის უკვე მეორე დოსტია. პირველი რუსეთია, რომელსაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად მისი მხარდაჭერა სჭირდება. ჩანს, საერთაშორისო ორგანიზაციების ორივე კანდიდატს ჯერ ხელში არაფერი უჭირავთ, ამიტომაც გადაწყვიტეს შეკავშირება, მფარველად კი ბერლუსკონი გაიხადეს. პატარა, მაგრამ თბილი კომპანია საიდუმლოდ ინახავს სამომავლო გეგმებს.

*ნოვიე იზვესტია №4*

## ბრილიანტები — ნაძვის ხის სათამაშოებში



საიუველირო ხელოვნების ეს სასწაული ტოკიოს ერთ-ერთ დახურულ კლუბში საშობაოდ დადგეს. ნაძვის ხე გამჭვირვალე ბუშტებით იყო მორთული, რომლებშიც ძვირფასეულობა იდო. მათ შორის გახლდათ რამდენიმე მილიონ დოლარად შეფასებული ბრილიანტებით მოოჭვილი საათი. მსურველებს შეეძლოთ მოწონებული „სათამაშო" ეყიდათ. ასე რომ, „სასწაული" ნაძვის ხე ნელ-ნელა დაცარიელდა. შობის დღესასწაულის მეორე დღეს იგი ტოკიოს ერთ-ერთ ბავშვთა სახლს აჩუქეს, ოღონდ ამჯერად ბუშტებში ძვირფასეულობის ნაცვლად ტკბილეული და სათამაშოები ეწყო.

*ლენტა რუ*

## მოკლეშარვლიანი ჯარისკაცები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პირველად გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომლებიც საერთაშორისო კანონმდებლობის აკრძალვის მიუხედავად, ბავშვებს ბრძოლაში იყენებენ. ბავშვთა პრობლემების დარგში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ოლარი ოტუნუს თქმით, მსოფლიოში 3 ათასზე მეტი ყმაწვილი ცხელ წერტილებში იბრძვის.

გაეროს „შავ სიაში" შესულია 23 სეპარატისტული შეიარაღებული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები მოქმედებენ ავღანეთში, ბურუნდში, ლიბერიაში, სომალიში, ბირმაში, კოლუმბიასა და კონგოში. მათგან ოთხში — არასრულწლოვან ჯარისკაცებს ამბოხებულებიც იყენებენ და მთავრობებიც. ოლარი ოტუნუ აცხადებს, — ის, რაც ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში ხდება, დაუშვებელია და აუცილებლად უნდა აიკრძალოს. სახელმწიფოს მეთაურებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ამბოხებულებს იარაღი ხელში არ ჩაუვარდეთ. ვიდრე ქვეყნების თავკაცები ამ საქმეს არ მიხედავენ, ისინი საერთაშორისო შეხვედრებზე არ უნდა მიიწვიონ.



*ინტერფაქსი*

## წყალდიდობა ევროპაში

ინგლისსა და უელსში 140 ადგილია გამოცხადებული რისკის ზონად. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამჯერად გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე 2002 წლის ოქტომბერში, როცა უფრო ძლიერი წყალდიდობა იყო. ხელისუფლება ირწმუნება, რომ მას შემდეგ გაამაგრეს 70 კმ სიგრძის დამბა და წყალდიდობისაგან 25 ათასი ადამიანი დაიცვეს. გერმანიაში კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარე მაინმა ქალაქ ვერტჰაიმის ისტორიული ცენტრი დატბორა. წყლის დონემ აიწია რაინზეც. თავსხმა წვიმა, ქარიშხალი მთელ გერმანიაში იქცა აუარება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზად, რელსებზე ქარიშხლით წაქცეულმა ხეებმა შეაფერხა სარკინიგზო მიმოსვლა. ადიდებულმა მდინარეებმა მთელ ქვეყანაში გადარეცხა საავტომობილო გზები. უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა საახალწლოდ ამინდმა საფრანგეთის ჩრდილოეთ რაიონებს. ენისა და უაზის დეპარტამენტები მთლიანად დაიტბორა, არ მოძრაობს არანაირი ტრანსპორტი. იგივე მდგომარეობაა ნორმანდიაში. განსაკუთრებით დაზარალდა კალვადოსის, მანშისა და ორნის დეპარტამენტები. კოკისპირულმა წვიმამ ბუდაპეშტი და უნგრეთის სხვა ქალაქების ავტოტრასები ნამდვილ ყინულის მოედნებად აქცია. პოლიციამ ავტომოყვარულებს



მოუწოდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ესარგებლათ და მსუბუქი მანქანები შინ დაეტოვებინათ. ბუდაპეშტში რამდენიმე დღეა მუშაობს ყინულისგან გამწმენდი ტექნიკა. უამინდობა ბევრი ავარიის მიზეზი გახდა.

*გაზეტა.რუ*

**გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ**

# საკუთარი შვილი, თვითნაკეთი ფეიერვერკით, სახლში აფეთქებას მიპირებდა



ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემმა უმცროსმა ვაჟიშვილმა თავის მეგობრებთან ერთად მალულად ჩხირკედელაობა დაიწყო. ნამდვილად რაღაცას მაკვარანცხობდა. მით უმეტეს, ეჭვი მას შემდეგ გამიძლიერდა, რაც გენერატორიდან ბენზინმა იწყო აორთქლება. ამასთან, ახალი წელი კარს იყო მომდგარი და ერთი სიტყვაც არ დასცდენია, რომ ბაზრობაზე გვეყიდა ახალი წლის ღამეს სასროლი პეტარდები, — ერთი სიტყვით, საფეიერვერკო კომპლექტი. ამიტომ ყურადღება გავაათკეცე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სარდაფიდან საეჭვოდ გამურული და სპეციფიკური სუნით გაჟღენთილი ტანსაცმლით ამოდიოდა. ერთ დღეს დრო ვიხელთე და როცა შინ არ იყო, სარდაფში ჩავედი. კარი გავაღე და თვალწინ ასეთი სანახაობა გადამეშალა: სარდაფში პატარა იატაკქვეშა საამქრო მოეწყოთ ჩემს ვაჟკაცს და მის მეგობრებს. საიდანღაც ნახევარმეტრიანი დიამეტრის ერთი მხრიდან დახშული რკინის მილი მოეთრიათ. იქვე მილში ჩასაყრელად დამუშავებული და ბენზინით გაჟღენთილი ამონიუმის გვარჯილა მოემზადებინათ. სასუქი კი მანამდე გაეშალათ და აშრობდნენ (შეგნებულად არ ვაკონკრეტებ სხვა ნივთიერებებსა და ასაფეთქებელი ნივთიერების მომზადების სხვა დეტალებს, რათა სხვამაც არ სცადოს იგივე). არც მეტი, არც ნაკლები, საქმე პატარა ტერორისტებთან და მათ თითქმის გამზადებულ ბომბთან მქონდა. იქვე ბიკფორდის ზონრის ორ მეტრამდე ნაგლეჯიც იყო. რა თქმა უნდა, ასაფეთქებელ ნივთიერებაზე წყალი მივუშვი, სხვა მასალასაც ნაგავში გადავუძახე და გაბრაზებული ჩემს ვაჟსა და მის მეგობრებთან შესახვედრად მოვემზადე. სარდაფის ჩასასვლელს არ მოვშორებივარ, სანამ „ტერორისტები“ არ მობრძანდნენ. მკაცრი, ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ ბიჭებმა აღიარეს, რომ ბომბის დამზადების ტექნოლოგია ინტერნეტში, ერთ-ერთ საიტზე ამოიკითხეს. ჯერ საცდელი, პატარა სიმძლავრის ბომბი დაუმზადებიათ — ისეთი ძლიერი ხმა ჰქონია და ისე ლამაზად აფრქვევდა თურმე ცეცხლს, რომ მაღაზიაში ან ბაზრობაზე ნაყიდი ვერც ერთი ტკაცუნა ვერ შეედრებოდა. დიდი ბომბის დამზადება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც სხვა სკოლის მოსწავლეებთან სანაძლეო დადეს, რომ „ყველაზე კარგად“ ახალი წლის დადგომას ისინი აღნიშნავდნენ.

თავს აღარ შეგაწყენთ იმის თხრობით, რა სასჯელი დავადე ჩემს შვილს და რა აღმზრდელობითი მუშაობა გავწიე მის მეგობრებთან. მერე ავდექი და ბაზრობაზე წავედი — ახალი წლის აღსანიშნავად საფეიერვერკო მუყაოს მილების ყიდვა გადავწყვიტე. ათასნაირი სატკაცუნო, მაშხალა და რაკეტა იყიდებოდა. უმრავლესობა ჩინეთიდან იყო ჩამოტანილი. ზოგიერთს გამოცდილი მსროლელი სჭირდებოდა, რათა არც მსროლელი დაზიანებულიყო და არც გარშემომყოფნი. მაგალითად, სამოცსანტიმეტრიან წვრილ ჯოხს ბოლოში დამაგრებული ჰქონდა რაკეტის მსგავსი პლასტმასის კონსტრუქცია, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო დატენილი. რაკეტას ბოლოზე სამიოდსანტიმეტრიანი პატრუქი დასთრევს. რუსული წვრილი შრიფტით დაწერილი ინსტრუქცია გვამცნობდა, რომ გაშვების წინ რაკეტა ვერტიკალურად ჩამარხულ ცარიელ ბოთლში უნდა ჩაგვედო და შემდეგ პატრუქზე ცეცხლი უნდა მოგვეკიდებინა. ექვს წამში უნდა გავცლოდით, ასე შვიდ მეტრამდე... ზოგ რაკეტას თუ მაშხალას არც ინსტრუქცია მოჰყვებოდა და ვერც გამყიდველი აგიხსნიდა, როგორ უნდა მოგეხმარა იგი. ორიოდე ცალი ინსტრუქციიანი რაკეტა მაინც ვიყიდე და მისი ამოქმედება ზუსტად 12 საათზე გადავწყვიტე. თქვენ წარმოიდგინეთ, ინსტრუქციაში მითითებულმა არც ერთმა პირობამ არ გაამართლა: რაკეტა ცაში პატრუქზე ცეცხლის მოკიდებიდან ორ წამში ავარდა, თუმცა საკმაოდ ლამაზ ფერებად კი გაიფანტა. სახეზე ხელები რომ არ ამეფარებინა, დარწმუნებული ვარ, დამწვავდა. შემდეგ მითხრეს, თურმე ასეთ რაკეტებს ზოგიერთი ბავშვი მეტი სიძლიერის მისაცემად შლის, დენთს ამატებს და თავიდან აწყობს. ასეთი რაკეტა მართლაც საშიშია და მისი ფრენის სიმაღლე თითქმის ას მეტრს აღწევს, ვხედავდი, ბავშვები სხვადასხვა საფეიერვერკო მოწყობილობას ხელით, კორპუსის ფანჯრებზე დამიზნებით რომ უშვებდნენ. როგორც გაირკვა, იარაღის შესახებ კანონში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საქართველოში საფეიერვერკო მასალის შემოტანისა და მისი რეალიზაციის წესების შესახებ. ამ მხრივ პარადოქსულ სიტუაციას აქვს ადგილი, რადგან საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვა ნებადართულია, ხოლო ფეიერვერკების მოსაწყობი მასალისა და მისი გასაშვები დანადგარების შემოტანა და გაყიდვა აკრძალულია. ამიტომაც აბსოლუტურად გაუკონტროლებელია — ვის, საიდან და როგორ შემოაქვს მსგავსი საქონელი. ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ახალი წლის დღეებში ბაზრობები ამგვარი საქონლის სიმცირეს არ უჩიოდნენ.

საქართველოში არსებობს ფირმები, რომელთა საქმიანობა სწორედ ფეიერვერკების მოწყობაა. რა თქმა უნდა, ეს სფეროც უკანონოა და ფირმები ყალბი საბუთებით ინილბებიან. განახვათ, რა საშუალებებით აწყობენ ეს ფირმები ფეიერვერკებს; შეგეშინდებათ, მათი ტექნიკური აღჭურვილობა რომ ნახოთ. ლაპარაკი ზედმეტია მომსახურე პერსონალის საქმის ცოდნასა და გამოცდილებაზე. ისინი, ძირითადად, შემთხვევითი პირები არიან, რომლებსაც არც ოფისი გააჩნიათ და არც სპეციალური სასაწყობე მეურნეობა, ხოლო ასაფეთქებელ და ცეცხლგამჩენ ნივთიერებებს შემთხვევით ადგილებში ინახავენ.

> მკაცრი, ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ ბიჭებმა აღიარეს, რომ ბომბის დამზადების ტექნოლოგია ინტერნეტში, ერთ-ერთ საიტზე ამოიკითხეს. ჯერ საცდელი, პატარა სიმძლავრის ბომბი დაუმზადებიათ — ისეთი ძლიერი ხმა ჰქონია და ისე ლამაზად აფრქვევდა თურმე ცეცხლს, რომ მაღაზიაში ან ბაზრობაზე ნაყიდი ვერც ერთი ტკაცუნა ვერ შეედრებოდა. დიდი ბომბის დამზადება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც სხვა სკოლის მოსწავლეებთან სანაძლეო დადეს, რომ „ყველაზე კარგად“ ახალი წლის დადგომას ისინი აღნიშნავდნენ.

ამ საკითხის რეგულირება ალბათ კანონმდებლობით უნდა მოხდეს, თორემ ურემი რომ გადაბრუნდება, მერე გვიან იქნება.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# როგორ შეხვდნენ ახალ წელს მსოფლიოში



საახალწლო რიტმები ლათინური ამერიკის ქვეყნებში

ახალ წელს მთელ მსოფლიოში ზეიმით შეხვდნენ. ყველა ქალაქი ცდილობდა დაეცვა ტრადიცია და ამასთან, ყოფილიყო ყველაზე გამორჩეული. მაგალითად, ყველაზე მაღალი ნაძვის ხე **სანქტ-პეტერბურგს** ამშვენებდა. ამას კი საზრიანობით მიაღწიეს — 321-მეტრიანი სატელევიზიო ანძა მარადმწვანე ნაძვის ხედ გარდაიქმნა.

2003 წელს, სანახაობის თვალსაზრისით, ყველაზე მდიდრულად შეხვდა ავსტრალიის ქალაქი **სიდნეი**. ასე მასშტაბური ფეიერვერკი აქ ოლიმპიადის შემდეგ არ უნახავთ. ქუჩებში გამოვიდა 700 ათასი ადამიანი. მათ ახალი წელი სალუტების ზალპის ქვეშ მიულოცა ქალაქის მერმა. ცა ისე ანათებდა, როგორც მზიან დღეს.

სხვათა შორის, ყველაზე უსაფრთხო ახალი წლით შეუძლიათ დაიტრაბახონ **ნიუ-იორკელებმა**. ახალი წლის ღამეს მათ იცავდა 700 ათასი პოლიციელი, სნაიპერი და რამდენიმე შვეულმფრენი, რომლებიც სახლების სახურავებზე იდგა და მუდმივად აკონტროლებდა ზეცას. ტაიმ-სკვერის ცენტრში, მანჰეტენში 750 ათასი მოქალაქე შეიკრიბა — ყველა მათგანი გაჩხრიკა პოლიციამ იარაღის ან საშიში საგნების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, შეამოწმეს სისხლში ალკოჰოლის შემცველობაც.

***ევროპაში*** ახალი წელი უფრო ტრადიციულად აღინიშნა, თუმცა ხელისუფლება მთელი ძალებით ცდილობდა გაეკვირვებინა მოსახლეობა. დაახლოებით 700 ათასი ადამიანი ხვდებოდა ახალ წელს ბერლინის ცენტრში. შუაღამისას ისინი 2 ათასი რაკეტის გაშვებას შესცქეროდნენ, შემდეგ კი საახალწლო კონცერტი გაიმართა.

**იტალიის** დედაქალაქის მცხოვრებთ ტრადიციული ქადაგებით მიესალმა რომის პაპი. იტალიელებმა ფანტაზიას არ უღალატეს, დაამზადეს ასაფეთქებელი მოწყობილობის მთელი არსენალი და ყველაზე მძლავრს „უსამა ბინ ლადენი“ შეარქვეს, რომელიც „მაგრად“ წავიდა, თითო 100 დოლარად გაიყიდა. პოლიციამ გადააბრუნა იქაურობა და საიდუმლო ლაბორატორიას ვერ მიაგნო.

**პარიზი** ტრადიციულად ზეიმობდა ელისეს მინდვრებზე. აი, **ლონდონელებმა** კი ვერ დაიცვეს ტრადიცია: ტრაფალგარის მოედანი დაიხურა სარესტავრაციოდ. ეს შესაძლო ტერაქტებისგან დასაცავად გაკეთდა. **ბალტიისპირეთის** მცხოვრებლები ახალ წელს ტრადიციულად ორჯერ აღნიშნავენ. ერთი საათით ადრე ხვდებიან მას რუსულენოვანი მობინადრეები — კრემლის კურანტების თანხლებით, ერთი საათის შემდეგ კი — ადგილობრივი დროით.



იაპონელი სანტა-კლაუსი აკვარიუმში

**ინდოეთის** პრეზიდენტი, ისევე როგორც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ახალ წელს კუნძულ ბალიზე შეხვდა — ამით პატივი მიაგეს ოქტომბრის ტერაქტის 180 მსხვერპლს.



„ყინულის კაფე“ პოლარეთში

ამერიკელი ჯარისკაცები **სპარსეთის ყურეში** უალკოჰოლო ლუდით ხვდებოდნენ 2003 წელს — ისინი ყოველ წუთს მზადყოფნაში არიან, დაიწყონ შეტევა ერაყზე. ერაყის დედაქალაქ **ბაღდადში** კი საახალწლო ზეიმის ყველაზე გულის ამაჩუყებელი მოვლენა იყო ბავშვების მდუმარე მსვლელობა — მათ ჰქონდათ ამერიკულ-ბრიტანული გეგმების საპროტესტო ლოზუნგები.

და მაინც, ყველაზე მასშტაბური საახალწლო ზეიმი **კოსმოსში** გაიმართა. საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ეკიპაჟს სრულიად კანონიერად შეუძლია შეხვდეს ახალ წელს ზედიზედ 15-ჯერ. დღე-ღამის მანძილზე იგი 16-ჯერ უვლის გარს დედამიწას. ამგვარად, კოსმონავტები 15-ჯერ ხვდებიან 2003 წელში და 14-ჯერ ბრუნდებიან 2002-ში.

შორეულ **პოლარეთში** დიდხანს იფიქრეს, სად შეხვედროდნენ ახალ წელს და თითქოს სიცხით იყვნენ შეწუხებულები, ყინულის სასტუმროს ყინულის რესტორანში ყინულის მაგიდებთან ჩამოსხდნენ და რადგან ყველაფერი ცხელი დაადნობდა იქაურობას, ყველაფერი ცივი მიირთვეს.




შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 38-24-02

„ტრანსფორმისი“ ფირმის

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...

ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით

☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

გააცოცხლეთ თქვენი ფოტოსურათები!

ბედნიერ წუთებს გაჩუქებთ

ჩვენს მიერ დამზადებულ ფოტო-ვიდეოალბომი საუკეთესო მუსიკის თანხლებით

☎ 95-27-64; 877-75-59-43


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 4 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1800 |
| ევრო | 2,1763 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4100 |
| რუსული რუბლი | 0,0689 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3444 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ჯადოსნური ტელევიზორი



ზუგდიდში ერთი კოლორიტული ახალგაზრდა კაცი, იური ბოხუა ცხოვრობდა. მის ხუმრობასა და კურიოზებზე დღესაც ლეგენდები დადის. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ერთხელ, კერძოდ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა საქართველოში პირველად გამოჩნდა დისტანციური პულტის მქონე ტელევიზორები, იურიმაც დიდი ამბით იყიდა და შინ ზარ-ზეიმით მიიტანა.

დედამისმა, ქ-ნმა ჟენიამ ვერაფრით გაიგო, რა განსხვავება იყო ძველსა (რომელიც სხვათა შორის, მშვენივრად აჩვენებდა) და ახალ ტელევიზორს შორის და რატომ გადაიხადა მისმა შვილმა ამდენი ფული...

იურიმ, რომელიც ყველაფერში სახუმარო ამბავს პოულობდა, დედაც არ „დაინდო“ და ახალ ტელევიზორთან დასვა, მიუჯდა გვერდით და ახსნა დაუწყო:

— აი, დედა, ახლა პირველ არხს ვუყურებთ. შემოვკრავ ტაშს და ტელევიზორთან მიუსვლელად რუსეთის პირველ არხზე გადაირთვება. კიდევ შემოვკრავ ტაშს და საქართველოს II არხს აჩვენებს; ხმის აწევა თუ გინდა, უბრძანებ — ხმას აუწიე! — და აეწევა. ეტყვი, — ჩაუწიე! — და ჩაეწევა...

ყველაფერი ეს იურიმ „თვალნათლივ“ დაანახვა დედას. რამდენჯერმე ეს „სიახლე“ დედამისსაც მისივე ტაშისკვრით გაამეორებინა.

ქ-ნი ჟენია ტექნიკის ამ სიახლით ძალზე აღტაცებული დარჩა.

მეორე დღეს რაღაც საქმეზე იურისთან სტუმრად მივედი. ქ-ნი ჟენია ტელევიზორს მიჯდომოდა და გამეტებით უკრავდა ტაშს. რა თქმა უნდა, ტელევიზორი „არ უჯერებდა“ დიასახლისს. სანამ გავერკვეოდი, რა ხდებოდა, იურიც შემოვიდა ოთახში. დედამ საყვედურებით აიკლო — ტელევიზორი ჯერ არ გიყიდია და უკვე გაფუჭდა, რამდენი ხანია ტაშს ვუკრავ და სხვა არხზე არ გადაირთოო...

იურიმ იქით უსაყვედურა დედას — ჩუმად უკრავ ტაშს და იმიტომო. მერე თვითონ შემოჰკრა ტაში (პულტის თანხლებით, რა თქმა უნდა!) და ტელევიზორიც „დამჯერი“ გახდა.

მოკლედ, მთელი ორი კვირა იქცევდნენ თავს იური და მისი ძმაკაცები ქ-ნი ჟენიას გულუბრყვილობით...

*ზვიად ჩაკვეტაძე, თბილისი*

## — რა ეშმაკად გინდა მერე ამდენი?!



ვისაც ახსოვს, როგორ მივარბენინებდით საბჭოთა დედები ბავშვებს ბაგა-ბაღში და მერე რა გულგახეთქილები მივრბოდით სამსახურში, მიხვდება ალბათ ჩემს გასაჭირს. ჰოდა, მეც შევუყევი ახლომდებარე ბაღის გზას ჩემი სამი წლის მარიამთან ერთად. თან საათზე ვიყურები და თან ნახევრად მძინარე ბავშვს ვექაჩები... ასე მივაღწიეთ ერთ-ერთ კორპუსამდე, რომლის სადარბაზო ცენტრალურ ქუჩაზე გადიოდა და რომლის იქითაც უკვე საბავშვო ბაღი იყო. ის იყო შევვარდი სადარბაზოში, რომ I სართულის ერთ-ერთი ბინის კარი გაიღო და თმაგაჩეჩილი, ხალათწამოსხმული ხანში შესული ქალი გამოვარდა. ხელში წყლიანი ვედრო და ცოცხი ეჭირა. ნერვიულად იქნევდა ცოცხს და თან ხმას აყოლებდა.

— დავწყვიტავ ყველას, ვისაც შევისწრებ, გაგონილა?! ვისაც რა მოუნდება, შემოდის და აქ შვრება.

გაღებულ კარში ასევე ხანში შესული პიჟამიანი კაცი იდგა და ეხვეწებოდა:

— შემოდი, ქალო, სახლში, ნუ ყვირიხარ ამ დილაუთენია ერიხონის (იგულისხმება იერიქონის) ტრუბასავით.

— ტრუბა არ ვიცი მე, კაცები შობიან ამას, ვისაც წავასწრებ, მოვასხიპავ ძირში!!! — არ ცხრებოდა გამწარებული ქალი.

— კაი, ახლა, ქალო, რა ეშმაკად გინდა მერე ამდენი?!

*ხათუნა ფოფხაძე, თბილისი*



სვანი ექიმთან მიდის, რომელიც ასევე სვანი აღმოჩნდება:

— ექიმო, ძაღლმა მიკბინა და დამეხმარეთ რამით.

— ბოდიში, მაგრამ ვერავითარ დახმარებას ვერ გაგიწევთ, წამლები გაგვითავდა!..

— ექიმო, გეხვეწებით რამით მაინც დამეხმარეთ!..

— წადი, ის ძაღლი მოიყვანე და ერთად მაგრად ვცემოთ!

*გიორგი ყუფარაძე, თბილისი*



— მიხო! რა დაემართა მაროსა?

— ავიაკატასტროფაში მოჰყვა, საცოდავი!

— ეგ როგორა, კაცო! თვითმფრინავში საერთოდ რო არა მჯდარა?!

— არა მჯდარა, მაგრამა, თვითმფრინავს ცაში აივნიდან თვალი გააყოლა და ძირ გადავარდა!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*



სვანი გოლს გაიტანს და... განმეორებისას ააცილებს.

*გაკა გოცაძე, თბილისი*

## ხართ თუ არა ნაბახუსევზე, ანუ მოქეიფეების ენაზე რომ ვთქვათ, „პახმელიაზე“?

### პაროდიის კუთხე

### ტესტი



**1. გათენდა, მზემ ფანჯარაში შემოანათა, თქვენ:**

ა) ფანჯრებზე ფარდას ჩამოაფარებთ და განაგრძობთ ძილს (1 ჭიქა).

ბ) წამოხტებით და დაიწყებთ დილის აერობიკას (1 ყანწი).

გ) არც ძილი გინდათ და არც ვარჯიში, ისედაც თავი გისკდებათ... (1 ბოცა).

**2. შემთხვევით დაიჭირეთ ოქროს თევზი, რომელიც გპირდებათ სამი სურვილის შესრულებას. თქვენ:**

ა) სთხოვთ გააჩინოს თქვენთვის ბინა, მანქანა და 1 ბოთლი ლუდი (1 ჭიქა).

ბ) სთხოვთ გააჩინოს თქვენთვის ბინა და ორი ბოთლი ლუდი (1 ყანწი).

გ) სთხოვთ გააჩინოს სამი ბოთლი ლუდი (1 ბოცა).

**3. რამდენიმე დღის წინ დადგა 2003 წელი, ამიტომ თქვენ:**

ა) ყოველდღე შეზარხოშებული ხართ (1 ჭიქა).

ბ) ყოველდღე ნასვამი ხართ (1 ყანწი).

გ) ყოველდღე მთვრალი ხართ (1 ბოცა).

**4. რომელ ფრაზას იყენებენ „პახმელიაზე“ ყოფნისას:**

ა) შენ თუ ამ ჯამს დალევ!.. (1 ჭიქა).

ბ) დავლევ, აბა რას ვიზამ!.. (1 ყანწი).

გ) აუ, აწი აღარასოდეს აღარ დავლევ!.. (1 ბოცა).

**5. რესტორანში შედიხართ მეგობრებთან ერთად, თქვენ:**

ა) უკვეთთ მწვადს (1 ჭიქა).

ბ) უკვეთთ ხინკალს (1 ყანწი).

გ) უკვეთთ ხაშს (1 ბოცა).

**6. დღეს თქვენ რაღაც უხასიათოდ გამოიყურებით:**

ა) მითხარი, ხომ მშვიდობაა (1 ჭიქა).

ბ) მითხარი, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა (1 ყანწი).

გ) არ მითხრა ახლა, „პახმელიაზე“ ვარო (1 ბოცა).

### დაითვალეთ სასმისები:

**თუ დააგროვეთ რამდენიმე ჭიქა ან ცოტა მეტი, მაშინ მშვენიერ ხასიათზე იქნებით. ისე, კაი ღვინოა, რაც მართალია, მართალია. ვინ მოიტანა, სადაურია? — დღეს კარგია, მაგრამ ნეტავ, „პახმელიაზე“ როგორ ვიქნები, საკითხავი აი ეს არის!**

**თუ დააგროვეთ რამდენიმე ყანწი, მაშინ ძალიან გთხოვთ, მეტი აღარ დაამატოთ, თან სჯობს გაერთოთ კიდეც — ადექით, იცეკვეთ და რამე... მარტო დალევა ხომ არაა საქმე. აი, გახედეთ, თამადის მოადგილე რა დღეშია?! როგორი მარწყვივით გოგო აურჩევია და ეცეკვება... ისე, არა, არა, მთლად ასეც (ე.ი. მარტო ქალებით გატაცებაც) არ ვარგა!..**

**თუ რამდენიმე ბოცა დააგროვეთ, მაშინ ახლავე შეიძლება პროგნოზის გაკეთება, თუ როგორ გაატარებთ მთელ წელიწადს. მანამდე კი მე მინდა მოგილოცოთ ახალი წელი, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის, გაგიმარჯოთ! დიდი ბოდიში, დალევით ვერ დავლევ, საქესთან ვარ...**

*„პახმელიის“ შიშით მსუბუქად მსმელი თქვენი ზაქრო ინწკირველი*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ქუთაისში ჩამოსახლებული სვანი შეშას ჩეხავდა წელს ზევით შიშველი. თოვს. მეზობელი მივიდა და, — არა გცივაო? — ჰკითხა. — არაო, — უპასუხა სვანმა. აიღო შეშა მეზობელმა და თავისი სახლისკენ მიაქვს.

— რას შვრებიო, — გადაირია სვანი.

— შენ არ გცივა, ძმაო, და მე მაინც გავთბებიო!



ძგვიბისთან მეზობელი გადავიდა, იქნება „მატყუარა“ მათხოვოო, — საწოვარა უნდოდა, შვილიშვილი ძუძუს არ ჭამს და იქნებ როგორმე გავაჩეროო, ძალიან ტირისო.

— მატყუარა თუ გინდა, მეტი რა გვყავს პარლამენტშიო, — არხეინად უპასუხა ძგვიბიმ.

*ჯანო ორიანი, ქუთაისი*

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

## ყველაზე პოპულარული გაზეთი

**— ვიცით, რომ „კვირის პალიტრა“ ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთია საქართველოში. აქედან გამომდინარე ალბათ, ყველაზე პოპულარულიც უნდა იყოს. თუ შეგიძლიათ გვაცნობეთ, რომელი გამოცემა ითვლება მსოფლიოს ყველაზე მაღალტირაჟიან გაზეთად.**

***ერთგული მკითხველები***

— თუ გინესის რეკორდების წიგნს ვენდობით, ყველაზე მაღალტირაჟიანი და პოპულარული გაზეთია ტოკიოში გამომავალი „იომიური სიმბურნი“, რომელიც დაარსებულია 1874 წელს და მისი ყოველდღიური(!) ტირაჟი 14.400.000 ეგზემპლარამდეა, აქედან, დაახლოებით 10.200.000 — დილის და 4.200.000 — საღამოს გამოცემა (2000 წლის მონაცემებით). ყოველკვირეულ გამოცემებში ერთპიროვნულ ლიდერად ითვლება რუსული „არგუმენტი ი ფაკტი“, რომელიც 1990 წლის მაისში 33.431.100-იანი ტირაჟით დაისტამბა. რაც შეეხება ჟურნალებს, ბოლო დრომდე ლიდერობდა ამერიკული ყოველკვირეული „პარადი“, რომელიც 37-მილიონიანი ტირაჟით იბეჭდება.

## გუგენჰაიმმა ფონდი «დახატა»

**— ჩემი და ესპანეთში მოგზაურობდა, რა თქმა უნდა, ბევრი რამ მოეწონა, მაგრამ ბილბაოში გუგენჰაიმის მუზეუმის შენობას აღუფრთოვანებია. სამწუხაროდ, ვერ დაუთვალიერებია. ძალიან გვაინტერესებს, ვინ იყო გუგენჰაიმი და საერთოდ, რა დახატა ასეთი, რომ უზარმაზარი მუზეუმი აუშენეს?**

***ტარიელ ფიჩხაძე***


გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში

— უნდა გიპასუხოთ, რომ სოლომონ გუგენჰაიმს არც არაფერი დაუხატავს და არც რაიმე მუზეუმი აუშენებია. სამაგიეროდ, 1919 წელს, 58 წლის მაგნატმა გადაწყვიტა მიეტოვებინა ქვანახშირის მომგებიანი ბიზნესი და ხელოვნების ნიმუშების შეგროვება დაეწყო. თავად გუგენჰაიმს ხელოვნება დიდად არ ესმოდა და ამიტომ დახმარება სთხოვა ცნობილ პრუსიელ მხატვარსა და ხელოვნებათმცოდნეს, ბარონესა ფონ ენრეინვეისენს. წარმატებამ არ დააყოვნა, მცირე დროში, შეძენილი ექსპონატების დასაბინავებლად მუზეუმის ორგანიზება გახდა საჭირო. 1937 წელს შეიქმნა სოლომონ გუგენჰაიმის სახელობის ფონდი, რომელმაც წამოიწყო პირველი მუზეუმის მშენებლობა ნიუ-იორკში. სამწუხაროდ, მსოფლიო ომმა ძლიერ შეუშალა ხელი მშენებლებს და მუზეუმი მხოლოდ 1959 წელს გაიხსნა, რასაც ვერ მოესწრო თავად მეცენატი, იგი 1947 წელს გარდაიცვალა. გუგენჰაიმის გარდაცვალების შემდეგ ფონდმა არსებობა განაგრძო და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. დღესდღეობით მის მფლობელობაშია კიდევ ერთი მუზეუმი „სოხო“ ნიუ-იორკში (1992); „დოიჩე გუგენჰაიმი“ — ბერლინში (1997); კითხვაში ნახსენები ბილბაოს უმშვენიერესი მუზეუმი (1997); ლას-ვეგასში აშენებული ორი მუზეუმი „გუგენჰაიმ ლას-ვეგასი“ და „ერმიტაჟ-გუგენჰაიმი“, საგამოფენო გალერეები ვენეციასა და ლონდონში.

## პირველი ადამიანი-კლონის არსებობა ეჭვს ჰბადებს

**— მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა კლონირებული ცხვარი, დოლი გამოიყვანეს, თითქოს აიკრძალა ადამიანზე ექსპერიმენტების ჩატარება. გასული წლის დამლევს კი ხმა გავრცელდა, თითქოს კლონირებული ბავშვი მოევლინა ქვეყანას. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად ახლოა სიმართლესთან ეს ინფორმაცია, თუ ესეც მორიგი ჭორია.**

***პატივისცემით, არკადი მგელაძე***

**კლონი, კლონირება** (ტოტი, ყლორტი, ნაყარი — ბერძ.) — გენეტიკურად ერთგვაროვანი მატერიის მიღების ერთ-ერთი მეთოდია. მიკრობიოლოგიასა და პროტისტოლოგიაში კლონირებას უწოდებენ დედა უჯრედისგან გამოყვანილი ნაყოფის (შთამომავალთა) ერთობლიობას.

ადამიანის კლონირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ დასტურდება. კომპანია cloniad-მა ვერ შეძლო ამ სენსაციური მოვლენის დოკუმენტურად დასაბუთება და როგორც ჩანს, ეს არც მომავალშია მოსალოდნელი, რადგან ამერიკული კლონის — ევას მშობლებმა უარი განაცხადეს დნმ-ის შედეგების გამომზეურებაზე. ისინი ინკოგნიტოდ აპირებენ დარჩენას, რადგან ფლორიდის შტატის ერთ-ერთი ადვოკატი აშშ-ის მთავრობისგან მოითხოვს პატარა ევას უფლებების დაცვას და მის სახელმწიფო დაწესებულებაში გადაყვანას, რათა კლონირების მომხრეებს არ მიეცეთ ბავშვის თავისი მიზნებისთვის გამოყენების საშუალება. შტატების ხელისუფლება უკვე შეუდგა კლონირებული ბავშვის დაბადების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოძიებას. საქმე ის გახლავთ, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით, კატეგორიულად იკრძალება ადამიანის კლონირება, როგორც ეთიკის ნორმების დარღვევა და ადამიანის ღირსების შემლახველი ქმედება.

კომპანია cloniad-ი კი ახლო მომავალში მეორე კლონირებული ბავშვის მოვლინებას გვპირდება, ოღონდ ამჯერად ევროპაში, სადაც ამ საკითხს თურმე უფრო შემწყნარებლურად უდგებიან. ამ კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობა სწორედ კლონირების შედეგად შექმნეს უცხოპლანეტელებმა. საერთაშორისო რელიგიური სექტის — „რაელიანსელთა“ (ხელმძღვანელი კლოდ ვორილიონი) სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელმაც განახორციელა მსოფლიოში პირველი კლონის ოპერაცია, აცხადებს, რომ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი უკვდავებისკენ. მისი აზრით, კლონირების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს (9 თვე დედის წიაღში, 18 წელი სრულწლოვანებამდე) და მომავალში მისი შექმნა რამდენიმე საათში გახდება შესაძლებელი.

კომპანია cloniad-ი სწორედ „რაელიანსელთა“ სექტამ დააარსა. ისინი სულ „რაღაც“ 200.000 დოლარად ჰპირდებიან უშვილო ოჯახებს ბავშვს და აცხადებენ, რომ მსურველთა რიცხვმა უკვე 2000-ს გადააჭარბა.

## «თელასი« ჩიტებს არ ერჩის

**— დიდი ხანია მაინტერესებს და ამჯერად გკითხავთ, რატომ არ ემართება არაფერი დიდი ძაბვის კაბელზე შემოსკუპებულ ჩიტებს და უსაფრთხოა თუ არა ადამიანისთვის?**

***გია ექვთიმიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **თედო თორაძე**, ფიზიკოსი.

— ჩვენდა საბედნიეროდ, ეს მოვლენა არაფრით უკავშირდება „ეი-ი-ეს თელასს“ და მის საქმიანობას საქართველოში. უბრალოდ, მაღალი ძაბვის კაბელსა და მასზე დასაფრენად მომართულ ჩიტს შორის არ წარმოიშობა განსხვავებული ძაბვა. ჩიტი ხომ კაბელზე მიწასთან შეუხებლად ზის და თუ იგი მეორე კაბელს არ შეეხება, საფრთხე არ დაემუქრება. ამრიგად, მაღალი ძაბვის კაბელზე შემოსკუპებული ჩიტისა და კაბელის ძაბვა აბსოლუტურად „ემთხვევა“ ერთიმეორეს. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, საკმარისია ფრინველი შეეხოს სხვადასხვა კაბელს ერთდროულად, რომ ამ გაუფრთხილებლობის მსხვერპლი ხდება. საბედნიეროდ, როგორც წესი, მაღალი ძაბვის კაბელები დიდი მანძილით არის ერთმანეთისგან დაშორიშორებული. თქვენ კი გირჩევთ, რომ მსგავსი ექსპერიმენტის მოწყობას ნუ ეცდებით.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## სად არის კახა კალაძის მაისური?

**— მაინტერესებს, რა ბედი ეწია კახა კალაძის მაისურს, რომელიც მან ქალაქის ცენტრალურ ნაძვის ხეზე დაკიდა. როგორც ამბობენ, იგი მოიპარეს. თქვენ რა ინფორმაცია მოგეპოვებათ აღნიშნულის შესახებ?**

***ნათია ტოგონიძე***

კითხვაზე უპასუხებს **მედიკო კალაძე**, კახა კალაძის დედა



— სამწუხაროდ, ვერც დავადასტურებ და ვერც გავაქარწყლებ ამ ჭორს, რადგანაც ჩემთვისაც არ არის ცნობილი, სად არის კახას მაისური ამჟამად. ჩემი ინფორმაციით, იგი მერიის ერთ-ერთმა სამსახურმა ჩამოხსნა ნაძვის ხიდან, მერიაში არსებულ სტენდზე მოსათავსებლად. თუმცა, ნამდვილად სამწუხარო იქნება ჩემთვის იმის გაგება, რომ ისინი სიმართლეს არ ამხელენ. კახამ მართლაც გულწრფელად შეიტანა თავისი წვლილი ქალაქის ცენტრალური ნაძვის ხის მორთვაში, დანარჩენი იმის სინდისზე იყოს, ვინც ამ მაისურის მეპატრონე გახდება.

*ჩვენ შევეცადეთ მერიის შესაბამის სამსახურში გაგვერკვია, თუ სად არის კახას მაისური, თუმცა ამაოდ. ერთი სამსახურის უფროსმა მეორის მიმართულებით გაიშვირა ხელი, მეორემ მესამისკენ და კომპეტენტური ამ საკითხში არავინ აღმოჩნდა. ვიმედოვნებთ, რომ მაისური არ დაკარგულა და არც ვაჭრობის ობიექტი გახდება, ხოლო მისი ამჟამინდელი მფლობელი კახას თავგადაკლული ფანია.*

## რამდენი წლის არის თოვლის ბაბუა?

**— მაინტერესებს, როდის და როგორ დაიბადა თოვლის ბაბუა?**

***ლევან აბუთიძე***

— თურმე კეთილი, მოხუცი თოვლის ბაბუა არც ისე „მოხუცი“ ყოფილა. იგი XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიბადა და მაშინ თურმე სულაც არ იყო კეთილი. ასი წლის წინ გერმანიაში, საახალწლო ნაძვის ხესთან მოდიოდა ავი ჯარისკაცი „კნეხტი რუპრეხტი“, რომელიც ბავშვებს ტომარაში ყრიდა. ბუნებრივია, ამგვარი პერსონაჟი გარეგნულადაც საშიშად გამოყურებოდა.

თანდათანობით ბოროტ „კნეხტ რუპრეხტს“ ხასიათი შეურბილდა: ახლა უკვე იგი ტომარაში მხოლოდ „ურჩ ბავშვებს“ ყრიდა. საზეიმოდ გამოწყობილი საჩუქრებსაც არიგებდა.

თუმცა ბევრ აღმზრდელს მიაჩნდა, რომ საახალწლო ნაძვის ხესთან მკაცრი რუპრეხტის ნაცვლად კეთილი თოვლის ბაბუის გამოჩენა არაპედაგოგიური იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეკლესიებში წირვასაც კი ატარებდნენ კეთილი ბაბუის წინააღმდეგ, რომელიც ხელს შეუშლიდა ბავშვების სათანადოდ აღზრდას...

ბევრ ქვეყანას საკუთარი, ტრადიციული თოვლის ბაბუა ჰყავს. მაგალითად, მისი სახელი ფინეთში იულუპუკუსია, საფრანგეთში მას პიერ ნოელს ეძახიან, იტალიაში — ბაბო ნატალეს, საბერძნეთში — ვასილის, დანიაში — იულეტომტეს, ნიდერლანდებში — სანდერკლასს, ჩეხი თოვლის ბაბუა დედ მიკულაშეა, იაპონელ თოვლის ბაბუას სანტა ოდზი-სანი, ხოლო ჩინელს შენ დან ლაიჟენი ჰქვია.

თუ გერმანელი თოვლის ბაბუა თავდაპირველად ბავშვების დასჯით იქცევდა თავს (შემდეგ კი კეთილი გახდა), სხვა ქვეყნებში მისი სახელი ნიკოლოზ სასწაულმოქმედთან იყო დაკავშირებული (აქედან უნდა მოდიოდეს სანტა-კლაუსი). ამბობენ, მას ღარიბი ბავშვები ებრალებოდა და ღამით მოულოდნელი საჩუქრებით ახარებდა მათ. საჩუქრებს ტოვებდა ფანჯრის რაფებზე, ხანაც საკვამურში ყრიდა, საიდანაც ისინი ხშირად ბუხართან მიწყობილ ტანსაცმელში, ფეხსაცმელსა თუ წინდებში ცვიოდა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ძველი თოვლის ბაბუას ხასიათში. შეიცვალა მისი გარეგნობაც. ახლა მას ქურქი აცვია და ბეწვის ქუდი ან კაპიუშონი ახურავს, გრძელი წვერი ამშვენებს, თბილად საუბრობს, ბავშვებთან მეგობრობს და საჩუქრებსაც ურიგებს მათ.

## მაგიდის ჩოგბურთის წესები მართლაც შეიცვალა

**— მაგიდის ჩოგბურთის მსოფლიოს ტურნირების მსვლელობისას ტელეეკრანებიდან შევამჩნიე, რომ ახალი წესები დაუმკვიდრებიათ. ველი კომპეტენტური პირის განმარტებას ამის თაობაზე...**

***ლაშა კერესელიძე***



კითხვაზე უპასუხებს **იური გონაძე**, მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

— თამაშის წესები მართლაც შეიცვალა. თავდაპირველად დავიწყოთ იმით, რომ შეიცვალა ბურთის ფერი და დიამეტრი. როგორც გახსოვთ, ბურთი თეთრი ფერის იყო, დღეს კი ყვითელია. ადრე თუ 38 მმ-ის დიამეტრი ჰქონდა, დღეს 40 მმ აქვს. ადრე თამაში 5 პარტიისგან შედგებოდა და თითოეული პარტია 21 ქულამდე გრძელდებოდა, ახლა იგი 3 პარტიისგან შედგება და თითოეული მათგანი 11 ქულით სრულდება. თუ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ზედიზედ 5-ჯერ აწვდიდნენ ბურთს, დღეს 2 მიწოდების შემდეგ, მისი ჩამოწოდების უფლებას მოწინააღმდეგე ფლობს. ამრიგად, მაგიდის ჩოგბურთის თამაშის წესები მართლაც შეიცვალა და იმედია, ჩვენი მოყვარული თანამოქალაქენი მას ალღოს მალევე აუღებენ.

## «კალაშნიკოვი» მოერევა თუ M16

**— მაინტერესებს, რატომ ანიჭებს მთელი მსოფლიო უპირატესობას „კალაშნიკოვის“ იარაღს. მე მაგალითად, ძალიან მომწონს M16 ვერ ვხვდები, რითი სჯობია ერთი მეორეს?**

***როსტომ ხარაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ალადაშვილი**, „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი.

— არა მგონია, რომ მთელ მსოფლიოში უფრო მეტად რუსული „კალაშნიკოვი“ მოსწონდეთ, ვიდრე ამერიკული „შავი შაშხანა“ M16, თუმცა გემოვნებაზე არ დაობენ. მართალია, დღემდე ყველა სახის „კალაშნიკოვის“ თითქმის 50 მლნ ეგზემპლარია დამზადებული, მაშინ როდესაც მხოლოდ 7მლნ-მდე M16-მა იხილა დღის სინათლე, მაგრამ ეს პირველ რიგში „კალაშნიკოვის“ სიმარტივითა და სიიაფითაა განპირობებული. ამასთან, მილიტარიზებული საბჭოთა კავშირი მილიონობით „კალაშნიკოვს“ ჩუქნიდა აფრიკისა და აზიის განვითარებულ ქვეყნებს.

თუკი „კალაშნიკოვი“ გამოირჩევა კონსტრუქციული სიმარტივით და შესაბამისად საიმედოობით, რასაც ბრძოლის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამერიკულ M16-ს უფრო მეტი სროლის სიზუსტე ახასიათებს. ამიტომაც მსროლელმა თავად უნდა აირჩიოს, რა ურჩევნია ბრძოლაში — შეუჩერებლად, ოღონდ ხშირად არაზუსტად (განსაკუთრებით ავტომატური ჯერით სროლისას) მსროლელი „კალაშნიკოვი“ თუ ჭუჭყის „მოშიშარი“, მაგრამ ზუსტად მსროლელი M16?!

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

CMYK

## მილოცვა

ჯაოშვილების საგვარეულო კავშირის სახელით, სულით და გულით ვულოცავ ყველა ჯაოშვილს — შობა-ახალი წლის დადგომას. გასული წელი ღირსშესანიშნავი იყო ჩვენი საგვარეულოსათვის — ღვთის შეწევნითა და კეთილნათესავთა თანადგომით შეიქმნა ფილმი-ნარკვევი „ჩემი გვარი — ჯაოშვილი", რომელიც წინაპართა ხსოვნას და მომავალ თაობებს მივუძღვენი. 2003 წლის 28 აგვისტოს — მარიამობა დღეს, ფილმის ჩვენება მოეწყობა სოფელ ნივოზეთში. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ დამიკავშირდეთ 899 90-09-62.

*პატივისცემით, ირაკლი ანზორის ძე ჯაოშვილი*

დეკანოზ **მიქაელ ასათიანს** ვულოცავთ შობა-ახალ წელს და ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს.

*ქეთი და ეკა*

## გთავაზობთ სამუშაოს

ამერიკა-იტალია-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით — $200-300 თვეში. საუკეთესო თანამშრომლები სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46 ლიკა

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისეა, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მზარდია — თვეში 300-600 ლარიდან. მიღება — გასაუბრებით. მიმდინარეობს შერჩევა. საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

## მომსახურება

გთავაზობთ დასვენებას ბაკურიანის და გუდაურის სასტუმროებში და კერძო სექტორებში. ინფორმაციისთვის: http://dilaplus.gol.ge; დასვენება თურქეთის ზამთრის კურორტებზე; მოგზაურობა ესპანეთში; ვიზები ევროპის ქვეყნებში; სწავლას გერმანიის და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში. დაგეხმარებით ყველა საბუთის მომზადებაშიც. მის: აბულაძის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტ: 98-69-51; 899 54-00-79

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

მოგიწესრიგებთ და გიწარმოებთ საბუღალტრო აღრიცხვას, გაგიწევთ აუდიტურ მომსახურებას, დაგეხმარებით ფირმების რეგისტრაციაში. ტელ: 33-30-88; 899 22-44-72

ნებისმიერი სახის ავეჯის რესტავრაცია! შეკვეთით მზადდება სამეულები, დივნები — ნებისმიერი ფორმისა და ზომის. ტელ: 76-01-33. გია

## მკურნალობა

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი — თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და აღმდგენი აპარატებით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ნევროზს, პარეზს და სხვა დარღვევებს. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გამოკვლევა ულტრაბგერით. მის: ...; ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ალერგიების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), წნევის (ჰიპერტონია) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარიშვილი. 10-16 სთ. ტ. 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში ემკურნალეთ კანის დაავადებებს: ფსორიაზს, ნეიროდერმიტს, სებორეას, ეგზემას, ხოლს. ტ: 39-18-24 (10-15სთ); 39-80-50 (18სთ-ის შემდეგ)

## სწავლა

Впервые в Грузии COMPUTER COMPANY „PULSAR" предлагает: курсы обучения ремонту и модернизации компьютерной техники и сетей. После сдачи экзамена выдается сертификат. Программа курсов утверждена Министерством образования Грузии. Адресс: Важа-Пшавела 16. Тел: 33-08-71

## იყიდება

სუფთა სისხლის კავკასიური ნაგაზის ლეკვები (მსოფლიო ჩემპიონის - სიმბას შთამომავლები). ტელ: 899 50-48-61

ავზო-თერმოსი, 25-ტონიანი, კვების პროდუქტებისათვის (ღვინისათვის, ხილის წვენების), მაღალი მდგრადობის, გამძლე, უჟანგავი ლითონის, ქარხნული წარმოების. ფასი 15000$. ტ: 899 97-26-33

## სხვადასხვა

ს\ს „გორკონის" (გორის საკონსერვო ქარხანა) საკონსერვო პროდუქცია: 1) მურაბები — კალის, შინდის, ალუბლის, ბლის, კომშის; 2) სასაუზმე კონსერვები — პომიდვრის, კიტრის, ლობიოს, ყაბაყიკვერცხის, ბადრიჯნის, კომბოსტოს, ახე პომიდვრის სალათის, პომიდვრის პომიდვრის წვენში, ჯონჯოლის; 3) წვენები — სტაფილოსი, ტომატის, კომშის, ალუბლის, ჟოლოსი, ატმის, ქლიავის — მომხმარებელთა იმ კატეგორიისთვისაა საინტერესო, რომელიც გამუდმებით ცდილობს, შეინარჩუნოს და გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, გარკვეულია, რა არის ჯანსაღი კვება, რას ნიშნავს პროდუქციის სერტიფიკატი, პროდუქციის სასაქონლო ნიშანი, პროდუქცია ყოველგვარი ქიმიური და ხელოვნური დანამატების გარეშე, ჰიგიენის და სანიტარული ნორმების, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის და ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვა. ყოველივე ამის გარანტიაა გორის საკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული საკონსერვო პროდუქცია — „გორკონის" სასაქონლო ნიშნით. ამავე დროს სიახლის დასანერგად გამოგვეხმაურეთ და ჩვენს პროდუქციას შეკვეთით, ბინაზე მოგიტანთ. ფასები ხელმისაწვდომია. შეკვეთა შეგიძლიათ: ტელ: (8 270) 2-20-00, (8 270) 2-46-51 (10-20 სთ); 8-77 58-06-73, 58-32-45, 8-დან 24 სთ-მდე; ფაქსი: (8 270) 2-20-00 (10-18სთ); ელფოსტა: www.charozi@gol.ge (24 სთ-ის განმავლობაში)

საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს კონკურსს საქართველოს კონტროლის პალატის სისტემის სხვადასხვა კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნაზე. კონკურსი მოეწყობა 2003 წლის 10 იანვარს. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება ფულადი ჯილდოთი. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ საქართველოს კონტროლის პალატის აპარატს. მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის №96. ტელ: 74-58-52; 94-12-32; 1-90, 1-17 (შიდა)

## ხსოვნა

### სვეტა ჭანტურია-კუჭუხიძის მონატრება

ერთი წელი გასულა, რაც შენმა სულმა ეს ქვეყანა დატოვა და მარადისობაში გადავიდა.



ჩვენო თბილო და კეთილო სვეტა! როგორ უცბად წახვედი, როგორი დიდი ტკივილი მოგვაყენე ყველას. ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენატრები. ყველას დაგვაკლდა შენი სითბო და ზრუნვა. ღმერთს ვთხოვთ, სულის სიმშვიდე მოგაპოვებინოს სამუდამო სასუფეველში. დაე, ჩვენ მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული გზა.

*მეზობლები*

### ჯილდა ქოქოშვილის და მაია გეგუჩაძის მონატრება

მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ,



გულდამწვარი, ცრემლით სავსე თვალებით, ხელში ყვავილებით და სანთლებით, გაოგნებულები და სულით დამძიმებულები. ეს რა გვჭირს? რატომ? რა დავაშავეთ? სიკეთისთვის? გულუბრყვილობისთვის? მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობთ. ნუთუ არსად სიმართლე აღარ არის? არც ცხოვრებაში, არც რელიგიაში და „ვაჰ სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა?" — ისევ განმეორდა ჩვენს თავს და უარესად.

მაიკო და ჯილდა, თქვენ ხომ ერთი ხნისანი იყავით. ერთი თვეც არ იყო თქვენს ასაკში სხვაობა. 13 დეკემბერს ჯილდას ტირილმა დაარღვია ოჯახში სიჩუმე და 11 იანვარს ჩემმა მაიკომ. იზრდებოდით ნანატრი ქალიშვილები, ლამაზები, ჭკვიანები. ღმერთმაც ხომ საახალწლო ნაძვის ხესავით ყველაფრით შეგამკოთ, მაგრამ სატანამ შეგიმოკლათ სიცოცხლის გზა. როგორ ავსებდით ერთმანეთს — შავგვრემანი, მორცხვი ჯილდა და ქერა, ცისფერთვალება მაიკო.

ჩემო ვაჟკაცო გოგო, ჩემო იუმორით სავსე შვილო, სულ მასხრობდი და იცინოდი, — სიცოცხლეს ახანგრძლივებსო. გვიან გაგიჩნდა დედობის სურვილი. მანამდე სახლიდან წასვლა არ გინდოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მოგისიყვარულეთ. ჩემო 37 წლის ბავშვო, წახვედი ბავშვური ბუნებით და მიამიტობით სავსე. ქართულ ტრადიციებზე გაზრდილებმა, ქართული ეშხი და ლაზათი გაიყოლიეთ თან, ზეციურ საქართველოში. ვთხოვ უფალს, შეამოკლოს ჩვენი შეხვედრის დრო, მაშინ განახლდება ჩვენი სულების ნეტარება.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი სპეტაკი სული.

*მშობლები*

### სულიკო ბალაშვილის ხსოვნას!



ორმოცმა ტკივილიანმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩვენო სულიკო. როგორი ცარიელია სახლი უშენოდ, ძნელია იმაზე ფიქრი, რომ აღარასოდეს შემოაღებ კარს და შენს თბილ ღიმილიან სახეს ვეღარ ვნახავთ. გვენატრები...

ცრემლები გვახრჩობს, გვზარავს შენი ცივი სასაფლაო, სინამდვილე აუტანელია. რამხელა იმედი იყავი და რამხელა ტკივილი ხარ ახლა! შევთხოვთ უფალს, რომ დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*მონატრებული შენი ოჯახი*

### აჩის კანდელაკს!

*„შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო. იმ დღეს შენ კვლავ შეხვდები მას, ვისაც უყვარდი და ისევ უყვარხარ. ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის. შეიშრე ცრემლი და ნუ სტირი, თუ მართლა გიყვარვარ!"*



*წმინდა ავგუსტინე*

აღელვებული ზღვასავით არეულან ფიქრები და დამშვიდების უფლება, მხოლოდ ვიღაცისთვის მიუნდვიათ. ყრუ კედლების მიღმა ამცრემლებია ტანჯული თვალები, რომლებიც ახლა გულზე მეტს გრძნობენ და ენაზე მეტს მეტყველებენ, თითქოს მაწუხებს და არ ვიმჩნევ მწუხარე, მასში ჩაკარგულ გულის ფეთქვას, ვენებში ადუღებულ სისხლს, რომელიც ყელთან მომბჯენია და ლამის დამახრჩოს.

მე მუდამ შენზე ვფიქრობ, მაგრამ... ფიქრმა არც მანძილი იცის და არც დრო. იგი გამუდმებით თან მდევს, სადაც არ უნდა ვიყო და როგორც არ უნდა ვგრძნობდე თავს. ეს მთავარი ფიქრია და მას ვერსად გავექცევი. შენ მუდამ ჩემში ხარ. მუდამ ჩვენთან ხარ.

აი, ახალი წელიც მოვიდა, რომელიც შენ ასე გიყვარდა და ყოველთვის ასე მოუთმენლად ელოდი. ახლა, ყოველგვარი მხიარულება მოჩვენებითია, რადგან ვერანაირი დრო ვერ გაუნელებს გაუსაძლის ტკივილს იმ ადამიანებს, რომელთათვისაც ძალიან ძვირფასი იყავი. შენი ხმის, შენი ხალასი იუმორის გაგონების მოლოდინში ვიქნებით მუდამ... 4 იანვარს ხომ 18 წელი შეგისრულდებოდა.

ღმერთს ვთხოვ, სულის სიმშვიდე მოგეპოვებინოს სამუდამო სასუფეველში.

*შენი „მა"*

### აჩის კანდელაკის გახსენება



4 იანვარი შენი დაბადების დღეა, აჩი. ასე, შორიდან თუ შევძლებთ მოლოცვას. სტუდენტობა უნდა მოგველოცა შენთვის. დაბადების დღეს კი შენს სამარესთან შევხვდებით ყველა, ვისაც ახსოვხარ და არ დავიწყებიხარ.

შენი დავიწყება კი ასეთი ადვილი არ არის. მოუშუშებელი ტკივილი და პასუხგაუცემელი კითხვა: იქნებ შეგვეძლო შველა და ვერ გიშველეთ? — მოსვენებას არ გვაძლევს.

იქნებ მართლა შეგვეძლო?! ვინ იცის.

დაბადების დღეს გილოცავთ აჩი! ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ამის ნატვრაღა შეგვიძლია მხოლოდ.

*ეკა ბიბილაური, ია ბეიტრიშვილი*

### შალვა (ნუკრი) ქაჩიბაიას მონატრება



ჩვენო ნუკრი, 5 იანვარს 30 წელი შეგისრულდებოდა. უბედურმა შემთხვევამ გიმსხვერპლა. ბედმა მხოლოდ 24 წლის სიცოცხლე გარგუნა.

შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა ყველას — ოჯახს, სანათესავოს, სამეგობროს, სამეზობლოს.

უშენობა ყველას დაეტყო — საბრალო დედ-მამას, დებს, დისშვილებს... მაგრამ ყველაზე მეტად საბრალო ხარ შენ — სიცოცხლით სავსე, საქმიანი, ვაჟკაცური შემართების. ვერც გაიგე, ისე მოულოდნელად, ჩუმად, დაუმშვიდობებლად დაგვტოვე. იქნებ რა გქონდა სათქმელი?!

გვენატრება შენი ხმა, ღიმილი, შენი სითბო. გული გვწყდება, რომ ის არავისში და არსად არ არის.

ჩვენო ნუკრი, დაუვიწყარია შენი ხსოვნა. ღმერთმა მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*ქვეყნად იმ დღეს, ღამე არ სდევდა,*
*მზე არ შეცვლილა ახალი მთვარით,*
*სასაფლაოდან ისმოდა მოთქმა,*
*სანთელს სარკმელი აევსო ცრემლით.*

*შენი ოჯახი*

### თემო კობიაშვილის ხსოვნას!



6 იანვარს შენი დაბადების დღეა, ჩემო ლამაზო მამიკო, რომელსაც მე-3 წელია უშენოდ ვხვდებით. ძნელი ყოფილა უშენობა, ჩემო ლამაზო, საყვარელო მამიკო. შენგან დატოვებულ სითბოს და სიყვარულს ვერაფერი წაშლის, რადგან შენგან დატოვებული სიკეთე სულ წინ მხვდება. მუდამ ჩემთან ხარ, ჩემო ლამაზო მამიკო და შენი სული ჩემთან ერთად აგრძელებს სიცოცხლეს. ჩემი ანთებული სანთლები გინათებდეს სამუდამო სასუფეველს, რათა უფრო გაბრწყინდეს შენი ლამაზი სული, ჩემო ტკბილო და ლამაზო მამიკო.

*შენი საყვარელი შვილი ლელა*

### ნათელა კოჭლამაზაშვილის მონატრება



12 იანვარი შენი დაბადების დღეა. პირველად ვხვდებით უშენოდ, ჩვენო ჭკვიანო, ლამაზო, თბილო და ტკბილო დაიკო.

ვლოცულობთ, რომ ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ალალი და კეთილი სული.

*ეთერი, თემო, ვაჟა კოჭლამაზაშვილები*

### რუბენ აფაქიძის გახსენება



კაცურკაცობით სახელგანთქმულო რუბენ! ორი წელი გავიდა შენი გარდაცვალებისა, რომელსაც, უფლის ნებით, ვაჟკაცურად შეხვდი.

წახვედი და დაგვიტოვე სევდა და ტკივილი. გვენატრები, განსაკუთრებით — შენს მეუღლეს ინგას და შენს ალექსანდრეს და ანას.

გვიყვარხარ და გვაკლიხარ. ყველანი ვლოცულობთ შენი სულისათვის, რათა მარადიული სასუფეველი გარგუნოს ღმერთმა.

*ნანა და თემური*



დედა ლამარა, მეუღლე ირმა, შვილები თამუნა, ქეთი, ანი და ქეთინო ესაკიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ალექსანდრეს ძე ესაკია.**

*პანაშვიდი:* 7, 8 იანვარს, 17 საათზე;

*გამოსვენება:* 9 იანვარს, 14 საათზე.

*მისამართი:* თბილისი, გ. ტოვსტონოგოვის (ყოფ. 25 თებერვლის) ქუჩა №8.

მეუღლე ნორა, შვილი ნინო, დები ნათელა, გული იუწყებიან

**ლორდი აკაკის ძე ბერულავას**

გარდაცვალებას.

*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 9 იანვარს, 14 საათზე.

*მისამართი:* ჭავჭავაძის №37ა (სტუდქალაქის ტერიტორია).

ტიტიკო მამულია ოჯახით იუწყება

**ლორდი აკაკის ძე ბერულავას**

გარდაცვალებას.




ვისაც ბავშვობა სოფლად გაუტარებია, მისთვის უცხო არ იქნება არც სოფლის კლუბი და არც საშოვარს გამოდევნებული მოხეტიალე მსახიობების იაფფასიანი წარმოდგენები, რომლებზეც ისეთივე სიხარულით მივიჩქაროდით, როგორითაც კლასიკად ქცეულ წარმოდგენებზე...

ბავშვის უსასრულო ფანტაზიებით სავსე გულსა და გონებას მოხეტიალე „ჯადოქრებზე“ უფრო ვინ მოხიბლავდა?!.



# „ჰიპნოზიორმა საკუთარ მომავალში მამოგზაურა!..“

საოცრების მოლოდინით ვხვდებოდით სოფლის ცენტრში გამოკრულ უზარმაზარ აფიშას: „სოფლის კლუბში ჯადოსნურ წარმოდგენას გთავაზობთ მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი“...

არადა იმ „ჯადოქარს“ ისევე ჰქონდა ნანახი მსოფლიო, როგორც ჩვენ...

ეს ამბავი საკმაოდ ახალგაზრდა კაცმა, **ნუგზარ ასათიანმა** მიამბო...

— 70-იანი წლების დასაწყისში 12-13 წლის ბიჭი ვიყავი და რაჭაში ვისვენებდი მამიდაშვილებთან. იმ დროში ერთადერთი გასართობი ადგილი სოფლის კლუბი იყო, სადაც ყოველ საღამოს მივიჩქაროდით, უფრო ხშირად ინდური ფილმების სანახავად, ზოგჯერ კი მოხეტიალე მსახიობების წარმოდგენებზე.

ერთხელაც „ფოკუსნიკი“ გვეწვია უცნაური სახელითა და გვარით — გარი შლიმანი. ახლა ვხვდები, ეს ფსევდონიმი იყო, თორემ შლიმანობისა არაფერი ეცხო მეტრ-ნახევარი სიგრძის და უზარმაზარი თავის პატრონ რაქიტიანს, რომლის ლაპარაკს მეგრული კილო დაჰკრავდა...

ასეა თუ ისე, ბავშვები სიამოვნებით მივჩერებოდით ქუდში გაჩენილ ბაჭიებს, მტრედებს და ფერადი ლენტების ფრიალს...

წარმოდგენის ბოლოს „ჯადოქარმა“ სცენაზე გაბედულები იხმო ჰიპნოზის სეანსში მონაწილეობის მისაღებად. ცნობისმოყვარეობამ მეც არ გამაჩერა ადგილზე.

...რატომღაც მეგონა, ვერ მომერეოდა. სცენაზე იმიტომ უფრო ავედი, ტყუილში გამომეჭირა ქონდრისკაცი „ჯადოქარი“...

...ძალიანაც „მაგრად“ ვიდექი, მაგრამ თავისი ჭრელი თვალებით როგორც კი დაჟინებით ჩამხედა სულში, მსუბუქი თავბრუსხვევა ვიგრძენი და მომეჩვენა, რომ საჰაერო ბურთივით დავეკიდე ჰაერში, სიმძიმის შეგრძნება დავკარგე, მერე კი ავიწიე და პირდაპირ ფანჯრიდან „გადავფრინდი“ — რაღაც გვირაბის მაგვარი დახშული სივრცე გავიარე და... თბილი სინათლის ნაკადში გავეხვიე: ჩიტების ჭიკჭიკი მომესმა, წყლის რაკრაკი... მერე ბავშვების ჟრიამულმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და იქით გავიწიე: მდინარეში ბანაობდნენ, ბევრი ნაცნობი შევიცანი და მათთან ერთად მომინდა დარჩენა, მაგრამ... უცებ ქალის კივილმა დამაფრთხო. უკან მოვიხედე, ჩემი უმცროსი მამიდაშვილი გურამი მიჰქონდა წყალს... გავედევნე, თავიდან მეგონა, ნავში იწვა, მაგრამ ახლოს მისულმა დავინახე, რომ... გურამი კუბოში ესვენა!..

...ძალიან ბევრი რამ ვიხილე მაშინ, მაგრამ იმას მოგიყვებით, რაც უფრო საინტერესოდ მიმაჩნია!..

...როცა ჰიპნოზიდან გამომიყვანა იმ კაცმა, თავი მტკიოდა და აზროვნებაც მიჭირდა. ბავშვებმა დამცინეს კიდეც — გეგონება ფუთი ღვინო გაქვს დალეული, ისე გამოშტერებული იხედები, სცენაზეც იდიოტს ჰგავდი — ხან იცინოდი, ხან ტიროდი, ხანაც გასაქცევად იწევდი, თითქოს მოსაკლავად მოგდევდნენო!..

ორი დღე და ღამე ვერ წავართვი ძილს თავი. მამიდაჩემი წყევლა-კრულვას არ აკლებდა იმ „მაწანწალა შარლატანს“...

როგორც იქნა, ენერგია აღვიდგინე, მაგრამ ჰიპნოზის დროს ნანახ უცნაურ ამბებზე ფიქრს თავი ვერ წავართვი. მისი გამხელა არც მიფიქრია, არადა... ნეტავი გამემხილა, იქნებ რაიმეს შეცვლა ყოფილიყო შესაძლებელი.

იმ წარმოდგენის შემდეგ ორიოდ კვირაში ჩემი ცხრა წლის მამიდაშვილი გურამი მდინარეში დაიხრჩო... მივხვდი, ჰიპნოზის დროს საკუთარი მომავალი ვიხილე.

— *კიდევ რა აგიხდათ, რაც ჰიპნოზის დროს ნახეთ?*

— ძალიან ბევრი რამ. აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ. მიუხედავად იმისა, ვიცოდი, მძიმედ დავიჭრებოდი, მაინც წავედი, წავედი როგორც პატრიოტი, მაგრამ... ვიცოდი, ვინც ოპერაციას დაესწრებოდა და ღამეებს გამითევდა, ის გოგო გახდებოდა ჩემი ცოლი, სხვაგვარად ბედს ვერ ვიპოვიდი... რეანიმაციის ექთანია ნინო, ჩემი მეუღლე, რომელთანაც სამი გოგონა მყავს უკვე. ესეც ჰიპნოზის დროს ვნახე — მიუხედავად დიდი სურვილისა, ვაჟი არ გამიჩნდება. ისეთი ლამაზი და ანგელოზის დარები იყვნენ ჰიპნოზის დროს ნანახი გოგონები, აბა როგორ შეიძლებოდა მათ მამობაზე უარი მეთქვა. ვიცი, მეოთხეც გოგო იქნება და იმასაც, როგორც უფლის საჩუქარს, სიხარულით ველოდები!

აფხაზეთი რომ დაკარგული იყო, ისიც ვიცოდი და ისიც — ვინ შეუწყო ხელი სოხუმის დაცემას, მაგრამ ამის შესახებ არასოდეს ვიტყვი ხმამაღლა. უფალი არ აპატიებს და ყველას სამაგალითოდ დასჯის. ისიც ვიცი, რომ ძალიან მალე ქართველები და აფხაზები ისევ ერთად ვიქნებით. ხალხი ინდომებს ასე და სატანა მის ნებას წინ ვერ აღუდგება მიუხედავად იმისა, რომ კუდს მოიქნევს და სამარცხვინოდაც გაამჟღავნებს თავს. სხვათა შორის, უახლოეს მომავალში რუსეთი კავკასიის ხალხებს თანამშრომლობის ახალ ვარიანტს შესთავაზებს, რაც ყველასთვის მისაღები იქნება, არც დასავლეთს ექნება რაიმე საწინააღმდეგო ამ თანამშრომლობისა და 2010-2015 წლები უკვე მშვიდობისა და აღმავლობის პერიოდი იქნება...

— *ალბათ ამის თქმის უფლებას ისიც გაძლევთ, რაც უკვე ახდა...*

— რა თქმა უნდა! სულ არ ვიცოდი, ვინ იყო ზვიად გამსახურდია, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ასპარეზზე, მაშინვე „ვიცანი“ — ისიც ვიცოდი, რომ ტრაგიკულად დაასრულებდა მოღვაწეობასაც და სიცოცხლესაც.

— *ზვიადი დღესაც ცოცხალი ჰგონია ბევრს...*

— არა, იგი მკვდარია!

— *მოკლეს თუ თავი მოიკლა?!.*

— როგორ გითხრათ... ამაზეც არ შეიძლება ხმამაღალი ლაპარაკი. უნდა გამიგოთ — ადამიანებს შორის შუღლის და მტრობის ჩამოგდების უფლება არა მაქვს...

— *თქვენ თუ მომავალი ასეთი სიზუსტით იხილეთ, გამოდის, მართლა პირობითი ცნებაა დრო და პარალელურად უამრავი სამყარო და განზომილება არსებობს...*

ეჭვიც არ შეგეპაროთ და რაც მთავარია, მინდა ყველამ იცოდეს, რომ სიკვდილით არ მთავრდება სიცოცხლე და არც უკვდავებაა ზღაპარი. გარდაცვალება და ფერისცვალება ისეთი სასწაულებია, ადამიანმა რომ იცოდეს მათი მნიშვნელობის შესახებ, არ იტირებდა, მიწიერ ყოფას არ მოებღაუჭებოდა...

— *არ გეშინიათ სიკვდილისა?!*

— როგორ გითხრათ... მოკრძალება მაქვს და ალბათ შიშიც ისევე, როგორც ნებისმიერი შეუცნობლისა!..

კიდევ ბევრი კითხვა გამიჩნდა ნუგზარ ასათიანთან საუბრისას. ბევრზე შეგნებულად არ მიპასუხა, ბევრსაც უპასუხა, მაგრამ... არ მივიჩნიე საჭიროდ თქვენთვის მომეთხრო. არ მინდა დაგეგმილი ყოველდღიურობით ცხოვრობდნენ ადამიანები.

სიცოცხლე ხომ საოცარი ფენომენია.

ჰოდა, ვიცხოვროთ ბედნიერების მოლოდინით!..

***ინგა ჯაყელი***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**

1) — ბ); 2) — ა); 3) — ბ); 4) — დ);

**II. რებუსი**

გიხაროდენ, ქრისტე დაბადებულა!

**III.** 7 ციყვი.

# ყველაზე, ყველაზე უიღბლო...

თუკი ადამიანს ფატალურად არ უმართლებს, იტყვიან ხოლმე, უთუოდ მისი რომელიმე წინაპრის მიერ ჩადენილმა ცოდვამ უწიაო.

საფრანგეთის პატარა ქალაქ ლე-პუი-ანველაში მცხოვრები 52 წლის დალაქის ბერნარ აშერიოს წინაპრებს ალბათ ისეთი ცოდვა ჰქონდათ ჩადენილი, რომ მისი შორეული მემკვიდრე ბერნარი „გინესის რეკორდების“ წიგნშიც კი მოხვდა, როგორც ამქვეყნად ყველაზე უიღბლო ადამიანი.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წლინახევრის ბერნარი, რომელიც ის-ის იყო, პირველ ნაბიჯებს დგამდა, დაეცა და ბარძაყის ძვალი მოიტეხა, თუმცა ამ ასაკში ბავშვი ჩვეულებრივ ასეთ ტრავმას არ იღებს. როცა წამოიზარდა და სამთვლიან ველოსიპედზე პირველად დაჯდა, ველოსიპედი გადაბრუნდა და ბიჭუნამ თავი გაიტეხა.

მოწაფეობისას უამრავჯერ მოიტეხა ხელფეხი, რამდენიმეჯერ მანქანაც დაეჯახა, სახურავიდანაც გადმოვარდა და არაერთგზის მდინარეში დახრჩობასაც გადაურჩა.

ცოტა ხნის წინ, სანამ ჭალარაშერეული ბერნარი „გინესის წიგნში“ მოხვდებოდა, ერთი თვის განმავლობაში უამრავი უსიამოვნება შეემთხვა: მის სახლს დაეცა მეხი, რის შედეგადაც გადაიწვა ტელევიზორი, მაცივარი და სამზარეულო კომბაინი. მეორე დღეს გაუსკდა ცენტრალური გათბობის რადიატორი და მთელი ბინა წყალმა დატბორა. ორი დღის შემდეგ მის მანქანას სატვირთო მანქანიდან გადმოვარდნილი გაზის ბალონი დაეცა. ძლივს გაარემონტა თავისი „პეჟო“ და როგორც კი მანქანით ქუჩაში გავიდა, მთვრალი მძღოლი დაეჯახა. ეს ამბები კი იმით დასრულდა, რომ მის სარდაფში ვიღაც მაწანწალამ თავი ჩამოიხრჩო.



პარაფსიქოლოგებმა არაერთხელ შესთავაზეს ბერნარს ჰიპნოზის გაკეთება, რათა გამოერკვიათ, რომელი წინაპარი იყო დამნაშავე მის უბედურებაში, მაგრამ უარს ამბობს, — წინაპრების შერცხვენას მირჩევნია, თავად ვზიდო ეს ტვირთიო...

მაგრამ მთავარი და საინტერესო ის არის, რომ მიუხედავად ამდენი ტანჯვა-ვაებისა, ბერნარ აშერიო თავს მაინც ბედნიერად მიიჩნევს — ხუმრობა ხომ არა არის, კაცი გინესის წიგნში მოხვედრა!..

***ინტერნეტ-ექსპრესი №46***



# ნაპოვნია სხვა განზომილებებში გასასვლელი

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ სამზეოზე გამოიტანა თავდაცვის სამინისტროში 20 წლის მანძილზე დაცული დოსიე ერთერთ სამხედრო ბაზაში გამოუცნობი მფრინავი ობიექტის დაჯდომის შესახებ. სამხედროები დიდი ხნის მანძილზე ცდილობდნენ ისე დაეჭირათ თავი, თითქოს ნლო-ზე ბაიბურში არ იყვნენ.

დოსიეში მოთხრობილია, რომ ტყის თავზე სამკუთხა მფრინავი ობიექტი გამოჩნდა და გარემო გაანათა თვალისმომჭრელმა შუქმა.

დედამიწაზე ამ სურათს თვალყურს შიშით თავზარდაცემული სამხედროები ადევნებდნენ.

გამოძიებისას გაირკვა, რომ სპეცნაწილის მოსამსახურეებმა დაინახეს, როგორ დაეკიდა დედამიწის თავზე უცნობი ობიექტი. მას დაახლოებით 2-3 მ სიგანე და 2 მ სიმაღლე ჰქონდა, თავზე წითელი შუქი უციმციმებდა, ხოლო ქვემოდან ცისფერ სინათლეს აფრქვევდა.

მეორე დილით, ტყეში, იმ ადგილას, სადაც ნლო გამოჩნდა, დაფიქსირდა ჩვეულებრივზე 10-ჯერ მაღალი რადიოაქტივობა. მოგვიანებით, ღამით, ბაზის თავზე ერთდროულად გამოჩნდა 3 ამგვარივე ობიექტი, რომლებიც სამკუთხედის ტრაექტორიით მოძრაობდნენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რადარები არაფერს აფიქსირებდნენ.

ეს „წარმოდგენა“ სამი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. პოლკოვნიკმა ჩარლზ პალტმა და ფენომენის მკვლევარმა, მწერალმა ბრენდა ბატლერმა გულდასმით შეისწავლეს ტყე. ისინი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ ამ საიდუმლოებით მოცულ ადგილას არსებობს გასასვლელი სხვა განზომილებებში.

***ჯენტი***

# „სახლი“ ბენარას ველზე

1992 წლის 27 ნოემბერი იყო.

იმხანად სოფელ ფხეროში ვმუშაობდი საკრებულოს მდივნად.

მმაჩის ბიუროში გასაგზავნ საბუთებს ვამზადებდი და სამუშაოს გვიანამდე შევრჩი.

6 საათს კარგად რომ გადასცდა, შუქი ჩავაქრე, კარი ჩავკეტე და შინისკენ გზას გავუდექი.

ქვეყანაში არეულობა იყო, მაგრამ ჩვენს მხარეში, მესხეთ-ჯავახეთში, შედარებით სიწყნარე სუფევდა. არც ელექტროენერგიის დეფიციტი გახლდათ და სოფელ-ქალაქი გაჩახჩახებული იყო.

გზის პირას მდგარ სახერხთან მუშები ისხდნენ და პურობდნენ. მიმიწვიეს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დავემშვიდობე მასპინძლებს და შინისკენ გავწიე.

წინ კარგა დიდი გზა მედო.

უკვე ბნელოდა. მივუახლოვდი ბენარას გზაჯვარედინს. აქედან ერთი გზა ადიგენის გავლით ბათუმისკენ მიემართება, მეორე კი, აბასთუმნით — ბაღდათისა და ქუთაისისკენ. ახალციხის მხარეს, ბენარას ახლოს, ამავე სახელის მქონე სოფელია, რომლის გარდა 1,5-2 კმ-ის რადიუსით ერთ ქოხსაც ვერ ნახავთ.



ჩემი სოფელი აქედან 4-5 კმ-ზე, მაღლობზეა გაშენებული და დაბლობს ხელისგულივით დაჰყურებს. ალმართი ავიარე. უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიქცია აბასთუმნის მხარეს, მარჯვნივ, ასეულობით ჰექტარზე გადაჭიმულ უკაცრიელ მინდორზე (რომელსაც საძოვრებად იყენებენ), ერთ ლამაზ ადგილას მდგარმა ორსართულიანმა მოზრდილმა, მრგვალმა შენობამ. იმ უმთვარო ღამეში იგი უჩვეულოდ იყო გაკაშკაშებული და ირგვლივ უცნაურ სინათლეს აფრქვევდა.

მოჯადოებულივით დავყურებდი იქაურობას. ერთი პირობა გამიელვა — მხერხავებთან დალეულმა ორიოდ ჭიქა ღვინომ გონება ხომ არ ამირია-მეთქი. არადა სახლი ნამდვილად იდგა. მის თვალისმომჭრელ შუქზე ირგვლივ თითოეულ ბუჩქს დაითვლიდი.

როცა გონს მოვეგე, შინამდე სულ სირბილით მივედი და ტელევიზორს მიშტერებული ჯალაბი გარეთ გამოვყარე — ნახეთ, რა ხდება-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ჩემი სახლიდან, არც ახლომახლო ბექობებიდან არაფერი ჩანდა. ირგვლივ წყვდიადი ჩამოწოლილიყო.

მეორე დღეს გავიგე, რომ სხვებსაც და მათ შორის, ჩემს მასპინძელ მხერხავებსაც, შეენიშნათ უჩვეულო ნათება. გულით მინდოდა ის ადგილი დამეთვალიერებია, მაგრამ ვერ მოვახერხე. საღამოთი კი ისეთი თოვლი წამოვიდა, რომ იქაურობა თვალისდახამხამებაში თეთრად დაიფარა...

არ ვიცი, ეს ყოველივე დააფიქსირა თუ არა აბასთუმნის ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ, რომელიც ამ ადგილიდან ათიოდ კილომეტრშია...

***ზურაბ სხირტლაძე***
***ადიგენის რაიონის***
***სოფ. ზემო ენთელი***

# მილიონერი ვერ იგრიალებს...



„ერთი გასროლით მიზანს მოარტყა“, — ასე დაახასიათა ბრიტანეთის პრესამ უპრეცედენტო შემთხვევა, რომელმაც 19 წლის მაიკლ კეროლი, რომ იტყვიან, მოაოქროა — მან 10-მილიონიანი ლატარიის ბილეთი იყიდა.

არაორდინარული ამბავია. საქმე ის როდია, რომ მაიკლმა პირველად იყიდა ლატარია თავის სიცოცხლეში — გუნებაცვალებადი იღბალი თავის ნებაზე ათამაშებს კაცს. მაიკლის შემთხვევა ნათლად მეტყველებს იმას, რომ იღბლის მონადირება შეიძლება, მაგრამ მისი გამოყენება კი ძნელი საქმეა.

იღბლიანი მილიონერი დიდი შფოთისთავი ვინმეა — სიჭაბუკის მიუხედავად, მდიდარი ბიოგრაფია აქვს, პოლიციის ხშირი სტუმარია. ბედნიერი ბილეთიც სწორედ იმ დროს იყიდა, როცა თავდებით იყო გამოშვებული და მეურვეც ჰყავდა დანიშნული.

საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი გულში მუშტს იბრაგუნებს და იფიცება: მართალია, წარსულში ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა — გამოვსწორდიო.

მაიკლი ამას წინათ ისე გაილეშა, ისეთი დებოში ატეხა, რომ მკაცრად გააფრთხილეს თავის მეურვიანად. ამიტომაც ეს პირწავარდნილი ხულიგანი ბოკალ შამპანურსაც ვერ ასწევს ბედნიერი შემთხვევის აღსანიშნავად, თორემ ისევ ციხეში მიაბრძანებენ. არც ბავშვობის ოცნებას — ძვირად ღირებული სპორტული მანქანის ყიდვას უწერია ასრულება. საგზაო წესების არაერთხელ დარღვევის გამო, მართვის უფლება აქვს ჩამორთმეული. ისღა დარჩენია, მხოლოდ სახლი იყიდოს, ბაღითა და აუზით, სადაც ოქროს თევზები იხტუნავებენ. „თევზაობა ჩემი ჰობია“, — მორიდებით გაუმხილა ჟურნალისტებს მაიკლმა.

ჯერჯერობით, ახალგამომცხვარი მილიონერი კომენდანტის საათის მიხედვით ცხოვრობს: ქუჩაში მხოლოდ დღისით გამოდის, შებინდებისთანავე კი შინისკენ გარბის. შვებით მხოლოდ თვის ბოლოს ამოისუნთქავს — ბედის ნებიერს აკრძალვებს და მეთვალყურეობას მოუხსნიან.

თუმცა არ არის გამორიცხული ამ ყაჩაღანა მილიონერ ბიჭზე კიდევ გავიგოთ რამე — რას ვიზამთ, ძალზე დაუდეგარია.

*ეხო პლანეტი №49*

# ძროხების პოეზიასა და კვანტურ ცხვრებზე



ნებისმიერ მხატვარს შეუძლია ძროხის დახატვა, აი, მხატვარი ნათან ბენქსი კი ძროხებზე ხატავს. ნიუ-იორკელი 22 წლის სტუდენტი ახლა მეტად საინტერესო პროექტზე მუშაობს, სახელწოდებით „ძროხის პროექტი“. ბენქსი ჭრელ ძროხებს ფერდებზე ცალკეულ სიტყვებს აწერს, ძროხები კი ლექსებს წერენ.

ლექსთწერა ბენქსის ძროხებმა თავისდა უნებურად დაიწყეს. მაღალი პოეზია თავისთავად იქმნება, მაშინ, როცა ნახირი საძოვარზე გაიშლება. როგორ განლაგდებიან „პოეტესები“ მდელოზე, ლექსებიც ამისდა მიხედვით იწერება, სხვათა შორის, ხშირად აზრიანი. მაგ. ნათან ბენქსი შედევრად მიიჩნევს ასეთს — „ორგანული კონცეპტუალური ხელოვნება როგორც პოეზია“. შემოქმედებითი წვის პროცესში პატარ-პატარა სირთულეებსაც აწყდებიან. მაგ. ძროხა წარწერით „შორს!“ ნახირს ჩამორჩა და სასწრაფოდ, იძულების წესით მიაბრუნეს „თანამოკალმეებთან“. ბენქსი თავისი და ძროხების დიდ წარმატებად მიიჩნევს ასეთი სტრიქონების შექმნას — „პერფორმანსი — როგორც გარემომცველი სამყარო ძროხების ცხოვრებაში“. ჩანს, 22 წლის ბარდი ჩლიქოსნების თავგამოდებას თავისი პროექტის მხარდაჭერად აღიქვამს.

რძის ფერმის მეპატრონე, სადაც ბენქსი მუშაობს, მეტად კმაყოფილია — ბენქსმა მისი ძროხების ნიჭი საზოგადოებას გააცნო. ამასთან, წველადობაც გაიზარდა. ნათქვამია, გენიალური იდეები შეიძლება ერთდროულად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ადამიანს გაუჩნდესო. იმ დღეს, როცა მასობრივმა საშუალებებმა ქვეყანას „ძროხის პროექტის“ არსებობა ამცნეს, ბრიტანელებმა ადგილობრივი სენსაცია გაახმოვანეს: ცხვრები ლექსებს დაწერენო.

ინგლისელმა პოეტესამ ველერი ლოზმა თხუთმეტ ცხვარს ფერდებზე სიტყვები წააწერა და დაიწყო ისეთივე პროცესი. ლოზის პროექტს „კვანტური ცხვრები“ ჰქვია. როგორც პოეტესა ამბობს, პროექტი ლიტერატურისა და კვანტური მექანიკის გზაშესაყარზე დაიბადა — ველერი ლოზი ერთდროულად ლიტერატურის მცოდნეცაა და თეორიული ფიზიკის სპეციალისტიც.

ცხვრები ეს-ესაა შეუდგნენ მუზასთან ჭიდილს, ამიტომ მათი შემოქმედება ჯერ არ გამომზეურებულა. როგორც ცხვრების პატრონმა ფერმერმა ბრძანა, მართალია, მისმა ცხვრებმა კვანტური მექანიკა არ იციან, სამაგიეროდ, პოეტობა მშვენივრად გამოსდით. „ფერმერების საქმე ვერ არის კარგად. იქნებ ეს პროექტი სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვჭირდება“. პატრონს პოეტმა ცხვრებმაც შეაწიეს სიტყვა — „ბე-ე-ე“ დასძახეს ერთხმად.

*ვოკრუგ სვეტა1*

# თოვლის ხამი ეამჭიელი



ერთ გამბიელ ზანგს, რომელიც ამ ზაფხულს აფრიკიდან გერმანიის ქალაქ ჰილდეშაიმში გადასახლდა, თვალით არ ენახა თოვლი და არც იცოდა, რა „ხილი“ იყო. ერთ დილას ფანჯრიდან რომ გადაიხედა და გარემო და თავისი მანქანაც თეთრი რაღაცით დაფარული დაინახა, სასწრაფოდ პოლიციაში დარეკა — მომხედეთო.

პოლიციას უშველის ღმერთი, მოვიდნენ და გულგახეთქილი გამბიელი დააწყნარეს. ის კი არა, თავისი ხელით გადააწმენდინეს „შეღებილი“ მანქანა.

*ოკნა №7*

# უფრთხილდით გიტარას!



— ასე აფრთხილებს საზოგადოებას ბრიტანელი ფიზიოთერაპევტი ქეით ლუისი. თუმცა იგი მხოლოდ ელექტროგიტარას გულისხმობს და იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი სწორად ხმარება. ქეითს თავდავიწყებით უყვარს ეს ინსტრუმენტი და ამიტომაც უკირკიტებს მის ავ-კარგს. როგორც ქეითი ამბობს, თურმე ელექტროგიტარისტს ხშირ შემთხვევაში ხელის მტევანი და კისრის არე უავადდება. ეს დაკვრისას ამ ადგილების დაძაბულობის შედეგი ყოფილა. განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდნენ მოყვარულები, თუმცა არც ოსტატებს უნდა ჰქონდეთ გული საგულეს. ქეით ლუისმა ელექტროგიტარისტების დაავადებას სახელიც მოუძებნა — „ჯიმი ჰენდრიქსის კუზი“ — ასე ამ სახელგანთქმული მუსიკოსის პატივსაცემად მოიქცა.

*ნიუ ზუიქი*

# მოყიყინე ნარკობარონები



მიუნხენელი ცოლ-ქმარი კრაუზეები უცნაურმა ჰობმა გაიტაცა — მოაშენეს ერთგვარი ჯიშის გომბეშო... მოაშენეს და ცოტა ხანში პოლიციაც ესტუმრათ... თურმე, ცოლ-ქმარი ნარკოტიკების გამსაღებელთა საეჭვო სიაში ჰყოლიათ, მაგრამ სამხილი ვერ აღმოუჩინეს. ამ ბოლო ვიზიტისას კი გომბეშოებით დაინტერესდნენ და მიაგნეს.

ამ მოყიყინეების ტყავზე ჩნდება სპეციფიკური ნივთიერება, რომელიც იწვევს ჰალუცინაციას, ანუ, რომლის ალოკვითაც იღებ ნამდვილ კაიფს... ცოლ-ქმარი დააპატიმრეს. გომბეშოები კი ზოოპარკს მიაბარეს.

*შტერნი*

# სიცილი გინდათ — მიბრძანდით პარკში!

უნგრეთის დედაქალაქის ცენტრალურ რაიონში იუმორისა და სატირის პარკი გაშენდება. გაზაფხულზე ქვეყნის საუკეთესო იუმორისტები ახალ პარკში ხეებს დარგავენ, პატარა მუზეუმში კი გაიხსნება ექსპოზიცია, რომელიც იუმორის სხვადასხვა სახეობას მიეძღვნება — დაწყებული კეთილით და დამთავრებული სარკასტულით. ერთ-ერთ ხეივანს უდროოდ გარდაცვლილი აქტიორ-პაროდისტის გეზი ჰოფის სახელს მიაკუთვნებენ. ჰოფის უნგრეთში „პაროდიისა და იუმორის მეფეს“ უწოდებდნენ

იდეის ავტორთა ჩანაფიქრით, პარკში აკრძალული იქნება შესვლა მათთვის, ვისაც არ აქვს იუმორის გრძნობა, არ ესმის ხუმრობა და ანეკდოტების სასიცოცხლო მნიშვნელობა ადამიანებისთვის საბედნიეროდ, უნგრეთში ასეთი პესიმისტები პრაქტიკულად არ არიან. ბუდაპეშტელები იმედოვნებენ, რომ ახალი პარკი დედაქალაქის მკვიდრთა საყვარელი გასართობი ადგილი იქნება.

*ეხო პლანეტი №52*

# ერთ ვაზზე ოცდაათი მტევანი



სულ ორი წელი დასჭირდა ირანელ მევენახეს აზიზ ამანის, რომ სასწაული მოეხდინა და მთელი ქვეყანა აელაპარაკებინა. ერთ ვაზზე მან 30 სხვადასხვა ჯიშის ყურძენი გამოიყვანა. თუმცა თვითონ ექსპერიმენტატორი, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულია და გამარჯვებას ნაადრევად მიიჩნევს: მას 43 სხვადასხვა ჯიშის ყურძენი ჰქონდა დამყნობილი ნერგზე.

მიუხედავად ამისა, მის ვენახში ამ სასწაულის მხილველთა მოსურნეები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან. ყველას სურს საკუთარი თვალით იხილოს ერთ ვაზზე შავი, თეთრი, ბორდოსფერი მტევნების ასხმა და ამასთან, გემოს გასინჯვა — მართლაც, თითოეულს მისთვის დამახასიათებელი არომატი, გემო და სიტკბო აქვს თუ არა?!

*ნაშ სად №1*

# შეყოშლი მოხშნილია

ლიბანელმა მომღერალმა ქალმა საბაჰმა ცნობილი ლიზ ტეილორის ამურული რეკორდი მოხსნა (საბრალო ლიზი მხოლოდ რვაჯერ იყო გათხოვილი).

რამდენჯერმე და ისიც მეცხრეჯერ გათხოვება არაბული სამყაროსთვის უპრეცედენტო შემთხვევაა. ამასთან, ყოველი მორიგი ქმარი წინაზე უმცროსი იყო. ბოლო ქმარი, 20 წლის მანეკენი ომარ მეჰიო კონკურსის, „მისტერ ლიბანის“ პრიზიორია. მართალია, საცოლე ასაკს გულმოდგინედ მალავს, მაგრამ მაინც მომხიბვლელია — ამას კი პლასტიკურ ქირურგიას უნდა უმადლოდეს. როგორც პატარძალმა განაცხადა, კარგა ხანია ჭორებს ყურს აღარ უგდებს.

*დარია*

# მომავლის ენა

ბრიტანელმა მეცნიერებმა ფრიად სერიოზული ექსპერიმენტი ჩაატარეს. სრულიად პატარებს ასწავლიან ჟესტების ენას, შედეგი მართლაც განსაცვიფრებელია — 6 თვის ბავშვს უკვე შეუძლია ჟესტის საშუალებით მოითხოვოს რძე, პამპერსი, გამოხატოს თავისი ემოციები, ამასთან ლაპარაკის სწავლაში ტოლს არ უდებს „ჩვეულებრივ“ ბავშვებს.

მეცნიერები ოპტიმისტურად არიან განწყობილები, მათ სურთ მთელ მსოფლიოში 1000-ზე მეტ ახალშობილს დააწყებინონ ჟესტის ენის შესწავლა, თანდათანობით კი აუცილებელი გახადონ ყველა ახალშობილისათვის. მათი აზრით, XX საუკუნე — ფრანგული ენის საუკუნე იყო. XX — ინგლისურისა, XX — კი ჟესტების, რომელსაც არანაირი ეროვნული შეფერილობა არა აქვს. მეცნიერები აცხადებენ — სწორედ ეს არის მომავლის ენა, რომელიც შეძლებს ენობრივი ბარიერი დაანგრიოს მსოფლიოს ხალხებს შორისო.

*ოგონიოკი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმპრესიონიზმის ფუძემდებლის კლოდ მონეს სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ჩ | ი | | ა | ა | ს | ი | | ი | ე | ა | ნ | ლ | ე | ს | ე | ა | ი | ო | ე | ლ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ჩ.** ოდნავ შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ...“; **ნ.** დაწნული თმა; **თ.** დინების უნარის მქონე; **ა.** ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა სახელმწიფოზე მისი დაპყრობის მიზნით; **ნ.** საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს. დარდისაგან ექო კლდედ იქცა, მისგან მხოლოდ ხმა დარჩა; **ე.** გერმანულად — იხ, ფრანგულად — ჟე, ესპანურად — იო, ინგლისურად — აი, ბერძნულად — ?; **რ.** სპორტის რომელი სახეობის ტერმინია „მარაო“; **თ.** მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას მტკიცების გზით ადგენენ; **ა.** მთავარი არტერია, რომელიც სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს; **დ.** უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის სამეცნიერო წოდება; **ა.** ქართველი მეფე-პოეტი; **რ.** უცხოური საინფორმაციო სააგენტო; **მ.** ფრანგი მხატვარი, რომლის შესახებაც პიკასო ამბობდა: „მის ნახატებში არ არის აგრესია“; **ო.** რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **წ.** ერთი სტიქია; **ყ.** ჩიბუხის მეორენაირი სახელწოდება; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **თ.** წვრილი ღვედი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**გ.** გესტაპო; **ა.** ამური; **ე.** ელფი; **რ.** რითმა; **თ.** თხა; **ე.** ექსცესი; **დ.** დონჯი; **ა.** აზნაური; **დ.** დუდაევი; **ა.** ალიკაპი; **ი.** იოსები; **ს.** სტიმული; **ვ.** ვასალი; **ე.** ელადა; **ნ.** ნიუტონი; **ე.** ენკენი; **ჩ.** ჩხეიძე; **ვ.** ვითა; **ე.** ედემი; **ნ.** ნისია; **თ.** თაობა; **ა.** ალბიონი; **ნ.** ნიანგი; **ე.** ეტლი; **რ.** რაიკინი; **თ.** თუშეთი; **ა.** ალიზი; **დ.** დრამა.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სუფთა სინდისი საუკეთესო ბალიშია.**

CMYK

# ავტოსალონი

## ჯეიმს ბონდი და მისი ავტომობილები

ბრიტანელი აგენტი „007“, იგივე ჯეიმს ბონდი, პირველ რიგში თავისი სუპერავტომობილებით არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ თავის პირველ ფილმში „დოქტორი ნოუ“, რომელიც კინოეკრანებზე 1962 წელს გამოვიდა, ლეგენდარული ჯაშუში საკმაოდ მოკრძალებული ავტომობილით, Sunbeam Alpine 5-ით სარგებლობდა. უკვე ერთი წლის შემდეგ, როგორც ჩანს, ფილმის პოპულარობით აგენტმა უკეთესი ავტომობილი დაიმსახურა — ჯეიმს ბონდი მეორე ფილმში „რუსეთიდან სიყვარულით“ უკვე 4-ლიტრიან სპორტულ „ბენთლიში“ იჯდა. მაგრამ ეს მაინც ჩვეულებრივი, სერიული მოდელი იყო. ექსკლუზივები ბონდის „შემოქმედებაში“ მხოლოდ მესამე ფილმიდან დაიწყო. ვერცხლისფერი „ასტონ მარტინი“ არა მარტო ლამაზი და სწრაფი იყო, არამედ მთელ რიგ საიდუმლო უპირატესობას ფლობდა — როგორიცაა სპეციალური სამალავი მსხვილკალიბრიანი „კოლტისათვის“, წინა, გაბარიტულ მაშუქებში ჩამალული ტყვიამფრქვევები, ტყვიაგაუმტარი მინები... უფრო მეტიც. მდევრის შემთხვევაში, ავტომობილს თავის უკან კვამლის საფრის შექმნა შეეძლო, რომელიც გზაზე ათიოდე წუთი რჩებოდა. ეს კი სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ყოვლისშემძლე „007“ საიმედოდ მიმალულიყო. მას შემდეგ, რაც მდევარი ხელს ჩაიქნევდა და უკან დაბრუნდებოდა, ელექტრონული მოწყობილობა ავტომობილის სანომრე ნიშნებს ცვლიდა (ასეთი კი ბონდს თითქმის ყველა ქვეყნისა ჰქონდა) და გზას აგრძელებდა. განსაკუთრებული შემთხვევებისთვის ბონდის პირველ ავტოექსკლუზივს არასასურველი თანამგზავრების მოსაშორებლად კატაპულტირებადი სავარძლებიც ჰქონდა. მოგვიანებით, 1965 წელს გამოსულ ფილმში „ბურთისებრი ელვა“, სუპერაგენტის სუპერავტომობილი წყალში გადაადგილებისთვის პროპელერითაც აღიჭურვა. სწორედ ამ ფილმში გამოჩნდა დამატებითი ტრანსპორტიც, BSA 650 Lightning მოტოციკლეტის სახით. იგი სპეციალური სარაკეტო-გამშვები მოწყობილობით იყო აღჭურვილი.

ფილმის სცენარის მიხედვით, ჯეიმს ბონდს „სპექტრის“ არანაკლებ „მაგარი“ აგენტი, ქაუნთ ლიპი უნდა დასდევნებოდა. მოტოციკლეტზე ამხედრებული „007“ ქაუნთის შავ „ფორდს“ სპეციალური რაკეტებით აფეთქებს. გადაღების დროს ეს ავტომობილი მართლა აფეთქდა და სერიოზულად დაშავებული მსახიობის დუბლიორი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა.

1965 წლის ოქტომბერში, მსოფლიოს ავტომშენებლობაში ფურორი მოახდინა „ტოიოტას“ მიერ წარმოდგენილმა მოდელმა — 2000 GT. ეს ავტომობილი 6-ცილინდრიანი, 2ლ მოცულობის ძრავით იყო აღჭურვილი და უპრობლემოდ ავითარებდა 220 კმ/სთ სისწრაფეს. გარდა ამისა, მას ჰქონდა იმ დროისთვის მთელი რიგი რევოლუციური სიახლეები, როგორიცაა სავალი ნაწილის წინა დამოუკიდებელი საკიდარი, სამუხრუჭე დისკოები ყველა თვალზე და ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი. რასაკვირველია, კორპორაცია „ტოიოტა“ მოინდომებდა ყველაზე პოპულარულ ფილმში მის მოდელს მიეღო მონაწილეობა. მეორე მხრივ, მაღალტექნოლოგიური და ანგაჟირებული ავტომობილის ფილმში გამოყენება „ჯეიმს ბონდის“ პროდიუსერებსაც აწყობდათ, მაგრამ მომდევნო წელს გამოსულ ახალ ფილმში „შენ მხოლოდ ორჯერ ცხოვრობ“ ახალი ავტომობილით ბონდს არ უსარგებლია. „ტოიოტა“ მისი მეგობარი ქალის, აკის განკარგულებაში იყო. ავტომობილს დამატებითი საიდუმლო ხმის ჩამწერი, პორტატული თანამგზავრული კავშირის აპარატი და ელექტრონული კავშირგაბმულობის სხვა ისეთი მოწყობილობა დაუმონტაჟეს, რომლებიც იმ დროს ფანტასტიკური ჩანდა, დღეს კი სრულიად ხელმისაწვდომია.

ჯეიმს ბონდის ავტომობილებთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი დეტალი — როგორც ეს დღევანდელ კინემატოგრაფში ხდება, ფილმის ავტორებს არასოდეს გამოუყენებიათ კომპიუტერული გრაფიკა, ან სხვა ელექტრონული საშუალებები მაყურებელზე ეფექტის მოსახდენად. ყველა ჯეიმს ბონდის ყველა ავტომობილი პირნათლად ასრულებდა თავის როლს, როდესაც ხტებოდა მაღალი სართულიდან, ცურავდა წყალში, ან ესტაკადაზე ერთდროულად რამდენიმე მანქანას უსწრებდა. უბრალოდ, ყოველ სცენაზე ტიტანური შრომა იყო გაწეული, რათა კონკრეტული ეპიზოდისთვის კონკრეტული მოდელი შეერჩიათ, რადგან ჩქაროსნული ტრასისთვის განკუთვნილი ავტომობილი ტარანზე ნაკლებად გამოდგებოდა, ხოლო მაღალი სართულიდან გადმოვარდნის შემთხვევაში კი არასათანადოდ შერჩეული მოდელი შეიძლება მცირე ნაწილებად დაშლილიყო. გარდა ამისა, თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თითოეული ტრიუკის გათვლა, რათა გამოზომილიყო მანძილი, ვარდნის სიმაღლე და სისწრაფე ავტომობილის საბაზო მონაცემებთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში კი ფილმის ტექნიკური ჯგუფის მითითებით საავტომობილო ქარხანა მოდელს დამატებითი ფუნქციებით აღჭურავდა. ჯეიმს ბონდის შესახებ უკანასკნელ პერიოდში გამოსული ფილმები ასეთი ტაქტიკით უკვე აღარ იქმნება. მისი პროდიუსერები შედარებით იოლ და იაფ გზას — კომპიუტერულ გრაფიკას, ან მასთან შეთავსებულ ტრიუკებს არჩევენ.





## უნიკალური საბურავები „მიშელინისგან“

უახლოეს მომავალში ევროპული ავტომობილების უმრავლესობა სათადარიგო საბურავების გარეშე გაიყიდება. ასეთია საბურავების წარმოებაში მსოფლიოს ლიდერის, „მიშელინის“ გენერალური მენეჯერის განცხადება. ედუარდ მიშელინის აზრით, ეს მოვლენა ანაქრონიზმს წარმოადგენს, რადგან უმეტეს შემთხვევაში ავტომფლობელები საგზაო დახმარების სერვისით სარგებლობენ და არც კი იციან, სად დევს ავტომობილში სათადარიგო საბურავი. ეს უკანასკნელი კი საბარგულის სპეციალურ სათავსში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამას მოძრაობის უსაფრთხოების სტატისტიკაც ემატება, რომლის მიხედვითაც, ჩქაროსნულ ტრასებზე საბურავის დაშვების ან გამოცვლის დროს მომხდარი ავტოკატასტროფების რიცხვი საკმაოდ მაღალია. როგორც ჩანს, ქართველი ავტომფლობელები ევროპიდან ჩამოტანილი მეორადი საბურავების გარეშე დარჩებიან, რადგან „მიშელინი“ მომხმარებელს სპეციალური ხსნარით გაჯერებულ საბურავებს სთავაზობს, რომლის ქმედითუნარიანობაც მხოლოდ ცვეთაზე იქნება დამოკიდებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმნიშვნელო დეფექტის, გზაზე დაგდებული მინის ნამსხვრევის ან სხვა მსუბუქი შემთხვევების გამო ავტომობილს საბურავი აღარ დაეშვება. ევროპელი ავტომფლობელები ასეთ შემთხვევაში საბურავს ახლით ცვლიდნენ და ძველი კი საბურავების უზარმაზარი „სასაფლაოდან“ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ძნელი სათქმელია, რა ჩანაფიქრი აქვს ამ შემთხვევაში „მიშელინის“ მარკეტინგის განყოფილებას. შესაძლებელია, მათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მეორადი საბურავების მოხმარების აღკვეთა და თავისი პროდუქციის მაქსიმალური გასაღება სურთ — ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ასეთი მეთოდით ევროპაში საბურავების გაყიდვა ერთი-ორად შემცირდება, რადგან ახალი ტიპის საბურავი ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო ხანგრძლივად ძლებს. რაც შეეხება ფასს, „მიშელინის“ ნოვაცია ჩვეულებრივზე 30-40%-ით ძვირი ღირს, თუმცა, ფირმის მენეჯერთა განცხადებით, დროთა განმავლობაში წარმოების გაზრდასთან ერთად, ფასიც დაეცემა.

## BMW 320-ისა და Mercedes-Benz C 200-ის ისტორიული მეტოქეობა

ევროპული ავტოწარმოების გერმანელ ლიდერთა, „მერსედესისა“ და BMW-ს მეტოქეობა ყველასთვის ცნობილია. თუ შტუტგარტელი ავტომშენებლები „ლუქს-კლასის“ გაყიდვებში ლიდერობდნენ, ბავარიელები სპორტულ კლასში იყვნენ დაუძლეველნი. საერთოდ, ამ ორ კომპანიასთან დაკავშირებით ერთი ოქროს წესი არსებობს, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა — „მერსედესი“ ავტომობილს მგზავრისთვის ქმნის და ცდილობს, იგი მაქსიმალურ კომფორტსა და უსაფრთხოებაში ჰყავდეს. BMW კი მთავარ აქცენტს მძღოლზე აკეთებს და მგზავრთან მიმართებაში ხშირად უყურადღებოა ხოლმე. ამაში ავტომობილების მართვის ხელსაწყოების პანელი, კონსოლიც (ე.წ. „ტორპედო“) დაგარწმუნებთ. BMW-ში მძღოლს ერთგვარი კუთხე აქვს შექმნილი და ყველა ხელსაწყო მისკენ არის მიმართული, რასაც „მერსედესზე“ ნამდვილად ვერ ვიტყვით. ბოლო პერიოდში, კონკურენციამ თავისი ქნა და „მერსედესმა“ თავისი მოდელების „გასპორტულება“ გადაწყვიტა. C კლასის ახალ მოდელზე მუშაობისას, შტუტგარტელებს, როგორც ჩანს, ერთადერთი მიზანი ჰქონდათ დასახული — „დინჯი“ და წარმომადგენლობითი ხასიათის „სედანი“ სპორტული იმიჯით დაემუხტათ. რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში არც ბავარიელები იყვნენ უსაქმოდ და ახალი „მერსედეს E“ კლასის პრეზენტაციიდან უმოკლეს ხანში საზოგადოებამ BMW 320 იხილა — კიდევ უფრო სპორტული, კიდევ უფრო დახვეწილი და რასაკვირველია, კიდევ უფრო „მძღოლისთვის მომართული“. თუმცა, ყველაფერთან ერთად გაიზარდა მოძრაობის კომფორტულობა და ავტომობილი ბევრად უფრო მშვიდი გახდა, ვიდრე ეს BMW-ს ავტომობილებს ტრადიციულად ახასიათებდათ. როგორც ჩანს, გერმანელები საქმეს „პასუხისმგებლობით“ მოეკიდნენ. ორივე კომპანია ახალი მოდელის დაპროექტებისას სწორედ იმ ნაკლის გამოსწორებაზე ფიქრობდა, რომელიც მის მეტოქეს არ ჰქონდა. როგორც უკვე ვთქვით, „მერსედესის“ შემთხვევაში ეს ნაკლები „აგრესიულობა“, ანუ სპორტული იმიჯი იყო, BMW-ს კი პირიქით, — მეტი სპორტი და ცოტა „დახვეწილი მანერები“. ორივე ავტომობილი 5-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით არის აღჭურვილი, რომელთა მართვა სურვილის შემთხვევაში, მექანიკურადაც შეიძლება. ასევე ორივე მოდელს გააჩნია კლიმატსისტემა, აუდიომოწყობილობა CD შემცვლელით, ფრონტალური (წინა) და გვერდითი უსაფრთხოების ბალიშები და წინა სავარძლების ელექტრონული რეგულირება. ორივე მოდელის საბაზო კომპლექტაციაში შედის ასევე ალუმინისა და ფოლადის მსუბუქი ნაერთის დისკები. გაცილებით უფრო გამოსწორდა „მერსედესის“ მანევრირების სისწრაფე, ხოლო BMW კი მართვისას ნაკლებ ხისტი გახდა.





***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***




# კახა კალაძე თბილისში საფეხბურთო აკადემიას აარსებს




*საქართველოში ყველაფერი კრიტიკის ობიექტი გახდა: ჩემპიონატიც, მწვრთნელებისა და მოთამაშეების პროფესიული დონეც და ა.შ. ამ მხრივ გამონაკლისი არც ბავშვთა ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობაა. ბუნებრივია, ყოველივე ეს ქართული ფეხბურთის მოწინავე და მოაზროვნე ნაწილს მეტად აღელვებს. ამიტომაც ერთთავად გამოსავლის ძიებაში არიან.*

*მდგომარეობის კატასტროფულობას სანაკრებო და საკლუბო ტურნირებში ქართველთა გამოსვლებიც ადასტურებს. დიდ წარმატებებს ვინღა ჩივის, წაგება წაგებას ემატება და უკვე გამარჯვების გემოც გადაგვავიწყდა. გამოსავალიც სხვადასხვაგვარი არსებობს. მაგალითად, გაიოზ დარსაძის ძალისხმევით საქართველოში რამდენიმე ცნობილმა სპეციალისტმა (ფრანკო ფერარი, როჯერ სპრაი) საინტერესო ლექციების კურსი წაიკითხა; ნიკო დოლიძემ, მამუკა გუგეშაშვილმა, კარლო მჭედლიძემ და თენგიზ სულაქველიძემ საფეხბურთო სკოლების თანამედროვე ყაიდაზე ჩამოყალიბება სცადეს და ა.შ.*

**საქართველო ტალანტების ქვეყანაა, მაგრამ მათ ვერ ვაფასებთ და გასაქანსაც არ ვაძლევთ. ბავშვები სწავლის საფასურს არ გადაიხდიან, ბურთებით, ბუცებითა და ფორმებით მოვამარაგებ და დაოსტატების შანსსაც მივცემ. მათ არც უცხოეთში გამგზავრების პრობლემა შეექმნებათ.**

*ბუნებრივია, მათი შრომა ნაყოფს წლების შემდეგ გამოიღებს, თუმცა მაღალი დონის საფეხბურთო სკოლების ნაკლებობა კვლავ უპირველეს პრობლემად რჩება. როგორც ირკვევა, ამ პრობლემების მოგვარებაში წვლილის შეტანას „მილანისა“ და საქართველოს ნაკრების წევრი, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი, კახა კალაძეც შეეცდება. „შინდისფერთა“ კაპიტანი ამბობს:*

— საქართველოში არსებული საფეხბურთო სკოლები დროის მოთხოვნას ვეღარ პასუხობენ. არადა, მუშაობის თანამედროვე მეთოდებისა და ფინანსური დახმარების საშუალებით პრობლემის მოგვარება რეალურად მიმაჩნია. ამიტომაც გადავწყვიტე საქართველოში საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბება. უკვე შევხვდი ჩემს პარტნიორებს და წინასწარი გეგმებიც დავსახეთ. მინდა, აკადემია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო იყოს. ჩვენ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ცუდი პირობებისა და მოუწყობელი სტადიონების გამო ფერხდება მათი პროფესიული ზრდა.

*აკადემიის შექმნის შესახებ ინფორმაცია რუსულენოვანმა საინფორმაციო საშუალებებმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელეს და ბუნებრივია, ინტერესიც აღიძრა, თუ სად, ვისი ხელმძღვანელობითა და შეწევნით იარსებებს აკადემია. ამ თემაზე კახასთან გასაუბრების საშუალება მისმა თბილისურმა ვიზიტმაც მოგვცა. „მილანის“ მცველი ორიოდე დღით თბილისში ოჯახური საქმეების გამო ჩამოვიდა — იგი კობა ნარჩემაშვილს შეხვდა და ჩვენთან სასაუბროდაც გამონახა დრო.*

— **კახა, მინისტრთან შეხვედრამ ძმის გათავისუფლების იმედი თუ მოგცა?**

— იმედი მაქვს, მაგრამ ჯერ ახალს ვერაფერს გეტყვით.

— **იქნებ უფრო კონკრეტულად გვიამბო, სად აპირებ საფეხბურთო აკადემიის გახსნას?**

— აკადემია თბილისში დაარსდება და დიდი იმედი მაქვს, რომ ქართულ ფეხბურთს ვარსკვლავებს გავუზრდი.

— **აკადემიისთვის ტერიტორია უკვე შეარჩიე?**

— ჯერჯერობით ტერიტორიაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან იდეის საქმედ ქცევა ახლახან გადავწყვიტე. ადგილის შესარჩევად უკვე მუშაობენ და საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა ნიუანსის გათვალისწინებით მივიღებთ.

— **რუსული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში პარტნიორები უკვე შერჩეული გყავს. თუ საიდუმლო არ არის, ვინ არიან ისინი?**

— ეს ჩემი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაციაა.

— **რატომ?**

— საქართველოში პარტნიორები არ მჭირდება.

— **მაშ, ვინ უხელმძღვანელებს სკოლას?**

— ეს სხვა საქმეა. არიან ადამიანები, რომლებიც აკადემიას გაუძღვებიან, მაგრამ სკოლა ჩემი საკუთრება იქნება და მის მუშაობასაც თავად წარვმართავ.

— **აკადემია ალბათ, კახა კალაძის სახელობის იქნება?**

— რა თქმა უნდა. ყველაფერს ვილონებ, რომ ჩანაფიქრს ხორცი შევასხა, ამასთან, რომ იტყვიან, უმაღლეს დონეზე.

— **კი, მაგრამ ვისთან ერთად? აკადემიის დაარსებას ბავშვთა ფეხბურთში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად აპირებ, დღეს კი საქართველოში კვალიფიციურ მწვრთნელთა დეფიციტია.**

— არიან მწვრთნელები, რომლებიც ნორმალურ სამუშაო პირობებში სრულად გამოავლენენ საკუთარ პოტენციალს, ანუ ბავშვების საფეხბურთო აღზრდას მოახერხებენ. ქართველი მწვრთნელები კარგი ხელფასითა და სათანადო ხელშეწყობით ხომ უფრო მეტ ნიჭიერ სპორტსმენს გამოავლენენ? გარდა ამისა, კარგი მოედნების, ნორმალური კვებისა და უცხოეთში სისტემატური გასვლის გარეშე პროფესიონალი სპორტსმენი ვერ ჩამოყალიბდება.

ჯერჯერობით თავს შევიკავებ იმათი გვარსახელების დაკონკრეტებისგან, ვისთანაც თანამშრომლობას ვგეგმავ. როდესაც აკადემიისთვის ადგილს შევარჩევ და მშენებლობას დავამთავრებ, მწვრთნელებსაც მაშინ დავასახელებ.

— **როდის აპირებ პროექტის განხორციელებას?**

— ორ-სამ თვეში ეს ვერ მოესწრება. დიდ საქმეს სერიოზული ფიქრიც სჭირდება და არ მინდა ნაჩქარევი ნაბიჯი გადავდგა.

— **თუ არ ვცდები, ეს ჩანაფიქრი ლევანის გატაცებამდეც გქონდა.**

— ვერ ვიტყვი, რომ მაშინ აკადემიაზე დღევანდელივით სერიოზულად ვფიქრობდი, მაგრამ მსგავსი აზრი ნამდვილად მიტრიალებდა თავში. მერე ლევანის ამბავმა დროებით დამავიწყა ყველაფერი... დღეს კი დადგა დრო, როცა მივხვდი, რომ საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბებით ქართული ფეხბურთის აღორძინებაში ჩემი წვლილი უნდა შევიტანო. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

— **ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპაში მართლაც საუკეთესო აკადემია ჩამოაყალიბე. როგორ ფიქრობ, ამ პატარა ქვეყანაში მსოფლიო დონის მრავალ ვარსკვლავს აღზრდი?**

— თუ ნიჭიერ ბავშვებს მოვუყრით თავს, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მსოფლიო ბევრ ქართველ ვარსკვლავს მიიღებს. საქართველო ტალანტების ქვეყანაა, მაგრამ მათ ვერ ვაფასებთ და გასაქანსაც არ ვაძლევთ. ბავშვები სწავლის საფასურს არ გადაიხდიან,

**დღეს კი დადგა დრო, როცა მივხვდი, რომ საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბებით ქართული ფეხბურთის აღორძინებაში ჩემი წვლილი უნდა შევიტანო.**

ბურთებით, ბუცებითა და ფორმებით მოვამარაგებ და დაოსტატების შანსსაც მივცემ. მათ არც უცხოეთში გამგზავრების პრობლემა შეექმნებათ.

— **კონკრეტულად, რომელ ქვეყნებში?**

— ეს ბავშვის ნიჭიერებაზე იქნება დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, წამყვან ევროპულ გუნდებთან ვითანამშრომლებ.

— **ტალანტების სიმცირე არც შენს მშობლიურ ქალაქ სამტრედიაში იგრძნობა. აკადემიის ფილიალის გახსნას იქ ხომ არ აპირებ?**

— ნიჭიერ ბავშვებს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიყვან, რა თქმა უნდა, სამტრედიიდანაც, თუმცა ამ ეტაპზე ფილიალების გახსნაზე არ მიფიქრია.

— **რას უსურვებ საახალწლოდ ქართველ ხალხს?**

— მივიწყებული წარმატებების დაბრუნებას, ერთმანეთის სიყვარულსა და გატანას. ბედნიერი ახალი წელი გაგვთენებოდეს!




# რატომ ვერ მოხვდა კანდელაკი ათეულში?

28 დეკემბერს „შერატონ-მეტეხი-პალასმა“ ტრადიციულად უმასპინძლა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საღამოს, რომელზეც უნდა დაესახელებინათ წლის ათი საუკეთესო ქართველი სპორტსმენი, მწვრთნელი და გუნდი.

თითქოს ყველაფერმა ჩვეულებრივად ჩაიარა: როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი წილად ხვდა მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ელდარ კურტანიძეს, ძალოსანმა გიორგი ასანიძემ და მოჭიდავე ბადრი ხასაიამ კი მეორე-მესამე პოზიციები გაიყვეს.

თუმცა მაშინვე, როგორც კი შედეგები გამოცხადდა, დარბაზში მსხდომთა დიდმა ნაწილმა გაოცება გამოთქვა იმის გამო, თუ რატომ არ აღმოჩნდა საუკეთესო ათეულში გიორგი კანდელაკი, რომელმაც წლის ბოლოს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. კითხვები გულშემატკივრებსაც გაუჩნდათ და შევეცადეთ პასუხი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის, ბატონი **ელგუჯა მეძმარიაშვილისგან** შეგვეტყო:

— ტრადიციულად ჟურნალისტებს დეკემბრის დასაწყისში ვურიგებთ ანკეტებს. შევსებული ანკეტები ჟურნალისტების უმეტესობამ 21 დეკემბრამდე დაგვიბრუნა, ანუ პეტერბურგში გამართულ კანდელაკი-ვასილიევის შერკინებამდე. ამიტომ ბუნებრივია, ანკეტებში კანდელაკი თითქმის არავის დაუსახელებია.

ამასთანავე, ჟურნალისტთა ნაწილმა გაითვალისწინა ეს ფაქტი და ბრძოლის შემდეგ წარმოგვიდგინა ანკეტები, თუმცა არც მათ შორის დაუსახელებია ყველას კანდელაკი. საბოლოოდ, გიორგის ათეულში მოსახვედრად ქულები არ ეყო. აი, ასეთია რეალური ისტორია.

ბატონი ელგუჯა იმედოვნებს, რომ ყოველივე ამას მშვენივრად გაიგებს თავად კანდელაკი:

— სიმართლე გითხრათ, გიორგისთან ამ თემაზე არც მისაუბრია, თუმცა, ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი იმდენად შეგნებული ადამიანია, თავისთავად მიხვდება ყველაფერს.

როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა მაინც რეალურად შეაფასეს კანდელაკის გამარჯვება. რა თქმა უნდა, ყველას გვახარებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, მაგრამ რეალურად კანდელაკის ამჟამინდელი წარმატება მაინც მთამსვლელის მიერ ჯომოლუნგმას გზაზე პირველი საბაზო ბანაკის აღების ტოლფასია და არა თავად მწვერვალის დალაშქვრისა.

ამის მიუხედავად, ჩვენ მშვენივრად გვესმის თითოეული წარმატების მნიშვნელობა. ამიტომაც საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოებაზე კანდელაკი მოვიწვიეთ და სცენაზე გამოსვლა ვთხოვეთ. სწორედ ამ დროს საგანგებოდ შერჩეული პრიზი გადავეცით, რათა ელემენტარულად მიგველოცა წარმატება.

ეჭვიც არ მეპარება, რომ გიორგი მიღწეულს არ დასჯერდება, ბევრ მწვერვალს დაიპყრობს და ბუნებრივია, საუკეთესო ქართველ სპორტსმენთა ათეულში კი არა, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეთა შორის მოხვედრაც არ გაუჭირდება.

# ვის შეეხიზნება ხიზანიშვილი?



ახალი წლის დღეებში წამყვანი ბრიტანული სააგენტოების, გაზეთებისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ზურაბ ხიზანიშვილი. ამჯერად მიზეზი ტრავმა აღარ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს ნაკრებისა და „დანდის“ ფეხბურთელმა ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მიიღო ტრავმა სწორედ იმ სტადიონზე და სწორედ იმ გუნდთან შეხვედრისას, რომელმაც 2001 წლის შემდეგ ერთი წლით „დაასვენა.“ გლაზგოს „სელტიკთან“ შეხვედრა ქართველ მცველს ცუდად დაებედა, თუმცა, საბედნიეროდ, ამჯერად ხიზანიშვილის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

ჩვენ რამდენჯერმე დავწერეთ, რომ 21 წლის მცველის თამაშმა და შოტლანდიის პირველობაზე გამოსვლამ მრავალი ცნობილი კლუბი დააინტერესა. შოტლანდიური კლუბის ყოფილი მწვრთნელი ბონეტი ფიქრობდა, ხიზანიშვილი რომელიმე იტალიურ გუნდში გაეყიდა. მართალია, ბონეტი „დანდიში“ აღარ მუშაობს, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი დღემდეა დაინტერესებული ხიზანიშვილით. „ინტერი“ დღემდე აკვირდება ქართველს, რაც დადასტურდა კიდეც თბილისში მილანური კლუბის წარმომადგენლის სტუმრობით.

ახლა წამყვანი ბრიტანული სააგენტოების ინფორმაციით, ხიზანიშვილის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს სერია A-ს კლუბი „ბრეშა“. არც ბრიტანელები არიან გულგრილნი. „დეილი რეკორდის“ ინფორმაციით, ხიზანიშვილს „სანდერლენდში“, „მანჩესტერ სიტისა“ და „რეინჯერსში“ გადასვლის შანსიც აქვს.

ბრიტანელთა ვარაუდით, ყველაზე რეალური წინადადებით შოტლანდიური კლუბის ბოსებს „სანდერლენდმა“ მიმართა. თურმე, ხიზანიშვილთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, ქართველის მსურველმა 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა გადაიხადოს, რაზეც „სანდერლენდი“ ახლავე თანხმობას აცხადებს, „მანჩესტერ სიტი“ და „ბრეშა“ კი ჯერჯერობით „დანდისთან“ ვაჭრობენ.

ხიზანიშვილის ტრანსფერის რეალურობას ერთი ფაქტიც ადასტურებს: ქართველ ახალგაზრდას შოტლანდიურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. „დანდიმ“ ხიზანიშვილს ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა, რათა გამოერიცხა კლუბიდან მისი წასვლა თავისუფალი აგენტის სტატუსით. ფაქტია, რომ ხიზანიშვილს „დანდიში“ დარჩენა არ სურს და მისი წასვლის შემთხვევაში, შოტლანდიელები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებიან, რადგან ზაფხულში ახალ კლუბში უპრობლემოდ, მხოლოდ მცირედი კომპენსაციის საფასურად აღმოჩნდება.

ხიზანიშვილი კი „დანდისთან“ ახალ კონტრაქტს კატეგორიულად უარყოფს და პრემიერლიგაში, ან სერია A-ში გადასვლა სურს.

ამ ფაქტმა „დანდის“ ხელმძღვანელობა ძალიან გააღიზიანა. კლუბის პრესატაშემ მათი პოზიცია გაახმოვანა: „ჩვენთვის გაუგებარია, რის საფუძველზე განაცხადა ქართველმა ფეხბურთელმა, რომ თითქოს მას მწვრთნელი დაემუქრა, — არ გათამაშებ, სანამ კონტრაქტი არ გაფორმდებაო. სჯობდა ზურას „დანდისადმი“ მეტი კეთილგანწყობა გამოემჟღავნებინა.“

***გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ***

# ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

**ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №52 (326) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

გასული წლის უკანასკნელ რეიტინგს 329 მკითხველი გამოეხმაურა. ბარათების ასეთი სიმცირე ალბათ, საახალწლო სამზადისის გამო მოუცლელობის ბრალია. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 133-მა ქალმა და 193-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ჩამოთვლილთაგან ყველაზე სკანდალური კახი ასათიანის მკვლელობაა. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა მხოლოდ სამმა მკითხველმა (1) შეაფასა მინიმალური — 1 ქულით. **6,70** საშუალო ქულით კახი ასათიანის მკვლელობა პირველ ადგილზეა. ამ სკანდალურ მოვლენასა და ნაგავსაყრელზე ახალშობილის გადაგდების ფაქტს საერთო ისა აქვთ, რომ ორივე მათგანი მკითხველთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ — 17-17-მა შეაფასა მაქსიმალური — 9 ქულით. საერთო ქულების რაოდენობის მიხედვით კი ეს ფაქტი მეოთხე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,75.

მამაკაცებისა და ქალების პასუხებს შორის მხოლოდ ერთი განსხვავება დაფიქსირდა — ქალებთან „ნაგავსაყრელზე გადაგდებული ბავშვი“ წინ უსწრებს „პიტერ შოუს გატაცება-გათავისუფლებას“.

სკანდალურ მოვლენათა რეიტინგში II-III ადგილებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე უშუქობა“ და „პიტერ შოუს გატაცება-გათავისუფლება“ იკავებს. ყველაზე მეტი რაოდენობის მაქსიმალური ქულა — 23 სწორედ „ლოკომოტივის“ სტადიონზე უშუქობამ“ დაიმსახურა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტი დაფიქსირებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეიტინგში ამ ბოლო დროს საკმაოდ გახშირებული ჯეკ-პოტია და შემდეგი ნომრის საპრიზო თანხა **200** ლარს შეადგენს.

წარმატებებს გისურვებთ!

## № 1 (327) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

## ~~100~~ 200 ᲚᲐᲠᲘ

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ *მკითხველის ლიცინეში.*

**№1 (327) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 8 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 9 იანვრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ᲗᲔᲛᲐ №1 (327) — ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ**
**ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№1(327) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ | ᲥᲣᲚᲐ |
|---|---|---|
| 1 | უცნობი — „მზეს ველოდები“ | |
| 2 | მარიკა თხელიძე — „პოპური“ | |
| 3 | „ერისიონი“ — „შატილის ასულო“ | |
| 4 | „ფორტე“ — „პოპური“ | |
| 5 | სალომე გასვიანი — „მიფრინავს დრო“ | |
| 6 | ლელა წურწუმია, სტეფანე — „ერთი სიყვარულის ამბავი“ | |
| 7 | უცნობი — „გაგონი მიქრის“ | |
| 8 | თიკა ჯამბურია, დათო ხუჯაძე — „ცისარტყელები“ | |

*მკითხველის ლიცინეი*

**დაასახელეთ გასული წლის ყველაზე ხმაურიანი ადამიანი საქართველოში**

✓ ____________________

**ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ____________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ᲐᲡᲐᲙᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

*მკითხველის ლიცინეის შედეგები*

**გასული წლის ყველაზე სასიხარულო მოვლენა საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ბორჯღალოსნების“ გამარჯვება | 38 % |
| 2. | გიორგი კანდელაკის გამარჯვება | 29 % |
| 3. | ჰენრი კუპრაშვილის მიერ დარდანელის სრუტის კოლხურით გადაცურვა | 6 % |
| 4-5. | ნატოს კარებზე „დაკაკუნება“ | 3 % |
| 4-5. | ჯუმბერ ლეჟავას დაბრუნება | 3 % |

რესპონდენტთა 4%-ს გაუჭირდა წლის სასიხარულო ფაქტის დასახელება; 3%-მა კი აღნიშნა, რომ გასულ წელს გასახარი არაფერი ყოფილა.

**ყველაზე სამწუხარო მოვლენა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კახი ასათიანის მკვლელობა | 25 % |
| 2. | მიწისძვრა თბილისში | 17 % |
| 3. | კოტე მახარაძის გარდაცვალება | 16 % |
| 4. | ნაგავსაყრელზე გადაგდებული პატარა გიორგის სიკვდილი | 6 % |
| 5. | დღევანდელი ხელისუფლების არსებობა | 5 % |

მკითხველთა 3%-ის აზრით კი, იმდენი სამწუხარო რამ მოხდა საქართველოში, რომ ძნელია დაკონკრეტება.

*მკითხველის რეიტინგში 267-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

1. რუსუდან ხუბულავა — „მაშინ არც ამერიკა იყო აღმოჩენილი და არც ავსტრალია...“ — 83 ხმა
2. ვაჟა გავაშელი — „ილოცე, სეიფში ფული იყოს, სხვაგვარად არ გაპატიებ!“ — 70
3. ჯაბა ლეონიძე — „რამდენი მოიგო მელოუნმა კანდელაკზე?“ — 39
4. ზვიად ჩაკვეტაძე — „ალჟირელი ზანგის მოკრეფილია და იმიტომ გაშავდა ცოტა“ — 22
5. ეკა ლომიძე — „ერთი ქართველი „კაგებეს“ ავსტრალიაში დამალვია და ჩემმა გამოჩენამ შეაშინა — ალბათ კიდევ მეძებენო...“ — 17

თქვენს პრემიას — 50 ლარს ამჯერად ჟურნალისტი **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ ლაურეატი 288 მკითხველმა გამოავლინა.***

## • ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ • ᲤᲝᲢᲝᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲘ ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

____________________
____________________
____________________
____________________
____________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ ____________________
ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ____________________



მიხეილ სააკაშვილი, რომან გოცირიძე

**„ფოტოანტიკვარის“ მონაწილეთაგან მხოლოდ სამმა რესპონდენტმა მოახერხა ამ ფოტოზე გამოსახული ბავშვის ვინაობის გამოცნობა. დიახ, ეს კიკინებიანი პატარა დღეს საკმაოდ პოპულარული მომღერალი ᲓᲐᲗᲝ ᲮᲣᲯᲐᲫᲔᲐ.**

**მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა კი მასში ხათუნა გოგორიშვილი, მამუკა ონაშვილი და სხვები „ამოიცნო“...**





ზაალ სულაკაურის მეგობრული შარჟი



ᲓᲐᲗᲝ ᲮᲣᲯᲐᲫᲔ, ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ

## ფოტო განწყობისთვის



–თუ გახსოვს, ჩვენც ასე გადაგვყვნენ მარშან?!

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები




საუკეთესო საშობაო-საახალწლო საჩუქარი

სოციალური თერაპიის სახლის სახელოსნოების ნაწარმი

რუსთაველის 40

მაღაზია „ლუქსი"

სანთლები (ცვილისა და შვეიცარიული პარაფინის)

რვეულები, ბლოკნოტები, წიგნები

ნაქსოვი და ხის ნაწარმი

კალენდრები



სოციალური თერაპიის სახლი ილებს შეკვეთებს

ტელ.: 77 54 85; 77 63 07


10/I

ახალი მთვარე

პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:

8 იანვარი 12-დან 14 საათამდე

9 იანვარი 12-დან 14 საათამდე


ფირმა „ზერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *



— ვის უყვირის შენი ცოლი გამუდმებით?

— აა! ჩვენს ძაღლს!

— საცოდავი ძაღლი. გუშინ შენი ცოლი ქუჩაში გაგდებით და გასაღების წართმევით ემუქრებოდა...



**თარაზულად:** 1. წელიწადის დრო; 3. დანიშნულ ადგილას გამართული ვაჭრობა; 6. სიმინდი[ს] „პური"; 7. ფულის ერთეული ინდოეთში; 8. ძვირფასი ლითონის შემცველობა შენადნობში წონ[ის] გარკვეულ ერთეულში; 9. იოჰან შტრაუსის სამშობლო; 12. მზის მიმოქცევისა და დრო-ჟამის ღვთაებ[ა]... თვე; 15. დასახლებული პუნქტი ბამზე,... გრუზინსკაია; 17. ნაყინი ჯოხზე; 18. კლდეში ნაშენი ქალაქი; 19. ინგლისური ლუდი; 21. ლიტერატურული ჟანრი; 23. პოტენციური ხიზილალა; 25. წყლის რხევი[თ] გამოწვეული ამონაზნექი ზღვაში; 26. ოპტიკური მინა; 27. მხიარული დროს ტარება ნადიმზე; ... კუთხე საქართველოში; 29. სახელმწიფო აზიაში;

**შვეულად:** 1. ფულის „საჭრელი" სახლი; 2. მცირე იუმორისტული ნაწარმოები; 3. მატარებლი[ს] მომსახურე პერსონალის უფროსი; 4. წყლის ქვეშ სასუნთქი მოწყობილობა; 5. სადღესასწაულო სასმელი; 10. ერთ-ერთი შეგრძნება; 11. ერთდროულად ცეკვა, ბუქნა და ხტომა; 13. „საახალწლო" ხე; 1[4]. ალკოჰოლიანი სასმელი; 15. ბიბლიური მეზღვაური; 16. კიტა ბუაჩიძის მოთხრობა — „ეზოში ძაღლია"; 20. საცხოვრებელი ადგილი; 21. მცენარე მშვიდობის მტრედის ნისკარტში; 22. ადამია[ნის] გონებრივი განვითარების დონე; 23. გაქვავებული მარილი; 24. მთელი ცნების ან მარცვლის (გრამატ...) გამომხატველი ნიშანი.

შეადგინა რამაზ ალან...






ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### ① უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№1 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 9 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ქ518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".